

114  
1979

ISSN 0132-599 X



# საქართველო

8

1979



# გეორგი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაკთა

წილი № 56-ე

№ 8

აგვისტო, 1979 წ.

საქართველოს საპროტა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გვინი ვიხარული, ქვიდითი იდოლოვინა . . . . .	3
თიხიერაჲ ჯანაულაფილი — ლექსები . . . . .	9
პირველ რუხანა — ნოვალაბი იალაღანიღან . . . . .	11
ვახანა ჯანაბა — ლექსები . . . . .	18
მოდირი ჩოხელი — ში და ლიღაფიჲ (ლეჲსი). . . . .	26
ქუთაფან ვიღაფილი — მთვარი, მონახელე, მოთბობა. . . . .	28
ვიტორი ქავთარაჲ — ლექსები . . . . .	32
ვიხიელ ანთაჲ — პირის მარცხელი. მოთბობა. . . . .	35
ღალი თოთაჲ — ლექსები . . . . .	67
ღალი ხაბინიჲ — ლექსები . . . . .	69
ანთაფილ ხაბინიჲ — ლექსები . . . . .	72
რბი იოსელიანი — შავი და ცისფერი მღინაჲ. რომანი. დასასრული . . . . .	74
საიათნოჲ — ლექსები. აზერბაიჯანელიდან თარგმნა ზეზუა მედულაფილიჲ . . . . .	114
ალექსანდრე პუშკინი — კვლავ ვინახელე. ლეჲსი, თარგმნა კოდორ ნადირაჲ . . . . .	117
თანაფიღრთე ლიტერაჲ კოეზი — თარგმნა ზუტა გავუა . . . . .	119

16216

### კრიტიკა და კუმლიმსტიკა

რუმან ვიხიერაჲ — მკითხი იხარი — ზარქული რუმანის პატორი, დასასრული 127 ✓	127
ლავროსი კალანაჲ — ნათელ მისრაჲფაბათა მწერალი . . . . .	145
კობა იფიღაფილი — „ვათიფან ცხარასოროცოღაჲჲსი“ . . . . .	149
ნაფიჲ ქავთარაჲ — ფიქრიანი სტატიონი . . . . .	162
სოსო სიჲა — ვითოსი და ლოგიკა . . . . .	166
პარულან ცანაჲ — მალაროულთა კოეზი . . . . .	186

### მიგნების მიმოსილვა

პაპი პაქაჲ — საურაღიღო ვიხი . . . . .	190
---------------------------------------	-----

**მთავარი რედაქტორი ზიორაპი ნატროშვილი**

**საკადავრო კოლეგია:**

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ავაშელი (პრ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუაშვი, ო. გიგინეიშვილი, ა. გომეზიშვილი, პ. ბაღატი, მ. ლებანიძე, ლ. მრალაშვილი, ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შანგიანი, ნ. ვულეისკირი, ვ. ვულეიძე, ო. შილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯანაშია, ვ. ჯიბლაძე.

**ტექნოლოგიური რ. ნაკვებები**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11,  
პ/მგ. მდივნის — 98-55-12, განყოფილებებზე — 98-55-13, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5/VII-79 წ., ტელმოწერილი დასაბეჭდად 16/VIII-79 წ., ანაწილების ზომა 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 106/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თბახი 16,58.

№ 08439. ტირაჟი 15.250 შუკე-1915 ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ.-საგაფორმაცილო საქ. კვ. ცვ.-ის გამოშვების სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცვ.-ის გამოშვებლობა, 1979.

## ჩვენი მებრძოლი, ქმადითი იდეოლოგია

„...ყველაზე მთავარი, რითაც ძლიერნი ვართ და რაც ჩვენს პოზიციას იდეოლოგიურ ბრძოლაში ნამდვილად შეტევითს ხდის, ეს არის ისტორიული განვითარების დიადი სიმართლე, რომელიც ჩვენს მხარეზეა, რომელსაც წარმოადგენთ სწორედ ჩვენ, ჩვენი სოციალისტური წყობილება, კომუნისტური მშენებლობის ჩვენი პროგრამა, ის იდეალები, რომლებსთვისაც ვიბრძვით“, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებში ნათლად არის გადმოცემული და ზუსტად არის განსაზღვრული ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ძლიერების და სიმტკიცის მთავარი წყარო — ჩვენს მხარეზე ისტორია და მისი ზეაღმავალი განვითარება ადასტურებს ჩვენი იდეალების სიმართლეს.

ჩვენი საქმის ამ სიმართლის შესანიშნავი, მგზნებარე და დაუღალავი აგიტატორი და პროპაგანდისტი იყო და არის ჩვენი პერიოდული პრესა, ტელევიზია და რადიო, ლიტერატურა და ხელოვნება, რომელთა საბაბით და საბასუხისმგებლო დანიშნულებაა გადასცემდნენ ადამიანებს სიმართლეს მსოფლიოს პირველი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის შესახებ, სრულად აშუქებდნენ და სწორად გამოხატავდნენ ბუნებას სოციალისტურ წყობილებისა, რომელმაც უზრუნველყო ხალხის მასების ნამდვილი თავისუფლება და კეთილდღეობა, საპირისპიროდ კაპიტალიზმისა, რომელსაც ხალხთა მილიონებისათვის მოაქვს მხოლოდ უუფლებობა და სიდუხჭირე. საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დანიშნულებაა ნათელჰყოს განუზომელი უპირატესობანი სოციალიზმისა, მკაფიოდ უჩვენოს ახალი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების უმაგალითო აყვავება, ჩვენი საქმეების სიდიადე, ჩვენი აზრების კეთილშობილება და სიწმინდე. პროპაგანდის, პუბლიცისტიკის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების ვალია რეალური სოციალიზმის შესახებ სიმართლე გასაგები და მისაწვდომი გახადონ მსოფლიოს მილიონობით ადამიანისათვის.

აი ამიტომ არის, რომ ლენინის პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს იდეოლოგიური ფრონტის განმტკიცებისათვის, იმ კადრების აღზრდისათვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ კომუნიზმისათვის ბრძოლის ეს დიდმნიშვნელოვანი ფრონტი. ამ ზრუნვის ნათელი და მკაფიო გამოხატულება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაღწეობების შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა მიმდინარე წლის მაისში და რომელმაც ახალი პერსპექტივები დაუსახა დიადი საბჭოთა ქვეყნის მთელ კულტურულ ცხოვრებას.

ზემოხსენებული დადგენილება თვისობრივად ახალი ეტაპია მთელი ჩვენი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელიობითი საქმიანობისა და, შესაბამისად, მთელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა. იგი ეკუთვნის იმ ისტორიულ დოკუმენტების რიცხვს, რომელთა მეშვეობით პარტია მუდამ წინ მიუძღოდა ქვეყანას ახალი სიმაღლეებისაკენ. მარქსისტულ-ლენინური თეორია მუდამ ვითარდება ახალი კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად, მდიდრდება ახალი დებულებებითა და დასკვნებით, და ეს გარემოება მოითხოვს შესაბამისად განვავითაროთ აგიტაციისა და პროპაგანდის, პოლიტიკურ-აღმზრდელიობითი მუშაობის შინაარსი, სტილი, საშუალებანი, ფორმები და მეთოდები, ავამაღლოთ მათი ეფექტიანობა, ინტელექტუალური ზემოქმედება, ემოციურობა, გვაძლიეროთ მათი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლი.

და აი აქ, ამ სფეროში უაღრესად ფართო გასაქანი ეძლევა მწერლის, ჟურნალისტის, პრესის მუშაის ზემოქმედებით თათნობას, ფანტაზიას, ტალანტს, კალამს. მას მოეთხოვება არა მარტო მაღალი ინტელექტუალური დონე, არამედ მის სიტყვას ემოციურობის მძლავრი ძალაც უნდა ჰქონდეს, ის ძალი, კაცის გულს რომ აათრთოლებს და კეთილი საქმიანობის აღძრავს. ცენტრალური კომიტეტის მაისის დადგენილება სრულიად კონკრეტულ გზასაც გვიჩვენებს; იგი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, რადიოსა და ტელევიზიას ავალებს „გამრავალფეროვნონ ქანრები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სტილს, ენას, დაძლიონ შრავალსიტყვაობა და ფორმალობა, იზრუნონ გამოსვლების ოპერატიულობისათვის, დამაჯერებლობისა და მისაწვდომობისათვის. მიაღწიონ, რომ გამოცემები არ იმეორებდნენ ერთმანეთს, ამასთან, გაითვალისწინონ, რომ თქახების უმრავლესობა იღებს სულ ცოტა სამ გაზეთს, რეგულარულად უყურებს ტელეგადაცემებს და უსმენს რადიოს. გაზეთებს, ჟურნალებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი „სახე“, ძირითადი თემების თავიანთი წრე, მიაწოდონ მასალები მათი პროფილისათვის დამახასიათებელი სტილითა და გაფორმებით“.

აქ არის მთელი საბრძოლო პროგრამა ყოველი გაზეთისათვის, ყოველი ჟურნალისათვის. ვერავინ იტყვის, რომ ბოლო წლების მანძილზე ქართული საბჭოთა პრესა არ გაუმჯობესებულა. იგი მართლაც მხარდამხარ გაჰყვა ბუმბერაზული ნაბიჯებით წინ წასულ ჩვენს ცხოვრებას, იგი იქცა რესპუბლიკის დაუცხრომელ და მშფოთვარე ზემოქმედებითი საქმიანობის ნათელ სარკედ, და არა მარტო სარკედ, პასიურად რომ ასახავს სინამდვილეს, არამედ ის გახდა ოპერატიული მეტრძოლი.

მაგრამ ჩვენ ქართული საბჭოთა პრესის ეს წარმატებანი „გუშინდელი დღით უნდა დაავთარილოთ“, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში მიმდინარე წლის 26 ივნისს რესპუბლიკის აქტივის სხდომაზე, რომელიც შეიძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელიობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ მოხსენებაში ნათქვამი იყო:

„უნდა გაუმჯობესდეს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალებისა და აღმანახების „მნათობის“, „ციცკრის“, „განთიადის“, „კრიტიკის“, „საუნჯის“, „ლიტერატურნაია გრუზიის“, „დროშის“, „საქართველოს ქალის“ და სხვა რედაქციების მუშაობა.

უნდა გვახარებდეს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამდენი ლიტერატურულ-

მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი და ალმანახი გვაქვს, გამოდის ერთობ საინტერესო გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

ისინი ბევრს იღვწიან ჩვენი თანამედროვის — მომავლის მშენებლის აღსაზრდელად. მაგრამ მეტი უნდა გაკეთდეს. საამისოდ ძალიან შეგვწევს და შესაძლებლობაც გვაქვს. ისინი უფრო კრიტიკულად უნდა ეკიდებოდნენ თავიანთ მუშაობას, უკეთ და პარმონიულად უნდა ერწყმოდნენ რესპუბლიკის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებას. მათ უფრო კლასობრივი, პარტიული მიდგომა მართებს საქმისადმი. ასეთია ამოცანა!

ამხანაგებო, მასობრივი ინფორმაციის ორგანოების მუშაობაში წარმატებანი უდავოდ გვაქვს, მაგრამ ეს წარმატებანი გუშინდელი დღით უნდა დავათარღლოთ. დღეს პარტია ჩვენგან მოითხოვს კარდინალურად გარდაქმნათ მთელი ეს მუშაობა.

საგაზეთო, საჟურნალო, საგამომცემლო საქმის ორგანიზატორის პასუხისმგებლობა საგანგებოდ აღნიშნულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში. ჟურნალის, გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი თვალსაჩინო იდეოლოგიური და პოლიტიკური ფიგურაა. და ამიტომ მას განსაკუთრებით მოგვითხოვთ“.

„მნათობის“ რედაქცია, თავის მხრივ, ძალღონეს არ დაზოგავს და ყველაფერს გააკეთებს, რათა პრაქტიკულად განახორციელოს ამოცანები, რომელთაც პარტია აყენებს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წინაშე; როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის, ისე კერძოდ ქართული საბჭოთა მწერლობისათვის შთამავლებელია პერსპექტივა, თუ როგორ დავებმართო პარტიას, ხელი შევეწყობთ მას ურთულესი ამოცანის — ახალი ადამიანის, კომუნისმის აქტიური მშენებლის აღზრდაში. ჩვენ ყოველდღიურად მოწმენი ვსდებით და ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, როგორი ფაქიზი მზრუნველობით ეპყრობა პარტია მწერლობას, ღვიძლ საქმედ მიაჩნია იგი, ძვირფას საგანძურად, დიდ სულიერ სიმდიდრედ; „ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეაო“, განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მთელი ხალხი ამყობს საბჭოთა მწერლობის წარმატებებით; მას გული სტკივა, როცა ესა თუ ის მწერალი მარცხს განიცდის, კარგად და სრულყოფილად ვერ ხატავს იმას, რასაც ხალხი და ქვეყანა შესტრფის, აშენებს, აკეთებს. ყოველი კარგი, ახალი, მაღალიდღური და მაღალმხატვრული ლექსი, მოთხრობა და რომანი უძვირფასესი საჩუქარია მკითხველისათვის.

მწერალი ახლა მოვალეა უფრო ღრმად შეიჭრას ცხოვრების შუაგულში, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა. ახლა უფრო მეტად გაფართოვდა მისი სარბიელი, მისი პასუხისმგებლობა, მისთვის ჩაბარებული უბანი და მწერალიც უფრო შორს იხედება. ქართული საბჭოთა მწერლობა წარმატებით იბრძვის ამ ამოცანების გადასაჭრელად. ჩვენი სიტყვის ოსტატების წინაშე დგას ყველაზე მთავარი და არსებითი ამოცანა: ახალ ქართულ რომანებსა და მოთხრობებში უნდა გამოჩნდეს ჩვენი დროის მთავარი გმირი, ის ვინც განასახიერებს დღევანდელ საქართველოს. აქ საჭიროა დიდი განზოგადებები, საჭიროა გამოსახვა ადამიანებისა, ვისაც დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულში, საბჭოთა საქართველოს მიწა ამბარია და ფეხი მაგრად უდგას ამ მიწაზე, პეპელასავეთ აქეთ-იქით კი არ დაფარფატებს, არამედ აღუღაბებს აწმყფისა და მომავლის ფუძეებსა და კერებს. ამ ადამიანებს თავიანთ თავში განუხორციელებიათ თავისი ერის სული, გონება, სინდის-ნამუსი და კეთილშობილება ყველგან, სოფელში არიან იხინი თუ ქალაქში, ტენასში თუ ქარხანაში, და როცა ომი იყო, ომშიც. აქ არიან

ბევრი ნიშნულზე, არის მძაფრი დრამატული კონფლიქტებიც, ყველაფერი ის, რაც ქვეყნის ლიტერატურისათვის სასიცოცხლო პერიოდით აუცილებელია. მწერალი უნდა დაეხმაროს პარტიას ამ დიდ ბრძოლაში ადამიანის სულის განსპეტაკებისათვის, თაობების კომუნისტურად აღზრდისათვის. მან უნდა წინა პლანზე წამოსწიოს ეს კრისტალივით სუფთა, მამაცი და გაბედული ადამიანები, შეყვარებულნი თავის შრომას და სამშობლოზე, მუდამ მაძიებელნი და მუდამ დაუცმაყოფილებელნი, ის ადამიანები, ვისაც აწვალებს წყურვილი და სურვილი იმისა, რომ ყველაფერი სრულყოფილი იყოს როგორც მათ სულში, ისე მათ ირგვლივ, მათ გარემოში, მათ უბანზე, მათ ქუჩაზე. სად არ შეხვდებით ასეთ რომანტიკოსებს, მოუსვენრებს, მაძიებლებს — მინდორში თუ სამეცნიერო ლაბორატორიაში, ენგურპესზე თუ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში... კონფლიქტები თუ ვნებათ, აქ არის, ვინაიდან ეს ახლის ძიებაა და, მაშასადამე, რადიკის უარყოფაა, რასაც სჭირდება მთელი შინაგანი ძალების მობილიზება დამაბუღობის ბოლო ზღვრამდე, ბოლო მიჯნამდე, და სწორედ ეს განწყობა და შემართება, ეს ბრძოლის ენის და პათოსი, ეს წინსვლის დაუცხრომელი წყურვილი ბადებს ყველაფერს ლამაზს და დიადს ამ ქვეყანაზე.

თუ ასეთია საბჭოთა მწერლობის ნოვატორული მისია.

საკვ ცენტრალური კომიტეტის მაისის დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციას შეტევითი ხასიათი უნდა ჰქონდესო. რას ნიშნავს ეს? იდეოლოგიური მუშაობის შეტევითი ხასიათი, უწინარეს ყოვლისა, ეს არის ყოველივე ახლის, მოწინაის, პერსპექტიულისათვის მხარდაჭერა, ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, ეს არის ბრძოლა ყოველივე ძველის, დახვეწილის, დრომოკმულის წინააღმდეგ ადამიანთა შეგნებისა და ყოფაში. საქმე ეხება იმას, რომ პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალებით, მგზნებარე მებრძოლური სიტყვით შეუწყვთ ხელი ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული მახინჯი გადმონაშთების აღმოფხვრას, განავითაროთ შეურიგებლობა კომუნისტური მორალის ანტიპოდებისადმი, ჩვენთვის უცხო ზნე-ჩვეულებებისა და ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი.

სწორედ ამ მხრივ, სწორედ ახლის, პერსპექტიულისათვის მხარდაჭერის თვალსაზრისით გამოირჩეოდა გრ. ჩიქოვანის რომანი „მიწა“, რომელიც „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა და რომელიც, შეიძლება ითქვას, იყო პირველი რომანი სოციალისტური შევიბრების ეთიკურ ასპექტებზე. აქ ნაჩვენებია იყო ახალი ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია უწმინდესი პატრიოტული და ინტერნაციონალისტური გრძნობებით. აქვე უნდა დავასახელოთ გიორგი ციციშვილის „სძლიე სიზარბესა შენსა“ და რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლები“. ამ რომანებში მართლაც შესანიშნავი ფერებით აისახა ჩვენი დრო, ჩვენი ადამიანების ბრძოლა ახლის, კომუნისტურის დამკვიდრებისათვის, წარსულის მახინჯი გადმონაშთების აღმოფხვრისათვის. აქ გამოჩნდა ჩვენი საქართველოს მუშათა კლასი, საქართველოს კოლმეურნე გლეხობა და ახალი ინტელიგენცია, გამონდა ის ხარაჩოვებზეც და ყოფაშიც, და მთელი ეს ნაწარმოებები გამსჭვალულია განახლების იმ სულისკვეთებით, რაც ამ ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ „მნათობის“ მთელი მხატვრული პროდუქციის მიმოხილვას და ეს სამი ნაწარმოებიც მხოლოდ როგორც ნიმუშები, ისე დავასახელოთ. ცხადია, ამას გარდა ურჩინალში ბევრი რამ გამოქვეყნდა, რაც სწორედ ამ ახლისათვის ბრძოლის თვალსაზრისით იქცეოდა ყურადღებას. აქვე უნდა



აღვნიშნოთ, რომ მოთხოვნებსა და რომანების გვერდით დიდი ამოცანა ექნება რება ნარკვევის მოქნილსა და ოპერატიულ ჟანრს; ამ სფეროში „მნათობის“ გარკვეული გამოცდილება დააგროვა — ბოლო წლების მანძილზე გამოაქვეყნა მთელი სერია ნარკვევებისა, რომლებშიც აღძრული იყო რესპუბლიკის ეკონომიკისა და სამეურნეო ცხოვრების უადრესად აქტუალური პრობლემები; აქაც, ცხადია, ჩვენ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ სანიმუშოდ არ შეიძლება არ დავსახელოთ ცალკეული ნარკვევები, კერძოდ, ლადო მრეღაშვილის „დღეს ასნი და ათასნი გურჯანელნი“, ნოდარ წულუგისის „ნოე“ და „დავიცვათ სოფლის ხილაშაზე“, მირონ ხერგიანის „გზანი მშვიდობისანი“, „ვლენებიც უნდა ვიყვნეთ და მეცნიერებიც“, „შენ, თიანეთო, კარგი ხარ“, ილია რუხუას „მთის რაიონების პრობლემები“ და მრავალი სხვ. არაერთი უადრესად კონკრეტული, საქმიანი წინადადება დააყენეს ჩვენმა მწერლებმა, მაგრამ „მნათობის“ რედაქციის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩავთვალოთ ეს გარემოება, რომ აქვეყნებდა რა ამ პრობლემურ წერილებს, რედაქციამ ვერ შეძლო თვალი მიედევნებინა ბოლომდე, თუ რა შედეგი მოჰყვა ამა თუ იმ მწერლისა და პუბლიცისტის გამოსვლას; უამისოდ მწერლის სიტყვას ქმედითობის ძალა აკლდება. ასეთ შემთხვევებში ვერც რედაქცია და ვერც ავტორი ვერ ჩასთვლის, რომ მათ ვალი ბოლომდე მოხადეს და თავიანთი მისია ბოლომდე შეასრულეს. ამიერიდან ისე უნდა გარდაეკმნათ მუშაობა, რომ უფრო აქტიურად, უფრო ოპერატიულად ჩავერიოთ ცხოვრებაში, შემოვიღოთ ახალი რუბრიკები — „უბრუნდებით დაბეჭდილს“, ან „ჩვენი გამოსვლის კვლავი“.

საბჭოთა მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ალ. ტოლსტოი ამბობდა: ის რა მწერალია, ვისაც ცხვირი მდუღარეში არა აქვს წაყოფილი. „მდუღარეს“ იგი ყოველდღიურობას, მღელვარე ცხოვრებას უწოდებდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილება კიდევ ერთ უადრესად მნიშვნელოვან ამოცანას აყენებს ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა წინაშე. დადგენილება აღნიშნავს, რომ ჩვენი ვალია „გადაჭრით ვამხილოთ“ იმპერიალისტი ქადაგები — ისინი, ვინც ვერ ელევბა „ცოვ ომს“, საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, გამალებულ შეიარაღებას, რომელიც ბირთული კატასტროფის საფრთხეს უქადის მსოფლიოს. გამოვავაჟაროთ თანამედროვე კაპიტალიზმის ანტიხალხური, ანტიჰუმანური არსი, ნეოკოლონიზალიზმის პოლიტიკის ყაჩაღური ხასიათი, „უფლებებისა“ და „თავისუფლებების“ თვალთმაქც ჭომავთა ნამდვილი სახე. სააშკარაოზე გამოვიტანოთ პეკინელ მზრძანებელთა ჰეგემონისტური დიდმპყრობელური კურსი, გამოვამხეუროთ მათი აგრესიული ზრახვები, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის ძალებთან პარტეკრა“.

პეკინელ ჰეგემონისტთა დიდმპყრობელური ზრახვების მხილება და სააშკარაოზე გამოტანა — აი ეს იყო თემა ირაკლი აბაშიძის ლექსისა „შეხვედრა პეკინში“ (ციკლიდან „პიპინი სიცოცხლეს დედაშიწაზე“), რომელიც ამას წინათ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. საერთოდ ცნობილია, რომ მხოლოდ ის ნაწარმოები, მხოლოდ ის ლექსი ინარჩუნებს სიცოცხლის საოცარ ძალას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მისივე ავტორის ბიოგრაფიასთან, მისივე ავტორის ცხოვრებასთან. ზემოხსენებულ ლექსში პოეტი იხსენებს იმ დღეს, როცა იგი პეკინში იდგა ტრიბუნაზე, მათ ძე-დუნის ახლოს, და უცქერდა ჯარების პარადს. „დიდ ტრიბუნაზე თქვენ იდგებით თქვენს დიდ ჩინეთში, თქვენს დიდ პეკინში, სახით მშვიდით, სახით საოცრით, თქვენ გვერდში გეღვათ მაშინ თქვენი უმორჩილესი, თქვენი პინ ჯენი, ლინ ბიათ და ლაუ შაო



ცი. მეც ვიდექ იქვე, რაღაც ვრცელში, რაღაც უღვეში, რაღაც უთვლელში, რაღაც რთულში, რაღაც ჭაოსში; მეც გვერდით მედგა მაშინ თქვენი უერთგულესი, მაშინ ბრძენიკაცი, მაშინ კაცი, თქვენი ლაო ში. ჭარი ჭარს მწყობრად მოჰყვებოდა რკინის რაზმებამდე, შიგ სუქვდა პანგი სულ ერთხმაზე, როგორც ონკანი, ზვირთის სცვლიდა ზვირთი, ზვირთი რისხვა, ზვირთი აღზნება, და ზვირთი ერთხმად შიშინებდა: „მოჰკალ, მოჰკალი“. მე რაღაც ჩამწყყდა, მე ვმაღავდი ჩემს შეცბუნებას, გულს მცემდა დაშნა ხმის შრისხანის, ხმის საშინლის; არა, არ ჰგავდა ეს ხმა თქვენი კაცის ბუნებას, არა, არ ჰგავდა ეს ხმა საღამოს მაშვრალ ჩინელის“.

ეს არის შესანიშნავი ნიმუში ახალი ლირიკისა, ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ვამზილებდეთ მტრულ შემოტევებს არა მარტო ლექსში, არამედ პროზაშიც, პუბლიცისტიკაშიც, ნარკვევშიც. აქ ჟანრებს მნიშვნელობა აღარა აქვს, მთავარია აზრი, იდეა, რომელსაც შეიცავს ნაწარმოები და მთავარია ოსტატობა ავტორისა, რომელიც შესძლებს სრულყოფილი ფორმით გადმოსცეს თავისი სათქმელი.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღბეჭდილია მომწიფებული სოციალიზმის იდეოლოგიის ნათელი სურათი: აქ არის ნაჩვენები გზები და ხერხები თუ როგორ მოვახდინოთ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. ეს არის დიდი ისტორიული დოკუმენტი, ბრძნული მეგზური ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის და, მათ შორის, ცხადია, პირველ რიგში, იდეოლოგიური ფრონტის ყოველი მუშაკისათვის, ყოველი მწერლისა და პუბლიცისტისათვის, რომელიც მოწოდებულია იბრძოდეს სიკეთისათვის, სინათლისათვის, სამართლიანობისათვის მთელ მსოფლიოში, საქვეყნოდ მშვიდობისათვის, იბრძოდეს ბოროტებისა და სიბნელის დასათრგუნავად, ომისა და სიკვდილის წინააღმდეგ.



თეიმურაზ ჯანაშვილი

ნოთხედიანი

ჩავეყვამა ორი ვიეტნამური  
სიტყვა —

ვიენ სო. —

ჩვენს გვერდით,  
წითელ მოედანზე  
თღვა ქალ-ვაჭი.  
ჩემმა შვიამ თქვა:  
ვაჭი ვეფხვს ჭვავს,  
გოგო — მთიებსო,  
ნანამ

— ყვაგილებს,  
წამოზრდილებს ქარში, გვალვამი.

წითელ მოედანზე  
აგვისტო დააბიჯებს —  
განგის დაუდუმარ ჩანგით,  
ზანგის გარუჯული ბაგით,  
ფრანგის ცეცხლფრთოვანი ჰანგით,  
ბულგარელის ღია გულის ღიმით,  
იტალიელის ვიოლინოს სიმით.

წითელ მოედანზე  
აგვისტო დააბიჯებს —  
კვიპროსელის ზეთის ხილის ტოტით,  
მექსიკელის გიტარების შფოთით,  
ჩილეელის დაჭიმული კუნთებით,  
ფინელის მტრედების გუნდებით,  
კუბელის მგზნებარების მოძალებით

და...

ჩემი შეილები მოკრძალებით.  
წითელ მოედანზე  
აგვისტო დააბიჯებს —  
ათას ენაზე ახმაურებული,  
ათასი ტალღით აზღვარებული  
და მისი მზერა  
მავწოლვემზეა დაქამანდებული.

ღღვა დიდებული  
და — ცა უმაღლესი,  
ჩემდა უნებურად  
დამცდა უმაღ ღმერთი.  
და როცა შეტოვდნენ ბაგენი ჩემი  
გულზე იმ ქალ-ვაჭის ღიმი მომქსნივა,  
ვით შემოგვედურტულეს მერცხლური ვნით,  
უნდა მოგესმინათ,  
და რომ ვერ გაგიგე  
მათი ლაპარაკი,  
ხელში მომჩეჩეს  
ფოტოაპარატი.  
და ჩვენგან პირველმა იაზრა ნანამ:  
მამა,  
სურათის გადაღება  
უნდათო,  
ამათ.  
წითელი მოედნის ნათელში ღგანან,  
ჩვენს წინ ღგანან და ყვაგილებს ჭვავანან  
შვილები წითელი მდინარის.

ხიციობის ღიმით მდინარი  
ობიექტივზე შემოსკუბდა

\* ვიენ სო — საპუბლიკაციო (ვიეტნამურ-რად).

მზე სხივთაკარა,  
 სასტლექტელაზე შეთამაშდა  
 თითები თლილი  
 და ჩემი ნანა ვაქს უბრუნებს  
 ფოტოაპარატს  
 მაგზოლეუმთან გადაღებულ  
 სურათის ფირით.

მზემ ჩაიბუდა  
 ნუმისებურ თვალთა ქარვასი,

კრემლის კედლებზე  
 აისვეტა სხივთა ზვირები  
 და მოტივტივდა ხალხის  
 ფერად  
 ზღვაზე ქალ-ვაჟის  
 ქუდები —  
 თეთრი მზესუმზირები.

წითელ მოედანზე  
 აგვისტო დააბიჯებს.

## კატაკლიზმი, შინგოუსკვადრა

### ს ა ვ ა ნ ე

ხად დაეცით...  
 ვის მიწაზე დარჩით...  
 ხად იხსნება უკვდავების კარები...  
 გუგუნებენ, გუგუნებენ ქარში  
 ხმელ მუხებზე დაკიდული ზარები.

თქვენი ხსოვნა — მარადმწვანე მუხა —  
 გაჰფოთლია მკერდზე მარადისობას,  
 თქვენ ამაგრებთ ფეხვთა ჩვენთა დუღაბს,  
 თქვენ ამალლებთ შტოთა მზისობას.

არწივებად გაფრენილებს ომში,  
 შინ მოსულებს ზღაპრებად და ძვლებად,

უსამანო სივრცესა და დროში  
 განფენილებს ბორცვებად და ზეგნებად,

კვლავ დაგეძებთ ნაკვნარის ქარი, —  
 შემსხვერვია ფრთებზე სივრცის ზვირდები.  
 შინ მოსული თქვენი უღლის ხარი  
 მეც მოგბლავით გაბოლილი ფილტვებით.

ხად გიბოვნოთ...  
 ვის მიწაზე დარჩით...  
 ხად იღება უკვდავების კარები...  
 გუგუნებენ,  
 ზუზუნებენ ქარში  
 ჩვენს გულებზე დაკიდული ზარები.

## ნოველები იალაღებიან

ს ა ნ ლ რ ი ა

ბელი იყო. შემხვდა ნაკადულთან პატარა, ისეთი ლამაზი იყო, ბეწვი უბრაზანავდა. სამშუკვალეივით დამასო შიშინი დაცეცებული თვალები. ვფიქრობ გულშია, ვაითუ დედა სადმე ჰყავ ტიფი. მე და ხირჩილა ვიყავით, კოკლა დალაქის ბიჭი. მოკლე ცულების მეტი არა გვაბადია რა. რა ვქნათ? ვფიქრობთ ორივენი თავისთვისა. ბელი კი მოგვეწერებოდა, ისეთი საყვარელი, აკოცებს კაცი. რა ჰქნას არ იცის. რა ვქნათ, არ ვიცით ჩვენცა. ეტყობა ნაკადულის გადაცურვის ეშინის, ჩქარია წყალი. ნაკადულს იქით ბურაზია და საშველი, აქეთ — ზეენა, ნაბდის გაშლა მინდორი და მარტოზე მინდორზე, ქორაფი. დავიკაროთო, ხირჩილა. ამის თქმა და ბელი გავარდა მინდორში. გავეკიდებით ფეხდაფეხ. ისკუპა და თვალისდახამხამებში აცოცდა მადლა, კენწეროზე თავი

ვერ შეიმაგრა, ჩამოძვრა და დაჭდა ორკაპზე გამომცდელი მშერიითა. ჩვენც აქლოშინებულნი შევდექით ხესთან.

— რა ვქნათო, ვფიქრობთ საშიჯნი თავისთვისა. მოგვრათო ხე, ხირჩილა. სული მოვითქვით ცოტათი და დავიწყეთ ჰრა მორიგეობით, ჯერ ხირჩლა, მერე მენა. ჩემს ჯერზე უცებ ცული გადატყდა ტარშია ნახევარი ტარი შემრჩა შემართული პაერში. და დავა ბატარა ფეხებთანა, ლამაზი შვილი ბუნებისა, ფუმფულა და გულში ჩასაქრავი. ოდნავ შევყონდა და ვერ დავჯარ გულშეტაცებულმა. წამიც და დავსვა თავქვე. ამოღ მისდეგდა ხირჩლა გინებოთა, დაყვავებოთა, დაპირებებოთა. გადაბტა ნაკადულში, გაიბზინა მზეში მოშავო ბეწვმა და მიეტანა იქეთა ნაპირს. ცოტაც და აძვრა ნაშალ კლდეზე. თავი მისცა ლიხებს უკანმოუხედავად.

### ქ უ რ უ ა

მესამე დღის ღამე დგას. ჩემი ანგარიშით მალე უნდა გათენდეს. მაგრამ

გვიანობს გათენებაი. რა გრძელია ღამე თათრის სიმღერასავითა. მუხლებში ძალა არა მაქვს. მშია, თვალის გახელაც შეუბარებინს. ამ საღამოს ხორბოშელამ გადაიარა, დაგვაფრთხო და დაგვასველა მენა და ჩანჩალი, ვისაც აგერ, უკვე მესამე დღეა ვდარაჯობ ფეხმოტე-

\* საქართველოს ილკ ცენტრალურმა კომიტეტმა შემოქმედებით მივლინებაში ვაგზავნა ახალგაზრდა მწერალი გრიგოლ რუხია. ვთავაზობთ რამდენიმე ნოველს მისი მომავალი წიგნიდან „მწვესეგები“.

ხილს. ვერ შეიტყო პაპუნამ ჩამორჩენა მისი ფარიდან, ტანმა მიგრძნო თუ რა, გაღვახედე ხევშია, არა გლია ძირას? ამ ცხვრების გამკვირება, გინდ დათვი მაუტარდეს, გინდ მგელი, გინდ ხევში გადავარდეს, არ ამოიღებს ხმასა. ვსმენიათ ხალხო ასეთი რამე? ზის და არი პირწყარულივით. ბუსნოზე მაინც ვიყუთ, მოგვიხილავდა მიმავალი ვინმე, აქ ვინ უნდა მოგვერას თვალი.

ზის და მარადებს თვალსა. ვზივარ და ვარიდებ თვალსა. მაშ რა ვენა კაცი! ისე კი მხვდევნა გუშინ, ადგი, დამგლოჯე, შეგვარებდი, მეც მოვიკუნებ, შენცაო, დაეწვევი ფარასო. ამ ბენტერას მე მართლა ძალდი ვგონივარ. ის კი არ უწყის, რომ ჩემში ადამიანის სული ბუდობს, ადრე დაღუპულია. ამან რა იცის, ან მწყემსებმაცა... სანამ ცოცხალ იქნების, არ დავადებ უპატრონოთა, ვგონებ, სიცოცხლეს უბრუნდება. დილით ბალახი მოსძოვა მწოლიარება, უკეთ გამოიყურება, ადგომოთაც ადგა ცოტახან, გაიარ-გამოიარა პატარაი, დიდხანს ვერ გაძლო, წევს, ყვინთავს და ამოქნარებს; ბალახიან მინდორს თუ ჰხედავს ძილშია.

გუშინდამ მგელი დავლანდე, ხევგალმა ბილიცზე მოძრწოდა. ტანში დენმა დამიარა. არც გამოუხედავ აქითა. დათვი რო ყოფილიყო, სუნათ მოგვაგნებდა... მიქშუის ბაჩალისხევი, ორნა ვწევართ და ველით ბედის ვანიინებასა. ყისმათი არ აქვის ლოდინსა. არც სხვა ჩარა ჩანს. შიმშილით სიკვდილი ვერაა ლამაზი, მაგრამ რას იზამ!

ვგონებ, ჩანჩალს გაუტარგდა ყოფნაი, სძინავს ტუბილათა, აკვანშიაო თითქოს. ჩუ, ეგ ვისი ხმაა? პაპუნისი ნაღდად მისი ხმაა. ჩემ სახელს იძახის გამწარებითა, უნდა შევძლო და წამოვდგე, წამოვდგე და დავიყუფო, დავიყუფო და ვაუწყუო აქ ყოფნა პაპუნასა...

— ჰამ, ჰამ, ჰამ პაპუნავ!

— მოდი, პაპუნავ და წაგვიყვანე მე და ჩემი დაქრილი ჩანჩალი, ვისაც შალშავში ჩაურგავს უშკეთ თაფი და სიზმარში ღმერთს ჰხედავს ალბათა. პო, კაცო, აქა ვართ, მაშ სად ვიქნებით. გამარჯობა შენი პაპუნავ, დათვიას გაზრდილო, კარგი ბიჭი ხარ შენა, მოგეძებნე და მოგვაგნე მაინცა, დედა დავგლოცოს პაპუნავ, მშობელი შენი!

## ხ ი რ ი ლ ა

ძმობილს დათვს ვეტყვით მწყემსები. ძმობილია, მაშ, რა არი! ზევით ცაა და ქვევით მწვანეკანიანი მთები, ხარ კაცისა (მეტყვარის ჯოხია ეგა) და ნავაზების ამარა თოვლისფერ ფარაში, ხან რას იფიქრებ კაცი, ხან რასა. აგე, ჩვენი სანდრია, ლექსებ მოიფიქრებს ხომე ისეთებს, გაგაწმენდს გულსა. მე ლექსების ძალა არა მაქ, ხან ნისლეებს ვადევნებ თვალსა, ხან მზის კუკუმალობას ღრუბლებში, ხანაც ტოროლას ტოროლა რომ არა, მთა მზიარული ვერ იქნებოდა. ავა, ავა ზევითა მოუწყინარი ჩიტო იწყებს წყვეტილ-წყვეტილ ჰყიბინსა, ჰყიბინს კი არა, ვალობას. ეგრე, რვა-ცხრაჯერ დაიმღერებს თავის ენაზედა, აღის, აღის მალლა ფრთების

გაშლა-დაწურვითა. მერე ისარივით დაეშვება მთის ფერდაზე, დაშვებისას გაბმული სიმღერა იცის ხომე. თვითმფრინავის პიკირებას ჰგავო ძალიან, დათვიამა, მწყემსმა, რომელიც ომში იყო. რავი რა არის პიკირება. მთელი დღე ვუსმენ. გუთნისდღეაც კარგი ჩიტია, შავწინსაფრიალი, ოღონდ ჩუმი. დილით როცა ვალობს, მერცხალს მაგონებს. ბოლოქანქარასა ჰგავს. გადაფრინდება აქედან იქით, ჩასცქერს მიწასა, ეძებს რამე მარცვალს, დაგოვამანებს თეთრლურჯა კაბაში. ერთი ახლოს მოდიოდა ჩემთან. ეგ შარშანწინ იყო, ბუჭყინტას მთაზე. ორი კვირა გარს მივლიოდა კავზე დაბჭენილს. მეგონა, სხვადასხვა გუთნისდღეაო. ჟიბეში გამხმარი პურის

ყუბა მედო. ვუფშენიდი, დავუყრიდი ერთ ლაგას, დავდგებოდი შორხა, თან ცალ თვალთ ვუცქერდი სიპზე მჭდარი. ნელნელა შემეჩვია. აგრე, ხუთ ნახიჯზე ჩემგან დახკუბდებოდა, მიმზერდა მბრწყინავეი ნამცეცა თვალებით, თითქოს მინის ნატეხი გდია გზაზე. ცამეტი დღე ვმგვობრობდით ძლიერა, ხუთი ბიჯის სიშორითა. ჰოდა, ერთ დღესა, რომ მიირთმევს ჩემი გუთნისდგედა ნამცეცსა, ქვევიდან ზურო გამოჩნდა. მღეროდა ეგ ღარადგლა:

ღაფრუზება არწიფი

მთით ბარად ჩამოვარდება,

ღაფრის შუნის თაქანსა,

ხორცი ძველისძველ ღარჩება...

— გამაიარ ნელა! — ჩავძახე მომავალს. ვერ გაეავონე. მოახლოვდა და გაფრინდა ფრინველი. აღარ გამოჩნდა მერმისში. რა დაემართა ნეტავ? ზუროს მღერა არადროს გამიგონავე აღრე, რა აუტყდა მაგ ენა ჩასასვლესა...

იმას ვამბობდი, დათვის ძმობილს ვეტყუითო. ხარ მარტოკაცი ცასა და მიწას შორის გახილული. ფიქრობ და ხარ შენთვისა, ჩაილალება ცხვარი ფერდაზე, დაუვლი თავით, მიდის ბალახის წიწკნითა, მიჰყვებიან შორიახლო მერა, კაპასა, ჯაბო, ქედანა. ყურშა ზვეით წევს, გონიერი ყველაზე. ზის და კაცივით თვალს ადევნებს ფარის მოძრაობასა. სადილობისკამ ყველა ძალი თავად მოდის ჩემთანა, შემყურებს ხელებში, ანდე პატრონი პურს ან ხორცს მომიგდებსო. ყურშა არა, როცა ძაღლებს დავაპურებ, ავუტან მერე მაგასა სულ ზვეით, მივართმევ საკვებს. იგიც თავადის სიმშვიდით ღეჰავს ხორცსა, დინჯად და აუჩქარებლად. საღამოსაც თეოზე დაყრილ ცხვარს ყურშა ზვეიდან დარაჯობს ხოლმე. ზვეიდან იმიტომ, რომ ყოველთვის აქედან იწევს ფარისკენ მგელი. პირველი ყურშა იგებს ცხვრის დაფრთხობასა, პირველი იგი მიდის ნადირისაკენ გააფთრებით. ფარის სული და გულია. ეგ რომ არა, რამდენი ცხვრის ძვალი იქნებოდა ახლა

ქარისა და წვიმის სათამაშოდ ქვეშე. ეგ რომ არა, ძილი არ გვექნებოდა არც ზუროსა, არც შავლეგოსა, არც მენა, არც ვარდოსა.

ძმობილი, როგორცა ვთქვი, დათვის ჰქვია. ძმობილია მაშ რა არი, აბა შეხედეთ: ყველაზე უფრო ხშირად იგი გვეწვევა ხოლმე. გარიერაჟზე, როცა სხივები ასეკიკილას თამაშობენ კობრიანას და გარეჯის მთის მწვერვალზედა, ქალიდან ხე და ხე, ბუჩქ და ბუჩქ მოიწევს ხოლმე ძმობილი. მგელზეა ნათქვამ, მაგან რომ სუნი იცოდეს, ცხვრის სინსილა არ იქნებოდა დუნიაზეო: მგელი გზებზე და ბილიკებზე დაწანწალებს ტიალი, ეგებ საკბილოს შეეყაროთ. ღამე და დღე მისთვის სულერთაა. ვგონებ, ღამე უკეთ ხედავს კიდეცა დათვი კაცივითა, ეშმაკი და მოხერხებული. ძლიერ შორა გრძნობს კაცის სუნსა, გინდა ძაღლისა, გინდა ცხვრისა.

მოვა ძმობილი ფარაშია და ეგ უთქმელი არსება, ცხვარზე ვამბობ, თუ ძაღლები და მეცხვარე ფხიზლად არ არიან, მისი წერა ხდება. მშვიდად, ფხაკრფით უახლოვდება ფარას, სტაცებს თათებსა და ხევეში გადაისვრის ხოლმე უდანაშაულო ცხვარსა. თუ ძაღლებმა ვერ უგრძნეს, მეორესა და სხვებსაც მიაყოლებს ხომე. ხოლო თუ უგრძნეს, მყის ჩავორდება ფერდაზე გამალებით, აპკრტვს მერმე ნადავლსა და ქეიფობს თავის ოჯახში არხეინად. კაცივით ჰკვიანია ეგ ვერანა. იმ წინებებზე სოფელში ვიყავ წასულ და მობრუნებისას მიაბო შავლეგომა: თურმე შექმნდა ცხვარ და დეეყარა თეოზე. ძაღლები ვახშობდნენ, შავლეგო ჩემმას იხდიდა კენჭი რამ ჩავარდნიყო. გაიხედა და რასა ხედავს, — მოდის ძმობილი, თეოს ქვევიდან, ორ ფეხზე შემდგარი, კაცივითა, თანაც უსტვენს ეგ მობელძალი. ცხვრებს ნაბდანი კაცი ჰგონავ, ყურსაც არ იბერტყენ. აჟღედ და შეეუღრინე: — წადი აქედან, ვირიშვილო, არ მომიყვანო მანდა-მეთქი! გამოდგა რამდენიმე ბიჯი, თითქო არც არა გაიგო რა, ან გაიგო და შეყოფ-

გიგლიძე

ნდა ცოტა, კარგად ვერ ვიცი. დადგა, გამოიხედა, მიბრუნდა მიმივდ. გამაინხედა კიდევ, ვგონებ ჩაიციხა იმ წყეულმა იქედნურადა: ალბად თქვა გულშია, ძალი რო არა, ვნახავდი რას მიქმოდით... კარგა ჩასულ იყო, ძაღლები რო გამოენთენ. თოფი რო მქონიყო, ვესროდი უთუოდ (გვიშლიან დათვის კვლასა; სარეწი ცხოველიაო)“

პირველ შებინდებაზე იცის ძმობილმა მოკითხვა, ვერაფერ ჰხედავთ თავადა, ძაღლები იგრძნობენ იმის დორბლიან პირის სუნსა. ატყდება ყეფა-აურზაური.

ნახევარი წლის სტაეი მქონდა მეცხვარეობის. ახალჩამოსულ ვიყავით ზამთრის საძოვრებიდანა. ღიშოს მთაზე ვდგავართ. ქვევით ხეობაში ციმციმებს წყალი. ხეობა დაფარულა ცირცელის, არყის და ქორაფის ხეებითა. თეოზე ცხვარ ჰყრია. ფარას შემოთყენ კაპასა სდარაჯობს, ქვემოთ ხეობისაკენ შემიძინა ნაბადში გახვეულს. ცაზე ვარსკვლავები შუქებს ისერიან. მთვარე ღრუბელთ ბუნაგში ნებიერობს, თბილი ნიავი ელამუნება სახესა. ვერ ვიცი საიდან, რა როგორა, უცებ რაღაც დემეცა ჩემ ახლო. ვპყრებ ცალი თვალი და მეორის გახელა ვეღარ მოვასწარ, რო ვაისმა ბრაგვანის ხმაი და საწყალი პეტელი თანადროულად. წამოვხტი ზე და გაიშხულია ქვამა ყურთან, ზურგს უკან დააფრთხო ცხვარი.

— დაუქკოვდი თუ რა, ვილაცა ხარ, არ ჩამოგვივარდე, თორო... — და პირში სიტყვა გამიწყდა, რადგანაც კარგად დიდი ქვა ჩემს ფეხებთან დაეცა. და დაიშხვრა ნაწილებად. გავიქეც აღმა და თან უკენ ვიყურებ, საიდან ისერიან. ვერ გავიგე რა და უცებ ნოტოდ დაყურებულნი ცხვარი უკან გამომყვა, გამომყვა და გამისწრო კიდევ. გაიქცა და მთაზე შედგა მალევე ძაღლებით ალყაშემორტყმული, გაცეხული და შამინებული. შევდემქ და ველოდი თავქარიან ხუმარასა, რომელსაც ქვევით თამაშ დაეწყო შეღამითა. ამოდვიდემქ. მოვუსმე ქედანასა და ჩაველ ძირსა. მთვარეცა გამოიხედა და ბუნაგზე სადაც პატარა ხან უკან ვიწექ, ოცზე მეტი კარგა მოზრდილი ქვა დაეღანდე. არადა, კენჭიც არ ვგდო აქამომდისა...

დილით ცხვარი დაეთვალე და ოთხი დააკლდა ფარასა. ძია ვარდომ მითხრა შემდეგა, ეგ დათვი იქნებოდა ტიალი, მოშოვნულ იქნებოდა ძლიერა, მითომ ისროდა გააფთრებით, იმ ანგარიშით, ცხვარს დაეარეტებო. კარგი კიდენა რო ვადარჩი ადვილად. დარტინანებულ ცხვრებს ვადისროდა ხევშია ოთხთავეს.

ეჰ, ან თოფი მქონოდა, ან ყურში ყოფილიყო თეოზე! შემარცხვინა ბანჯგვლიანმა ოხერმა.

მ გ ე ლ ი კ ა

მერე რა მოხდა, რომ ოცდარვა წლისა ვარ. რათ უნდა დამჩაგროს არაკაცმა. არა, მოსაკლავი იყო და გინდ ქათამ დამეკლა, გინდ ისა. იმას ვამბობდი, ჩამოხვედი ღიშოს მაღაზიასთანა, ვირი ლობესთან მივაბი. გამარჯობა, რას იქამ-თქო, ნოქარსა. გაგიმარჯოს, ვცოცხლობო, იმანა. ცხენ მათხოვე, აგე დულუხაურებში გადავალ, მალ მოვბრუნდები უკენა-თქო. ეზოდან ცხენ ვადმოიყვანა, ჩამაბარა სადავენი. შევექემქ და გავფრინდი სოფელშია. ვეჰა უნდა მენა-

ხა, მწყემსი. ძლივს მოვხელე, წამოდი, ხალხი გვაკლია-თქო. მთაშია. საკუთარი რომ მყავდეს, ჰო კიდენა, სამასი მანეთის გულისთვის ვერ ამოვალო იქა. ორი ცხვარი ფარიდან შენი იქნება-თქო, რომელსაც თით დაადებ, ვუთხარი შენა. თუ ამოვალ, ზეგ ამოვალო, მოკრა იმანა.

ღეზი ვეარ ულაცსა და რეტრიანგით მოვბრუნდი ღიშოშია. რასა ვბრაზობ, ვამბობ გულში ჩემთვისა, მართალია ის კაცი, ვინც ვართ ცხვარში, ყველას

გვეფ საკუთარ-საკუთარი. ეგე შავლე-  
გოსა — ოცდაათი, ზუროსა — ოცდა-  
ექვსი, მენა — ოცდასამი, პაპუნას —  
თვრამეტი და ყველასა. რათ წამოვა ის  
კაცი მთაში, დღე-ღამ ცხვარ უნდა  
სდიოს, წამით თუ მოატყუებს თვალსა  
ნაბადში გახვეული, გინდ წვიმა იყო  
გინდ დარი, მისი ჭერი ცა არი და ტახ-  
ტი კიდენა მიწაი. არა, მიმეზე მეტია  
ჩვენი შრომა. მაგრამ რას იზამ. ხელფა-  
სის ხათრითა, ცხვრის ხათრითა, უბი-  
ტაურის ხათრითა, ტოროლისა და ვუთ-  
ნისდღის, ციფწყაროთა და ამხანაგთა  
ხათრით, ქვეყნის ხათრითა ხარ სახლი-  
დან გასული და მდგარი ცხვარის, ამ ბე-  
ჩაგის დასაცავად. შეჩვევამაც იცის  
ხოლმე მთაში ყოფნა...

მოგელ მალაზისთანა და სახელარ  
ვერ მოვხილე აღვიღე. ცხენი პატ-  
როს ჩავაბარე და, სადაა მეთქი ჩემი  
დღეყურა. რაღი, ფარამ ჩამოიარა,  
მწყემსი ვინმე იყო, გურჯანელ თუ ში-  
რაქელი, ე ვირი ჩემიო, ახსნა და თან  
ჩაიყოლა, თქვა ნოქარმა მხრების აჩეჩ-  
ვითა. ისევე ვთხოვე ულაყი და გავეკიდე  
შირაქელ ჭურდსა. როგორც იქნა, და-  
ვეწიე კარგა შორს წასულსა. ასამდე  
ცხვარი მიუდიოდა, ორი ვირი ზურჯი-  
ნებაკიდებული წინ გვეშო.

ჩემი ვირისთვის ზურჯზე ხელი და-  
ედო კარ მშაკაცივითა, მიდიოდა უზ-  
რუნველად.

— შენ, ეი, რათ წაიყვანე ჩემი ვირი  
ამოტოლა გზაზე, ვინ ოხერი ხარ და რა  
უფლებითა, შევეძახე. ყურადღების  
ღირსადაც არ ჩამთვალა, განაგრძო გზა,

ვითომ არც გაუგონა. კვლავ მივეწიე  
ცხენით და ვუყვირე გაცეცლებითა, არ  
გესმის, რა გითხარო. — კაციაცმა ჯერ  
გამარჯობა უნდა თქვასო, თქვა თი-  
ვის ოდნავ მობრუნებითა და მერე ისევ  
განაგრძო გზა, თან ჩემი ვირის სადავე  
ხელთ უპყრია. ეგ ვერანაც საკუთარი-  
ვით არ მისდევდეს? გამხდარი კაცია,  
წვრილთვალემა, წმინდა სულისა არ  
უნდა იყოს. ვეუბნებ, ეგ პირუტყვი  
ჩემია, შენ კი ახსენ და თან მიგყავს, ეგ  
სადაური წესია-თქო.

— ეს სახელარი ჩემია, შინ მიმყავსო.

— შენი როგორაა, ჩემ ხელშია გაზ-  
რდილიო, მიუღე.

— ტყუილად ცდები, წადი შინაო.  
თან მშვილად განაგრძობს გზასა. ჩა-  
მოვხიდი ცხენიდან, ფეხდაფეხ დავეწიე  
და ვუთხარი ისევე: — თუ ნებით არ  
მომცემ, წაგართმევ-მეთქი.

— ყურზე ხახვიც არ დამაჭრაო, და  
გავულაწუნე კიდეც ხელუკლმა სილა.  
ჩაიჩოქა გაოცებულმა სიტყვის უთქმე-  
ლათა. ჩავავლე სადავეში ვირს ხელი,  
გამოვაბრუნე ჯიკავითა, და თვალებით  
ცხენს ვეძებ, რა იქნაო. არც მარცხენა,  
არც მარჯვენა მხარეს ცხენი ვერ დაე-  
ლანდე. რა იქნა სამგლე-მეთქი, ამის გა-  
ფიქრება მოვასწარ, და ის იყო თვალის  
მოვკარი, ვილაც შემადარიყო ჩემს ნათ-  
ხოვარ ცხენზე და გამალებით მიაჭე-  
ნებდა, რა ვიცი საით, მოუსაველეთისა-  
კენ.

— ეგეც შენ! — ნიშნის მოგებით  
მითხრა იმ კაცმა — ახლა წადი და სდიე  
შენი მერნითა მაგ ყაჩაღს!

ს ა ვ ლ ე ბ ო

კასერზე ჩამომიკიდაც მგალობელა  
ყუთი, პაწია რადიო. ეგ შარშან მაჩუ-  
ქეს. რაიონშია, მიდგელური რომ არის  
მდივანი, იმანა. დავდივართ მე და ეგ  
ყუთი აღმართ-დაღმართა, მივმღერით  
ხან ქართულსა და ხან თათრულ სიმ-  
ღერებსა, სევდიანსა და მხიარულსა-  
იშედინსა და ომბიანსა... ხან ბაქო

მაქვს ჩართული, ხან თბილისი. შუა-  
დღისას, როცა ცხვარი აღზაზე ჰყრია,  
ჩავრთავ პაწაწინასა, ყურშას ვუტო-  
ვებ ხოლმე. უსმენს თვალდახუტული.  
თივად ქედღვარ ქვევითა, პურსა აცხი-  
ბენ მეძროხეობას ფეხის ქალები. მ-  
თი ბინაც მანდგეა გამართულ, მანდ  
წველენ საქონელსაც. ერთი-ორი ძროხა



ვაგლახად კარზეა ატუშული, შევძახებ მეჯოგესავით: ბი-პე! ან კიდეცა: ღვე-პლო! ახტაჯანა ქალებს მუდამა აქვთ ხოლმე შენახული ყიბიტაური, ერთ-ორ გადავკრამ კიდეცა, გამომცხვარ პურებს ავიღებ, ცოტას ვიუბნებ და ვბრუნდები ყურმასთან. ხშირათავე შევეუსწრებ, მეძროხე მწყემსები ქეიფობენ ყიბიტაურითა. მეც ვრჩები ერთ-ორი საათითა, როცა ვბრუნდები, ცხვარი უკვე გასულა საძოვარზედა, სხვა ძაღლებიცა, ყურმა კი უსმენს რადიოს ნეტარებითა, მელოდება მენა. მაშ რადიოს ხომ არ დააგდებდა. მეც ვეძებთ და ვპოულობთ ფარას ყურმა და მენა. მე გახურებული ყიბიტაურითა, ყურმა გახარებულ მუსიკითა მივდევთ, ვეწყურებით, თავს დავუვლით, ვუყვავებთ, ავღენ-ჩამოვდენით, ვუძღვებით ფარასა.

დილით ჩაველ და მეძროხეები გაანჩხლებულ იყვნენ თავის მეურნეობის დირექტორზედა. ტრაქტორისტი ეცემნა, ძლიერ კარგი მუშაკი. მაგ კაცსა ერთადერთი ვაჟი დაპლუპოდა გასულ წელსა და ნუგეშს დღე-ღამ შრომამი ეძებდა თურმე. ოთხი კაცი ვერ აკეთებდა იმოდენასა, რასაც ევა. დირექტორს მალაზიაში წაუსწრია, ლუდსა სვამდა თურმე. — შენ აქ რა გინდა. მინდორში რათ არა ხარო. და გაუკრავს სილა. გაუკრავ და დაცემულა ბექა, ის კაცი. უყურებდნენ ვილაყანი, მაგრამ ყველა თავის ტყავს უფრთხილდებო-

და... თურმე მაგ დირექტორსა ადრეც უცემნია ზოგნი, შარჩენია კიდეცა. კაცო, ხარისხი ჰქონია დაეული, მოქიდავეც ყოფილა თავის ხანზედა. ზოდა, ამპარტავანს კაცები მიუგზავნია, შიპატრეებიაო. ეგ იმას მერმე, რომ გაიგო, რაიონში მიჩივის ბექაო. მეძროხენი ჰყვებიან. ძაღზე უხეში ვინმეა, ხალხი ფეხებზე ჰკიდაო. ერთ ხელში ჩამაგდებინა ეგ დირექტორი და ვასწავლი კიდაობას მაგ ოხერ-ტიალსა. ვაგონილა უფროსისაგან სილის გარტყმა? მაინც არავინ მოხსნისო, იძახიან მწველავები, თბილისში ნაცნობები ჰყავსო... თუ არ მოხსნიან, სოფელი იქნება ლაჩარი, პრტაყს თუ არ ამოხკრამს მაგასა, მაშ!

აჰანდ, ჩადის მზე და მალევე სუსტია მუსიკის ხმა. ჩავე მზე და შეწყდება სულა. ელემენტებ დამუდარა, ვერ ჩაველ რაიონშია, მეყიდნა ახლები. დილით მზე ამოვა, შეუძერება ელემენტსა, იქნებ არ უნდა, მაგრამ სხივები თავისს იქამენ. ულიტინებენ, ულიტინებენ და ამოჩამდება თბილისის მუსიკა. ვალობს საღამომდინა, ვალობენ თავის გულშია ყურმა, გოთა, კახასა, პრელია, შიშაქი თუ ჰეილა, ვალობენ ტორილა და გუთნისდედა, გეგული და ის წყველი სვავიც, რო ტრიალებს უღარდეღადა, ვალობს შალშავი და დეკა, ბუერა და კლდისწყარო, ცივი და გემრიელი, ვალობს ჩემი გულიცა მანამდისინ, სანამ მზე ჩავე, სანამ ხმა აქვის თბილისელ მიმღერალსა.

### ჭ ა მ ტ ა რ ი

სექტემბრიდან ვმუშაობ რაისაავად-მყოფოში. პირველად აქეთ რომ გამამწყესეს, ავბტი-დავბტი, რა მინდა-თქვა რაიონში. ვინ არ შევაწუხე იმის გულისთვის, აქეთ არ გამოვეგზავნეთ. უფროსები და უმცროსები, ნაცნობები და უცნობები მამშვიდებდნენ, მარიგებდნენ, ახალბედა ქორტრკისათვის უფრო კარგია რაიონი, პრაქტიკას მიიღებო... ახლა მეცინება მაშინდელ ჩემს

ქვევაზე. რას ენტრუშობ, ბიჭო, თურმე მართლაც კვი ყოფილა სუსველაფრით რაიონში მუშაობა. რაც მე აქ ცხრა თვეში ვნახე და ვისწავლე გავაკეთე და გერევიტანე თბილისში ან ქუთაისში მთელი ცხოვრება ვეღარ ვნახედი.

რა ოპერაცია არ ვაგაკეთე და რა წარმატებით მერე! კარგია, თეორია რომ კარგად იცი, ისეთ მომენტში ვა-

გახსენდება საჭირო საკითხი, გაგანთ-  
დება გული! იქცევი დებულების მი-  
ხედვით, აკეთებ წესით, შედეგიც ზუს-  
ტი და სიმედოა. ვინმემ შეიძლება გე-  
იფიქროს — ტრახახოსო, ამას წინათ  
მომიკვდა ერთი ავადმყოფი და არ იყო-  
თხავე რა მდგომარეობაში იყო, როცა  
ჩემთან მოიყვანეს?

ქურთისკართან ზამთარში მანქანა გა-  
დავარდნიყო შოფერს. გაგაგებინეს,  
გვეიქვეით სასწრაფოთი, ვნახე, რას ვხე-  
დავ: პულსი გაჩერებული აქვს, მკვდა-  
რია კაცი. მოიყვანეთ, დაეწვინეთ სა-  
ოპერაციოზე, დიდი წვალებით მივალ-  
წიე და სუსტად დაიწყო გულმა ძგერა.  
მაგრამ რათ გინდა, კისრის ქვევით სხე-  
ული არც ერთ გაღიზიანებაზე საპა-  
სუხო რეაქციას არ იძლევა. ამ მდგო-  
მარეობას მედიცინის ენაზე არეფლექ-  
სია ჰქვია. ჩაველ მისაღებში და შოფ-  
ერის ძმას ვეუბნები, ასეთ მდგომარე-  
ობა და თუ ორი დღე გაძლო ამ ყოფა-  
ში — იცოცხლებს, თუ არა წასულია  
ხელიდან, ძმა ხარ, ხო არ მოგატყუებ-  
თქვა... მთელი ღამე არ მეძინა, ვიჯექ  
ჩემს კაბინეტში და რაღაც წიგნს ვკით-  
ხულობდი, მაგრამ რა კითხვა, გულის-  
ყური პალატისკენ მქონდა. დილით  
წამთვლიმა და გამაღვიძა ექთანმა, გა-  
თავდა ავადმყოფი.

გალახულივით წამოვედი სახლში.  
ცოლი თბილისში იყო და ვერ გავძელი  
ოთახში, მკვდრები მელანდებოდა, არ  
შევიშალო-თქვა, გვევდი ქუჩაში და ვი-  
აზე წაღმა-უკულმა შეუკებში.

საერთოდ, მაგარი ხალხია აქაურები.  
გადამრია ერთმა მეცხვარემ. სასწრა-  
ფომ მოიყვანა. მწვავე ტკივილები  
ჰქონდა კუჭის არეში. საჭირო იყო სას-  
წრაფო ქირურგიული ჩარევა, გავკვე-  
თე, ბიჭო, და ვერ წარმეიდგენ, ორი  
ლიტრა ჩირქი ამოვულე კუჭიდან. რაც  
შეიძლებოდა გაეწმინდე განაკვეთი, გა-  
ვკერე, დავადე ლეიკოპლასტი და ოფ-  
ლში გახვითქული ვეუბნები მეც-  
ხვარის ცოლს მისაღებში — ოპერაცია  
გავაკეთე, მაგრამ მართლის თქმა სჯო-  
ბია, ვერ გააწეეს შენი ქმარი დილაღედ.

თქვა... მსგავს ოპირაციებს ხშირად დაე-  
სწრებოდა ჩემი პროფესორებისა. თბი-  
ლისში და ყოველთვის ანათ იყო. შე-  
დეგი — სიკვდილი. ხშირმა ლოთობამ  
იცის ვგრე, ვე მეცხვარეც ეპიბიტურით  
იყო გაეღნითლი, სისხლში ლეიკოცი-  
ტები უმნიშვნელო რაოდენობით იყო.

ვერ გავუძლებ ამის სიკვდილს-მეთქი,  
ჩემს გარდა კიდევ ორი ქირურგია აქა,  
გამოვეთხოვე უფროსს სამი დღით და  
წივედი იმერეთში... ჩამოვედი, შენ ხარ  
ჩემი ბატონი, ვეიქრობ, წვილებდნებ  
აწი მკვდარს პატრონები თქვა, შევალე  
იმ პალატის კარი, რომ მესმის: — ქაე-  
თარო ექიმს გაუმაჩროს, გადამჩენალს  
ჩემსა, არ მანებებენ ექთნები, თორო  
პაპიროს მწადის ძლიერა, უთხარი რომ  
შეიძლება — მეცხვარე წამოწეულა  
საწოლიდან და მზიარული თვლებით  
არ მიყურებს?

ბიჭო, მე რომ მაშინ შემეშინდა! ბა-  
ბუჩაჩემი თეოფილე რომ წამომდგარიყო  
მალაკის სასაფლაოდან, ისე არ გა-  
მივიკრდებოდა, ბავშვს გეფიცებო! შე-  
ვიმაგრე თავი და ვუთხარი, რაც შეიძ-  
ლება დინჯათ: — ეხლავ ვიტყვი ეშ-  
თნებს-თქვა, გამოვიხურე ნელა კარა  
და ძლიეს ამოვისუნთქე. ამოვისუნთქე  
კი არა, სიამაყით ამევსო გული. შინის-  
კენ კი არ მივდიოდი, მივრბოდი მგო-  
ნია... სხეული კი არა, რკინა ჰქონია მაგ  
კაცს, ძმაო, აბა რა იქნება, მთელი ცხო-  
ვრება მთაში აქვს განატარებდი, სუფთა  
პაერს სუნთქავს და სუფთა წყალს  
სვამს, სუფთა საზოგადოებას—ცხვრებს  
შესცქერის თვლებში...

იმ წინებებზე ცოლი შემხვდა მისი, ვე  
რეტანი ისეც ეპიბიტურს მიეტანათ. ისე-  
თი ჯანი აქვს, აწი მას ეპიბიტურიც ვე-  
რას დააკლებს-თქვა...

კიდევ ბევრს მოგიყვები მაგრამ, მეჩ-  
ქარება, თორმეტ საათზე შეხვევა მაქვს  
დანიშნული, ერთი ამბავი უნდა მომე-  
ყოლა, ფულს რომ მაძლედა ავადმო-  
ფის პატრონი და რომ მევიშორე თა-  
ვიდან, მაგრამ მაგი შემდეგისათვის  
იყოს... აბა, მამბიე, გვერქვეც ახლად!

მანათიან ჯანაშიანი

## ახალი ლექსები

• • •

არტისტების კაფეში სცლიან საალავერდოს  
და ერთმანეთს უხმოებენ

ფსენიც და იხინიც,  
მზიარული იაგო ყვება ცინცხალ ანეგდოტს  
და ივანე მრისხანე იცინის და იცინის.  
შემორბიან კარებში მედეა და მინდია,  
თავს იკავენს კარებთან აღრენილი ტაროსი,  
დანომრილი ნიღბები გარდურობში ჰკიდია,  
ყრია

დაუნომრავი

გვირგვინები თაროზე

თავს არავენ იკავენს,  
თავს არავენ იფასებენ,  
ყველა ერთად ვაყანებენ,

ყველა ერთად ხარხარებს,  
დგება ფეხის წვერებზე მოვრალი თიდიბოსი,  
ბანს აძლევენ ხანუმას ქაშლეტი და ყვარყვარე  
ორშაბათი ღამდება,  
დროს კითხულობს ოტელო,  
ხვალინდელი შეხვედრა გადაიდო ათისთვის,  
და როდესაც მიწყენარდა ოდელია-ოდელა,  
შემობრძანდა კაფეში

არტისტების არტისტი

შედეგა ლირის,

რიმარდის

და ცეზარის ტრიადა

სუნთქვაც აღარ ისმოდა ერემია წარბასი,  
ერთი წერტილისაკენ ერთად შემოტრიალდა  
პრინციბით და მეფეებით გაჭედული დარბაზი

• • •

წადი,  
 ნახე სახელმწიფო მუზეუმის სეიფი,  
 ნახე მინის გალიებში დამწყვედული მწეები:  
 გაძარცვული გვირგვინები,  
 გაქურდული ხატები,  
 ცეცხლისფერი,  
     სისხლისფერი წლების ჩანახატები.  
 სული აღარ შეარჩინეს მეფეებს და პოეტებს,  
 წადი ახლა და ედავე ლუვს და მეტროპოლიტენს...  
 წადი,  
 ნახე საქართველოს სახელმწიფო სეიფი,  
 წადი,  
 ხახულს ესაუბრე,  
     ზარზმას ემუსაიფე.  
 წადი,  
 თავი დაანებე ზღაპრებსა და არაკებს,  
 წადი,  
     ნახე,  
     მოდო და მერე მელაპარაკე.

• • •

აგებს ჩვენი საუკუნე სხვა ტაძარს და სხვა მონასტერს,  
 ვერ ამინებს უღმერთობა,  
     უმარავანდელობა,  
 და თავისუფლება — მომაელის გადმონაშთი —  
 ებრძვის და ემუქრება წარსულის გადმონაშთებს:  
 იაპონიის იმპერატორს,  
 შვეციის მეფეს,  
 ომანის სულთანს,  
 ირანის შაჰს და  
 დიდი ბრიტანეთის დედოფალს.

• • •

რევისორებო, სცენაზე!  
 მეტოქე გააგულისეთ!  
 გამოდით!  
     შეთქმულეზივით თავს ნუ აფარებთ კულისებს!  
 მაგ კულისებში გვინახავს,  
     როდესაც ხმები დაყარეს,  
 და ახლაც ვხედავთ პოეტის აღიარებულ საყვარელს.  
 ბევრი ომები მოიგეს,

თქვენც კარგად გემახსოვრებათ,  
 მხედართმთავრებმა კი არა —

მხედართმთავრების ცოლებმა.

დღესაც მოწმენი გაბლავართ ბრძოლის და ციებ-ცხელების,  
 კვლავ ციხის კარებს აღებუნ ბატონიშვილის ცრემლები.

ხანდახან ცუდი ამინდი,

ანდა მალალი ბალიში,

განწყობილებას შეუცვლის მინისტრის უმცროს ქალიშვილს.

და პარადოქსი ახალი ხასიათს აუარესებს:

ვინც მთვარის ბილიკს მიაგნო, ის არ მისულა მთვარეზე...

ვერა,

აქამდე ვერ მოვა,

ვერ ამოდღება,

ღმერთმანი,

ვერც ბალანინი,

ვერც ბრეჭტი,

ვერც ფელინი და ბერგმანი.

ვერ დააფასებს ჯეროვნად გულცივი წუთისოფელი.

ვერც დაფნა დაუჭკნობელი,

ვერც ოსკარი და ნობელი.

ამბობენ,

მათი სანთელი ანათებს სამარეშიცო,

ისინი ექიმებთან

რეჯისორების რეჯისორს.

რეჯისორებო, სცენაზე!

ათასჯერ ნამუორები —

უნდა შეცვალოთ როლები,

უნდა შეცვალოთ როლები, —

რომ ქვეყნად (თუკი არსებობს)

ყველაზე მთავარ რეჯისორს

ბოლოს და ბოლოს ყველაზე მთავარი როლი ეღირსოს.

\*\*\*

ზოგიერთმა სტრიქონმა წყნარად უნდა იაროს,  
 თავი უნდა დაუკრას ბარტერსა და იარუსს,  
 ცრემლი უნდა მობაროს დღეებს სამგლოვიაროს,  
 სანეტარო წამების ცეცხლი გაიზიაროს,  
 გაერიდოს საზღაურს ანუ სამაგიეროს...

წყნარად უნდა იაროს...

წყნარად უნდა იაროს...

\*\*\*

კვლავ მომენტრა წვიმა...

უნდა გავიქცე ხვალვე,

უნდა გავიქცე სადმე ჩემი ლექსების გვალვებს.

უნდა გაგიჭრა ველად,  
უნდა გაგკურცხლოს ტყეში,  
და მოვიწვიო სტუმრად დედამისობილა, თქვენი.  
ერთად შევხვედებით ღამეს,  
ერთად გადავტყნათ რამეს  
და წავიკითხავთ ერთად  
ელვის კარდიოგრამას.

■ ■ ■

იწყება რეპეტიცია:  
იწვევენ ბახი და ბიზე  
ტაბიტეს (არა ტიციანს),  
ტიციანს (არა ტაბიტეს).  
შენოდის ხმალმოპირული  
მეფე, მეგულე და მეზარე —  
დავითი (არა პირველი,  
არც მეორე და მესამე).  
ორივე შემორბის ანაზღად,  
ამბავი მოაქვთ საშიში  
დიუმას (არა მამას) და  
ბრეიგელს (არა ვატიშვილს).

გზას ულოცავენ დღევანდელს  
გაგდავებს (ღიახ, უკვდავებს!) —  
სფრანტესს (მიგელ სფრანტესს)  
და შოთას (შოთა რუსთაველს).  
ვეფხისტის (არა ბებერი,  
არც მოზრდილი და მოზარდი,  
არა ვერდი და ვებერი  
და არც შოპენი) მოცარტი.  
რამი შეგვაწმე სადოღე,  
ნიაგმა შუბლზე მაკოცა,  
ამღერდა (არა მარტო ხე),  
აყვავდა (არა მარტო ცა).

■ ■ ■

შემოივლის მეშუშე,  
მინას აწყობს მინაზე:  
დაბზარულებს მიშუშებს,  
მოშუშებულს მინაზეებს.  
ალმასს აატიტინებს,  
აწყობს,  
აბარჩოებს,  
ხან მხატვრების ვიტრინებს,  
ხან ჩარჩების ჩარჩოებს.  
კვარებს,  
სანთლებს,  
ნათურებს,  
ჭადებსა და შუქურებს —  
აქრობს,  
აუმადურებს

და უკუნეთს უბრუნებს.  
რანდაებს,  
აშალაშინებს,  
ჩასვამს,  
ჩააბინადრებს —  
ალმასით და არშინით  
გამოზომილ სინათლეს.  
ფახადს აუკეთებს,  
ჩრდილიც მოიმასხურა,  
აღვამს მინის კედელზე  
მინისავე სახურავს.  
მოკვდავებს და უკვდავებს  
ღმერთთან ალაპარაკებს  
და მზეს აღარ უტოვებს  
სხვა სახლებს და ქალაქებს.

\* \* \*

დღეს ჩამოდის,  
 არა ხვალ და  
 არა ზეგ და მაზეგ,  
 გობელენებს ვეფერები,

ვაზეებს ვალამაზებ.

დამატარებს უხილავი ხელი რეფიხორის  
 კედლებს შორის,

ფიქრებს შორის,

წელიწადებს შორის.

ხაათს ვუსმენ შეუცდომელს და გულს შეუცდომელს  
 და ვადარებ ზარისა და ტელეფონის დუმილს.

კარებიდან ფანჯრებამდე დათვლილ მილიმეტრებს  
 სარკეებში დანახული ზეცა მიიშვებებს.

ბოლოს ფერი უბრუნდება ჩამჭრალ ტელევიკრანს  
 და ზარი და ტელეფონი

ერთდროულად რეკავს.

\* \* \*

ცისფერი ცრემლი დაიკარგა,

უანკარესი,

დაეძებს ყველა,

ქარი ჩადგა,

დაცხრა არესი.

ცრემლების მეტი რა გვინახავს,

მაგრამ ასეთი —

ათასში ერთი თუ იქნება,

შეათასნელი.

ცისფერი ცრემლი მოიტაცეს ანდამატისა,

მანუ და მონე რას მიჭვია,

ანდა — მატისი.

ცოცხალი ცრემლი მოიპარეს —

ცრემლთა მიზეზი —

უნამდვილესი,

უმანესი,

უმატისესი.

აქეთ რას ეძებთ?

მიანზუნეთ თქვენი კარტა!

ლუერის კარებთან დაფლადეთ,

ლუერის კარებთან!

• • •

აღმართში წამომეწია მარტივი გეომეტრია,  
 ანკი  
 რითმების ბორკილი როდემდე უნდა მეთრია?!  
 სიტყვებო,  
 ტყუილ-უბრალოდ გეკამათეთ და გვომეთ,  
 დაწყენარდით,

მიღეწ-მოღეწით და გზა დაუთმეთ გეომეტრს.  
 გადაწყდა,

ვიწყებ დღეიდან წერტილებს შორის ზეტიალს,  
 ნატვების სამკუთხედებთან სასახლის ოთხკუთხედიან.  
 ეღგავარ და ვფიქრობ ხაზების უტყუარ სისადაგვზე,  
 აგერ, რამდენი წელია,  
 უცნობ ორკუთხედს დავეტებ...

ვიპოვნე,

თუმცა წყვედიადი მრავალჯერ გადამეღობა,  
 დამთავრდა კვადრატების და სამკუთხედების მეფობა.  
 მორწმუნემ თავი დახარა,  
 ურწმუნო თავლებს აბეცებს,  
 გაუფრულდა ერთბაშად პირამიდების ა-ბე-ცე-  
 ვიპოვე,

რახაც ვეტებდი,  
 თავი სიზმარში მგონია,  
 იწყება ორკუთხედების ხანგრძლივი პეკემონია!

• • •

წიგნების კედელს მისდგომია წიგნების ჭია,  
 გამხდარ-გამხდარი,

გალგული,

ხმელი და ჩია.

წიგნების კედელს მისდგომია წიგნების მახრა,  
 შიგნით და შიგნით მიიჩქარის,

მალლა და მალლა.

რა ანის წიგნი? —

ცოდნის წყარო და სულის განძი.

უშველეთ! —

ცოდნის წყაროებში იბრძობა კაცი!..

— — —

უცებ დაფამუხრუჭე:

ციმციმებდა წითელი!..

დამხვდა გზაჯვარედინზე ეჭვი გუშინწინდელი:



წადი,  
 წადი სოფელში,  
 მიწას მივალურსე,  
 ცოტა თეთრი დალივ,  
 წამოწევი მწვანეზე.  
 ფერადები წაიღე,  
 გაიარე ჩაიში,  
 ხან თეთრები ჩაიცივ,  
 ხან წითლები ჩაიცივ.  
 წითლების და თეთრების ხილვა შენ არ გეღირსა,  
 შენ არ გიჭირს გარჩევა შავისა და თეთრისა.  
 წადი,  
 ჰუმშიარტება შავით თეთრზე სწურია.  
 ლურჯაც გენატრება და  
 თეთრიც გამოგერია,  
 და შავებმა მრავალჯერ ლამის დაგამამათეს,  
 წადი,  
 მწვანე შეხვი და ჩაუჯექი კამათელს.  
 წადი,  
 ტელევიზორის გვერდით დადგი რადიო...  
 უცებ მართლა მომესმა:  
 წადი!  
 წადი!  
 წადი!  
 მწვანე ენით!..  
 აფრქვარდი,  
 რაღაც მოვიმიზეზე,  
 მაგრამ მწვანეც ჩაქრა და ავითესე  
 ყვითელზე.

• • •

აქ მუზეუმი სახლობენ,  
 დანომრილი მუზეუმი,  
 ახედავ და სიმაღლის შიშით შეიმუხრები.  
 ბრწყინავს მეცხრე სართული,  
 უხმობს ფანტაზიორებს  
 და ამაყად დაძყურებს პირველსა და მეორეს.  
 ღამე ავსებს უკრედეებს —  
 დღისით გამოჩენილებს —  
 ისე სძინავთ ცნობილებს,  
 როგორც გამოჩენილებს.  
 ზოგი შურით შეპყურებს მეცხრეს შარავანდიანს,  
 რადგან მეცხრე სართულზე შექი ისევ ანთია.  
 ზოგი ცდილობს,  
 საშიში აზრი მოიგერიოს,

ესიზმრება დაფნები ყოფილ ვიცე-გენიოსს.

ბატრუნულა ქალაქი,

განაბულა ბუნება,

შეებით ამოისუნთქეს აღიარებულებმა.

რამდენიმე ჯენტლმენი ლაშობს,


ექვი გაფანტოს,

რული არ ეკარება რამდენიმე ქალბატონს.

მხოლოდ მეცხრეს სძინავს და...

ბრწყინავს მთვარის მანტია...

შუქიც მხოლოდ მეცხრეზე ანთია და ანთია...



პოეტური ჩოხელი

## მე და დედამიწა

1

ხომ უნდა ჰქონდეს დედამიწას ლურჯი თვალები —  
ცასავით ლურჯი...

ხომ უნდა ჰქონდეს დედამიწას თეთრი მკლავები —  
ნისლივით თეთრი...

ხომ უნდა ჰქონდეს ბედნიერი წუთების განცდა,  
იცოდეს ტრფობა, სინანული და სიმწუხარე;  
თავს შავი ნისლით იმოსადეს — ავ ფიქრს იხვევდეს,  
ხან წუხდებოდეს, როგორც კაცი,  
რადაციის გამო გულქვაობდეს, მოუსვენრობდეს;  
ხან უხაროდეს, ხან ადარდებდეს,  
ხან სიმშვიდევით იპყრობდეს მის გულს.

სურვილი...

სწრაფვა...

მასხოვრობა...

მოუსვენრობა...

ეს ყველაფერი, დედამიწას ხომ უნდა ჰქონდეს.  
ხომ უნდა გრძნობდეს, რომ დავდივარ მე მის ბეჭებზე,  
მინდობილი ვარ ცის სიღრმეში მიწის სიმყარეს,  
რომ ჩემი ძვლებიც მიწად უნდა მოიქცეს ბოლოს,  
სხვა უნდა შედგეს ჩემს სხეულზე — როგორც მიწაზე.  
ხომ უნდა გრძნობდეს დედამიწა, ხომ უნდა გრძნობდეს,  
თავის თავის და ჩემი განცდა ხომ უნდა ჰქონდეს.

ხომ უნდა გრძნობდეს ჩემს მარტოობას,

ჩემი სიმღერით გალობდეს ცაში...

ჩემი სიბარული უხაროდეს,

ჩემი სადარდელი ადარდებდეს,

ჩემი სატკივარი აღონებდეს,

თავი მუდამ ჩემ თავს აგონებდეს,

ეს განცდა არასოდეს აღონებდეს.

დაიშრიტება ჩემს თვალებში ზეცის ნათელი,  
წამიერია მისი ნათება.  
ჩადგება სისხლის მიმოქცევა ჩემს წვრილ ძარღვებში,  
თეთრ ძვლებზე ხორცის სამოსელი შემომაცვდება.  
გული გაჩერდება, სუნთქვა შემიწყდება,  
თვალებში ყველაფერი ერთად გაბაცდება...  
ჩემთვის განკუთვნილ სამანს გადავივლი,  
ერთხელ მოსახდენი, არა, არ ამტდება.  
წავალ და იმედით მიწად მოვიქცევი,  
ვიცი ჩემ მაგიერ მიწა აყვავდება,  
მიწა დაინახავს ამ ზეცის სილურჯეს,  
მიწას ჩემი მზერა არ დაეკარგება.  
მიწა ისუნთქავს ჩემს მაგიერ ამ წმინდა ქაერს,  
მიწა ილივლივებს ამ ზეცის ნათელში.  
მიწის სისხლძარღვებში სისხლი იმუხრუხებს —  
იღენენ წმინდა მდინარეები.  
მიწა უყურებს ჩემ მაგიერ ვარსკვლავთა თიკთიკს,  
დილაადრიან პირს ჩამომბანს ზეცის ცვარ-ნამი...  
ო, მიხარია მეც რომ ერთ დროს მიწად ვიქცევი  
და ამ თეთრ ნისლეებს, როგორც მკლავებს გულზე დავიწყო!

3

და რადგან შემოქმედმა მიწად მომაქცია,  
და რადგან ჩემი ბედი მის ბედს დაამთხვია,  
და რადგან ჩემეული მიწას აურია,  
მიწაც ხომ როდისმე სამანს გადაივლის  
და სხვად მოიქცევა...  
სხვა სახით უყურებს ამ ზეცის სილურჯეს,  
მის ცისფერ თვალებში სხვა მზერა ჩადგება...  
და გათხოვ, შემოქმედო, მანამ ეს მოხდება,  
მანამდის თავისი ეამი არ მოუვა:  
მე მინდა ჰქონდეს დედამიწას ლურჯი თვალები!  
მე მინდა ჰქონდეს ბედნიერი წუთების განცდა!



კეთილგანზობილი

## მთვარის მოსახელე

მითხროვა

კუშტამ ათიოდე ნაბიჯი გადააღწა და ფერმის გამგეს წინ აეყუდა.

— რაო ჯეელო, უკვე აიღე ხელი საქმეზე? რა ჰქენ, არ ჩამოაბი კარ-ფანჯარა? — მიაყარა კითხვები გამგემ.

— ჩამოვაბამდი, მაშ რას ვიქმოდო? — ჩაიბურტყუნა კუშტამ და კუნძზე ჩამოჯდა.

— კაცო, სახუმაროდ მცხელა, „ჩამოვაბამდი“ რა ქართულია, — წამოქარხალდა ფერმის გამგე.

— რასა ცხოვრობ ცმაუკუნას ბიჭო, ყურით გაგონილს არ გიჯობს თვალით ნახო? წადი და... — ნირი არ შეიცვალა კუშტამ.

— მაშინ აქ რას ჩამომიჭექ, რაკი ეგ-რეა, დაისვენე, აღაღია...

— საიქითშიც ვერ დაეისვენებ, არამც თუ აქა... სხვა საქმე აღარაფერი გეგულება საჩემო?

— სადურგლოზე რა მოგახსენო, მაგრამ მეურნეობას სამუშაოზე მეტი რა აქვს, მებაბრეშუმეებს ფურცელი უჭირთ, წადი, ხელი წააშველე, ქალები ცოდვილობენ, წაფიანთ ნუნუს ნუფრზე გა-

მოსდებია კაბის კალთა და იმის ბედი, ჩამოკონწიალებულა, თორემ სული არ შერჩებოდა.

— რას ამბობ, კაცო? — სიცილისაგან აბუზბუყდა კუშტა — ეგ თუ ხიფათს არ გადაეყარა, ისე ხომ არ შეიძლება...

— ნელა, ბიჭო, არ გაიგუდო, — ფერთი კენჭება კბილები გადმოყარა ფერმის გამგემაც და ერთმანეთის ყურებაში სიცილით დაიკუევენ.

კუშტამ ცხვირსახოცი თფლში არეული ცრემლები მოიწმინდა და ჩატეხილ ღობეზე ისკუბა.

— წახველ, ჯეელო! — მიაწია ხმა ფერმის გამგემ, — ჩვენ რომ ვიცით, ისიც იქ არი!

— ვინ ვიცით? — თოფნაკრავივით შემობრუნდა კუშტა.

— ღმერთმა რომ არ იცის შენი თავი, — ხელი აუქნია გოდერძიმ.

— ეგეები არ იყოს, თორემ ქვემო უბანში საერთოდ არ ვიზამ პირსა... — გაიფხორა ნაბიჯშეყინული კუშტა.

— მეც, რა დარდი ვამიჩინე! — ისეე

აუტყდა სიცილი გოდერძის — რა სარით დეარქვე, გასწი, ბიჭო, გზას ბარაქა დააყარე.

— მუშაობაში ბუტიაობა არ მიყვარს, თორემ... შენ მაშინ გენახა ჩემი გახევება.

ფერმის გამგემ კუშტას ზურგი შეაქცია და მოახლოვებულ მწველავ ქალებს მიუბრუნდა. კუშტამაც დრო იხელთა... რაკი საბაბი მიეცა ქვემოუბანში ჩავლისა, მიწას ფეხს არ აკარებდა ისე მიეშურებოდა. იტყვიტ რათაო? მათაო, რომ იმუბნელი გოგო ჰყავს გულში ჩავარდნილი კაი ორი წელიწადია, მაგრამ ჭერაც არც პო იყო და არც არა! რამდენიც გზაზე გადაუდგა, ხან ვინ ჩადგა მათ შუა და ხან ვინ, დაბარებულებით თითქოს დედამიწიდან ძვრებოდნენ. „ხახის“, რომელზეც კუშტა იყო ჩაჭიდებული იმ გოგოს თვალები იყო, „საჩემოდ აბრიალებსო“ — იმედოვნებდა გაეკაცი.

ფიქრში ვერც კი გაიგო კუშტამ, ისე ამოყო თავი ქვემო უბანში.

— გამარჯობა, სასიძო! — ჩამოსძახეს თუთის ხეებზე ჩიტებივით შემომსხდარმა ქალებმა და ფოთლით საესე ტომარა ზედ ფეხებთან ჩამოუგდეს სიცილ-კისკისით.

— ხელის წაწველეება უნდათო, ჰა, გოგოებო, მართალია, — ბრინჯივით დაიბნა კუშტა „სასიძოს“ გაგონებაზე.

— შენ ოღონდ ეგ ტომარა მანანოსთან აიტანე და ისე ჩავთვლით, ვითომც სულ შენ გაგიკრფოდა ეს ფურცელი. ჰაი დამშეული ჰყავს. ყველას ვეღარ გაეწვდიტ — შეიფერეს გოგოებმა კუშტას სამსახური.

კუშტამ, ე მანდ ზომ არ მემასხრებოანო, მაგრამ რაც არი, არიო, ტომარა ბუმბულივით მოიგდო მხარზე და გაუტია, გაიგო რა ჩურჩულ-კურკური აუტყდათ გოგოებს, მაგრამ არად ჩაავდო. ყველაფერს თუ ყური ვათხოვე, აქამდე რა მოვიგე და მერე რაღას მოვიგებო.

მანანო ჰკის ლასტებთან ფუსფუსებდა. ტომარის დახეთქებაზე შეკრთა.

— რამ შეგაშინა? — ქოჩი... დანა კუშტამ.

— ეგრე ფეხაკრფით უნდა მოიბარო? — ეცა მანანო თმაში ჩარჭობილ სავარცხელს და დაისვა ნაწნავის ბოლოზე.

— შენ უნდა მოგიბარო და იმიტომ... — ენა ჩაიგდევ მუცელში.

— როდემდე?

— როდინობის კვირამდე...

— ი... — რა, ი...

— ის ი რომა, აღარ უნდა ამისრულდეს ნატვრა?

— მეხი შენც დაგაყარე და შენ ნატვრასაც...

— ვაჰმე! — ყბაში ტორი შემოირტყა კუშტამ, — მაშინ ეს სიყმე მოკვდეს, ვინც შენ მეხი დაგაყრინოს, რაზე მწუნობ ვითომ? ცხონებული დედაჩემი იტყოდა ხოლმე კაცის სილამაზე რას მიქვიათ, ეშმაკსა ცოტათი თუ სჯობია, საკმაოა, ოღონდ ჰკუა და მარჯვენა ჰქონდესო. ეგე არ არი, თავადა თქვი...

— მაგას რა ჩემი დასტური უნდა, — თავი ჩაღუნა მანანომ.

— სწორედ შენი დასტური უნდა, თორემ სხვამა... აგერ მეურნეობის კანტორასთან დაფაზე, „ვინ გვასახელებსო“, წადი და ნახე ვინცა ვარ და რაცა ვარ, იმი დედა ვატარე, რომ არ მეგეჯითნა, ჩვენი სოფლის ყმაწვილები დღესაც იმ დანგრეულ ძველ სკოლაში იელიდნენ. დღე და დამე გაეასწორე, ორი თვის საქმე, ერთ თვეში ამოვიღე ხელიდანა, ბაღლებზე ალალი იყოს ჩემი მარჯვენა, კი არაფერს ვაყვედრი, იმათი გულისთვინა გოლგოთაზედაც ავალ, მაგრამ სიტყვამ მოიტანა, მინდა ჩემიც კეთილად დანახო, არა ვარ ამისი ღირსი? თვალ-ტანადობით თავს არ ვიღებ, მაგრამ ნამდვილი სახელი პირბადრი მქვია. ტყუილად როდი დამარქმევდნენ. კუშტა დიდდაჩემს შეურქმევია, ყმაწვილს ამდენ პირბადრს რომ დასძახიან, თვალი არ ეცესო... მა...

— რა ვინდა, ბიჭო, რას ვადამეკიდე ძველი ხურჯინივითა... — მანანომ უცებ

გადმოაშრიდა ფათოლი, ტომარა გაბერტყა, ოთხად მოკეცა და გაუწოდა: უკან წაუღე, კიდევ დასჭირდებათო.

კუშტამ სძლია თავს, შებრუნდა უხმოდ და გზაზე ტატიტ გავიდა. მანანოს ტომარა ხელში შეაცივდა.

გულდაწყვეტილი მიდიოდა კუშტა, იმედგადაწურული. ამ ცხელ, გამწარებულ გულზე სურდა ფიქრი სხვაზე ვადიეტანა, აგერა ლომანთ ტასია, კბილებს რომ დაკრეკავს ზოლზე ამის დინახვაზე, აგერა ცხრაჰმიანთ ნათია, თვალს რომ ვერ უსწორებს სიმორცხვითა, აგერა... ეწეოდა თავს კუშტა, მავრამ გული არ მიჰყვებოდა, უიღბლობას რჩებოდა. სახლს ისე ჩაუარა არც მიუხედავს, რაც დედა მოუყვდა ისედაც შინ გული არ უჩერდება და ახლა კიდევ ცალად მყოფს არაფერი თვალში არ მოსდიოდა. ასე ფიქრში მთიარ-მთიარა კუშტამ სოფელი, დაბინდდა.

— კუშტი, ჰაი, კუშტი! — გამოსძახეს რიყის მეორე მხრიდან და ხელიც დაუქნიეს.

კუშტამ გზიდან გადაუხვია და დელეში მოფუსფუსე კაცებს წაადგა.

— რას აფუსფუსებულხართ, ნათლი!

— იმად, რომ, ე ბოგირი რა ხანია აღარც აქეთ არის და აღარც იქით. ბაღლებს ფეხი უტალახიანდებათ ამ კოჭში, დედაკაცები გვემდურებიან, მე და დათებამ, „პენციონერებმა“ ვითავეთ ეს საქმე... თუ წაგვეხმარები, კარგია, ნათქვამია გადადებული საქმე ეშმაკისაო.

— მოგივდეთ ჩემი თავი! ემ საათში ბოგირი თავის ადგილზე იქნება, — ხელები დაიკაპიწა კუშტამ და იქაურობას სულ ჭახავს აუტეხა..

— შენ აგაშენა ღმერთმა!

— შენ გამრავლდი! — ლოცავდნენ ბერიკაცები დოლაბივით დატრიალებულ კუშტას და თან ბოგირზე მიწას ტყეპნიდნენ.

— მშვიდობაში მოიხმარეთ! — ჩამოიშალა სახელოები კუშტამ, დათება წინ გადაუდგა: — სად მიხვალ კაცო, უვახშმოდ გაგიშვებ?

ბევრი იუარა კუშტამ, მაგრამ არა გა-

მოუვიდა რა, დათებას ცოლს ვიდრე ვინმე მოედგა ჭიშკართან საეასშმო ტაბლა და მუზობლების მოლოდინში იქვე იდგა..

— აი, იმას ვიტყვი რა, როგორადაც უფრო ადრე კიდევა, ჩემზე უკეთეს ვაეკაცებ უთქვამთ, გამარჯე მარჯვენას გაუმარჯოს, შრომას გაუმარჯოს. სად ერთი ხელი და სად სამი, კაცოო... ეგანა, მე და შენა ახლა კუშტამ დაგვაშეშენა, ჰა, რას იტყვი?!

— იმას ვიტყვი რომა, — ახლა ეგნამ ასწია ჭიქა — მართლა მარჯვე ბიჭია ე ღმერთძალი, მოდი გაუმარჯოს, საქმე არ გამოლოედეს თავისი თუ სოფლისა... — ეგნამ ოდნავ მოწრუპა დეინო და ისევ დადგა. მასპინძელს ძალა არ დაუტანებია, ახალი ნაგადმყოფარი იყო და ექიმისაგან სასმელი აკრძალული ჰქონდა.

— პური ჭამეთ, ხალხნო, დიასახლისი არ დამილონოთ კერძი დამიწუნესო, — ხშიანობდა მასპინძელი და თვითონაც გემრიელად მიირთმევდა ერბოვერცხიან მწვანე ლობიოს.

— მოიცათ, მოიცათ, ეგ როგორა, სუფრის წესრიგი დაირღვა, — ახლა კუშტამ ასწია ჭიქა — შრომის ვეტერანები თქვენა ხართ და უწინ ჩემი სადღეგრძელო რომ ვაჭიმეთ, როგორი ანგარიშია? ჯერ მე მეუთვნოდა თქვენი გამარჯვებისა და დღეგრძელობისა, თუ კაცი ვარ, თქვენითა, თიბვაში რომ იმარჯვეთ, ნუ ეწყინებთ ჩვენს ჯეგლებსა და ბევრი ვერ მოვა თქვენთანა. ირა ზვინები წამოჭიმეთ?! აი, ისეთი გოლიათები ხართ თქვენცა, ამ ბოგირისთვინ რასაც სოფლის ქალქალნი დაგლოცვენ, ალალი იყოს, ბოგირით, რაათ, არაეინა თქვას, პატარა საქმე არავის ეგონოს...

ეგნა და დათება გაულაჩვილებულები, თავდახრილები იდგნენ და დასცქვროდნენ თავიანთ დაძარღვეულ ხელებს. კაცის ყველაზე დიდ ღირსებას, რამელთაც სიცოცხლით მოსვენება არ ეწყობათ...

სოფელი თანდათან მიყუჩდა. კუშტამ იქიდან თავის დეიდაშვილებში გაიარა,

იქაც ცოტა წაუქეიფა, ლოგინების ვაშ-  
ლა რომ დაიწყეს, მაშინლა გაახსენდა  
თავის სახლის კარი.

— ეხვეწეს დეიდამაც, დეიდაშვილებმაც  
ამაღამ აქ დარჩიო, მაგრამ კუშტა რაჟი  
წამოდგა, ლამემშვიდობისა უსურვა.

ფერდობზე იდგა კუშტანთ აიენიანი  
სახლი. დედას სულ ჰპირდებოდა —  
ჩემი ხელიდ უნდა ავაშენო ისეთი კოშ-  
კი, მთელი სოფელი დაამშვენისო.  
დედა ვედარ მოესწრო, არ დასცალდა  
საწყალს ეს სიხარული. კუშტას ეხლა  
აღარ ეხალისებოდა, მთელი დღე საქ-  
მეზე იყო, შინ რომ შევიდოდა ერთი  
სული. ჰქონდა პრაქუნა ტახტზე ბალიშ-  
ზე მიედო თავი, რის კოშკი, რა კოშკი!

— ბიჭო, სინათლე ანთებული დამ-  
რჩენია! — შედგა კუშტა გზაგასაყარ-  
თან და ვიდრე შიადგენა თვალი განათე-  
ბულ ფანჯრებს, რაჟი დარწმუნდა, გუ-  
ლი მოუვიდა: ჩემო თავო, რით ვერ  
დაიხწყავლე, წკაპუნა თუ დაწეულია,  
ჩამქრალია, თუ არა და დასწი, შე კაი  
კაცო, ჯიბე გექავება?

კარბ ღია დახვდა კუშტას და... ისევე,  
მოწყვეტილი ჩამოჯდა ზღურბლზე.

— ვინა ხარ, აქ რამ მოგიყვანა? —  
ძლივს მოატრიალა ენა გაოგნებულმა  
კუშტამ მოულოდნელი სტუმრის დანახ-  
ვაზე.

ქალმა ბრიალა თვალები შეანათა.

— გოგოოო, ვახშე... — კუშტამ მუ-  
შტი ჩაიბაგუნა და ფიცხლად წამოხტა,  
აქეთ ეცა, იქით ეცა. განჯინა გამოალო.  
მოიბოდიშა: შენ ბედობაზე როგორ  
მოწმენდილი ვარ ყველაფრიდნ, ამდენ-  
ნი ვარე-ვარე სიარულთა...

— ბიჭო, მეტი რაღა გინდა? — მანა-  
ნრმ ჰატარა ხელი ალერსით გადაატარა  
სუფრას. რაღა არ მოეტანა, თუ მურა-  
ბები, თუ ხმელთ ზილი... ტკბილი შარ-  
ბათი.

— მოგიკედეს, კუშტაი! თვალი მოი-

ფშენიტა ვეკაცმა, ხომ არ შეჩვენებ  
ეს ყველაფერიო.

— კუშტა კი არა, პირბადრო! — ჩა-  
დნა ქალი ალერსში.

— აგრემც გენაცვლები! — ვეფხვი-  
ვით ისკუპა კუშტამ და ბუმბულივით  
ხელში აიტაცა თავისი ნატერისთვალი.  
საპატარძლო ერთი კი ეამბორა საქ-  
მროს შუბლზე და ისევე ცივად განზე  
გადგა: შინ უნდა წავიდე, დედამ არ  
იცის, აქ რომ წამოველო.

კუშტა სახტად დარჩა.

— არსადაც არ გაგიშვებ! — კარებ-  
ში ჩადგა ვეკაცი — დედისათვის მა-  
ნამ უნდა გეთქვა, ვიდრე წამოხვიდოდი,  
ახლა მე შეკითხება ყველაფერი!

— თავი არ მომიკვდება, მე ამაღამ  
შენი ცოლი არ გავხდენი! — ხელში გა-  
ასაფსავა მანანომ, — ასე უკითხავადა...

— გულს ხომ ჰკითხე? გათენდება და  
პირდაპირ საბჭოში წავიდეთ, — არ ეთ-  
მობოდა კუშტას ბედნიერება.

მანანო ხელებს ასაფსავებდა.

— რაჟი ეგრეა, მე წავალ, შენ იყავ  
არხეინად... — ქამარი გაისწორა კუშ-  
ტამ.

— რა არხეინად, პირბადრო, ამ ოთხ-  
კედელშუა, უცხო სახლში, — კარები-  
საკენ იწვედა ქალი.

— უცხო რაღად არის, შენი სახლია,  
შორს არსად წავალ, აქ ახლომახლო  
ვიქნები, ტკბილად დაიძინე.

კუშტამ კარი მჭიდროდ გამოიხურა,  
ეზოს ბოლოს დაგდებულ მორზე შლი-  
კალათა და ღამის მყუდროებას მიანდო  
თავი. მთვარე ზედ იმათ კაკლისწვერზე  
შემომგდარიყო და ნათელი მოეფინა  
იქაურობისათვის.

— ჩემო მოსახელე მნათობო, ე რა  
ჩემზე მეტად გაბადრულხარ! გიხარია  
შენცა რამე!

მთვარე კიდევ უფრო გაქათქათდა და  
იმანაც დაიდგა თეთრი ნისლის გვირგ-  
ვინი.



## 22 აპრილი

სახელოვანი საბჭოთა ქალბატონი მიწვევენ ზურლინისკენ, იმ დროს  
 ვითაც მშობლიურ ქალაქში — მაინც ფრანკფურტში ვარ. მე, ზემი  
 აღფრთოვანება ვერ დღეფარე; ბანაკში შემოგზავნილმა ვიღაც ქა-  
 ლაზე ვამცა, სიკვდილიან დასასჯელ ომს სამხედრო ტყვე რუსთან  
 შემამწყვედის, ერთი გერმანელი გვემეგი და ერთი ძალიან არიან  
 ზემი შეთვალაფურენო.

საკონცენტრაციო ბანაკის წინ ერთადერთი არცის ხე დგას, მალაღ  
 ბოძე ნაღიზმის სტატიიდან დროშის აფართხალებს უდარდელი ქა-  
 რი, დროშის კალთაზე ქვეწარმავალივით იყვანება შავი სტატიკა...

1945 წ. 22 აპრილი  
 ზემი დღეფარდენ.

იმედის წყარო თურმე არ შრება,  
 იმედის წყარო სიკვდილმისჯილის,  
 მავთულხლართების შავი არშია  
 და ორი ძალიან გვიღრენს ურჯულთ.

ერთი კაცია — ადამიანი,  
 მეორე — ძალი, კაცზე კეთილი,  
 ტანჯვის ცეცხლი სწვავს სულის იარას,  
 ხუთნი ვართ კარებგამოკეტილი.

სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა არ წყდება,  
 განკითხვის ჭამის,  
 სისხლის წვიმების,  
 მავთულხლართების რიგი ცხრაწყება —  
 მღერის სატანას ჩანჯის სიმები.

მიწა გაბო მესმა-ყუშარამ,  
 თან ჩაიტანა ქვესკნელს უფსკრული,  
 ქალაქს სუღარა გადააღარა,  
 თან ჩაიფოლა ქვეყნის ამკარა  
 და საიდუმლო ფიქრის ჩურჩული.

მეორედ მოსვლა აღწევდა ცისკენ,  
 მსოფლიო წარღვნა...

ქვეყნის დაქვევა...

გზაზე დარჩენილ ქალწულ არცის ხეს  
 ჭარი მიუხტა მისატაცებლად.

„რუჰე“ — ჩურჩულებს ბრძენი გოეთე,  
 მარად მგმობელი ომის ურჩხულის,  
 დგანან ცაცხვები განმარტოებით,  
 გრუთეს ცაცხვნი ფრთებგარუჯულნი.

როგორ გამიძლოს გულმა ვაგლახმა,  
 შინ ვებდაე პოეტს მარტო დარჩენილს,  
 კაცმა გვემულმა და განწირულმა  
 ღმერთკაცი როგორ გადავარჩინო!

კვდება ურჩხული,  
 ფითრდება რისხვა —  
 სვასტიკის, დროშის შევარშიანის,...  
 მესმის სამშობლოს მხსნელი ზარის ხმა,  
 მიახლოვდება მარად ბრიალა  
 ლენინის დროშის კალთის შრიალი.

## ოჩის ბახსუნა

დაძრწის სიკვდილი,  
 ვწევარ სანგარში,  
 სხვა რა ვიფარო ახლა საფრადა?  
 შავი ღრუბლების შავი ქარქაში  
 ყუმბარის ელვამ შუა გაფატრა.

ნეტავი იმას, ვინაც კი ახლა  
 შინ არის,  
 თავის სახლ-კარს შექმარის,  
 ურიცხვი მებხის მოშუშის ტალდა,  
 ბარბაცებს მიწა აქ, ნამეხარი.

მაინც მივყვები ოცნების შრიალს,  
 — კაცო, რას ამბობ?  
 ხომ არ შეშლილხარ?  
 ვის შეუძლია შინ იყოს მშვიდად,  
 ქვეყნიერება განსაცდელშია.

კაცთა სიცოცხლის ჩახატოლავად  
 დაძრწის სიკვდილი, დაეხეტება,  
 ცულჩათბრობილი შავად ზოლავენ  
 ვადახანძრული თეთრი ხატები.

ჩემს წინ დაფრინდა ჩიტი, პატარა,  
 (ამ ომის ღმერთმა ჩიტსაც დახცინა),  
 ჯერ თვალი ირგვლივ შემოატარა,  
 მერე შემხედა მე აღმაცერად.

ფრთებჩამოფრთილი თვალს აცეცებდა,  
 თავბრუდახვეუღს, საწყალს შიოდა,  
 ვუცქერდი და პურს ვუნამცეცებდი,  
 ვუფრიდი, ახლოს არ მოდიოდა.

ცის ქვეშ ეყარნენ ჩემი მოძმენი,  
 მწარე ღიმილი პირს შერჩენოდათ,  
 ცას არ შეენიოდა ღრუბლის ქონქენი,  
 მაგრამ ნახმლევი მებრძოლთ შეენოდათ.

## მ მ გ ა რ ა ს რ ი ლ ე ბ ი

ჩანს შორეულ ჩრდილების  
 კიდებზე მონთება  
 და ომგადახდილების  
 ოხერა მოშავონდება.  
 ვალაკტიონი

შემოსხდომიან ბიჭები სუფრას,  
 (რალა ბიჭები, შებერებულან),  
 სვამენ, ახშობენ ოხერას ნაგუბარს,  
 ლხინობენ ლაღად, უწინდებურად.

ასწევენ ჭიქებს, ადღერძელებენ  
 გადარჩენას და შინ დაბრუნებას,  
 მოიგონებენ ომში დაცემულთ,  
 მოეწამლებათ ლხინში გუნება.

დღემოკლე იყო მათი ცხოვრება,  
 სამშობლოსათვის დაწუნენ ზეარავალ,  
 3. „მნათობი“, № 8.

მარად დღეგრძელად გვემახსოვრება  
 სადიდებულად და საარაკოდ.

ცის სივრცესავით ლალი, ვრცელია  
 ხანმობლო მათი დასაფიცარი,  
 ცეცხლზე ცეცხლია,  
 ცეცხლზე მწველია  
 თვალზე მომდგარი ვაჟკაცის ცრემლი.

მძიმე დუმილი დაისავანებს,  
 უფრო ნათლდება სული ნათელი,  
 სახელდახელი მათი სამარე


დარწა შორს,  
 თმის კორიანტელში.

მეფობს დუმილი გულშემზარავი,  
 სამარადისო ხსოვნის თავდები,  
 მოაგონდებათ დღეთა მპარავი  
 სვასტიკისფერი შავი ლანდები.

„მუმილი მუზასო...“  
 მუმლმა კი არა,

ჯარმა ყორანთა  
 ვერ დაუბნელა მუხას ნათელი,  
 ზოგჯერ იმშიაც უსმენდნენ დუმილს —  
 დუმილს ყუმბარის მეხით გატენილს.

„მრავალთამიერ“ ერთად იჭექებს  
 საზარ დუმილის გასაძვევებლად,  
 ერთად ასწევენ ვაჟკაცნი ჭიქებს,  
 და ფრონტელ ბიჭებს ადღერძელებენ!



## პურიის მარცვალი

ჟამომ სოფელი. 1899 წელი

### მოთხრობა

დაეხვენ არმის კამასა,  
დადექ ალაღა რჭულზედა,  
თორემ შენც მოგაგონდება  
ხელთ რომ დაგიკრეთ გულზედა,  
ეშმაკნი ანგელოზებსა  
ეცალებოდნენ სულზედა.

ბალხარა

მზე დაწეა და მთვარე შობა. ღამე უხმაუროდ, სწრაფად, იოლად დაიბადა ახლადმოსული შემოდგომისთვის ჩვეული სიმშვიდით. ქვემოსოფელზე ჩამოწოლილ სიჩუმეს არც კრიკინობლების აყალმაყალი არღვევს, არც ვასაკების მზიარული მოძახილი. იდუმალას წყალიც მოკრძალებით მოირწყევა, თითქოს ზედმეტ ხმაურს ერიდებოდ. მდუმარებას არ ახლავს ავისმომასწავებელი, შიშისმომგვრელი სიბნელე და ამის მიზეზი — ახალშობილი მნათობი სურვილიანი თვალით იჭყიტება ერდოდან მარანში, თითქოს უნდა ღვინით სავსე ქვევრში ჩაეარდესო. ჩემი ბიჭისა არ იყოს, ჯერ მიწას არ ასცილებია, თვალთ კი სმაზე უჭირავს. უზარმაზარი ქვევრის ნატეხში ვზივარ, როგორც საქანე-

ლაში. მარანში სასიამოვნოდ გრილა. გვერდით ორშიმო მიდევს, შემოძლია ხშირხშირად ჩავეუშვა ქვევრში, მერე კი ყური მივეუგდო, როგორ მოაწყდება მთვარის შუქზე აპრიალებულ ღვინის ზედაპირს აბუცბუცებული ჰაერის ბუბტები.

მოდო, პილტონ, ნულა აგვიანებ, ოთხივ მხრით დაეშვი მთების კალთებზე, მოდი, მთის სულო, შენთან საუბარი მომენატრა. გაჯიშაბინძლდები ჩემი ხელით დაწურულ-დაყენებული ღვინით, ამბავს გიანბობ. არაფის შეუძლია შენებრ უსიტყვოდ ნათქვამის გაგნა და უთქმელის მიხვედრა. ხომ იცი, მიყვარს ამბის თხრობა და ტეიფი. სუფრასთან ზღვაზე დაბერებულ მესაჭესავით მშვილად ვგრძნობ თავს. ქვემოსოფელ-

ში საუკეთესო მეჭაჭნიკის სახელი მაქვს გავარდნილი და ჩემზე უკეთ არავის შეუძლია ღვინოში დაფარული საიდუმლოს ამოცნობა. ავერ ორმოცდაათი წლისა მოვიყარე და, ჩემს სახელს გეფიცები, უფრო სასურველს სტუმარი არც მყოლია და არც მყოლებმა. არ გვინდა ყასიდად ქათინაურს გვეუბნებოდე, ხომ იცო, სახელს ტყუილად არ დავიფიცებ. მამაჩემი მებადური იყო და ამის კვალობაზე მომნათლა — ბადა დამარქვა. მართალია, მის ვზას არ გავყოლილვარ და მდინარეს ზვარი ვანაცვალე, მაინც ჩემი სახელი საამაყოდ და საფიქრად მიმაჩნია. პოდა, მოკლედ, ვიჭიფოთ და ვისაუბროთ!

შეხედე, მთვარეს მოსწყინდა ერდოდან ქვევარში მალულად ყურება. ღვინის სურნელებით ნერწყვთმოდგარმა დასავლეთისკენ ჩაიჩოჩა, თვალი ამარიდა. მარანში ჩამოხნელდა, მაგრამ წნულ კედლებში შექი მაინც საკმაოდ ატანს. მიყვარს ჩემი კარ-მიდამო, მზრუნველი დედაკაცის ხელი რომ აჩნია, მყუდრო ფიცრული სახლი, სადაც არასდროს ქრება ცეცხლი და კიდობანიც ყოველთვის გამტკიცული პურითაა საგსე, სტუმრობისთვის მუდამ მოიძევაება ერთი ქოთანის ლობიო, მტკა მარილი და თბილი კუთხე. წყნარად ძინავთ ბავშვებს და ჩემს პირტეცხლიან ცოლს. მიკვირს მაგის ამბავი: გაღმა ერთი როქაფი დედაკაცი ცხოვრობს, ჩვენი ყველის ვაჭრის, ოქრუას ცოლი. ისა და ჩემი ფისასო, გათენდება თუ არა, მიადგებიან აქეთ-იქედან მდინარეს, დილიდან საღამომდე არ წყდება ხოლმე ჩხუბისა და დავიდარაბის ხმა. რას დაობენ გაუთავებლად, რა აქეთ გასაყოფი, არავინ იცის. ზნე სჭირთ ასეთი და ეინს იკლავენ, ეს არის და ეს. ახლა ძილშია ჩემი ხმაურიანი ქალი, ილანკულაც, დაჯექალაც. ბიჭი შეიღისაა, ვოგოს ამასწინათ შეუსრულდა თოთხმეტი. ეტყობა, კოხტა ქალი დადგება. არ ვიცი, ვისი გამოჰყვა თეთრი პირისკანი, მეც მუგუზალივით შევი ვარ და ფისასოც. აი, დაუდევარი რომ არის და მანჭია-პრან-

ჭია, ამაში დედას ჰგავს. გენმის, რა სიჩუმეა. გომურში ზეზეულად ძანარს ფეშანგის, — წითელ ფაშატს, აქვე ნალაბულით საგსე ბაგასთან ფურკაქუნა ქერემა ფშინიანს. გვერდით ზაქი ოწესა, ქუცუცაც მოკალათებულა გოკებთანად საღორეში, ჭიშკართან გომასა წაუყვია თათებში ცხვირი. მხოლოდ კატა ფხიზლობს. ჩემს ოჯახში მარტო მაგას შეუძლია უგზო-უკვლოდ იხეტიალოს სადაც მოესურვება და მარტო მაგას არ ქვია სახელი. უბრალოდ „ბატონო კატას“ ვეძახი. ვგონებ, თავებზეც ამ სახელით იხსენიებენ მწვანეთვალემა მოსისხლეს, რომელსაც გატრუსული კუდი და გამოცდილი პოლიციელის ალლო აქვს. შვექლიავის ხეზე ყივანა მამალი დაბუდებულა და საცაა ამ ღამით პირველად იყიფლებს. აი, იყიფლა კიდევ.

პო, ამბავი უნდა გიამბო, ძველი ამბავი. სამას სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ ჩაიარა უკვე მას შემდეგ მოხუცი დურგალი ფასო, ჩემი ძველი მეგობარი, ერთთავად ზურჯინგადაკიდებულ რომ დაიარებოდა ხოლმე ქვემოსოფელში, კარგი ოსტატი იყო, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. რავინდ სიმდიდრე მოეხევეჭა, ბარაქა მაინც არა ჰქონდა. ვალი ემართა ცისა და ქვეყნის, შინაურის, გარეულის, სტუმრის, მასპინძლის, რეგენის, ბრძენის, აზნაურის, გლეხის, თავადის. გამარჯობის მერე „მასესხეო“ ვეკრა პირზე. ეტყობა, სულ თავიდან შეცდა ფასო, რაღაც ვერ მოზომა და მერე კი ვეღარ ააწყო უკულმა წასული საქმე. ალბათ, ოდესღაც ზურჯინმოკიდებულს თავისი ბედის ანგელოზი შეხედა გზად და ვერ კი იცნო. იმის ნაცვლად, რომ მადლობა ეთქვა და იღბალი ეთხოვნა, „ფული მასესხეო“, — უთხრა ჩვეულებსამებრ. ბედმა გაიღიმა და გაიფიქრა: „ამ კაცს თავისი კეთილდღეობა მხარზე ჰკიდია და მე რაღა აბაზს მთხოვსო“. „შენი ბედი შენს ზურჯინში ნახეო“, — ურჩია. „ზურჯინში ზურბულაქის მეტი არაფერი მიყრიაო“. ბედის ანგელოზი კეთილი იყო და აბაზი დაუნანებლად მისცა,

მაგრამ ფასოს სიბრძნეით გაცეცხლებულმა დაუმატა: „თუ ბურბულაჰია, ღმერთმა არ გამოვიღიოსო“. ამიტომ ფასოს ვალიც ბევრი ჰქონდა და ბურბულაჰიც, ფული კი ცოტა. მისი წყალგადაწურული სიცოცხლე, რომელსაც სამოცდახუთი წელიწადი გაეთრია და დიდხანს გაგრძელება აღარ ეწერა, ერთ იმედსდა ებღუებებოდა. „ჩემი ნატვრისთვლიო“ — იტყოდა ფასო შეილზე. ჩვენც „ფასოს ნატვრისთვლი“ შევარქვით. საწყალი კაცი ოცი წელი ელოდა მის დაბადებას და ნახევარ საუკუნეს რომ მიატანა, მაშინდა აუსრულდა ნატვრა. ხანგრძლივი მოლოდინის სამაგიეროდ ფასოს ნატვრისთვალისთანა ქალი, მე რომ მკითხოთ, მარტო ქვემოსოფელში კი არა, ქვეყნად არა ყოფილა. მის სახეც, მაგრამ მსუბუქ სხეულს ერთდროულად ახლდა მომზიბლაობა უზორცო ანგელოზისა და ნებისმიერი მდედრის მიმზიბილობა. ფასოს ცხოვრებული ცოლი უშვილობით გაანჩხლებული, ენამწარე ქალი იყო. ასაკგადაცილებულ მშობიარობას შეეწირა. ამ უბედურების შემდეგ ფასო შესამჩნევად გაჭალარაგდა, მოტყდა, სახეზე ჩამოსმა და თვალეზს სამუდამოდ შერჩათ ის საწყალი გამომეტყველება, მომაცდადვი ცოლის ლოვინთან ახალშობილით ხელში მდგარს რომ ჰქონდა.

ფასოს ნატვრისთვალს შარშან ჩვიდმეტი შეუსრულდა. მამამისის მეგობრებს შეილებში არ გამოგვეჩივოდა. მაშინლად შეგვაფიგოთა უგუნოს გამოჩენამ. აგვისტოს ცხელი დღე იდგა. ფასო თავის სახელოსნოში საქმობდა, როცა ძაბილი მოესმა:

- მასპინძელო, ვამოგვხედე ერთი.
- რომელი ხარ?
- მე ვარ, უგუნო.
- მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, — გაეგება ამ მოულოდნელ სტუმრობით აღორაქებული ფასო. უგუნომ ეზოში შეაბიჯა. შემერთალ მასპინძელს ისე ჩატარა, თითქოს ვერც შენიშნათ და ვაშლის ბაღი შეათვალერა სმაპო-

უღებლივ. ფასო შეხსკეროდა, ცდილობდა ამ შემადრწუნებელი პატივის მიხეზს მიმხედარიყო. ბოქაული ახლომდგომ ხეს მიუახლოვდა, მოწყვიტა ნაცოფი, ჩაებინა და გაიღიმა:

— მიყვარს ვაშლი. საოცარი ვაშლია, გემრიელი. მდიდარი ყოფილხარ, ფასო! დაახლოებით ორმოცი წლის, საშუალო ტანის, მხრებში მოხრილი 6-კი იყო. დაბაში დიდიან-პატარაინად ყველას ელეთმელეთი მოსდიოდა, ის რომ ჩამოივლიდა დინჯი ნაბიჯით, კისერგაშეშებული. გვერდზე გახედდა თუ უნდოდა, მთელი ტანით ტრიალდებოდა. შიშის ზარს გვეცემდა მისი გველური ღიმილი, წვრილ უღვაშს ქვემოთ რომ გაემსხვრეთოდა ხოლმე სახეზე, მისი ფარისეველური დათაფლული ლაპარაკი, შემპარავი ხმა. ჭროლა თვალეზით ისე შემოგაკეკრდებოდა, თითქოს სულში გიჭერებოთ. მთელს მხარეში ყველაზე გავლენიანი და ყველაზე აღვირახსნილი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ვერ ერთი, თავის აღმზრდელს, ბატონ ალექსანდრეს თითზე იხევედა. მეორეც — დაბის პოლიციის და სასამართლოს ბოქაულის თანამდებობა ეჭირა. მესამეც — დედაჭალაქში მავარი ზურგი ეგულებოდა: ამბობდნენ, ასისთავი დავითი, შავ-დათუას რომ ეძახდა ხალხი-ზურგსუქან ზიზღით, მისი მეგობარიაო. ქვემოსოფელში რომ გამოჩნდა უგუნო, სულ ახალგაზრდა, სიღარიბისგან მეტად ფერმიბდილი იყო, თუმცა ძვირფასი ტანსაცმელი კი ეცევა. მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე კარგად გაგვაცნო თავი: ქალს თუ თვალს დაადგამდა, ვედარაფერი დააკაებდა. ამტომაც შეშინდა ფასო. სტუმარი შინ შეიპატავა. უგუნომ სამფება სკამზე ჩამოჭდა. კარგახანს სიტყვისუთქმელად ატრიალებდა ხელში გვირილას, იქვე ეზოში რომ მოეწყვიტა და მოხუცს შესცქეროდა. მერე, როგორც იქნა აღაპარაკდა:

- შენი ქალი შინ არის, ფასო?
- დიას, ბატონო.

— სად არის, ყურს ხომ არ გვიგდებს, უთხარი გარეთ გავიდეს.

— არა, ბატონო, ბრძანეთ, ვერ გავიგონებს.

უგუნომ რიგრიგობით დააცალა ყვავილს ფურცლები და თქვა:

— შენთან მაშელად მოვედი. პირდაპირ გეტყვი სათქმელს: ერთ კაცს შენი გოგოს თხოვა უნდა და მაკანკლობა ეიკისრე.

— ვისა, ბატონო?

— ჩვენს მოურავს, — უგუნო წამოდგა, შუაეცხლს მიუახლოვდა. აიღო დიდი მუგუზალი, მიუსვ-მოუსვია ლადარში, — აბა, რას იტყვი? სასიძოს ვერ დამიწუნებ.

ფასო დუმდა. თვალწინ წარმოუდგა კაცი, რომლისთვისაც შეიღის ხელს სხხოვდნენ. უარის სიტყვები მოადგა პირზე: „ჯერ ადრეა, რა დროსია“, მაგრამ უცებ მიხვდა, ყველაფერს მიხვდა.

— არა. არა-მეთქი, არა, — ხმამაღლა თქვა, თითქმის იყვირა ფასომ, — არა უგუნომ წყნარად გაიღიმა.

— ასეთი უარით მისტუმრებ, ფასო, — და ისე შეხვდა, საწყალ კაცს ენა ჩაუვარდა, — კარგი, ძალიან კარგი. ერთი კი გახსოვდეს, შენი ვალების პატრონი მეტად გადიდგულეზულხარ. რაც სიტყვით გისესხებია, იმას ვერ დავთვლი და არც ვითვლი. მარტო თამასტქებით რაც გაქვს აღებული, იმ ფულით ხუთი შენაირი იყიდება ბაღიან-შვილიანად. შემიძლია ციმბირს იქით გაგასეირნო, თუ ყვირილს არ მოიშლი, გაიგე თუ არა.

— წელს არა, ბატონო, მერმის იყოს. ნაადრევია ასე. არ შემიძლია...

— წელიწადი ბევრია, ორი თვეც გეყოფა. რთველს ქორწილი მოუხდებდა. ჰოდა, იფიქრე. — უგუნო ისე წავიდა უკან არც მოუხედავს.

ფასო გაქვავებული იდგა. ნათლად ვახსენა ვინ იყო და რას წარმოადგენდა მისი სასიძო: ქვემოზატონის მოურავი ბაირამა, ქონდრისკაცი, უკისრო, ერთიბეწო, მგლოტი, ქოსა, თანაც ქვეშეჭეშა, ცრუ და ქლეხა. სულმოდამ კოპ-

წიობდა ქალაჩუნსავეთ. იყო კიდევაც ქალაჩუნა — ამზობდნენ, მანიქანთან არასდროს ყოფილაო, წარმოგიდგენია, უცოლო კაცი მანიქანთან არ ყოფილა. რა ეფიქრა ფასოს, ვითომ ცვედა ბაირამას ჩემი ქალი შეპყვარებიაო. არა, ფასო სულელი არ იყო — მისახვედრს იქვე მიხვდა, იმ წუთში და ყვირილიც იმიტომ მორთო. უგუნომ დაინახა, რომ ფანდმა არ გასჭრა და მუქარას მოპყვა.

მამამისი ერთი ჭამზე უკომპირილი მკონარა აზნაური იყო, მეტსახელად კუჭია. ხშირად წვევია ბიძაშვილს ჩვენთან. ქვემოსოფელში, თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. სანამ ქონება და შეძლება ჰქონდა, გამუღმებით ქეიფობდა. მამის სიკვდილის შემდეგ თანდათან გაღარიბდა და ძმაცაცებიც ჩამოშორდნენ. დიდებული სახლ-კარი გავერანდა, მიწა-მამული გაყიდ-გამოყიდა, ფული შემოაკლდა, ვალები დაედო, ცხოვრება გაუქირდა და მალე მიიცივლა კიდევ. სწორედ მაშინ იყო ახალგაზრდა უგუნო რომ გამოჩნდა ჩვენს დაბაში. ქვემოზატონმა ალექსანდრემ სიხარულით იშვილა — ერთადერთი ასული ჰყავდა და ისიც გაუთხოვარი, იფიქრა, გარეშე ბიძად ვერგები, მემკვიდრედ დავიტოვებო. რა იცოდა ბატონმა, რომ ხუთი წლის შემდეგ ქალიშვილი გაუთხოვდებოდა. შვილიშვილს, თანაც ვაქს გაუჩენდა, მერე ქმართან ერთად დაჰკრავდა ფეხს, ბავშვს ბაბუას მიუგდებდა და თვითონ სადღაც უცხო ქვეყანაში გადაიკარგებოდა. მეღქისედეკ ბატონიშვილის დაბადებამ უგუნოს ქვემოზატონის მემკვიდრეობა დააკარგინა, მხნეობა კი ვერა: მამიბილს ბოქაულის თანამდებობა დასციცლა, მამის ვალები გაასტუმრებინა და ბატონიშვილის მცირეწლოვნებით ფრთაშესხმული თავის ნებაზე ათამაშებდა ხმელი ხილივით გამომშრალ მოხუცს, რომელსაც სიბერისგან ზურგზე ხავსი გასჩენოდა. ქვემოზატონი მართლაც მიიხრწნა, ლაპარაკისას ქვედა ყბა უუარდებოდა და ნელა, სვენებ-სვენებით ბუტ-

ბუტბდა, თითქოს სათქმელს იხსენებს და ვერ კი გაუხსენებიაო. დახვედრებული ბერიკაცია ძველებურად კეთილი იყო. ხანმა ვერც მის გონებას შემატა რაიმე. ისევ სიამოვნებდა პირში ქება და ლიქნი. ჭალარა, აპრებილ უღლაშებზე ოქროს სათვალე ჩამოედო და მალი-მალ ისწორებდა.

მოკლედ, ქვემოსოფელში მთელი ძალაუფლება უგუნოს ხელში იყო. რა ექნა ფასოს, ჩემსკენ გამოიქცა, რამე მიშველეო. ჰოდა, ჩაეცვივდით საგონებელში. ფასოს ნატერისთვალს არხეინად უთქვამს:

— აბა, მამ ალარაფერს დაუვკლებ, მე იმ საცოდავს ცოლად გავყვეო. — მხოლოდ ეს და სხვა არაფერი. მერც არ შეიმჩნია წუხილი, თავი ისე ეჭირა, ვითომ მე რა შუაში ვარო, მაგრამ ჩვენზე მეტად, ალბათ, თვითონ დარდობდა თავის უბედობას.

იმ დღეს დიდხანს ვისხედით გზისპირს, ყორესთან მე და ფასო. შარაზე ფეხშიშველი ბავშვები დაბტოდნენ და ყოყინით მიარხინებდნენ თოჯზე გამობმულ გულგამოცილ გოგრას, რომელშიც სიმინდის მარცვლები ჩაყარათ. იქვე პატარა მდელოზე ვილაციის ფეთრი ფური ძოვდა. აიწყვიტა თავი რეჯებ-ეშმაკმა, ერთიმეორეზე ვაბედულ, გადამჭრელ, თავზე ხელაღებულ გამოსავალს მთავაზობდა. „ყოფა ვუტიროთ მისტრიზას, როდემდე უნდა ვთომინოთო“. შენი არ იყოს, პილტონ, მეფე მისტრიზაცა და რეჯებ-ეშმაკიც ჩემი მტერ-მოყვარეები არიან. მისტრიზა — გაჭირებია, რეჯებ-ეშმაკი — ცდუნება. მისტრიზა — აუტანელი, ჭირვეული და გულბოროტი ხელმწიფე — ქვეშევრდომებს ჭირსა და საზრუნავს არ გვაკლებს, რას არ მოივონებს, რას არ მოითხოვს, ქვეყანა მისი ერთგული მსტოვრებითაა საესე. ამ თავკერძა მეფის სურვილებს ვეპიდები მთელი ჩემი დღედამოსწრება. არადა, უამისობაც არ შეიძლება, წარმოუდგენელია მისტრიზას ახირებების გარეშე ცხოვრება, რადგან წუთისოდის არაი და ხალისი

მასთან ბრძოლაში იბადება. ნამუხრე ხელაღებული რეჯებ-ეშმაკი მუდამ ცდილობს კაცი როგორმე აატროვოს, ცოდვის ჩასადენად წააქვზოს. მისტრიზას დაუძინებელი მტერი არ ასვენებს ადამიანს ათასგვარი უსინდისო, მზაკურელი რჩევებით. ძნელაა ცდუნებას გაუძლო და ვაჭირვების წინაღმდეგ მისი რომელიმე საშუალება არ გამოიყენო. ვიცი, რეჯებს არ დაეჯერება და მის გაბოროტებულ ჩურჩულს მუდამ ფხიზლად ვუსმენ. ზოგჯერ მიმიღია კიდევ გულისთქმასაყოლილი მაცდურის შეგონება, მაგრამ მხოლოდ ბუბობისა და ფიქრის შემდეგ. იმ დღეს გულით მიწოდდა მისთვის დამეჯერებინა, მაგრამ სამწუხაროდ, რეჯებს მუხლი და მკლავი ძველებურად აღარ უჭირდა და აღარც გული ჰქონდა ახალგაზრდული. ცხელოდა. შარაზე ბავშვები დარბოდნენ.

— ნეტავ არაფერი გვეითხონ, — ინატრა ფასომ, როცა ორი ცხენოსანი დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი. არგონებმა ისე ჩაგვიარეს, გამარჯობაც არ უთქვამთ. მერე, სად იყო და სად არა, მელასავით გაეცქლეფილი დიაკვანი გამოჩნდა, დიდის აშბით მოგვესალმა.

— გამარჯობათ, რაზე დაღონებულხართ? — გვეითხა.

„ყველგან უნდა ჩაყოს თავისი გრძელი ცხვირი“, — გავიფიქრე.

— არაფერზე, — უთხრა ფასომ. ისეთ ხასიათზე იყო, კრიჭას დანით ვერ გაუხსნიდი. ყალბანა დიაკვანი მაინც ვერ მიხვდა, რომ ლაპარაკის გუნებაზე არ ეიყავით. გაჩერდა და დაგვაპყიტა თვლები უაზროდ. წითური, ნადრევიდ გამელოტებელი, მელას, თუ ინით შეღებილ ყვავის ბახალას მიაგავდა. მაღალი, მაღალი კი არა, გრძელი იყო, უსამელოდ გამზდარი. ცეცხლისფერი თმა მოუჩანდა ქუდიდან. დაეყუდა და წასვლას არ აპირებდა.

— რას მოგიწყენიათ, ხალხო, მოხდა რამე? სამძრედან ამოყვანილებს გავხართ. — და გაიცინა უნდილად.

— იცი, რას ვეტყვი, — ვეღარ მო-



ვითმინე, — წადი, საითაც გავიწევი. ამ გზაზე ამეღელი ბევრი მინახავს და ჩამომეღელი არაფერია. თუ მშვიდობით დაბრუნდები, გეტყვი რამაც დამაღონა.

— შენ ხომ სულ უნდა იმასხარაო, — ხელი ჩაქინა და წავიდა. ვერცხლისწყალივით სწრაფად, საქმიანად, მსუბუქად მიიბიჯებდა, გრძელ ფეხებს ანათორა უფარავდა და უკანიდან ლოკოკინას ჰგავდა, აჩქარებით რომ მიხიხავს ვასრესის მომლოდინე.

ასე ვისხედით შებინდებამდე. იმ საღამოს ცა მოიღრუბლა. მერე დაიქუხა, ელვამ გააგრიალ-გამოაგრიალა რკინის ბურთები და კოკისპირულად დაუშვა წვიმამ.

მერე იესეც გამოჩნდა. ჩემი დისშვილი. ვახსოვს, პილტონ, ჩემი საწყალი და. ღმერთმა იცის, სად არის და როგორ. იქნებ ცოცხლებშიც აღარ წერია. ქალაქში იყო გათხოვილი. სიძეს ხუმრობით აშალვარას ვეძახდი, ნამდვილად შალვა ერქვა. იმპერატორის მკვლელობას მღელვარება რომ მოჰყვა, მაშინ დაიჭირეს ორივე და გააციმბირეს. ბიჭი ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა. არც კი იცოდა იესემ ობოლი იყო თუ არა. აღბათ, მაინც ობოლი ეთქმოდა, რადგან გააციმბირებული კაცი ცოცხლად დამარხულს ნიშნავს, შვილისთვის კი რა მნიშვნელობა აქვს, მკვდრად დაუმარხავენ. მშობლებს თუ ცოცხლად. ასე იყო თუ ისე, ბავშვი ქალაქში კეთილი ხალხის სამადლოდ დარჩა, მაგრამ არ კი დაიკარგა. არასოდეს უთქვამს ჩემთვის, რა გადახდა ქალაქში. ვიცი, თავდაპირველად მოქამაგორედ იდგა შეძლებულ ოჯახში. მერე როგორ ცხოვრობდა, წარმოდგენა არა მაქვს.

— ძალანაც კარვად, ბიძაჩემო, სხვა დროს ვიამბობ, — მიპასუხა შეკითხვაზე, თან ზუსტად ჩემსავით ჩამოისვა თმაზე ხელი.

„ჩვენი ჯიშისაა, — გავფიქრე, — ყისმათიანია. მაღალი, ღონიერი, მხრებგანიერი, არ დაიკარგება, არ დამარცხდება, არ დაიბნევა, სანთლისგან გუ-

თანს გამოჰყვეთს, შიგ უღელ დევს გაბამს, ზღვას მოხნავს და მოაბნევს კეთილ თესლს. მერე მშრალზე თევზს ინადირებს, ყინულზე კალოს გალუწავს, აკიდებს გოდორს ჭიანჭველას, გამოუძღვება და არ შემოეღევა კმაყოფილება არასდროს. ასეთი ბიჭია-მეთქი“.

ქალაქში, ჩანს, რალაც მიზეზის გამო აღარ ედგომებოდა, რაკი დედისეულ დაბაში დაბრუნება გადაწყვიტა. ქვემოსოფელში დედამისს ერთხელ ჰყავდა ახალუფხადგმული, ორჭერაც მე და ფისასომ ვინახულეთ მოქამაგირეობისას, ეს იყო და ეს: სრულიად უცნობმა კაცმა შემოიღო ჩემი სახლის კარი, უცნობმა, მაგრამ არა უცხომ, არამედ სისხლმა და ხორცმა, ჯიშმა და მოდგმამ გადმოაბიჯა ზღურბლს, ფეხი დაადგა მშობელ მიწას, შემოვიდა ოთხივე მხრიდან მთებით შემოჭარულ, ამწვანებულ დაბაში, რომელსაც ძველებურად ქვემოსოფელს ვეძახით. შემოდგომაზეც ისეთივე მომხიბვლელი დახვდა აქაურობა, როგორც მკათათვეში დახვდებოდა. მკათათვე კი ულამაზესი იცის ქვემოსოფელში: ყანას ავი თვალით არ შეეხედება, ღელავს ზღვასავით, მიწოლილი და მისხეპილია თავთავისაგან. ყანაში პურტი რომ აღარ ეტევა, ნაპირზე გადმოდის და თავთუხები თხილისგულისოდენა მარცვლითაა დატვიანილი. იესე რომ ჩამოვიდა, ყანა კარგახნის მოლეული იყო, მაგრამ სამაგეროდ აფერადებული დახვდა ქვემოსოფელი. ლურჯად მოსჩანდნენ თხელი ნისლის მიღმა აღმოსავლეთიდან სამხრეთამდე მთელს თვალსაწიერზე გადაქიმული პილატონის მთები. ჩრდილოეთით კოდარას გორა აღმართულიყო და ცისკენ აეშვირა ძველი, შუურყეველი იღუმლის კოშკი. მინდერებში თივის ზვინები ჩარიგებულყოვენ. სასახლისკენ მიმავალი ვიწრო შუკები და ორლობები გვიმრით, ანწლისა და ასკილის ბუჩქებით იყო სავსე. იღუმელას ტალღებში თევზი არ ილეოდა, ფსკერზე კიბო და რიყეზე კიბორჩხალა. იესემ დილაუთენია შემოაბიჯა ქვემოსოფელში. ჯერ არ ერიყრაჟა. სასახ-

ლის მოედანზე არაგინ ჩანდა. ხელმარ-  
ცხნივ ჩაუხვია და საქმიანი ნაბიჯით  
მომავალი ანაფორიანი მოხუცი დაინა-  
ხა. უზარმაზარ წვერში ჩამალულმა  
ჩია ტანის კაცმა სათნო ღიმილით დაუკ-  
რა თავი. იესემაც საღმით უბასუხა და  
მღვდელმა გზა განაგრძო. ეს იყო მა-  
მოდ გაბრიელი — ქვემოდატონის კარის  
მოდღვარი. მერე თმაგაწეწილი, დაფ-  
ხრწილკაბიანი, ფერუმბრულით გათ-  
ხუნული ქალი შენიშნა, ძეძვის ღობეს-  
თან ჩამუხლული ჩუმად ბუტბუტებდა  
უცნაურ, გაუგებარ სიტყვებს: — სან-  
თე ახსოვანთა ფოფნოთე ერხონთე აღ-  
სუბუნქონოთე, ანზე შოფჩანლო. მოკ-  
რძალებით აუარა გვერდი ელის — შე-  
შლილ დედაკაცს. ამ ორმა შეხვედრამ  
დაუდასტურა იესეს, რომ ჩვენთან,  
ქვემოსოფელში ცხოვრება ჩვეულებ-  
რივ, წესით და რიგით მიემართებოდა,  
აქაც ისევე სუნთქავდა ადამიანი, რო-  
გორც სხვაგან. გადაწყვიტა გათენების-  
თვის მოეცადა და მერე გაეკითხა ჩემი  
ადგილსამყოფელი.

მისტრიზას გულის გასახეთქად შარ-  
შან უხვი მოსავალი მოვიწიე. ენკენის-  
თვის პირველი დღე თენდებოდა. ყურ-  
ძენი ნაკურთხი იყო, რთველი მოახლო-  
ებული და მიწოდდა კალოზე საქმე  
მომემთავრებინა. გათენებამდე კარგა-  
ხნით აღრე გამოვედი შინიდან და ფე-  
შანგი წაიყალიბე. იესეც სწორედ ამ  
ღროს შემოვიდა ქვემოსოფელში. მალე  
ვიღაც კეთილმა კაცმა გზა ასწავლა.

ჩემი პირვეცხლიანი ცოლი კამეჩს  
წველიდა, ის რომ ჰიშკარს მოადგა.

— ბიცილა, — დაუძახა იესემ.

— ბიჭო, შენი ჰორიშე, საიდან გან-  
დი, ეს რას მოვესწარი, — დიდხანს  
კოცნიდა, კითხვას კითხვაზე აყრიდა.  
აღერსად დაიღვარა. ასე იცის, ჩემს  
მეტს ყველას ეგრე დაუტკებდა ხოლმე.  
ამასობაში ილანკელაც გამოვიდა საბ-  
ლიდან და თამამად გაემართა ახლად-  
მოსულისაკენ.

— ბიძაჩემი არ არის შინ? — იესემ  
ჩაიმუხლა და ბიქს ხელი გაუწოდა, იმა-  
ნაც ვაჟკაცურად ჩამოართვა და უკან

დაიწია, აქაო და პატარა არ ვეგონო,  
მოფერება არ დამიწყოსო.

კალოზე ერთად წამოვიდნენ. ფისა-  
სომ ხურჯინით ჩემი საუხუმე წამოი-  
ყოლა — მჟადი და ქლა მაწონი. კვე-  
რზე ვიდექი, ვლიონებდი ჩემთვის.

— მამი, მამი, — მოირბინა ილანკუ-  
ლამ, — ჩამოდი, მე დავედგები რა!

— შენ რა კვერზე დასადგომი ხარ,  
ბიჭო, — ვუთხარი, — ხომ ჩამოვარდი  
და გაგვყლიტა ცხენმა.

— კარგი რა, მამი, — დაიქინა, —  
დამაყენე.

— კარგი, — დაეთანხმდი, ჩამოვე-  
დი კვერიდან. სწრაფად მოინდომა შეხ-  
ტომა, მაგრამ წამსვე ფეხი დაუტედა და  
მიწაზე გაიშლართა. ამდროს იესე და-  
ვინახე. გახარებული გავექანე... წითელ  
პერანგში გამოწყობილი ილანკულა შუა  
კალოზე ცელსგადარჩენილ ვულ ყა-  
ყაჩოსავით იჭდა, ნატყენ იდაყვზე ხელს  
ისვამდა და ცრემლს იკავებდა...

სალამოს ფასო გადმოვიდა ჩემთან  
ვახშმად. თავისი გაჭირვება შესრივლა  
იესეს, მან კი ჩვენდა გასაოცრად გვით-  
ხრა:

— არხეინად იყავით, ყველაფერი კა-  
რგად იქნება, ღმერთმანი.

— ეგ როგორ? — ვკითხე.

— მე ვიცი.

„გულს უკეთებს საწყალ ფასოს“, —  
ვიფიქრე.

— აი ნახეთ, საშიში არაფერია, —  
თქვა იესემ. დავაკვირდი, თავქარიანი  
ხომ არაა-მეთქი. არა, ჰკუთაც კაცური  
ქონდა და ყისმათიც.

„ყერ თვრამეტისაც არაა და დავე-  
რება?!“ — მაინც ვიფიქრე.

„მაგარი ბიჭი ჩანს, მაგრამ უფუნოს-  
თან შებმა შეუძლია?!“ — იფიქრა ფა-  
სომ.

— ნურაფერი გადარდებთ, — ვკით-  
ხრა იესემ და — საკვირველი იყო —  
სიმხნევე ვიგრძენით ბერიკაცებმა.

— ღმერთი გვიშველის, — თქვა ფა-  
სომ.

— ღმერთი გვიშველის, — თქვა, მა-

გრამ მამოზეციერის დახმარებას აღარ დაუცადა, თვითონ მოძებნა ჩინებული გამოსავალი. მეორე დღესვე შევატყვევრა თვლით უმზერდა იესეს. საღამოს მეგობრები გადმოვიპატივე, დისწეილი მეწვია-მეთქი. უნდა გენახა, როგორ მოიღვინა ფასომ, როგორ იწონებდა თავს დედლებში გარეული მამალივით.

— ხვალ ჩემსას გპატიებთ, — გამოვიცხადა, — ჩემი ნატვრისთვის ნახელავით უნდა გავიმსპინძლდეთ.

იესესი რა მოგახსენო, ჩემთვის კი დღესავით ნათელი იყო ფასოს წაღალი. გასათხოვარი ქალის პატრონ მოხუცებულ მამას კაცი ერთი თუ მოეწონა, მერე ბჭობასა და განსჯას აღარ მოჰყვება, სწრაფად გადაწყვეტს. დედა ასე არაადროს არ აჩქარდება... მოუსვენრობამ შეიპყრო ფასო. იესეს განზრახვას მივუხვდიო, ეგონა.

— ნეტავ ღმერთმა ქნას, ეგ ვარაუდი გამართლდეს, — ვუთხარი ფასოს, — მაგრამ რალაც არა მგონია. თავგზაბნეულ ფასოს ერთი რამ გამოიჩნა, უბრალოდ დაეიწყა, არ გაიზრა: რატომ იფიქრებდა იესე მისი ნატვრისთვის ცოლად შერთვას, როცა ჯერ თვლით არ უნახავს.

— ვინ იცის, — მითხრა ცოლმა.

— არა, არა, აქ სხვაგვარადაა საქმე... ნეტავი გამაგებინა, რას უპირებს უბუნოს ჩვენი ყისმათიანი ბიჭი...

ორშაბათი გათენდა, ენკენისთვის სამი. დილიდანვე შევატყვევე იესეს, საღალე წასულას რომ აპირებდა: ქალაქურად გამოეწყო, წვერი გაიპარსა, თმა კოხტად დაივარცხნა, ეზოში გავიდა და ბოლთას სცემდა ერთხანს ჩაფიქრებული. ჯერ შორიდან ვადევნებდი თვალს, მერე გულმა ვეღარ მომიტიმინა.

— საით გაგიწვია, ბიჭო, ამ დილით? ჩვენებურ გოგოებს ხომ არ გინდა თვლები დაუბნელო?

— გოგოები იქით იყოს, ბიძაჩემო, და უგუნოსთან მივდივარ. ერთი ენახო რა კაცია. ფხა მინდა მოვუსინჯო, რის მაქნისია, რა ძალღონის პატრონი.

პასუხზე სახე ისე მომექცა, რომ იესემ ღმილი ვერ შეიკავა.

— რა იყო, რამ შეგაშინა. ფეხები არ მომჭამოს. ვითომ ბოჭაულიაო. რას ვკარგავ, რა მაქვს, რა მაბაღია. მამულა მე არა მაქვს და დედული, რომ ჩამომართვას, ჯიბეზეც ქესატად გახლავართ...

— რა დროს ხუმრობაა, — ვუთხარი, — უგუნოსთან თამაში სახიფათოა, დამიჯერე. ანდა რას ეტყვი, რას დაელაპარაკები?!

— ეგ მე ვიცი.

— არ გინდა, შენს ცოდვაში ნუ ჩამაყენებ, — გადავუდექი, — დაილუბები და ჩვენც დაგვლუპავ.

— სიფრთხილე არ გაცლია, ბიძაჩემო, მაგრამ ზედმეტი არც ეგ ვარგა. ზედმეტი არაფერი არ ვარგა, არც სიფრთხილე, არც ჭკუა, არც სიმამაცე, მაგრამ მოთმინება და მორჩილება ყველაზე უარესია. როდემდე უნდა უთმინოთ ვიღაცა უგუნოს, რა ენალელება: იცის ხმის ამომღები არავინა თქვენში, იმისთვის სულერთია: ვინ, როგორი, შინაური, გარეული, ამ მიღეთის, ამ მიღეთის: ფრანგის, სომხის, თათრის, ტანად მაღალი, ტანად დაბალი, შავგვრემანი, თეთრი, გასათხოვარი, გაუთხოვარი, გათხოვილი, ქერივი, ოღონდაც ქალი პატროსანი იყოს. ჰო, იოლად მისწვდომს როდი სჯერდება. პასუხს არავე სთხოვს, მარტო მის ერთ დანახაზეც გაკანკალებთ. ჰოდა, ფეხებზეც ჰკიდობართ, რადგან გულზეხელდაკრფილნი ზიხართ, როდესაც ჩვენთვის ძვირფასს, ყველაზე მთავარს, ყველაზე მნიშვნელოვანს, სასიცოცხლოს, ხელშეუხებელს, უწმინდესს ემუქრებიან. საქმე ერთი ქალის გათხოვება როდია. არც ერთი ქალის ბედია საქმე, — ასე რომ იყოს, სულ არ ვიდარდებდი. არა, აქ უფრო დიდი, საჭირობოროტო რამ ხდებდა. ამას თუ ვერ გაიგებთ, არაფერი არ გამოვა, — ეს მითხრა და გაჩუმდა. პირდაღებული ეიდექი. ჩემი გაოგნებული სახის შემხედვარემ გაიციინა და დაუმბატა:

— პოლა, წავედი რა!  
სიტყვა აღარ მიტყეამს. ან კი რა უნდა მეტყვა.

ჩემი პატარა ბიჭი გამოსულიყო ეზოში და ისიც სმენადმტყეული უგდებდა ყურს ამ ლაპარაკს. მერე, როცა ქიშკრისკენ წასულმა იესემ შენიშნა, სასწრაფოდ უდარდელი სახე მიიღო და ცას აპხედა, ვითომ შენ კი არ გისმენდი, რახანია აგერ ძერას ვუთვალთვალე.

— რას მისჩერებინარ? — ჰკითხა იესემ და თავზე ხელი გადაუსვა.

ილანკულამ მოფერება იუყადრისა.

— შეიდი წლის წინ ისარი შევიდსროლე და ვუციდი, უნდა ჩამოვარდეს, — უპასუხა.

— ჩვენი ბიჭია, — გაიცინა იესემ.

ცხელოდა საშინლად. ბული იდგა ქვემოსოფელში, ნიავი არ იძვროდა და სულის მოთქმა ჰქონდა. მზის ცხრა თვალი დაჰყურებდა და სწავდა დედამიწის. იესე სასახლის მოედანზე თავსეყრალი ხალხის ცნობისმოყვარე მხერას გრძნობდა. ჩამოჰკრა ზარს ერთხელ, მეორედ. კარი მოახლე გოგომ გაუღო.

— ბატონი უგუნოს ნახვა მინდა. შინ არის ბატონი?

— დიას, შინ ვახლავთ. — გოგო მისი კბილა იყო, მაღალი, ჩასუქებული.

— თუ შეიძლება, მოახსენეთ. დიდი საქმე მაქვს.

— მობრძანდით.

შეაბიჯა.

— მობრძანდით, — გაუმეორა გოგომ და წინ გაუძღვა ჩახუთულ, ბნელ ტალანში. ბოლოს მოზრდილ ოთახში შეჩერდნენ.

— აქ დაბრძანდით, — მოახლემ ტყავგადაკრულ ტახტზე მიუთითა, — ახლავე მოვახსენებ, — და თავისი ტანისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით გასწია ერთ-ერთი კარისკენ. უცებ მოტრიალდა:

— რა ვუთხრა, ვინ გეახლათ-თქო?

— სომეხი ვარ, ტანტრე მქვია, — საქმიანად უთხრა იესემ. მერე გაუღიმა.

გაოცებულმა გოგომ პირი დაალო რალაციის სათქმელად, მაგრამ გადაიფიქრა და ორჯერ უფრო სწრაფად გაცუნტულდა.

წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა:

— მობრძანდით, ბატონო!

იესე მომცრო ნათელ დარბაზში აღმოჩნდა. სამივე ფანჯარა ღია იყო, მაგრამ გარედან სიცხისა და ბულის მეტი არაფერი შემოდოდა. შავულვაშიანი კაცი დიდ მაგიდასთან იჯდა.

— გამარჯობათ. — თქვა იესემ.

— დაბრძანდით, — კაცმა მოწუნულ სელზე ანიშნა.

— გმიდლობთ, — იესე დაჯდა.

— აბა, გისმენთ, — ჰკითხა უგუნომ იმწამსვე.

იესემ ცოტა ხანს პასუხი არ გასცა, მაგიდაზე მდგარი ოქროს მოზრდილი შანდალი შეათვალიერა. მერე სელი ახლოს მიაჩოჩა.

— ორი დღეა რაც ჩამოვედი, ბატონო, და ძალიან მომწონს აქაურობა, — რიხიანად, ხმაშაღლა თქვა.

— მერე?

— გადავწყვიტე აქ დავესახლო, პოლა, თქვენზე მითხრეს, ქვემოსოფლის განმგებელიაო. რჩევა მინდა გკითხოთ.

— დიას.

— რა საქმეს მოგკიდო ხელი, არ ვიცი. იქნებ სამუშაო გამომიწახოთ რამე.

— რა ხელობა იცი? — ჰკითხა უგუნომ. „ნეტავ ამ საქმეს ან ჩემთან მოსვლა რად უნდოდა, ან ამდენი ლაპარაკი“, — გაიფიქრა.

— სიმართლეს გამოვიცნობ, არ მოგტყუებდები, — უთხრა იესემ.

უგუნომ წარბი შეათამაშა.

— არაა ცუდი ხელობა. რას აფასებ შენს თავს?

— რაცა ვლირვარ, ის მომეცით, ხომ გაგიგიათ, უოფლნაწურო ფულს ეშმაკები წილდებენო.

— გასაგებია, — თქვა ოდნავ შემკრთაღმა უგუნომ.

— უოფლნაწურო გინდ 'ფული იყოს, გინდ ყანა, გინდ ზვარი და გინდ ქალი,

ბოლოს მაინც ვშაქს დარჩება, არა ბატონო? — განაგრძო იესემ.

— მაშ, ხამუშოს თხოულობ, — შე-  
აწყვეტირა ბოჭუღა, — მაინც რა ხე-  
ლობის ბრძანდება?

— ლათინურის მასწავლებელი ვახლავართ, ჰოდა თქვენზე მითხრება, უფუ-  
ოდ კარგ რჩევას მოგცემსო. ეტყობა  
ბრძენი კაცის სახელი გაქვთ გავარდნი-  
ლი. ხომ იცით, სიტყვა შორს მიდის.  
ქვემოთფლავლები სულ თქვენს ქებაში  
არაიან.

— ლათინურის მასწავლებლები იქ  
არ გვეირღებთ, გიმნაზია ჯერ არ გაუხ-  
სნიათ და... — გაბრაზება დაიწყო უგუ-  
ნომ. იესესაც ეს უნდოდა.

—...და არც აპირებენ. — ჩამოართვა  
სიტყვა, — არაფერია, რაიმე შესაფე-  
რის გამომინახავთ. მინამ კი ერთი რამ  
გკითხოთ მინდა. ამ დღით ბიძაჩემის  
ბოსტანში კომპოსტოზე ტკიპა დაეწა-  
ხე. უცნაურია: ტკიპა ღორს, ძაღს, სა-  
ქონელს შეიძლება ჰყავდეს, მაგრამ ის  
ტკიპა ეტყობა თავხელი ყოფილა და  
უადგილო ადგილას შეეცოცებულა. ასე-  
თი რამ ხშირად ხდება: აგერ ერთმა  
სახლსკაცმა მიაშობ, თურმე ვიღაც მა-  
ხინჯს ლამაზი ქალის შერთვა მოუნდო-  
მებია. არ ვიცო, თქვენც გაიგეთ თუ არა  
ეს ამბავი. ალბათ, არ გაგივიათ, რომ  
გაგვეგოთ... — იესე გაჩუმდა და მას-  
პინძელს სახეში შეხედა. უგუნომ მზე-  
რა გაუსწორა და ერთხანს ასე ისხდნენ.

ბოჭუღა ფიქრობდა. რა ეჭნა არ  
იცოდა. ვერ გადაეწყვიტა, გაბრაზებუ-  
ლიყო, თუ ბოლომდე ასე უცნაურ ხუმ-  
რობაში ჩათავებინა საუბარი.

— პამპულია, პამპულია! — ვასძახა  
მოახლეს.

— აქა ვარ, ბატონო.

— აბა, სტუმარს ღვინო მოართვი.

— ნუ შეწუხდებით, ღვინოს არ გე-  
ხლებით, — იუარა იესემ, მერე გოგოს  
მიუბრუნდა, — თუ გაქვთ, ათი კვერ-  
ცი მომიტანე იმისთანა, თითოდან  
ორ-ორი კურდღელი გადმოვიდეს.

— პამპულიამ თვალეზი ჰყიჭა და უგუ-  
ნოს გახედა.

— მიდი და რაც ვითხრეს, დროზე  
მოუტანე, — ბოჭუღა არჩია ჯერჯე-  
ჯერობით, სანამ სტუმრის ვინაობას შე-  
იტყობდა, საქმე არ გაემწევაებინა.

— ჰოდა, იმას მოვახსენებდით, სამუ-  
შაოს დავეძებ-მეთქი. ათასნაირი ხე-  
ლობა არსებობს. მაგალითად, პატარა-  
ობისას ერთ კაცს ვიცნობდი — ჩამო-  
ივლიდა სოფელს და ძველ თამასუტებს  
ყიდულობდა. მერე მიადგებოდა მევა-  
ლეს და რაიმეს გამოსძალავდა. უარს  
არაფერზე ამბობდა: ხან ეაშლი უნდო-  
და, ხან ყურძენი, ხან მუშახელი, ხან  
მეოპარი, ხან ქალი და ხან სული. ძა-  
ლიან ცუდი კაცი იყო. მოძულებული  
ჰყავდა ყველას.

უგუნომ ველარ მოითმინა:

— ვინ ხარ, რას თხოულობ, რა გინ-  
და? — გამოსცრა კბილებში.

— არაფერი, არაფერიც არ მინდა —  
თქვა იესემ და წამოდგა, — ნახვამდის,  
ბატონო, მადლობელი ვარ.

— იმედია, კიდევ მოხვალ ჩემთან, —  
გაიღმა უგუნომ.

— ისე მოვალ, როგორც სიძე ცოლე-  
ულთან, — გაუღმა იესემაც...

ეს იყო და ეს — მთელი თვე ისე გა-  
ვრდა, უგუნო აღარ უხსენებია. მხო-  
ლოდ იმ დღეს, როცა ბოჭუღას ეწვია  
და უთავბოლო ლაპარაკით თავგზა  
აუბნია, როგორც თვითონ ამბობდა,  
ფხა მოუსინჯა, მითხრა:

— სულ არ ყოფილა საშიში კაცი,  
შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ.

მერე კი დაივიწყა ეს ამბავი, თით-  
ქოს არც არაფერი მომხდარიყო. ამა-  
სობაში ღვინობისთვის დადგა. რთველი  
რთველობდა, სამუშაო თავზესაყრელად  
გაქონდა. იესე, რაკი შემომეკვლიდა,  
მოსწრებული ვაგიშვილივით ამომიღგა  
მხარში. ეკაყოფილი ვიყავი — საღ ერ-  
თი კაცი ოჯახში და საღ ორი. საქმე წინ  
გავივდეთ. დრო მშვიდად, უფათერა-  
კოდ გადიოდა და გახურებულ შრომა-  
ში ლამის გადამაგიწყდა მოხუცი დურ-  
გალი და მისი ვასპირი. მაგრამ ფასოს  
ველაფერი კარგად ახსოვდა და რაც

უფრო ახლოდებოდა უგუნოს მიერ დათქმული დრო — აქი თქვა, ორი თვე მომიციაო, — მით უფრო შფოთავდა და შიშს ეძლეოდა უბედურების მომლოდინე. იმედი — იესე ჩემს ნატვრისთვის ცოლად შეირთავსო, საბოლოოდ დაკარგა. სასოწარკვეთით ითვლიდა დღეებს, რომლებიც ჯინიანდა. შეუბრალებლად მისდევდნენ ერთმანეთს. ბოლოსდაბოლოს ფასოს მოუსვენრობა მეც გადამეღო.

იესე მშვენივრად შეეთვისა ქვემო-სოფელს. მეგობრებიც გაიჩინა — ჩვენი მენახირის ბიჭი ფირანა და ალფან მჭედლის ქალიშვილი მინანი, გაწრიპული, მოუსვენარი გოგო, უცხოებთან პორცხვი, ახლობლებთან კი თავაწყვებილი ხუმარა, დაუღალავი მოცეკვავე და მოქილიცე. ფირანა პირიქით — გასაოცრად ზნეტი, მოუხეშავი და თან საშინელი ზარმაცი იყო, ზორბატანისა. ნელა, ზოზინით მოძრაობდა, ლაპარაკობდა, თუმცა მოხერხება და გონიერება არ აკლდა. ღონეზე აღარაფერს ვამბობ — ამ ბიჭს ისე გულახვედა, წარბს არ შეიხრბოდა. ერთიც და მეორეც ჩემი მეგობრების შვილები იყვნენ და მიხაროდა, იესე სწორედ მათ რომ დაუახლოვდა. მაგრამ, აი მანერანთან ხშირი სიარული კი აღარ მომწონდა. თავდაპირველად ყურადღებაც არ მიმიქცევია. მერე, მთელ კვირას დამით შინ რომ აღარ გამოჩნდა, შევშფოთდი. ფასოც ძალიან წუხდა, ფიქრობდა: ან დაავიწყა იესეს დანაპირებით. რალა დასამალა, მეც იგივე აზრისა გახლდი: მანიჩანს შეეძლო მარტო მეზობლის ქალი კი არა, ქვეყნად ყველა ქალი დაევიწყებინა თერამეტი წლის ბიჭისთვის. თქმით ვერაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ როცა ხმა გაეარდა, მოურავი ბაირამა დურგალთან ქალის სათხოვნელად მისვლას აპირებსო, — ქვემოსოფლისთანა პატარა დაბაში ასეთი ამბავი მიტქმამოთქმის გარეშე არ ჩაივლის, — გადავწყვიტე იესე გამომეფხიზლებინა. ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ არ დამცალდა — თვითონ დამასწრო.

— აბა, ბიძაჩემო, დროა სასიძოს ჰკუთას ვასწავლოთ, — მითხრა იმ დღით, — ისე დაუფრობოთ ანგლოზებში, რომ ცოლის თხოვაზე საბოლოოდ აიღოს ხელი.

— დრო კია, — ვუთხარი, — მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა მოურავს გაუშკლავდე. არ დაგავიწყდეს, ბაირამა მარტო კი არაა — უგუნოცაა და ფასოს ვალებიც. ჰოდა, მითხარი ერთი, რა მოიფიქრე, თორემ ამდენი ლოდინი ჩემი ხნის კაცს სად შეუძლია.

— დაჯექი და მომისმინე. — ხუთ წუთში მიაშმო, რისი შეტყობის სურვილიც თვენახევარი მაწვალებდა. ბევრი მაიცინა და ბოლოს მითხრა:

— ჰოდა, ახლა სანდო, ერთგული ხალხია საჭირო. ჯერ გამაგებინე ვინ გამოდგება ამ საქმისთვის, მერე კი ყველას ჩამოვუაროთ და შევატყობინოთ.

მე ჩემი მეგობრები ჩამოვთვალე, რა თქმა უნდა, ყველა კი არა, მარტო ისინი ვინც ჩემი მოკეთეც იყო და ფასოსიც. არა, მართალს არ ვამბობ, — არც ეს კმაროდა, — მარტო ისინი, ვისაც, ჩემის აზრით, ფასოს ნატვრისთვის შვილებში არ გამოერჩეოდა. ასეთი ოჯახი ქვემოსოფელში ჩემის გარდა ექვსი იყო კიდევ. აქედან ოთხის თავლები ვიყავი — საიმედო იყვნენ, ერთზე ეჭვი მეპარებოდა, ერთზეც სჯობდა თავიდანვე გვეთქვა უარი.

— რომელზე? — მკითხა იესემ.

— ჩვენს ყველის ვაჭარზე ვამბობ, — ვუპასუხე. — ერთად ვართ გარბილები. მერე რა, რომ ჩემს ფისასოს და იმის დედაცაც ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, მე ძმასავით მიყვარს. ჩემთვის და ფასოსთვის სულს არ დაიშურებს, მაგრამ ასეთ საქმეში ოქრუსს გარევა ყველაფერს გააფუჭებს. უკეთესი იქნება სულ თუ არაფერს ვეტყვი.

— მეც ასე მგონია, ბიძაჩემო, — იესეს გაელიმა, — ერთთავად ან კბილს იჩიჩნის, ან იკრიბება. მაგას სიტყვა არ გაუჩერდება პირში.

მართალს ამბობდა: არ იცოდა იმ კაცმა საიდუმლოს შენახვა. ცოლიც

ისეთი შეხვდა, ფერი ფერსაო, მაღლი ღმერთსაო, — ამბობდნენ შეზობლები, ჭორაობაში ვერვინ შეედრებოდა.

— კარგი, მაშ სხვებთან წავიდეთ, — მოთხრა იესემ.

ყველაზე ახლოს მასწავლებელი ცხოვრობდა და პირველად მას მივკითხეთ. თავის ბაღში დაგვხვდა, თხილის ბუჩქს მისდგომოდა, რომელსაც რალაც სასწაულოთ შემორჩენოდა რამდენიმე მიმხმარი ნაყოფი.

— გამარჯობათ, — მოგვესალმა მას-პინძელი და გადაყვითლებული თხილიდან ვადმომხტარ წრიალას წკიპურტი გაჰკრა. კაფანდარა ტანზე სრული ტანისამოსი ეცვა და განიერი საყელოდან თავი ისე ამოეყო, კაცი იფიქრებდა, ღობეს ამოფარებია და იქედან იცქირებოდა. სუსტი, უღონო, გაღებული იყო, სამაგიეროდ ენაკვიმატი და აყვია: სული რომ შეგებერა, წააქცევდი, მაგრამ სიტყვაში ვერ მოუგებდი: გაგაბრაზებდა, ცოფებს გაყრვეინებდა, მოთმინებას ხელად დაკაჯრვეინებდა, თვითონ კი არ ამჩატებოდა: რაც უნდა სხარტული ენახა, ან რაიმე უბედურება შემთხვეოდა, გულით არ აენთებოდა, მშვიდი გონებით ხედებოდა კარგ ამბავსაც და ავსაც, ვერ დაფიქრებოდა და მერეა შეუდგებოდა საქმეს.

ჩვენი გადაწყვეტილება მოაწონა: კარგა ხანს იხარხარა:

— კარგია, — გვითხრა. — მეც გამოგყვებით.

— მაგას რა სჭობია, — ვუთხარი.

გზა ვანავარძეთ. საამო, გრილი დღე იყო. წინ მივდიოდი, იესე და მასწავლებელი უკან მომყვებოდნენ და მოსაუბრობდნენ.

— ბედნიერება არ არსებობს, ძმაო, — ამბობდა მასწავლებელი, — რადგან ბედნიერება მწვანე მინდორზე ამოსული ხეა, რომელზეც მწვანე ფრინველი ბუდობს. ბედნიერია იქნება, ვინც უხელოდ ავა ხეზე, უფხვოდ ჩამოვა, უცეცხლოდ შეწვავს იმ მწვანე ფრინველს და უპიროდ შეჭამს. სხვა თუ არაფერი,

ის მაინც ვიცი, ადამიანი ამდენს ვერ მოახერხებს.

იესემ გაიცინა.

— ვინმემ რომ მოახერხოს? — ჩაეკითხა.

— კარგი ერთი.

ამ ლაბარაკში წისქვილს მივადექით.

— იქნებ არც ღირდეს? — ვიკითხე.

— ჩემის აზრით არ ღირს ნამდვილად, — მიპასუხა მასწავლებელმა.

— რახან მოვედით, ბარემ ვცადოთ, ერთიც ვნახოთ არ იუაროს. — თქვა იესემ.

— არა მგონია, — ვთქვე, — თუმცა რა ვიცი... — და წისქვილში შევედით.

ერთიანად დაფქვილული როსტომი კუთხეში მიმჯდარიყო და ხაროს მიშტერებოდა. მელოტი თავი კირით ახლადშეთთერებულს უგაედა.

— მოიხსენი ეგ ცხვრის ფაშვი, — ვუთხარი, — როდემდე უნდა გედოს თავზე.

— არ იშლი არა შენსას, — შემომიბღვირა მეწისქვილემ.

— ზუმრობა იქით იყოს და ახალი ამბავი თუ გაიგე, როსტომ, — დავიწყე ხელახლა, — მთავრობის ახალი ბრძანება გამოსულა.

— რაო, რა გვიანაო?

— საცა მოტვლევილი კაცი ნახოთ. ტყავი გადააძრეთ თავზე, დიპლომატოსთვის გვიანაო. — იესეს და მასწავლებელს თვალი ჩავუკარი.

— ახია, ჩემზე ახია. თავიდან არ უნდა მომეცა ნება. ახლა გვიანაა: ვინც ყბადაღებულია, ის წყალწადებულიაო — ნათქვამია, — ამოიოხრა როსტომამ...

ვარაუდი არ შემშლია — უარი გვითხრა:

— არა, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგ საქმეში ნუ გამრევთ. ან მე რისი მაქნისი ვარ. სხვა იყოს, ჩემი თავი გენაცვალეთ და ოჯახს ნუ დამიღუბავთ.

— კარგი, როსტომ, — უთხრა მასწავლებელმა, — რა თავის მართლება გინდა ჩვენთან. რახან ამბობ, ალბათ არ შევიძლია.

ფრთხილი კაცი იყო როსტომი — მე-

წისქვილე, უცნაური ხასიათი ჰქონდა: რასაც სუფრაზე მიუტანდნენ, არ დაიწუნებდა, ჩხუბში თავისდღეში არ ჩაერეოდა, ერთ მხარეს რომ შევეშველო, მეორეს ვერ გადაევურჩებო, რომ მომკლან, ოჯახს ვინღა მიმიხედავსო, წელზე მუდამ ხანჯალი ეკიდა, მაგრამ კაცი მტრად რომ ჩვენებოდა, სანამ იარაღს მოიხმარდა, ჯერ კარგად ნახავდა, მართლა მტერი იყო თუ არა, ამდენ ფიქრში კი ბრაზიც ვაუვლიდა და ხანჯალზე ხელის გავლებივს სურვილსაც წაიყოლებდა. კამათშიც იშვიათად თუ ჩაერეოდა, ერთ რჩევას შემოაგდებდა და მერე თავგვივით გაიპარებოდა ხოლმე, აქაო და თვალთაც არ გინახავართო.

— როსტომი თავს არ წააგებს, — თქვა მასწავლებელმა, როდესაც სარეკლას ხმა უკან მოვიტოვეთ, — ახლა საით?

— მენახირეს შევუაროთ.

ფირანას მამას პატარა კარმიდამო ჰქონდა მდინარის პირას, რიყეზე, სადაც ჭინჭრისა და ლოლოს მეტი არც არაფერი იდგა და არც არაფერი მოდიოდა. მისი ქოხმახი წლითწლოებით გამოკეტილი იყო. არც ახლა დაგვიხვდა შინ.

— ღმერთმა იცის სად აძოვებს პირუტყვს, — ვთქვი.

— არა უშავს, ფირანას დაებარებ, — თქვა იესემ.

— მაგის დარდი ნუ გაქვთ, როსტომისაგით უარს არ იტყვის, — დაგვიამბდა მასწავლებელმა.

მერე წიფლების ხეივანს ვავეყვი და მალე ასლანის სახლს მივეახლოვდით, სახლს, საიდანაც მუდამდღე ფანდურის და სტვირის ხმიანობა გაისმოდა. ბრმა მეჩონგურე ზღურბლზე იჯდა და ლესავდა ნამგალს. ასე იცოდა: როცა არ მღეროდა და ხელში ჩალის სტვირი არ ეჭირა, ნამგალს აპრიალებდა, გინდ შემოდგომა ყოფილიყო, გინდაც ზამთარი. სხვა აღარაფერი შეეძლო და უსაქმოდ კი წამით ვერ ჩერდებოდა.

— გამარჯობა, ასლან, — ვუთხარი.

— გაგიმარჯოთ, მეზობლებო, — გვითხრა და მერე შვილს გასძახა, — ბიჭო, გამოდი, ბადა, იესე და მასწავლებელი მოვიდნენ, — თან ნამგალს ისე დახედა უსინათლო თვალებით, თითქოს ამოწმებს, ხომ კარგად ბზინავსო.

ასლანი და მისი შვილი, მეტსახელად ლაყაფას რომ ვეძახდით, მთელს ჩვენს მხარეში საუკეთესო მეჩონგურეებად და მომღერლებად ითვლებოდნენ. ერთმანეთს ტყუბებივით ჰგავდნენ: ორთვე საშუალო ტანის, ღიპიანი, ჩაბურთებული, ოღონდ ლაყაფას ჩალისფერი თმა ჰქონდა, ასლანს თეთრი. ქვემოსოფელში სუფრა არ გაიშლებოდა, იხინი რომ არ დაეპატიებინათ, იმ ქეიფს ქეიფი არ ერქვა, სადაც ერთ სომღერას მაინც არ იმღერებდნენ. უმცროხი მეჩონგურე, ამას გარდა, უსაშველოდ ტრაბახა და მატყუარა იყო, ოღონდ მისი ტრაბახი კაცს არ გააბრაზებდა, ვართობით კი გვარიანად გაართობდა. ლაყაფაც ამიტომ შეარქვეს. ირწმუნებოდა, ჩონგურის და სტვირის დაკვრა თავად პეტრია საზანდარმა მასწავლაო, — ჰო, მთელს საქართველოში სახელგანთქმულ პეტრიაზე ამზობდა, რომელიც შეიძლება არც არსებულა ქვეყნად, და თუ არსებობდა, ლაყაფას მაინც არ იცნობდა, — ჰო, ხუთ წელს ვიყავი მასთან ქალაქში შეგირდათო. ვერ გაიგებდი, თვითონ სჯეროდა თუ არა თავის ნათქვამი, ისე კი კარგად მახსოვს, ხუთი წელი კი არა, ხუთი კვირითაც არასდროს წასულა ქვემოსოფლიდან. მამამისი თვალდახუჭული ილიმებოდა შვილის ბაქიბუქზე და არას ამზობდა...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — სიცილით გვითხრა ასლანმა, როცა ჩვენი ჩანაფიქრი გავუმხილეთ, — აგერ ჩემი ბიჭი, როგორც გინდოდეთ, მოიხმარეთ, მე კი, თუ ეგ საქმე თქვენ რომ გინდეთ ისე დამთავრდა, ვავექსავ და დაგიმღერებთ.

მადლობა ვუთხარი და წამოვედით.

— ჩვენი აღფან მკვდელილა დაგვარჩა, — ვთქვი. ასე დევკაციური ძაღლინის გამო ვეძახდით. პირქუში, უსიტყვო



კაცი იყო, გოლიათური აგებულების. არა მგონია, ქვეყნად მისი მომრეცი აღამიანი ოდესმე დაბადებულყოფს. არადა, არც ის მახსოვს, ალფანს ვინმესთვის ხელი ეხლო. მართო მისი დანახვა კმაროდა, რომ კაცს სული ქუსლებში გაბარვოდა. არ უყვარდა ჩხუბი, ვინმე თუ აწყენინებდა, ერთს დაიბუხუნებდა და მეტოქეს გონებაში უკვე გაღახულს წარმოიდგენდა, პოდა, შეეცოდებოდა და ხელს აღარ გაისვრიდა, დიდდიდი ერთი ისე გვეკრა, ორ კვირას ლოგინიდან ველარ წამომდგარა-ყო...

— ვიცი, მინანიმ ყველაფერი შინაშო, — არ დაგვაცალა ლაპარაკი.

— ძალიან კარგი, ამ საღამოს ჩემსას გადმოიდი, მოვილაპარაკებთ, — ვუთხრა.

სამკედლოდან გამოვედი.

— მაშ, საღამომდე, — გვითხრა მასწავლებელმა, — თუმცა რაღა დარჩა. — და თავისი გზით წავიდა.

მართლაც, მზეს ერთიბეწო მანძილი-ღა დარჩენოდა გასაგლეღი ცარგვლზე.

— ბიძაჩემო, აი, კოდრას გორაზე რომ იდუმლის კოშკია, დანგრეულია თუ ახალია?

— ახალი არაა, ძველია, მაგრამ ერთი კენჭიც არ აკლია, საიმედოდაა ნაშენები. რატომ შეკითხები?

— ისე გკითხე.

სასახლეს რომ გამოვეციდი, იქნებ შემაჩერა:

— ნახე, ზუსტად აქ, ანე იქდა იმ დღეს, მე რომ ჩამოვედი.

ელი ძეძვიან ღობესთან ჩამუხლულიყო შემოდღეული, თმაგაწეწილი და ხრინწიანი ხმით ბუტბუტებდა:

— ბახარაღა ყვირება, ბალაწა, მერა, კიროფონტენე, მოვონ თერარვე...

— ბატონებს ულოცავს, — ვთქვი.

— ვისა აქვს ბატონები? — მკითხა იესემ.

— ეპ, რა ვიცი. — ამოვიოხრე.

საღამოს ჩემსას მოვიყარეთ თავი.

შუალამამდე ვისხედით. წვერილად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და საბოლოო გეგმა დაეწყვეთ. ბოლოს წაიფინენ. მე და იესემ გავაცილეთ და შინ შემოვბრუნდით.

— რაო, როგორაა საქმეები, ჩემო ჭუბდა-მუბდა? — ჰკითხა დაეწყალამ.

— როგორც დაგიბარებია, ჩემო ურტყულ-ბურტყულ.

„შეხედე, რა კარგად შეეწყვენენ ერთმანეთს-მეთქი“, — ვიფიქრე.

— ფასო, ფასო, — ბაირამა ქიშკარ მიადგა, კოტიტა თითებით ჩაეჭვიდა ფიცარს, თითისწვერებზე აიწია, მოცინარი ცხვირპირი ღრიჭოში შეჰყო და ერთხელაც დაიძახა ბოხი ხმით: — ფასო!

გვეღირსა მისი მობრძანება, როგორც იქნა — მესამე დღე იყო ველოდით. დილით ხმა გავარდა: სასიძო საღამო ხანს გამოჩნდებო, — ქვემოსოფლის-თანა პატარა დაბაში ასეთ ამბავს ვის გამოაპარებ. მოკლედ, სამზადისს შევეუდექით — დაეტრიალდით, დაფაცურდით. ჩემს ეზოში დიდიდანვე შეიქმნა დიდი ხრიგინ-ხრიგინი, ქათმების კრიახი, გოშების ჰყვილი, მოკლედ ერთ-ვაიუშველებელი. იესეს მძიმეტარაამა ძველისძველი, მამაპაპისეული ცულ-მოემარჯვებინა და შემას აპოზდა. დაეწყალამ თონე აპრილა, ფიჩხი ჩააყარა. ჩემი პირცეცხლიანი ცოლი ცრიალა — ფქვილი საცერიდან ფანტელეზალ ცვიოდა გომში, თითქოს პატარა, მარგალ, გვალით გადამხმარ მინდორ-ზე სევაფიელი თოვლი ბარდნისო... ერთი სიტყვით, როცა ბაირამა სასიძამ-როს ქიშკარს მიადგა, ყველაფერი მზად იყო: არაყვარული ღვინოც, პურმარი-ლიც და მიცვალებულებიც.

— ფასო, — ხმას აუწია მოურავმა, — არაინა ხართ სახლში?!

— რომელი ხარ, — გამოეხმაურა ფასოს ნატვრისთვალი, — თქვენა, ბატონო. მობრძანდით, შინ შემოვბრძანდით.

— მამაშენი შინ არის? — ჰკითხა შე-

მკრთალმა ბაირამმა, სიწითლემ გადაკრა სახეზე, აიღეწა.

— არა, არ ვახლავთ. რად არ შემოხვალთ? — გულლიად გაუცინა ნატერისთვალმა.

— არა, არა, — ენა დაება მოურავს, მერე სიმხნევე მოიკრიფა და ქალს გაეარშიყა:

— ნატერისთვალო, ნატერით გინატრებ და ნატერა შემისრულე — მითხარი მამაშენი სად არის, — და გაუღინა, პირი ყურებამდე გაეხა, სულერთიანად დადნა, როგორც წყალში მარილა.

— მგონი ბადა მეჭაშნიკისას არის. ჰო, ნამდვილად იქ წავიდა. — უთხრა ფასოს ნატერისთვალმა და შინ შეტრუნდა საჩქაროდ. ბაირამა ქიშკარს გადაღმა ღარნი და რაჯი ღროზე არ მიიღო შეპატიყება, აწი გულითაც რომ მოენდომებინა შესვლა, ვედარ გაბედავდა.

იღგა და მარჩიელობდა, რა ვქნაო. ჰოდა, აქ პეში პატარა ილანკულაც ჩაება თანაშენი.

— ძია, გამარჯობათ, ძია, — დიდს ამბით მიუახლოვდა ქოსა მოურავს. თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ, — ძია, მამაჩემმა შემოგითვალა, თუ გცალია ჩემსას შემოიარეო.

— ვისი ხარ შენა?

— ბადასო.

— ბადამ თქვა, მოვიდესო? — გაუძვირდა ბაირამს.

— ჰო, ასე დამბარა, ნაცა ნახო უთხარი, მობრძანდი, მეწვეო, — ილანკულამ ჩემი დარიგებისამებრ სწრაფად მოჰქურტლა...

დაეძაბუთ თუ არა დობის გადღმა მოურავს წითელი, მუშტისოდენა თივი, მე და მასწავლებელი გვარაანად შეზარხოშებულემაიფთ წამოგხტათ.

— მობრძანდით, ბატონო, აქეთ, აქეთ, — ვტაცეთ ხელი და ხმის ამოღებაც არ ვაცალეთ, ისე შემოვითრიეთ ეზოში.

— ფასო არ არის შენთან? — ამის კითხვალა მოახერხა დაბნეულმა.

— ფასო რათ გინდა, ვითომ ჩვენ და-

საწუნი ხალხი ვართ? — სიტყვების მიქცევა იმდენად

— მოდი, ბაირამ ბატონო, სუფრა დაგვიშვენე, ხილი იხილე, ჩრდილი იჩრდილე, — ეუბნებოდა მასწავლებელი და ნიგვზის ქვეშ გაწყობილი ტაბლისკენ ექაჩებოდა. უარის თქმაც ვერ მოასწრო — უკვე ყანწი ეპირა ხელში. გამოტერილი თავივით აცეცებდა თავლებს, არ ეუბნებოდა ეს ამბავი.

— რა ჯობია ჩრდილში ქეიფს, — ესლა თქვა საცოდავად.

— სწორი ხარ, ბაირამ ბატონო, — უბასუბა მასწავლებელმა, — ჩრდილი ამ ხეს რომ აქვს, ისეთი უნდა, თორემ უბრალო ლანდი მეცა მაქვს, შენცა და გარუჯულ ჯირკაც. აბა, დაგვალე, ხომ იცი, უნდა წამოგვეწიო. შიართვი.

— ვაგამარჯოთ, თქვენს ნათქვამს ვაუშმარჯოს, — ამოდერდა და ყანწი მოიყუდა.

— ესეც ასე, — მასწავლებელმა ტაბლაზე ჩამოგარდნილ ნიგვზას ფთათოლს სულა შეუბერა, — კაცი ხარ აცუბრი, — მერე თახები შეავსო და მოთაფლული ენით დაიწყო შემდეგი სადღეგრძელო — მთავარი იყო თავიდანვე არ მიგვეცა სულის მოთქმის ხაშულაება.

ილანკულა ჯერ კიდევ თბილ თონეში დაიხალა და აქედან გვადგენებდა თვალყურს. სტუმარი მალე დაგვიფერა, აქიკადა, გული გადაგვშალა. ჩვენც რა ეგებოდებოდა — ვაძლებდით და ვაძლებდით არაყვარებულ ღვინოს. მალე თამაღობაც ჩამოვეართვა:

— ახლა მე ვიტყვი. ეს ღმერთმა აიტოტლოს ისა, ვისა გულაც გულთან იყოს. უყვარდეს და აქ არ იყოს. ჩემს ნატერისთვალს გაუშმარჯოს, ბიკებო!

თუ აქამდე სიტყვებს ძლივს ვიკავებდით, ახლა ვედარ მოვითმინეთ და გულთანად აგზარხარდით. ისე იყო გაბრუებული, ვერც კი ხედებოდა, რომ მასხრად ვიგდებდით.

— ეკალა მიირთვით, ბაირამ!

— არა ეკალა აწყენს, გინდა კიტრი გაგიტალო.

— არა, ბოლოკი უფრო გვაგება, —

მოკლედ, ოცი წლის ბიჭებივით ვლანდარაბდით.

ჩამოვამდა. სასიძო ისე მოიქცა, სულ ჩვენს ნებაზე ვათამაშებდით. აქეთ-იქედან ამიკუთვლივით ბაირამის და ქუჩაში გამოვოყვანეთ.

— აიანთარი-ი, ბაიანთარი-ი, წყეული-ყოოლოს ფულის ყანთარი, — წამოიწყო მასწავლებელმა. მოურავმა ბანი მისცა — ჩინებული ხმა ქონდა ამ ერთბეწო კაცს.

გვარიანი მანძილი რომ გავიარეთ, სუფთა ჰაერზე ოდნავ გამოფხიზლებულმა ბაირამმა გაოცებით გვკითხა:

— კი მაგრამ. საღ მივდივართ, ბიჭებო?

— ყვავის საყდარში, ფასოსთან, — ვუთხარი და შევხედე უაზრო, გამოლენჩებულ თვალებში.

გაჩუმდა, პირი დაალო და ერთხანს სინჯუმე ჩამოწვა. მხოლოდ კრუხის კრუშკრუში გაისმოდა ვიღაცის ეზოდან.

— საღაო? — გვკითხა.

ქვემოსოფლის გარეუბანში, ქალასა და სახელმწიფო გზას შუა, საღაც უწინ ჩვენი ბატონების ზერები და დიდი ყანები ყოფილა, არის ერთი ძველი ნანგრევი, რომელსაც ყვავის საყდარს ეძახიან. ეს სახელწოდება თქმულების მიხედვით საყდრისთვის ერთი თავგანწირული ყვავის პატივსაცემად მიუნიჭებიათ. იესეს თქმით, ეს ყვავი რომელი ბატის ჯიშისა ყოფილა, რადგან ხალხი გადაურჩენია — თავი დაუღრჩვია საქმიან ქვაბში, რომელშიც გველი ჩამჭვრალიყო. მამაო გაბრიელი ირწმუნება, ეს გველი იმ მაკდურის ნაშიერი იქნებოდა, რომელმაც ადამის მოდგმა სამოთხიდან დედამიწაზე გადმოგვისროლო. ყვავმა სულ ახალგაზრდამ გასწირა სიცოცხლე — ჯერ ასი წლისაც არ იყო თურმე საწყალი. დაუსაფლავებიათ პატივით და საფლავზე საყდარი აღუმართავთ. დროთასვლამ მისგან ნანგრევებილა დატოვა, მაგრამ ხალხმა არ დაივიწყა ყრანტალა მხსნელის

სახელი და ამ ადგილს დღესაც ყველამ საყდარს ეძახიან.

— საღაო? — გვკითხა ბაირამმა, — ყვავის საყდარში? მერედა ფასოს იქ რა უნდა?

— როგორ კაცო, არაფერი გავგია?

— რა უნდა ვამეგო.

— მამაო გაბრიელმა სული უფალს რომ ჩააბარა, არ იცი?

— რაო?

— ციდან ხომ არ ჩამოვარდი, ბაირამა. წუხელ საღამოს განისვენა საწყალმა. ხომ იცი, ფასოს დიდი მეგობარი იყო. ღამე უნდა უთოოს.

ბაირამმა თვალები ააფახულა. ძნელად წარმოიდგენდა კაცი ჩვენს ნათქვამზე უარეს უაზრობას, მაგრამ საქმეც ის იყო, მოურავს არაყვარულმა ლეინომ აზრის ნატამალიც აღარ დაუტოვა ისედაც ცარიელ თავში. ეს რომ არა, თოთო ბავშვიც კი მიხვდებოდა. რომ მამაო გაბრიელს, რომელსაც აზრად არ მოსვლია გარდაცვალება, კიდევაც რომ მომკვდარიყო, ყვავის საყდარში კი არ დაასვენებდნენ, არამედ ახალ ეკლესიაში და ამას გარდა, ფასოს ამარა ვინ დატოვებდა ქვემობატონის კარის მოძღვარს.

— ანდერძად დაუბარებია, ყვავის საყდარში დამასვენეთო, — დაუმატა მასწავლებელმა ბაირამს ექვების გასაფანტად.

— ჰო-ო, — თქვა მოურავმა.

ყოველი შემთხვევისთვის ვეცადეთ მისი ყურადღება გაგვეფანტა:

— საწყალი მამაო, — დაიწყო მასწავლებელმა, — რა კაცი იყო, გახსოვთ? ახლაც ყურებში მიდგას მისი ხმამალალი ჭახჭახი: დიდება შენდა უფალო, დიდება შენდააა, — ხმით გამოაჯავრა მღვდელი. — და ღიაკვანიც რომ აპყვებოდა გამყინავად: ალილუია, ალილუია, ალილუიააა... ეჰ, დავრჩით უმწყემსოდ. ძმაო!

— არ ვიცოდი ეგ ამბავი, — ჩაილაპარაკა ბაირამმა, — მიწ, მიუღია მამაოს ღვთის უღუფა.

— აბა, აბა, — დავეთანხმე.

ნათელი ღამე იყო. ცა ვარსკვლავებს დაეცხრილა და ყვითელი მთვარე ერთ გოდორ თხილში გამორჩეული კომშივით ჩანდა. ყვავის საყდარს მიუხაზლოვდით. ბაირამა არეულ გონებას იკრებდა — საცაა სასიამოვნო წინაშე უნდა წამდგარიყო და ქალის ხელი ეთხოვა. ვერ გავიგო, რა ესაქმებოდა ფასოს უკუცურ ნანგრევში. არ იყო ამაზე ფიქრის დრო — სასწრაფოდ უნდა გაეხსენებინა საგანგებოდ შერჩეული სიტყვები, რომლებიც დილით ჩინებულად ახსოვდა და ღვინომ კი დაავიწყა.

— აბა, თავი ყოჩაღად გეპიროს, თამამად, — შევაგულიანე, — ნუ გეშინია, შენთანა ვართ, ხომ იცი, ფასოს ჩვენი დიდი ხათრი აქვს — და ჩამოტყეულ გალავანში შევაბიჯეთ.

საყდარში ისეთი სიბნელე იდგა, კაცი თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდა. ერთ-ორ წუთს, სანამ თვალს მივაჩვევდით, ჩუმად ვიდგეთ. მერე ამ ყიამეთში ფასო დავინახეთ, წყნარად იდგა თეთრსუღარავადაფარებულ კუბოსთან.

ბაირამა დამწუხრებელი მიუახლოვდა და მიუსამძიშრა. მერე კარგახანს თავჩაქინდრული იცრემლებოდა. ბოლოს გადამიჩურჩულა:

— იქნებ შემდეგ იყოს, უხერხულია ახლა, რა დროს ესაა, — და ღვინის ოხშივარი შემომართქლა სახეში.

— ნუ სულელობ, მიდი, რომ გეუბნები, — ხელი ვკარი.

— ფასო, — ენამოკიდებით დაიწყო ბაირამი, — უნდა გავებეღო და პირდაპირ ვითხრა, რა საქმეე მაქვს: შენი ქალი უნდა მომათხოვო. უარს ნუ მეტყვი. ან მომკალი აქვე, ან მაკოცხლე.

— ეგ აზრი თუ გულში გქონდა, სიტყვიერად როგორ გამოხედე, — წყნით უთხრა ფასომ. — მამა გიცხონდა, ჩემი ქალი გავატანო. რამდენი შენნაირი ვიგინდარა მომადგება.

— ფასო, სასიძო კაცი ვარ და ეგრე ნუ მეღაპარაკები, — გული მოუვიდა ბაირამს, — მითქვამს და გეუბნები, ქალი უნდა გამატანო.

— ვაჰ, რომ არ გავატანო, რას იზამ?

— გაიოცა ფასომ.

— ნახე რასაც ვიზამ, — დაიქანდა მოურავი, — ხომ არ გავიწყდება, ცისა და ქვეყნის ვალი რომ მაქვს. მარტო ჩემი რამდენი გმართებს, თუ გახსოვს?

— შენი? საიდან მოგაქვს, შენი კაპიციც არ მმართებს.

— რას მიედ-მოედები, ფასო, თამასუქები ხელთა მაქვს.

— რა თამასუქები, რის თამასუქები, ჩემს დღეში თამასუქი არ გამოიცია.

— რაო? გამაგიყებ და ეგაა. შენ ფასო არა ხარ?! თუ სხვა ვინმე ხარ? ვალები არა მაქვსო, გესმის, ბადა, გესმით, ხალხო, რას ლაპარაკობს?

— გეშლება, ბაირამ, — ვთქვი, — ფასოს თავის დღეში ვალი არ იღლია.

— რას მასხრობ, ბადა, გეყოფა ლაზლანდრობა.

— მართალს ამბობს ბადა, — კვერი დამიკრა მასწავლებელმა, — ვინ გაიგონა ფასო და ვალი.

— ჩემი თვალთ ვნახე დასტა-დასტა თამასუქები უგუნოსთან... — დაიწყო ბაირამამ, მაგრამ არ ვაცალეთ.

— იტყუები, — ვუთხარი.

— ჰო, გვატყუებს, ამის... — ფასომ გინება ჩაახვია.

— ცრუობს, — აგვევა მასწავლებელი.

— როგორ ბედავ, — გაბრაზებით ეუყვიერი შემკრთალ ბაირამს, — როგორ ბედავ ამ წმინდა ადგილას ტყუილის თქმას, — აქ მიცვალებული ასვენია, შენ კი თავხედობ და ცილს წამებ პატიოსან ადამიანს. მამაოს სული მაინც არ გისმენდეს, შე უღმერთო!

— გეფიცებით, არა ვტყუივარ, — თქვა ბაირამამ, და უცებ სასწული მოხდა: კუბოდან წამოხტა მიცვალებული და მთელი ხმით შესძახა:

— ძველო და ახლო მკვდრებო, მოგვეველეო, საწყალ კაცს ატყუებენ! — და ცოკოხეთურმა ღრიანცელმა აავსო ყვავის საყდარი. რომ არ მცოდნოდა, რაში იყო საქმე, ძარღვებში სისხლი გამეყინებოდა უკუნეთიდან გამოცე-

წილი საშინელი აჩრდილების დანახვაზე. არ მეგონა თუ ბაირამა შიშით ადვილზე არ გათავდებოდა. მაგრამ გაუძლო, ერთი კი იღრიალა გულგახებულად, საყდრიდან ქარივით გავარდა და წვერზეცეცხლწაქრებულად გაიქცა კენაპეტ ლამეში. ჭკროდ დავედევნეთ, ყოყინით.

— ვინ ოხრები ხართ, — ყვიროდა და კისერზე ქუსლებს ირტყამდა.

— მე ღვთის გამოგზავნილი ანგელოზი ვარ, — ჩასძახოდა იესე და გზადაგზა მხრებზე ექაჩებოდა, — შენ ძალიან ფინთი კაცი ყოფილხარ და ღმერთთან უნდა წავიყვანო.

— ძველო და ახლო მკედრებო, ეშმაკებმა წამიღონ, თუ ბაირამს რაიმე დაეჭერებოდეს, — ქახჭახებდა განსვენებული მამაოს ხმით ლაყაფა მეჩონგურე.

— მიშველეთ, ხალხო, — კიოდა მოურავი. ერთ წუთს ვღიეთ კიდეც და შევჩერდით. სიჩქარისთვის არ მოუკლია, ისე შეერია სიბნელეს. სულს ძლივს ვითქვამდით. ეხარხარებდით გულიანად.

— შენს გამოგზავნს გადაეცი, სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც დაიკვებეთო, — მიაყოლა გაქცეულს ბავშვივით გახარებულმა ფასომ, მაგრამ მოურავს ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, აღარ გაუგონია.

ბაირამს გამოგზავნი სასახლის ბაღში სეირნობდა, თან ნამდვილ, ცოცხალ, საღსალამათ მამო გაბრიელსა და მის ფოფოდიას ემუსიათებოდა. მღვდელს ჩვეულებად ჰქონდა ღამდამობით სუფთა პერზე ვაფა, რადგან უძილობა აწუხებდა. მისი მუდღე სამოც წელს მიტანებული, სქელსქელი ქალი იყო. ქმარზე ოდნავ მაღალი, ნაზი, წყნარი და გულკეთილი. უგუნოს ცალი თვალი და ცალი ყური ბაღის პიშკრისკენ ექარა — მოურავს ელოდებოდა. ბაირამს დაგვიანებით გამოწვეულ აღელვებას არ იმჩნევდა და მოხუცებს მეზობელი მარის ერთ-ერთ

თი ქალაქის ამბავს უამბობდა, სადაც მოთავსობამ რაღაც უკანონობა თუ უმსგავსობა აღმოაჩინა და ცხელი დღე დააყარა ადგილობრივ ხელისუფლებს.

— ბოჭაული სამსახურიდან დაითხოვეს, მამასახლისი გაროზგეს, მღვდელი კი, მამო, უკაცრავად პასუხია და გაკრიჭეს და ციმიბირს გაგზავნეს.

— ასეა, ასე, მოძღვარს მეტი მოეთხოვება და ყველაზე მკაცრად ის ისჯება ხოლმე, — დაუდასტურა მამო გაბრიელმა.

— გესმით? — მიაყურადა ფოფოლიამ.

— მიშველეთ, მიშველეთ, — შორიდან გაისმა ბაირამს ხმა. წუთიც და ბაღის ბილიკზე თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა.

— რა ჯანდაბა დაგემართა, — ჰკითხა უგუნომ, — რას გავხარ. ეგ გითხარი, გაიღეშე და შეუღამეს მთელი სოფლის ვასაგონად იღრიალე-მეთქი? ხმა ამოიღე, რას განუმებულხარ.

მოურავს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ცხვირიბირზე, მამო გაბრიელს მისჩერებოდა და აცხატებულ ხელით პირქვარს იწერდა.

— ცოცხალია, ცოცხალია, არ მომკვდარა, მომატყუეს, — ჩურჩულებდა აქოშინებული.

— თქვი რა დაგემართა, თორემ ენას ამოგაძრობ და მამაოს შევალოცვინებ ტანიდან ეშმაკეული გამოგიღვევოს, შელოთო, — დაუსისინა უგუნომ.

— მკედრები, მკედრები მომსდევდნენ... მამოც იქ იყო... ფასო ამბობდა ვალები არა მაქვსო... მამო მოკვდაო...

— რაებს როშავ, ვინ თქვა მამო მოკვდაო, — მერე უგუნომ ფოფოდიას და მღვდელს მოუბოდიშა, მოურავს ქეჩიში ხელი ჩაავლო, გვერდზე გაიყვანა და სიტყვისუთქმელად გაულაწუნა სახეში.

— აბა, გამოფხიზლდი? თქვი, კაცო, რა მოხდა.

პირშინერწყვეამშრალმა ბაირამამ კანკალით მოახსენა რაშიც იყო საქმე. უგუნო უმაღ მიხვდა ყველაფერს, მიხ-

ვდა და სისხლი ყელში მოაწვა. ამბის ბოლომდე მოყოლაც აღარ აცალა, სწრაფად გაიგდო წინ მოურავი, გამოვიდა შარაზე, გაიჩრდა, გამჟოლავად მიაშტერდა სიბნელეს, გაუღიმა ჩვეული ღიმილით და ხმადაბლა, თუმცა ისე, რომ ბაირამას გარდა სხვასაც ვაგვონა, თქვა:

— გინდათ თითი მომაკაცინოთ, არა? გგონიათ ვაგივიდათ ოინი. არ შეცდეთ. უგუნო არ ვიყო, თუ ასე იოლად შეგარჩინოთ ეგ ბალღური მასხრობა. ბადა მეჭაშნიკე, კარგად ვიცი, სადღაც აბლომახლო ხარ და მისმენ. შენი ყაჩაღი დის ყაჩაღი ნაშიერიც გვერდით გიდგას, ალბათ. წმინდად მაგის მოფიქრებულია ეს საქმე. თქვენ რაღამ ვაგატუტუტეთ, ღლაპის ჭკუას რომ აპყევით დროული ხალხი. ჰოდა, მისმინეთ, ყველამ მისმინეთ, ყველას გიცნობთ, ვინცა ხართ მანდ. ან მე და ან თქვენ. ფასო, მეკდრები კი არა, მამაზეციერიც რომ დაგემოწმოს, ვალეებს ვერსად წაუხვავლ. ჰოდა, რახან ადამიანურად ნათქვამი არ გესმის, მაშ იცოდეთ: იქით კვირას ჭორწილს ვნიშნავ, თუ არადა, იმის იქით რომ კვირა დღეგება, ციმბირში იქნები უკვე... — კიდევ დიდხანს ბობოქრობდა შუაგზაზე მღვარი კაცი, მუშტებს უქნევდა სიბნელეს, ჩვენ კი ხმაგაქმედებები ვიდევით თხრილში იქვე, ორ ნაბიჯზე და ვუსმენდით. იესესაც კი არ დაუძრავს კრინტი, რადგან, როგორც თვითონ იტყოდა, ზედმეტი არც თავისგამოდება ღირდა. თუმცა დედის აუგად ხსენებაზე ბრაზმა დაუარა, ერთიანად ათრთოლდა. ვიდევით და ვუსმენდით სიტყვებს, რომლებიც — ასეც ვიცოდით — უნდა მოგვესმინა. ყვავის საყდრის ოინი მხოლოდ გამოწვევა, პირველი მოგერიება იყო მოუშაბდებელი მოწინააღმდეგის უკუსაგდებად და არაფერს წყვეტდა. ამ მართლაც ბალღური ხუმრობით საქმე არ დამთავრებულა, პირიქით — ეს დასაწყისი იყო, ახალი გზის დასაწყისი და თუმცა წინასწარვე ვხვდებოდით, რაც მოჰყვებოდა ამ ოინს, აბლა მთელი სი-

ცხადით ვიგარქენით — ამ გზაზე უკან დახვევა აღარ შეიძლებოდა, გვიანლა იყო.

## II

ის სახლი მუდამ მზად იყო სტუმრის მისაღებად. ბადა მეჭაშნიკე იტყოდა, — რა გინდა სულო და გულო, ღამღამობით მანდ არ იპოვებოდესო. ქვემო-სოფელე მამაკაცებს — და არა მარტო მათ — საერთოდ მამაკაცებს იქ მუდამ ელოდა საკმელ-სასმელი, ღვინო და რაც მთავარია — მანიყანი — ლამაზი, თავშენახული, მოულალავი ქალი. ოთახებიც და დიასახლისიც შეთქმულების სუნს ვაეფლინთა, იმ საიდუმლო შეთქმულების, რომელიც მანიყანს ქვემო-სოფელე მამაკაცებთან — და არა მარტო მათთან — საერთოდ მამაკაცებთან აკავშირებდა და რომელიც გულზე ხეთქავდა ქვემოსოფელე დედაკაცებს — და არა მარტო მათ — საერთოდ დედაკაცებს. კიდევ ზღაპრის სურნელი ასდიოდა ოთახებს და დიასახლისს, სიამოვნების, ნეტარების, მოკლედ, ბადა მეჭაშნიკე იტყოდა, — იქაურობას არაფერი სჯობიაო, — ოღონდაც ხმადაბლა, ფრთხილად იტყოდა და აქეთ-იქითაც ვაიხედ-გამოიხედავდა — ფისასომ არ გამოგონოსო. რა გასაკვირია, ყველა სრულშკაბაზე მყოფი კაცი ეცდებოდა ცოლი. დაერწმუნებინა, მანიყანის სახლისა არაფერი ვიცი, რაც გამოვიდა, სხვისგან თუ გამოვიდა და ეგააო, რადგან დოჯახებული კაცი მანიყანისა და მისი სახლის ქებით, რა თქმა უნდა, ცოლს დიდად ვერ გაახარებდა: ნათქვამია ცოდვა გამხელილი სჯობიაო, მაგრამ ეს ცოდვა ნამდვილად არ იყო გასაშხელი. იმ საღამოს უჩვეულოდ გამოიშვირებოდა ქვემოსოფელი მამაკაცებისთვის კარგად ნაცნობი სახლი. გარედან არაფერი შეცვლილიყო — ისევ ისე იდგა წყნარად ლეღვის ხეებით გარშემორტყმული. ეზოში თეთრი თიკანი თავის თეთრ დედას ძუძუს სწოვდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ შიგნით, დიდ ოთახში საკმაოდ იშვიათ სურათს წააწყდებოდა

უღროოდ მისული სტუშარი — ერთ-  
დროულად ათამდე მაშაყაცს მოეყარა  
თავი: არც დროს ატარებდნენ, არც ქე-  
იფობდნენ, — უბრალოდ საფიჭრალს  
მისცემოდნენ.

მანიყანს ბუხარი გაეჩაღებინა, შიგ  
კეცი იდგა. ლაყაფა მეჩონგურეს ხელ-  
ში ჩხირი ეჭირა და ძირს დაცვენილ ნა-  
ცარს ქეჭავდა ჩაფიჭრებული. დანარჩე-  
ნებიც იქ იყვნენ — ბადა, იესე, მასწავ-  
ლებელი და სხვები — ყველანი, ვინც  
წინაღამეს თხრილში იდგნენ და უგუნოს  
საშინელ მუქარას ისმენდნენ, ისინი,  
ვისაც ის მუქარა შეეხებოდა. ბოჭაუ-  
ლის შიშით არცერთი მათგანის სახლს  
აღარ ენდნენ — უგუნომ დაყოვნება არ  
იყო: იქნებ უკვე მსტორებიც მიუჩი-  
ნა შეთქმულებს. იესეს რჩევით გადაწ-  
ყვრტეს ბჭობა მანიყანისას გაემართათ  
— იქ საღამო ხანს მაშაყაცის შესვლა  
ეჭვს არავის აღუძრავდა — სათითაოდ  
შეილაღნენ, ფრთხილად...

არც ბეჟანი იყო შინ საბედნიეროდ,  
მანიყანის ძმა, სწორედ ის — მელასა-  
ვით გაცქვლეფლი, წითური ღიაკვანი.  
არ იყო სანდო კაცი. მართალია მეზობ-  
ლებში თავი შინაურულად ეჭირა, აქაო  
და თქვენიანი ვარო, მაინც მოწინააღ-  
მდეგის ბანაკს ეკუთვნოდა მამაო გაბ-  
რიელის, ქვემოზატონის კარის მოძ-  
ღერის ხელქვეითი. თან კაცადაც არ  
ვარგოდა — ტყუილად როდი ეძახდნენ  
ყალბანას, ღონდრეს. ბავშვობიდანვე  
ეტყობოდა რის მაქნისიც იყო — შაური  
რაა, შაურს ვერ იშოვნოდა. მშობლე-  
ბი, სანამდის ძალა ჰქონდათ, არჩენ-  
დნენ, მაგრამ დაბერდნენ, ველარ შეს-  
ძლეს ოჯახის შენახვა. მანიყანის ქმრის  
სიკვდილიდან და ბეჟანის გადაიკვნი-  
ბიდან თვეც არ იყო გასული, ორივე  
იქ გაემგზავრა, საიდანაც უკან აღარ  
ბრუნდებია. დარჩათ ვაჟი ღმრთისა და  
ქალი ეშმაკის საშხახურში...

ძმა შინ არ იყო, დას ენდობოდნენ.  
მოკლედ ბადასა და მის ამხანაგებს  
მშვიდად შეეძლოთ ეთათბირათ და საქ-  
მის გამოსავალი ეძებნათ...

...ისეა, — ფიჭრობდა მეჭაშნიკე, —

რეჯებ-ეშმაკს რაკი იყვეფიბიბჭიჭიჭუღმქმ  
ში უნდა მოედიოთ, ის კი არადა, უმჯო-  
ბესია წავავლოთ რქებში ხელი, გადა-  
ვახტეთ და წინ გავუძღვეთ... მაგრამ  
სიფრთხილე კი გემართებს, დიდი სიფ-  
რთხილე...

— ცხენის ძუას უნდა გამოაბა უგუ-  
ნო, — ლაყაფა მეჩონგურემ ცეცხლს  
მიამტერა თვალები, — უნდა დააჩ-  
ქვთიო...

— ძუის მეტი რა არის, შენ გამომ-  
ბმელი თქვი თორემ... — გაეპასუხა მე-  
ნახირე...

— დასწყევლოს წმინდა გიორგიმ  
ჩვენი დამზრახავი, — დაიბუბუნა ალ-  
ფან-მჭედელმა.

— შენ რას იტყვი, ასლან? — ბადამ  
შევერცხლილ თმაზე ხელი ჩამოისვა.

— ნათქვამია, ეშმაკი ხვენას რომ და-  
იწყებდს ხარად მგელს შეაბამს, აბე-  
ურად გველს გააბამსო, — მოხუცმა  
შუქჩაშქრალი თვალები გაახილა.

— მერე? — იკითხა ფირანამ, მენა-  
ხირის ბიჭმა. ფანჯარასთან იჭდა, მამის  
გვერდით. ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ  
— ორივე ზორბა, მოუხეშავი, როხ-  
როხა.

— ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს.  
ჩვენც ეგრე უნდა მოვიქცეთ.

— მაინც როგორ? — მასწავლებელი  
ბოლთას სცემდა ერთთავად, დადიოდა  
კელლიდან კელამდე, უშნოდ დააკონ-  
წილებდა გახუნებული, გაქეჭილი ხა-  
მის მოსახამის სახელოებს, — როგორ  
უნდა მოვიქცეთ?

— ბადა, რას გვირჩევ? — მანიყანმა  
ბუხრიდან კეცი გამოიღო, მჭადი გა-  
მომტხვარი იყო.

— ხალხო, როგორც ეს კაცი გვეტ-  
ყვის, ისე მოვიქცეთ, — ბადამ იესეზე  
მიათითა. დისშვილმა ფარულად გახე-  
და, ისე, რომ სხვებს არ შეემჩნიათ და  
წამიერი მზერით მადლობა უთხრა ბა-  
დას.

...არა, ჭერ მაინც ბავშვია, — იფიქ-  
რა მეჭაშნიკემ, — ეამა კაცი რომ და-  
ვუძახე და ასე რომ დაეფასე...

... უგუნოს ჩვენ ყველა ფეხებზე კვი-

დივართ, — თქვა იესემ, — ჩვენი დარ-  
დი სულ არა აქვს. ამიტომ პირველ რაგ-  
ში ფასოს ნატერისთვალს მივხედეთ.  
გზა ერთთა: გავიზნოთ სადმე, ვადაუ-  
ბალოთ საიმედო ადგილას, ისე რომ  
უგუნომ კი არა, მამაუფალმა ვერ მიაგ-  
ნოს.

— არ ჯობდა, — ფასოს ენა დაება,  
— გა...გაგეთხოვებინა.

— კარგი ერთი ფასო, — მასწავლე-  
ბელმა ჩაიციხა, — ვის მიათხოვებ  
ისეთს, რომ უგუნო ჩამოეხსნას, — მე-  
რე იესეს მიუბრუნდა, — ჩვენი ენა  
მაღე იტყვის, საქმე კი ნელა კეთდება.

— ეს საქმე სწრაფად უნდა გაკეთ-  
დეს. — თქვა იესემ...

ფასოს ნატერისთვალს უდარდელად  
მიბიჯებდა დამტყვერებელ შარავზე, ათვა-  
ლიერებდა ჩილიკა ჯოხის მოთამაშე  
ამოგანგლულ, გარუჯულ ბავშვებს,  
გზისპირას ჩამომჯდარ უცნობს — შავ-  
გერემან, გრუხათმიან ახალგაზრდას.  
ზანტად რომ შეექცეოდა მზესუმზირას  
ჩაფიქრებული; თეთრ სახედას, უზარ-  
მაზარ ზედის რომ მიდგომოდა და ცდი-  
ლობდა პატრონის გამოჩენამდე რაც  
შეიძლება მერტი თივა გამოეჭამა; ნატე-  
რისთვალს მამას ყურს არ უგდებდა,  
არადა ფასო გვერდით მოსყვებოდა,  
ელაპარაკებოდა, კჳუს არიგებდა და  
ვერ კი ამჩნევდა, რომ არ უსმენდა შეი-  
ლი. სამაგიეროდ ბადა ხედავდა ყველა-  
ფერს — ორიოდ ნაბიჯით ჩამორჩენოდა  
მამა-შვილს და აღვირით თავისი წითე-  
ლი ფაშატი მოჰყავდა. სამხრეთისკენ  
მიდიოდნენ, პილატონის მთებისკენ...

ქალასა და ყვავის საყდარს რომ ჩაუ-  
არეს, ელი შემოეჩეხათ. თმაგაშლილი,  
ფეხშიშველი მოტანტალებდა, უმარო-  
ლით შეთხიპნილ სახეზე ღიმილი ეფი-  
ნა. მხარზე გაეგდო კალთა, რომელ-  
შიც დამარცვლული ნიორი და ცოტა-  
ოდენი მუხუდო ჩაყარა. მარჯვენა  
ხელში ტყბილკვერი ეჭირა, მარცხენა-  
ში გამოთლილი ჯოხი. იღუქმებოდა და  
ხმამალა მოიმღეროდა:

— ჰერე-ბერე, სერე-სერებ...  
კეთელო...

— ცოფისას ულოცავს, — ბადამ  
თვალი გააყოლა შემოილის, — ცული  
ნიშანი არაა.

— ვილაცა ცოფებს დააფრქვევს, —  
ფასომ ჩაიღიმა, უღვაშზე ხელი ჩამო-  
სვა.

ქვემოსოფელი უკან დარჩა. ნაბიჯს  
აუჩქარეს. ბინდდებოდა უკვე, როცა  
სწორედწასული თემშარიდან დაქლო-  
ნილ, ვიწრო ბილიკზე გადაუხვიეს.

— ესეც ქანდრიის გზა, — თქვა ბა-  
დამ.

ფასოს ნატერისთვალს უდარდელად  
მიარღვევდა მყვლის გაუვალ ბურჩქებს,  
შექცეოდა ჩამწიფებულ, დატყბილულ  
ნაყოფს, შავი, წებოვანი წვენით ით-  
ხუნებოდა და წვივებს იკაწრავდა ეკ-  
ლებზე. დიდხანს იარეს, სანამ მიღწე-  
დნენ დათქმულ ადგილს — ხშირი ბა-  
ლახით დაფარულსა და ახასხასებულ  
პატარა მინდორს, მალა, ქედზე გაშ-  
ლილს. აქედან სალამოს ბინდში ჩაძი-  
რული ქვემოსოფლის ერთი კუთხე მოს-  
ჩანდა: ქალაში, გზისგასაყართან კვიცი  
ძოვდა ბალახს, საყდრის მახლობლად  
კოკლი თხა დაყანყალებდა გზაბნეუ-  
ლი...

ფასო მუხის ფესვზე ჩამოჭდა, ბურ-  
ნუთს ყნოსავდა.

— მოდის, — ბადამ ზემოთ, პილა-  
ტონის მთებისკენ გაიხედა.

მალლით დაშვებულ საცალფეხო ბი-  
ლიკზე მხედარი გამოჩნდა — მოაქრო-  
ლებდა ცხენს და კვალდაკვალ ძაღლი  
მოსდევდა — ვეება ნაგაზი. მალე მოახ-  
ლოვდა, ჩამოქვეითდა და სიტყვის უთ-  
ქმელად გაუწოდა ხელი ჯერ ბადას, მერე  
ფასოს.

— არ გამოცვლილხარ, ნანათ, ისევ  
ზღარბივით ხარ, ტანი ეკლიანი, გული  
ემსიანი, — უთხრა ბადამ.

— ნეტა ერთი, რა გამომცვლიდა,  
— მოხუცს გარეული თხის ტყავის წა-  
მოსასხამი ეცვა, თოფი ეკიდა მხარზე.

ფასოს ნატერისთვალს წყნარად იდ-  
გა და მოსულს უმზერდა. თურმე რო-



გორი ყოფილა ნანათ-მონადირე, გან-  
თქმული ყაჩაღი, ვისი სახელიც ხში-  
რად გავუგონია ქვემოსოფელში. პატა-  
რაობისას მამა უამბობდა ხოლმე ნანა-  
თის ფათერაკებთან, ზღაპრებივით ძველ,  
თავის ახალგაზრდობისდროინდელ ამ-  
ბებს. ალბათ, მოხუცების გარდა აღა-  
რავის ახსოვდა რატომ გაყაჩაღდა ნა-  
ნათ-მონადირე, ვის რა ავნო, რა დაა-  
შავა. კაციშვილს არ უნახავს, კაცი-  
შვილს არ სმენია მისი ავაზაკობა. ეს  
იყო მხოლოდ — ვატყუებოდა, გაუკა-  
ცურდა ქვეყნის უარყოფელი, მოსის-  
ხლე ხელისუფლების, მთავრობის, რო-  
მელსაც კანონგარეშედ კი ჰყავდა გა-  
მოცხადებული, მაგრამ არ კი დევნიდა  
— არ ღირდა თავის შეწუხებად. ტყუ  
იყო მისი სამეფო, სახელმწიფო. ბადას  
ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ძმად გვე-  
ფიცა. პატივისცემა ჰქონდათ ერთმანე-  
თის გონებაგახსნილ მეგობრებს და  
ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ყაჩაღს. თუ-  
მცა ბადას იშვიათად ეძლეოდა შესაძ-  
ლებლობა ეხილა ძმადნაფიცო, მაინც  
მასზე სანდო კაცი არ ეგულებოდა ქვე-  
ყნად. მართალია მის მოძებნას სამი  
დღე მთაში ხეტიალი დასჭირდა, —  
თვითონ ბადას არ უხეტიალია, — ნა-  
ნათს იესემ და ფირანამ მიავსეს, —  
მაგრამ ახლა, როცა მოხუცი ყაჩაღი  
მოინახა, ფასოს ნატერისთვალი დრო-  
ებით მაინც იყო საიმედო ხელში...

— ნანათ, დარჩება არ გვეპირდება.  
შუა ნოემბრამდე შენთან უნდა იყოს,  
— ბადამ ხელი შეაშველა ფასოს ნატ-  
ერისთვალს, თავის ფაშატზე შესვა.  
— უწმინდესი სინოდის კანონით  
ქორწინება ეკლესიაში აკრძალულია  
თითხმეტ ნოემბრიდან ექვს იანვრამ-  
დე. — მოხუცმა დამცინავად ჩაიღიმა,  
— უწმინდურია და არა უწმინდესი მა-  
გათი სინოდიცა და კანონიც. იანვარში  
რავა უნდა ქნათ?

— იანვარში ისევ ამოვიყვანთ, თუ  
მანამ არ შეიტყო უგუნომ, შენთან რომ  
შემოვიხიზნეთ.

— ვერ შეიტყობს, უგუნოსნაირებს  
ორმოცი წელია სისხლს ვუშრობ, — ამ-

ხედდა, ცხენი შეატრიალა და მშვი-  
დობის უთქმელად, უკანმოუხედავად  
წაივდა ტყისკენ.

— მიჰყევი, — ანიშნა ბადამ.

ფასოს ნატერისთვალი კი მშვიდად  
იჯდა ცქენზე.

— დმერთო, შენ დასწერე შენი წყა-  
ლობის წვარი, — თქვა ბადამ.

ზამას არაფერი უთქვამს.

ფასოს ნატერისთვალმა ერთხელაც  
მოიხედა უკან, თვალი შეავლო ბნელში  
თითქმის ჩაძირულ ქვემოსოფელს —  
ბინდის გამო უცნაურად აწეწილი მო-  
ეჩვენა, თითქოს კუდიან ქარს მთელს  
დაბაში აეხეებტა მტვერი და პაერი ძაბ-  
რივით ატრიალებდა... მამა და ბადა  
აღარ ჩანდნენ...

ორნი დარჩნენ ტყეში.

— საცაა დაღამდება, შინ წაივდიეთ,  
— თქვა ნანათმა. გაჰყენენ ვიწრო ბი-  
ლიკს. მთვარიანი ღამე იდგა და ტყის  
ბნელი ჩრდილებით დაქსელილი შუქი  
ჯადოსნური, იღუმალი სახით აჩენდა  
ხეებს, ქეებს, ბალახს, ფოთლებს, სუ-  
ლიერსა და უსულოს.

— მთვარემ არ მოგვატყუოს, — ნა-  
ნათმა მნათობს ახედა. მისი ძალღი —  
ვეებერთელა, მგელისმჭამელი ნაგაზი  
არდილივით უხმუროდ მისდევდა  
ცხენებს. — როგორ? როგორ და ისე,  
უბრალოდ — ძალიან მატყუარა ვინ-  
მეა.

ფასოს ნატერისთვალს მაინც ვერ გა-  
ეგო, როგორ უნდა ეცრუა მთვარეს.  
მთვარე კი ჩაჰყურებდა ფართოდ გახე-  
ლილ თვალებში და ვინ იცის, იქნებ  
მართლაც ჰქონდა სურვილი რაიმე უე-  
ნებელი, მზიარული ტყუილი ეთქვა.

— მთვარემ თუ დაგაბნია, ნათელ ლა-  
მეშიც ვერსაით წახვალ. — მოხუცის  
ხმა თბილი იყო ჩვილის სუნთქვისავით.  
— თავგაზს დააკარგვინებს გამოუც-  
დელ მონადირეს და მერე საწყალს ის-  
ლა დარჩენია, რომელიმე ასეთ ხეს შე-  
ეხიზნოს.

ხე მაღალი იყო, გლუვი, უტოტო,  
კენწეროს უწვედნდა ვარსკვლავებით

მოკეწილ ცას. მთვარეს ღრუბელი ჩამოეფარა და ნათელი შეუსუსტა. ახლა უფრო მეტად ჩაბნელდა ტყე, ციციანათელუბილა მოსჩანდნენ მანათობელ წერტილებად, ვარსკვლავებისა არ იყოს. მალე კივილიც გაისმა — ჭოტის თუ სხვა რომელიღაც ღამის ფრინველის გულშემზარავი სიმღერა.

— გესმის, — ნანათმა გაიღიმა, — ამაღამ ჭორწილი აქვთ ნადირთმცველებს, გვეწვეითო, გვეპატიებებიან, — ხმები კი სულ ახლოს ისმოდა, ძლიერდებოდა, იზრდებოდა, ხშირდებოდა, — ღვთისსტუმარი მყავს, ძმებო, დღეს ვერ გეწვევით, ვერა, — მთებმა ნანათის ძახილს ეჭო დაუბრუნეს და ეჭოს კი ისევ შეეხმიანა ჭოტი თუ ტყის სული.

— კეთილი, სტუმრიანათ გეწვევით... — ბილიკით უცებ მოისხიბა. ნაგაზი დაწინაურდა და დაიყვება, თითქოს მიესალმარ ბნელში პირდაღებულ გამოქვაბულს.

— მოვედით, — თქვა ნანათ მონადირემ.

აგერელებინა გამოქვაბულის ალაგ ტყავგაკრული გარუჯული კედლები ათინათებს. ცეცხლთან ჩაცუცქული ნაგაზი შემწვარი ნანადირევის ნარჩენებს ხრავდა, აქიციებდა მოკლე, ძირში წაჭრილ კედს.

ფასოს ნატერისთვალს უდარდელად ეძინა ფიჩხისა და დათვის ტყავის სასთუმალზე. მთვარე მოკრძალებით იჭყიტებოდა გამოქვაბულში.

ნანათ-მონადირე გარეთ, ღამის მნათობით გაჩახჩახებულ ბილიკზე დახრილიყო და ძირს გაშოტილ მცურავს დასცქეროდა. მერე ხელში აიყვანა რგოლებად დაგრაგნილი უხსენებელი, ჯაგებში გადააწვინა.

— ანსალა, მანსალა, გველი ფხანასალა, — გაიცინა, ჩანთიდან პურის ნაჭერი ამოიღო, წინ დაუდო, — აი ეს ჭამე, ჭამე, ჩემო გველანა ძმობილო, — მცურავმა წამოსწია თავი და მიამტერდა მოხუცს. ნანათიც უმზერდა

ერთხანს, მერე უცებ დაიჩოქა და მკამუსმა ცა თავზე...

გამოქვაბულში რომ დაბრუნდა, ძალი წკმუტუნით მიეძურწა ფეხებთან.

— რაო, ბიჭო, — ცეცხლისპირას ჩამოვდა, ზურგზე ხელი გადაუსვა ნაგაზს, — რას შვრებებიან შენი სასიკვდილე ცოლი, ძმა და რძალი, ჯერ არ გაუფშეკიათ ფეხები? შენც ხომ ჩემისთანა მონადირე ხარ, ბოროტმა ცოლმა გაქცია ძალღად — ბოროტი ცოლის პატრონი ადრე თუ გვიან აუცილებლად ძალღად უნდა იქცეს. — ნანათს ჩაძინებულის წყნარი სუნთქვა და ცეცხლის ტაცატუცი გაეპასუხა, — ბევრია, ჩემო ცუგუა, შენისთანა და ჩემისთანა მართალი კაცის მტერი ამქვეყნად, ჩვენი გულღვიძლის ჭამა უნდათ, დაუჯინიათ, თუ ნანათის და ცუგუას შიგანს შეგვჭამთ, მოვრჩებიითო. რაო, რა გვეჭირს მოსარჩენით? რა გეწუხებხარ? ათასი ჭირი და სიკვდილი, ბოროტება და ცუდაცობა შეყრიათ და ეგაა. მე კი ვიცი შავის წამალი — ვირივით უნდა ამოუშავო, ქვა და ლოდი არ უნდა დაუღიო ზურგზე, დღეში ერთი იჯრის მეტი არ უნდა აჭამო და ხელად ეშველებათ... ჩასძინებია სტუმარს, ცუგუა, აბა შენ იცი, კარგად უდარაჯე, ქაჯი არ დააწვეს ძილში ჩვენს ნატერისთვალს. ხომ იცი, როგორ უნდა სტაცო პირი აგსულს და გაგლიჯო. თუ გითხრას, გამოიშვი და ბედსა გწვეო, არ დაუჯერო, ცუგუა, ქაჯებს არ დაეჯერებათ...

### III

— ერთობ უცნაური და სულელური სიზმარი ვნახე, ვარდიკო, — ვუთხარი ჩემს ფოფოდიას დილაადრიან, — ვითომ ჩემი მრევლის ხალხი ანგელოზები იყვნენ და მე კიდევ — ღმერთი. ხელმარჯვნივ ბავშვები იდგნენ თეთრად და წითლად მოსილნი, ხელმარცხნივ — ხედაგი, ყოველივე პირუტყვი მოერეკათ. მე ოღაზე ვიყავი დაბრძანებული და სულ არ ვიცოდი რა მექნა. ვამბობდი, მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი და

არა იყვნენ თქვენდა ღმერთი უცნობი ჩემსა გარეშე-მეთქი.

ცოლი თავის საყვრავ მანქანას მიჯდომოდა და შემომცქეროდა. თხრობა რომ დავასრულე, მითხრა:

— პირვეარი ვადაიწერე, გაბრიელ, მაგისტანა სიზმარს სულელურს რომ უწოდებ.

— კარგი ახლა, ვარდიკო, სულელურია, აბა რა არის?

— მაინც რას უნდა ნიშნავდეს? არ შეიძლება რაიმე აზრი არ ქონდეს ასეთ სიზმარს.

— რა აზრზე ლაპარაკობ, რომელი კირილე მღვდელი მე ვარ, წინასწარმეტყველურ სიზმრებს ვხედავდე.

ფოფოდიამ არ მიბასუხა, გულმოსულმა აახმაურა თავისი მანქანა. რასაკვირველია, კამათი არ ღირდა. მაინც ვერ დავაჯერებდი, რომ არც სულიწმინდას, არც მამას და არც მის ძეს ჩემს სიზმრებთან საქმე არ ჰქონდათ, იმიტომ რომ ჩემი რწმენით არ არსებობს არც მამა, არც მისი ძე და არც სულიწმინდა, არ არსებობს სამი ერთარსება, არ არსებობს ღმერთი, მორჩა და გათავდა. რა თქმა უნდა, ზუცესს თავისი ურწმუნობის გამოცხადება მეუღლესთანაც არ ეგების და მეც არასდროს დამცდენია სიტყვა ამის შესახებ არც ვარდიკოსთან, არც სხვა ძეხორციელთან, რამეთუ ღმერთი, თავისთავად არ არსებული და გამოგონილი, წყალზე, პურზე და ჰაერზე მეტად სჭირდება ადამიანს. ღვთისმსახურებას წინაღვეც ქონია უაღრესად დიდი მნიშვნელობა საზოგადოდ დედამიწაზე და განსაკუთრებით საქრისტიანოში, როგორც ამა ქვეყნის ძლიერთა, აგრეთვე უბრალო მოკვდავთა საკეთილდღეოდ. ჩვენს აფორიაქებულ, გაუფქმარებულ დროში უფრო გონივრული მნიშვნელობა მიეცა რწმენას და მეც ჩემს ბედნიერ მოვალეობად ვრაცხ დავარწმუნო მრევლი, რომ კაცთ მოდგმა გაჩენილია იმედთან და არა სასოწარკვეთასთან ერთად და ყოველი მათგანის ვალია შეკურნოს თავი თავისი უფალს.

მივაშურე ჩვენს პატარა იმ უქნარა, ყალთაბანდმა დიაკვანმა ისევ დაიგვიანა. გვარიანად შემოვსწყერი და მერე შევეუღვეით საიმღღესოდ განკუთვნილ საქმეს: მოვიხსენიეთ წმინდა წინასწარმეტყველი იოელი, ნეტარი კლეთპატრა, ღირსეული მამა იოანე და ვინმე უფაროსი. მართალი რომ ვთქვა, წარმოდგენა არა მაქვს ვინ ბრძანდებიან ეს კეთილად სახსენებელი პირნი. მერე მოკლედ ვიქადაგე სიმბოლო სარწმუნოებისა, შევასხენე მართლმადიდებელთ, თუ რა უნდა სწამდეთ და რა არ უნდა სწამდეთ. ბოლოს ვაკურთხე და დავლოცე ყოველივე, რაც დასალოცი და საკურთხი იყო და მზე დასავლით გადადიოდა უკვე, როდესაც სასახლისკენ გაქვით. თუ საყდარში მოწყენილობამ ლამის სული ამოგართვას კაცს, სამადვიროდ ქვემოზატონისას მუდამ უხედადა ახალი ამბები და სასერიო რომ სანახაობა. ამიტომ იყო, რომ ღმრთისა და მრევლის წინაშე ვალმოხდილი, ამასთან, ცოტა არ იყოს, ეკლესიის ყოველდღიური ერთფეროვნებით თავგაბეზრებული, სასახლისკენ მიედიოდი და არ კი ვიცოდი, რომ ფრიალ ღირსშესანიშნავი ამბის — უფრო სწორად — ამბების მოწმე შევიქმნებოდი.

ეს ის დღე გახლდათ, ჩვენმა ბოქაულმა რომ ცოფები ყარა. ერთი წელია უკვე არაკეთილ თუ ზღაპარივით მაყოლებენ ამ ამბავს მეზობლები და არ ბეზრდებათ ათასჯერ გაგონილი ათასმეერთედ მოისმინონ. ჩემი ფოფოდია დღესაც ცრემლით იცინის უგუნოს გააფთრების შესახებ რომ მოუფთხრობ. არადა, მე თუ მკითხავთ. არაფერია აქ სასაცილო და სამხიარულო, პირიქით, მეტად სავალალო და ჰუუსისასწავლო გავეთილია ყოველივე, რაც იმ დღეს დაიწყო ქვემოზატონის სასახლეში და მერე ისრებივად ცუდად დამთავრდა. თუმცა მართალს არ ვამბობ — ეს ისტორია იმ დღეს კი არა, გაცილებით ადრე დაიწყო, უგუნოს ცოფებამდე, ნოურავის შემწებამდე, ბაღის დისშვი-



ლის გამოჩენამდე აღრეც. ეს ამბავი ალბათ მაშინ დაიწყო, როცა ლმერთმა თავისდა სასერიოდ და ჩვენდა დასაქცევად ადამს ნეკნი დააკლო და ევა გამოძერწა, ან იქნებ უფრო აღრეც, — როცა მამაზეციერმა ადამიანი შექმნა და ზედ შური, სხვისი სიკეთის მისაქუთობის სურვილი და უტიფრობა დაანათა.

მე რომ მოვედი, ბოქაულს სტუმარი ჰყავდა და თავის მისაღებში იყო გამოკეტილი. მსახურები ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილნი დაძრწოდნენ წინ და უკან, რადგან წლების მანძილზე გამომუშავებული გუმანით გრძნობდნენ, რაც მოჰყვებოდა სასახლეში დიდუკარ გოჯასპირის გამოჩენას. პირადად ვიცნობდი ამ სამოცდახუთი წლის ქორს, ქარხნების მფლობელს, უზარმაზარი ქონებისა და შეძლების პატრონს. მასზე ამბობდნენ, იმდენი ფული აქვს, ბანზე გაფენს და ამზეურებს ხოლმეო. ქვემობატონისგან ყოველწლიურად უამრავ ხე-ტყეს ყიდულობდა — ძველი მუშტარი იყო. ბოლო ხანს რატომღაც მისი ვალი დაედო ჩვენს ბატონს. გოჯასპირსაც ეს უნდოდა — სიამოვნებით გადასანსლაედა მთელს ქვემოსოფელს. პოდა, რასაკვირველია, მისი სტუმრობა უგუნოს სასიხარულოდ არ დაურჩებოდა. გაბრაზებული უგუნო კი შტრისას — სამიში კაცი იყო. მსახურებს ალექსანდრე ბატონის ვანრისხედაც კი ათასჯერ ერჩივნათ ბოქაულის უბრალო ღიმილს. წარმოიდგინეთ, როგორ „ეყვარებოდათ“ გაჯავრებული უგუნოს დანახვა. ამ „სიყვარულის“ გამო სასახლეში ისეთი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, აედარს რომ უძღვის ხოლმე წინ.

დიდი ბატონი ნასაუზმევს ძილს მისცემოდა. უგუნოს არ ეცალა. მეღქისედექი სად იყო, არავინ იცოდა, ასე რომ დროის მოსაკლავად სიმაგრის ახლომახლო დაესვირნობდი. დარბაზი შუა დაბაში იმყოფება და გარს უწინდელი საყმო. ახლანდელი საიჯარო მამულეზი აკრავს. თუად ციხის სიგრძე სამასი

საყენია, სიგანეც ერთი ამდენი. ბატონის შიგნით ასე ასორშოცდაათი კომლი ვცხოვრობთ. ერთმანეთს მისჯარიან ძეძვით შემოლობილი ვენახები და თითოსართულიანი ოდები. მაღალი შენობა ორია — ჩემი ახალი საყდარი და ბატონის სასახლე. ციხეს სამი უზარმაზარი ალყაფის კარი აქვს. მათ კარგახანია აღარ კეტავენ. რამოდენიმე პატარა კარიბჭეცაა კედლებში დატანებული. უწინ, მამაპაპათაგან გამიგონია, ამ ციხეს შიშინანობის დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია ქვემოსოფლისთვის; ამბობენ, მისი კედლების ასაგებად უწყლობის გამო ქვეთიკის ფურკამენის რძით ზელაედნენო. მართლაც ციხე ისეთი მაგარია, კენჭს ვერ ამოიღებ, რომ გინდოდეს. ახლანდელ კალატოზებს კი უკვირთ...

სეირნობით ვუვლიდი გარს ბატონის ორსართულიან სასახლეს და რა დასამალია, მოუთმენლობა მკლავდა გამეგო, რისთვის უნდა მიგვეწერა დიდუკარ გოჯასპირის მობრძანება და რას იტყოდა ჩვენი ბოქაული.

დაწერილებით მაინც ვერაფერი შევიტყვე. სასახლეში რომ მივბრუნდი, სტუმარი წასული დამხვდა, უგუნო კი, როგორც მოსალოდნელი იყო, აღრენილი და აყეფებული. მომესმა, როგორ უბრღვევდა დერეფნის ბოლოს რომელიღაც საცოდავ მოჯამაგირეს და გადაეწყვიტე სათოფეზე არ მიეკარებოდი. მეორე სართულზე ავედი, რათა ქვემობატონის სუფრა მეკურთხებინა წესისამებრ.

მოსუცს ჩვეულებად ჰქონდა აივანზე მარტო, თანამესუფრის გარეშე ესადილა ტახტზე მიწოლილს. მხოლოდ მე მქონდა უფლება ჯვარი გადამესახა, ჭიქ-ღვინო ამეწია და ჯანმრთელობასთან ერთად კარგი მადა გამომეთხოვა ბატონისთვის მამაზეციერისაგან. აივანი ბაღში გადიოდა და ცაცხვების ჩრდილი იცავდა მზისგან. ტახტის მახლობლად პირი დაედო ბუხარს, რომელიც სიცივეში აქურობას ათბობდა. ბუხარი სავანგებოდ აეშენებინათ, რადგანაც

ალექსანდრე ზამთარშიც ვერ ელუოდო ამოჩემებულ კუთხეს. ასლა ბუნარში, რასაკვირველია, ცეცხლი არ. ერთი და ზელზე მოსამსახურე ბიჭს ზედ ბატონის მოიჭერილი ყვარჯენი აეუღღებინა. მოხუცი მხართებოზე წამოწოლილიყო და სადილის მოლოდინში გრძელ ყალიონს ეწეოდა. ბოლი ლურჯი აბრეშუმის ზოლივით მიიკლაკნებოდა. ბიჭი ბუნებზე უგერიებდა, გაჩხინებული იყო, უშემლობით ფერი აღარ ჰქონდა, უფეს-საცმელობით ფეხისგულეები დახეთქოდა, მოკლედ, ძლივს იდგა.

— გაგიმარჯოს, მამაო, როგორ გიკითხოთ? — ბატონმა ოქროს სათვალე შეისწორა ცხვირზე და ხელისგულს ისე დახედა, თითქოს რაც თქვა, იქიდან ამოიკითხათ.

ამ დროს პამპულიამ სადილი შემოიიტანა უზარმაზარი სინით — ინდაურის საცივი, ხელადა ღვინო და მსხალი. მე ჩემი წესი აღვასრულე და თავაზიანად დავეთხოვე ბატონს. ვასვლისას ბიჭს შეველე თვალი. საწყალს გუქი ეწოდა შიმშილით. ნერწყვის ყლაპვას ვეღარ გაუძლო და ჩემთან ერთად აბირებდა გამოსვლას.

— სად მიდინარ, ბიჭო, არ დაიკარგო, ნარჩენები საღორეში წაიღე, — უთხრა ბატონმა.

— მე კი ვიცი სადაც წავიღებ, — ჩაილაპარაკა ბიჭმა. იცოდა, მოხუცს ყურთ აკლდა. ალბათ მეც გამოყრუებული ვეგონე, რა ღმერთი გამაწყრებოდა ამ ხნის კაცს, — ალექსანდრეზე უფროსი თუ არა, უმცროსი ნამდვილად არ ვარ, — მისი სიტყვები გამეგონა, არადა ჩემი ყურთასმენა ბევრ ახალგაზრდას შეშურდებდა. საწყალ ბიჭს საიდან უნდა სცოდნოდა. მეც წავყრუე, დავემშვიდობე ჩვენს გადაბერებულ, სახისფერით და გამოიმეტყველებით სიცოცხლეშივე მღვდარსდამსგავსებულ კეთილ ბატონს და კარი გამოვხურე.

მერე იყო და მსახურება, სუფრებზე გიწვევენო, მომპასუნა. უგუნო და მეღქისეღქი ქვემოთ. სასადილო ოთახში მგლოდნენ. ერთხელაც მომინდა სუფ-

რის კურთხევა. უგუნო მომხმულს სისათზე იდგა, კრინტი არ დაუძრავს. უხმოდ შეეძვეოდა საცივს და ვგონებ არც იცოდა რას ჰამდა. ბატონიშვილიც უტყვად მიირთმევდა, მხოლოდ ერთხელ გაბედა და ჰქაა გაუწოდა ბიძამისს, რომელიც მალიმალ ისხამდა ღვინოს.

— ბატარა მეც დამალევიანე ეგ ღვითთ მოცემული, — აქამდე დაკვირვებით აღვვებდა თვალს უგუნოს გუნებ-განწყობას და ხუმრემად ილიმებოდა.

ბოქაულმა თხოვნაზე პასუხი არ ვასცა, ისევ თავისთვის დაისხა და მეც შემეცა ჰქაა.

— ღვინო დამისხი, — გაუმეორა მეღქისეღქმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ბიძამისი საერთოდ უშლიდა მისას. უგუნომ ისეთი თვალით შეხედა, ღვინო კი არა, სადილის ჰამაც კინალამ მიატოვებინა ბიჭს.

პამპულიამ უგუნოს წერილი შემოუიტანა. ისედაც გუნებაწამსდარმა ბოქაულმა დახედა თუ არა ბარათს, გააფთრებულმა გატეხა ბეჭედი და ტუჩების კვნებით წაიკითხა უსტარო, რომელშიც ჩანდა სასიკეთო არაფერი ეწერა. მართლაც, ერთხანს გარინდებული იჯდა და სახეზე ეტყობოდა, რომ გულზე სკდებოდა.

— გეყოფა ჰამა, წადი — უთხრა მეღქისეღქმა. ბატონიშვილი უხმოდ წამოდგა და დაგეტოვა.

— გადავირევი, მამაო, რაღა დღეს მოუნდა ყველას: ჯერ იყო და დილით იმ ცოცხალმა ღეშმა შემეწუხა გულო, ახლა ამ წურბელას უყურე, რას იწყებდა.

— ვისგანაა? — ვკითხე.

— ჯანაოზისგან. თუ საგირავნო არ გადავიხდიათ ორ თვეში, საქმეს სასამართლოს გადაეცემო. მოდი და ელოლიავე ამათ.

— გოჯასპირმა რაო, რა მინდაო?

— იმანაც ასე დაახლოებით. გასკდები გულზე, ამის... — უგუნომ მწარედ შეუყურთხა მოვალეებს.

ჯანაოზი, წერილის გამომგზავნი, მე-

ზობელი მიწათმფლობელი იყო, საშინლად ძუნწი, საკმაოდ მდიდარი კაცი, მოზრდილი მამულისა და აუარებელი ცხვარ-საქაინის პატრონი. ქალაქელი მილიონერისა არ იყოს, მასაც თვალთუქირა ძალაშერყეული ქვემოზატონის ქონებაზე. ალექსანდრეს გირაოდ ჰქონდა აღებული მისი ერთ-ერთი განაპირა მამული და ახლა, რაკი ვადა ამოიწურა, ჯანაოზი გამოსასყიდს თხოულობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის მისაკუთრებით იმუქრებოდა.

კიდევ დიდხანს იწყევლებოდა და ილანძვებოდა უგუნო — ძალღის ყბა გამოიბა: ყეფდა და ყეფდა. მეც სხვა რა გზა მქონდა, ვამშვიდებდი, მაგრამ რად გინდა — ის იყო ოდნავ დაშოშმინდა, ჩაფარი გამოეცხადა, — მისი ხელქვეითი — უგუნოს რაზმში თხუთმეტი ხელარგოსანი ჰყავდა, რომლებიც ბოქაულის მეთაურობით წესრიგს და ქვეყნის ღირსებას იცავდნენ ქვემოსოფელში, — ჰოდა, ერთი ჩაფარი გამოეცხადა უგუნოს და ხომ გაგიგონიათ, გაპირებულ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო, — მოახსენა: დურგალმა ქალიშვილი გადამალა, ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ, ვერ გაგვიგიაო. ცოფები მაშინ უნდა გენახათ: ერთიანად აკანკალდა, კბილები ააკრაპუნა და იფეთქა, მაგრამ რა იფეთქა — სასახლე დააზანზარა, დაერია მსახურებს, შეკრიბა თავისი რაზმი, დაგზავნა ტყეში ჩაფრები — ვის იპოვინდნენ ასე უგზოუკვლოდ, — და სასწრაფოდ გაექანა საჯინიბოსკენ.

გამოუდღეკი. საქმე რაში იყო მშვენივრად ვიცოდი. ის ქალი მეც მყავდა ნანახი და სულ არ მიკვირდა უგუნო ჰკუას რომ კარგავდა მისთვის. საოცარი ის იყო, სხვებს — უკლებლივ ყველა მამაკაცს იგივე რომ არ ემართებოდა. ჩემთვის ისიც ცნობილი გახლდათ, თუ რა უნამუსო ხერხით მოქმედებდა უგუნო. არც ეს იყო დაუჭერებელი — სხვა თუ არა, მე მაინც ვიცნობდი ბოქაულს. ჰოდა, რომ ვიცნობდი, მიტომაც მივდეგდი დაოთხილი — ხალხი მეცოდებოდა. არადა, როგორ ემუქრებო-

და გაცოფებული უგუნო ფასოს, ბადას და მათ შეგობრებს. ყველაზე ხშირად მექაშნიკის დისშვილს ასხენებდა — მას თვლიდა მთავარ დამნაშავედ. მაშინ ჯერ არ ვიცნობდი იესეს, მაგრამ ფიქრობდი, დიდი მონერხებული, გულადი ბიჭი ყოფილა-მეთქი და მეცოდებოდა. მთელი ქვემოსოფელი მეცოდებოდა.

უგუნო უკვე ამხედრებული იყო, რომ წამოვეწვი.

— ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დაამკვიდრონ ქვეყანა, — ვუთხარი.

— იქით, მამაო.

— ქალის შარია, — ვთქვი მე, რადგან არ ვიცოდი სხვა რა მეთქვა, — ღმერთმა დაგიუაროს ქალის შარისგან.

— რაო? ქალი რა არის, მამაო, მისი შარი რა იყოს. უგუნო არ მერქვას, თუ არ ვანანო მაგათ. გადაეცი — ხვალვე მოგაგკვიანებთ თუ კაცი ვყოფილვართქო.

— შენ უკეთ იცი, — ჩაილაპარაკე, — ოღონდაც ეს შარი ქალის შარზე მეტია, — არ ვიცოდი რას ვამბობდი და თურმე ვწინასწარმეტყველებდი.

მან კი ყურიც არ მათხოვა, ცხენს ქუსლი შემოჰკრა და ქალაქისკენ გააქენა. დაერჩი ასე პირხესიტყვაშემშრალი, ხელი ჩაიქნიე და ახალა შეენიშნე — ჩამოღამებულიყო. გამოვბრუნდი საღამოს ლოცვით:

— უფალო ღმერთო ჩვენო! რაცა შეგცოდეთ დღეინდელსა ამას დღესა, სიტყვით, საქმით და გულისხმის ყოფით, ვითარცა კაცთ-მოყვარემან მოგვიტევენ ჩვენ: ყოფით მშვიდობა და უშფოთველობა მოგვანიტევენ ჩვენ. ანგელოზი შენი, მფარველი მოგვევილინე, მფარველი და დამცველი ჩვენი ყოვლისაგან ბოროტისა, რამეთუ შენ ხარ მფარველი სულთა და ბოროტთა ჩვენთა და შენდა დიდებასა აღუავლენთ, მამისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

#### IV

უძილო, აწრიაღებული დამე ჩამოღვა ქვემოსოფელში. მითქმა-მოთქმა

ეზოდან ეზოს, სახლიდან სახლს აწყდებოდა: „გაცოფებულა, ამბავი რომ მიუტანიათ — პირდაპირ ქალაქისკენ გაქანებულა — ჩემი თვლით ვნახე, მათრახი ცხენს ისეთი ძალით დაარტყა, თითქოს უნდოდა ცხრა პირი ტყავი აედრო — ცხრა პირს ხელისგულზე აიტყავებდა მათრახის ტარით — ხვალ გამთენიისას უკვე აქ იქნებიან — უთენია დაგვადგებიან ეგ ოხრები — რა გვეშველება ნეტავ — რა ცეცხლში გადავვარდეთ — ჩვენ რა დაგვიშავებია, ჩვენთან რა ხელი აქვთ — ძალიან კი გავგირჩევენ მტყუანს და მართალს — იმათ ივითხოვნ, იმ უბედურებმა...“ არ ცხრებოდა შიშნარევი თრომტრიალი...

იმათ გათენებამდე მიატოვეს ქვემოსოფელი — კოდარას გორას შეაფარეს თავი. გზა ერთი იყო — მიაგდეს ჯერაც გაუნელებელი კერია და ნაჩქარევ სამზადისს დაჯერებულნი, გონმოუკრეფავად აყრილნი, სახელდახელოდ აღჭურვილნი საგზლითა თუ იარაღით, იდუმლის ძველ კოშკში გამაგრდნენ. მხოლოდ ბადა ჩამორჩა ურმით მავალი — ცოლ-შვილი გაჰყავდა მეჭაშნიკის უკუნი ღამით სამშვიდობოს...

უგუნო ქალაქს წავიდა. ეს ბრძოლის დაწყებას ნიშნავდა, ბრძოლის კი არა — ანგარიშსწორების, სასჯელის მიგების, უსამართლო განაჩენის აღსრულების დაწყებას. ან მორჩილად უნდა შეგებებოდნენ მათრახს, ან გარიდებოდნენ დროებით — გაქცევა არ ეთქმოდა მათ საქციელს — პასუხი, წინააღმდეგობა იყო მხოლოდ. ბადა მეჭაშნიკს გაუჭირდა სხვებზე მეტად ეს არჩევანი — მხოლოდ ის იყო წვრილშვილიანი, ქალებისა და ბავშვის პატრონი, მაგრამ გზა ერთი იყო და არა ორი: კოდარას გორისკენ მიმავალი გზა.

უგუნო ქალაქს წავიდა. ქალაქში ასისთავი დავითი ეგულეობდა, შავ-დათუას რომ ეძახდნენ ხალხი ზურგსუკან ზიზლით. შავ-დათუა უგუნოს მეგობარი იყო და უბრალო დაბის ბოქაულივით თხუთმეტკაციან რაზმს კი არა, ხელარ-

გოსთანა ჯარს განაგებდა. მანამ უკვე ელოდა, მთელ ღამეს ელოდა სიცხიანი ვით ამორგებული ქვემოსოფელი...

ურემი სწრაფად მიიწეოდა თელეების კრიალით. ილანკულას მუხლებშორის მოქცეულ, ქარქაშში ჩაქანებულ ვეება ხმაღზე მისძინებოდა.

შეუძახა ბადამ ფურკამებს, ურემს აღმართში რომ მიათრევედა, შოლტი მოუქნია, გადაჰკრა: — ულამურ ცხოვრებაში წვერულვაში გამითეთრდა, თითქოს ასეთი დავიბადეთ — არც კი მახსოვს, ბავშვი ვიყავი თუ არა.

— რა თქვი, ბადა? — გამოეხმაურა ცოლი.

— არაფერი, ფისასო, დაქეპალას ვეკითხები, დედოფალა თუ წამოიღებ-მეთქი?

ბნელოდა. მეჭაშნიკის ცოლი და ქალიშვილი გვერდიგვერდ ისხდნენ, წინ იმდღევანდელი სადილის ნარჩენი ედგათ კალათით — ცოტაოდენი პრასის შეჭამანდი. „რალა დროის დედოფალა“, — შვილის მაგივრად გასცა პასუხი ბადამ თავის შეკითხვაზე. გზა თავქვე დაეშვა. ერთხანს უფათურაკოდ მიიწევედნენ. მერე დაღმართში კამჩიმა თავი ველარ შეიმაგრა, საცალოები უკან გადაქანდნენ, პირუტყვის აპურებმა ყელში მოუჭირეს, აღრჩობდნენ...

ძლივს მიეშველა ბადა...

მდინარეს მიადგნენ. თენდებოდა უკვე.

— სახიფათოა აქ გასვლა, — თქვა ფისასომ, — ფონი კია, მაგრამ მდინარეს, ხედავ, რამოდენა ხეები და კარხხალები მოაქვს.

ავდარს უდროოდ აედიდებინა იდუმალა.

— ზღვაც რომ იყოს ვადმოვარდნილი, უნდა გავიდეთ, — თქვა ბადამ, — ველარ გავასწრებთ.

— ნუ შევალთ. აზღვევებულისა წყალი, — თქვა დაქეპალამ. უკვე სანახევროდ შესულყვენენ მდინარეში.

— არა, — ბადამ შოლტი გადაჰკრა პირუტყვის.

ფრთხილად შეცურდნენ მღვრიე ტალღებში. ფონის ადგილას წყალი ოდნავ მდორედ მოედინებოდა, მაგრამ შესვლისთანავე კოფომდე ჩაიმალა მდინარეში ურემი. სამ ნაბიჯზეც არ იყვნენ ნაპირს დაცილებულნი, კამეჩი ჩაწვა. ბადა ხედავდა სიბნელიდან ამოტივტივებულ ვეება კარჩხალეებს, დაუნდობლად რომ მოექანებოდნენ და ცდილობდა ფური წამოეყენებინა. ვვიანლა იყო — დარტყმამ გვერდზე მოისროლა... წამოდგა, წამოიწია, დაქვიდა ტალღებს, ხეებს, ურემს. თავისი ხმა მოესმა — დახმარებას შესთხოვდა ჩაბნელებულ ნაპირს, მუხას, თელას, ნძვს, წიფელს. ვაუკვირდა კიდევ, ერთი თვალის შევლებით რომ იცნო სასწაულად მოვლენილი მშველელი. ბატონიშვილს ახალუხი ვახება და უღელზე მკერდით გადაწოლილს უკვე სანახევროდ შემოებრუნებინა კამეჩი. კარჩხალი მთელი ძალით დაეჯახა მელქისედექს და ურემი შუა წყლისკენ გაიტაცა.

— გვიშველეთ, — ბადას ძლივსგასავონად ჩაესმოდა ცოლისა და შვილების ძახილი. ბატონიშვილი წყალს ებრძოდა თავგამოდებით. მდინარის შუაგულში აძლვლებულ ნაშეზე მოაკიდებინა ფეხი კამეჩს. კარჩხალი დაუცერავდა: მერე ტალღამ შეატრიალა. ურემს მოსტაცა და ნაფოტივით გაიტაცა.

ბადამ თავისუფლად ამოისუნთქა.  
— ახლა ნულარ გეშინიათ, — თქვა მელქისედექმა, როცა ვალმა ვავიდნენ და სანამ მეჭაშნიკეც გადმოლახავდა მდინარეს, სიბნელეს შეერია...

უგუნთომ ოფლად გახვითქული ცხენი შემოაჭენა საყდრის ეზოში, გალაგანს იქით დაბა და ღრმად ამოისუნთქა...

ელი წუმპე წყლის პირას იჯდა, ბაყაყებს ელაპარაკებოდა:

— ძაფი მომიტანია, წინდები მომიქსოვეთ, — გადაიბოტა ტბორზე, — მომიქსოვთ თუ არა, მაშ მომიქსოვთ. მადლობათ... მეშინია, — თქვა მერე — მეშინია. მეშინია. მეშინია.

შეშმა მოიცვა ქვემოსოფელი. ეში-

ნოდა ღეთის სახელით, მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით. ეშინოდა: საბლის ანგელოზს — დამწვარი სახლის, დედას და მამას — მოკლული ვაჟის, შერცხვენილი ქალიშვილის, ცეცხლის ანგელოზს — ხანძრის, ჭერის ანგელოზს — დაქცეული ჭერის, ცის ანგელოზს — დაბნელების, მზის ანგელოზს — ჩამქრალი მზის, მთვარის ანგელოზს — სისხლიანი მთვარის. ეშინოდა კაცს და დედაკაცს, დიდს და პატარას, კამეჩს და ხარს, ღორსა და ცხენს, ძაღლსა და კატას, ფრინველს და ქიას, აზრსა და ფიქრს... დაფეთებული ქათამი კრიახით ვადმოვარდა ქანდარიდან და საბუღარს მიაშურა. ცოტაც და თეთრი ქორი შემოჯდებოდა საცოდავად აქანავებულ ცარიელ ქანდარზე.

ავდარს კი ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ჭროდა დაუღვრომელი ქარი და ელი განაგრძობდა მოთქმას:

— ზენი და ქარები ვარდაიცვალნენ. გადაჭრილიყვნენ.

კიდევ დიდხანს მოდიოდა შავი წყალი ქვემოსოფელზე, მოპყავდა შავი უხსენებელი... შავი დაშნა კი არსად იყო.

დაუღვრომელი ქარი ჭროდა ქვემოსოფელში.

V

— სად არის ღმერთი, მამაო? რა არის ეს, მითხარი. რა არის ეს?! — მეკითხებოდა აღელვებული, სულით ზორცამდე აღშფოთებული და განცვიფრებული მელქისედექი. ახლადგამორჩეილ წიწილასავით უკვირდა, რომ ქვეყანა ნაქუქვივით თეთრი და სუფთა არ იყო. ვერ ვბასუხობდი — რა უნდა მეთქვა. ის კი აპარხალეებული მომჩერებოდა და ჯიუტად მიმეორებდა, — რა არის ეს, მამაო? — თითქოს ბრალი მიმიძლოდა იმაში, რაც ხდებოდა, რასაც პირველად ხედავდა ბატონიშვილი მას შემდეგ, რაც ბავშვობა დაასრულა და დამოუკიდებელი განსჯის უნარი გაუჩნდა.

ის, რაც ხდებოდა, გამოცდილ და ჭირნახულ კაცსაც აღელვებდა. იმ შე-



შლილმა დედაკაცმა ხომ სულ აიწყვიტა — ვერა და ვერ გააჩუმეს ჩაფრებმა. დასდევდნენ, მაგრამ ელის დავერა არ მოხერხდა. მეშინოდა, არ ესროლონ-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი ცოდვის ჩადენას ვერ ბედავდნენ ის წაწყმედილები. ჰოდა, ელიც დაქროდა ქარივით და გაჰკიოდა თმაგაწეწილი სისხლგამყინავად, თითქოს რაც ქვემო-სოფელში ხდებოდა, ისედაც საკმაო უბედურება არ იყო მისი განწირული გოდების ვარაუდი.

მელქისედეკი კი იღვა ჩემს წინაშე და მე მთხოვდა პასუხს, რადგან სხვას ვერვის მოსთხოვდა. აეთრთოლებინა საკუთარი უმწეობასა და უსუსურობას. ვერაფერში ჩაერეოდა, ვერვის დაეხმარებოდა, ვერვის შეაჩერებდა, არადა, მთელი არსებით ამოიხეზულიყო. უგუნო და ქალაქიდან წამოყვანილი დამსჯელი რაზმი დამნაშავეებს: ბადას, ფასოს და მათ მეგობრებს დაეძებდა ვითომ. მაგრამ ხელარგოსნებისთვის მიზეზი საბაბისგან არ განირჩევა და პირიქით — საბაბი მიზეზისაგან. ჰოდა, რაღა სათქმელი ან რა ვასახსენებელია იმ დღევანდელი ცოდვა-მადლის კითხვა, მელქისედეკიც კი რომ აუჯანყა საკუთარ ოჯახსა და წარმომავლობას.

ყველაფერი, აღბათ იმ შეკითხვით დაიწყო, ბარე ასჯერ რომ ვამიმეორა, — რა არის ეს, მამო, რა? — მე ვლუმდი და ვცდილობდი გამერკვია, რაღა მაინცდამაინც მე მთხოვდა პასუხს ასე დაყინებით და მივხვდი: ჩემს წინ იღვა კაცი, კაცი და თავის მოძღვრისაგან ბავშვურად ელოდა ახსნა-განმარტებას, ისე, როგორც აღრე, წლების მანძილზე ხდებოდა: კითხვას კითხვაზე მაყრიდა და მეც მოთმინებით ვუქმყოფილებდი ცნობისწადილს. ოღონდაც ახლა ასე იოლად ვერ გავცემდი პასუხს, რადგან კითხვა აღარ იყო ბავშვური. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემს წინ იღვა კაცი, რომელმაც ახლა, სწორედ ამ წუთს, ამ შეკითხვით დაასრულა შეგიძრობა. ჩემმა აღმოჩენამ გამოიკა და სიამაყე მომგვარა...

მე მაშინაც ასეთი ვიყავი, ახლა რომ ვარ: ბებერი, ჭალარა, მოხრილი. ის კი მიწას ძლივს აჩნდა. მახსოვს, ისედაც ერთიციქვანა მუხლს რომ მოიყრიდა. დიდი თვალეებით ამომხედავდა და ჩემთან ერთად იმეორებდა დაწყებით ლოცვას:

— სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ. — შეჩერდებოდა, იხსენებდა. — დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება. დიდება მამისა, და ძესა და წმიდისა სულისათა, — წმიდასა სულსა, — შევეუსწორებდი მე, — და წმიდისა სულსა აწ და მარადის და უკუნიითი უკუ-ნი-სამ-დე. — ამას მკვეთრად, დამარცვლით იტყოდა, რადგან გამოთქმა უქირდა, — უფალო შეგვიწყალე, — და წამოხტებოდა. — რა დაგავიწყდა, ბოლოს რა უნდა გეთქვა, — ისევ დაიხოქებდა და ოხერას ამოყვალებდა, — ამინ. — მერე კი აჩქარებით გარბოდა ბაღში პამპულიასთან სათამაშოდ.

— ამაზე დაღვრილი ცრემლებიც მახსოვს. აღბათ, სამუდამოდ შესძულდა ლოცვა, რომელსაც სწავლის დაწყების წინ წარმოხატვამდა ხოლმე საველილიმისჯილის ხმითა და სახით:

— ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მოშინებულნი გულის ხმის ყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენთა, რათა ჩვენ უურად მიღებულნი გარდმოცემულისა ჩვენდა სწავლისა, აღვიზარდნენ შენ შემოქმედისა ჩვენისა სადიდებლად, მშობელთა ჩვენდა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულისა სასარგებლოდ.

შემდგომ თანდათან გემო გაუგო ამ ლოცვას.

— არა კაც კლა.

— რა არ უნდა ვქნა?

— კაცი არ უნდა მოკლაო.

— ქათმის დაკვლა შეიძლება?

— არა, შენთვის არც ქათმის. არა იპარო.

— მესმის. სხვისი არაფერი დაუკითხავად არ უნდა ავიღო.

— ჰო, არა იმრეშო.

— რაო?

— არაფერი. პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

— ბაბუას და ბიძას ხომ უნდა ვეც პატივი.

მერე და მერე რთულდებოდა ჩემი ამოცანა. უნდა ამეხსნა, რას ნიშნავს სულთი გლახაკნი, სიმართლისთვის მშვირ-მწყურვალნი, მშვიდობის მყოფელნი... შემდეგ შეკითხვები, ათასნაირი, გაუთავებელი შეკითხვები. არადა, პასუხი უნდა ვამეცა — სხვაფერი არ შეიძლებოდა. პოდა, ვურევდი ერთმანეთში ტყუილს და მართალს, გავონილს და გამოგონილს.

— ავლანისტანის მეფე ვინ არის? — შეკითხებოდა შეუხრალეზლად, გამარჯვებული სახით.

— აბდურახმან ემირი.

— დიდი ბრიტანეთის?

— ეგ ხომ ვითხარი — ვიქტორია დედოფალი.

— იტალიის?

— გუმბერტ პირველი.

— სპარსეთის?

— ედინ დინ შაჰი.

— ოსმალეთის?

— აბდულ-ჰამიდ მეორე.

— შევიცარიის მეფე ვინდა?

— ჰო, იქ მეფე არა ჰყავთ. პრეზიდენტი, გვარად ცეშვე.

— პრეზიდენტი როგორია?..

და ვინ მოსთელის, რაზე არ მიხედებოდა პასუხის ვაცემა: რომ დედამიწაზე ათას სამას სამოცდაათი მილიონი კაცი და ქალი ცხოვრობს, მდინარე მისისიპი მისურით ხუთიათას ხუთას ოთხმეტი ვერსია, ცაზე ექვსი ათასი ვარსკვლავია, ადამიანს თავზე ასოცდა შეიღიათას ცხრას ოცი ბალანი მოეპოვება.

ერთხელ გახარებულმა მოიბინა:

— მამაო, შენ ყველაზე დიდხანს იცოცხლებ.

— რატომ გგონია? — გამეცინა.

5. „მნათობი“, № 2.

გაიქცა, დამტვერილი წიგნის მბრუნებელი ბენინა და დიდის აზბით წამიკითხა:

— „სხვადასხვა ხელობის თუ საქმის შეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე სწავლულის ოგლის გამოანგარიშებით ამ რიგად გამოისახება: ყველა ას კაცში კვდება: სასულიერო წოდების პირი — ოთხი, მეზაღე — ხუთი, მეურნე — ექვსი“... და ასე შემდგომ.

— მერე, იქნებ მე იმ ოთხთა შორის ვარ, — ვუთხარი ღიმილით.

— მე მინდა რომ არ იყო, მამაო, თორემ იქნებ ხარ კიდევაც, მე რა ვიცი, — მიპასუხა დაციწვით გაგულსებულმა...

თანდათანობით სასიამოვნო და სახალისო გახდა ჩვენი საუბრები. მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობაში აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ცოტათოდენ სიბრძნეს მასწავლებელიც მიიღებს მოწაფისგან და საბოლოოდ ერთის ცოდნა მეორისას მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაუტოლდება. ამ ხნიდან ჩემი ფოფოლი მუდამ სიამოვნებით გვიკვდება ყურს, მშვიდად მკდარი ოთახის კუთხეში. თუ სასახლეში ვიყავით, მაშინ პამპულია ჩამოგვისკუბტებოდა ხოლმე სმენაღქცეული. ასე რომ, მსმენელი არასდროს ვეკვებია.

— ჩვენ რომ ჰაერს ვეძახით, მეცნიერები იმ უხილავ სხეულს ატმოსფერას უწოდებენ, მამაო, თურმე.

— ჰაერი მაღლა თხელია და ამიტომ ძნელიც არის და საშიშიც კაცი ათ ვერსზე მაღლა ავიდეს.

— ადამიანს თხელ ჰაერში სუნთქვა უძნელდება და ვერ ძლებს...

პამპულია და ბატონიშვილი თანატოლები იყვნენ. ჩემს ცხოვრებულ მნათეს ცოლად ქვემობატონის მოახლე ჰყავდა. დედამისის სიკვდილის შემდეგ (მაშინ ცამეტი თუ ოთთხმეტი წლისა იყო და მეღქისედექის შეფვარებაც მოესწრო უკვე) პამპულიას ადგილი მემკვიდრეობით ერგო. გოგონები ადრე ასაკდებიან, ვიდრე ბიჭები — ბატონიშვილს წიგნებისა და რუკების მეტი არა ახ-

წოდება, პამპულიას კი თავი განწირულ მიჯნურად წარმოედგინა უკვე. ყოველივე ამას კარგად ვნედავდი (რა დიდი დანახვა უნდოდა), როდესაც ბიჭს ვესაუბრებოდი და შეიგადაშიგ თვალს საქმიანად მოფუსფუსე პამპულიას შეეაფლებდი ხოლმე, მთელის გატაცებით რომ გვისმენდა, თუშკა ჩვენი ნალაპარაკების ნახევიარიც არ ვაეგებოდა.

— დედამიწას ციხე მნათობებთან დიდი კავშირი და ურთიერთშორის დამოკიდებულება აქვს და ყველაფერი ამ კავშირით და დამოკიდებულებით აიხსნება ხოლმე, მაგრამ ადამიანის გონება ჯერჯერობით ისე ფართოდ არ გაშლილა, რომ მისწვდეს ყოველისფერს იმ წვრილმანს, რაც ხდება დედამიწის მანათობელთა შორის.

— აბა, რას უნდა მივწვდეთ, მამაო, როცა უახლოესი ვარსკვლავი ცენტავრა დედამიწიდან შუქის ოთხი წლის საფარზეა. შუქი კი სივრცეში სუთითათს ვერსს გარბის.

— რა უზომო და უკვალო უნდა იყოს ეს მანძილი...

— აქედან ამჟამად ჩანს, თუ რა დიდი და ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელ სიშორეზეა უახლოესი ვარსკვლავი დედამიწიდან.

— ადამიანის გონება ვერც მისწვდება და ვერც ვაიგებს ოდესმე რა დიადი და უსახდგროა უზენაესის ქმნილება.

ჩემს ცოლს, ვარდიკოს უზომო სიამოვნებას გვრიდა ჩვენი საუბრის მოსმენა. ვაგვიწყობდა ტკბილ სუფრას — მურაბით, რახათ-ლუხუმით, ჩირს და ჩურჩხელას მოგვართმევდა ტკბილ ალუბლის ნაყენთან ერთად და ვადიოდა ზამთრის თბილი საღამოები ბუხრის ტყარცალსა და წყნარ ბაასში:

— მარხვა ქრისტეს დაბადებამდეც იყო ხალხთა შორის, წმიდა ვასილი ამბობს... ხორცს არა სჭამ, მაგრამ ძმა-

თა სტანჯავ, ღვინოს არა სვამ, მაგრამ ძმის სისხლსა ღვრი, მარხვას ინახავ ხორციელად. მაგრამ სულით ღმერთსაც ჰგმობ მთელი დღე — ვათენებოდან დაღამებამდე სულ ვაივავლახში, ქაპანწყევტაში. წიწვა გლეჯაში და სიკრუეში ხარ გათული. ეს არის მარხვის შენახვა? მარხვის შენახვა იმას ჰქვია, როდესაც სრული თანხმობაა ხორცსა და სულს შორის. როდესაც არც ხორცი იტანება საჭმელ-სასმელისაგან და არც სული ჰკენება ავისა, ცუდისა და ბოროტ მოქმედებისაგან, ასე გვეუბნება საქრისტიანო რჯული.

— დიას, მამაო, სულს რომ თავი დავანებოთ, ფიზიოლოგიურადაც დიდი მნიშვნელობა აქვს მარხვას, რადგან გამუდმებული ერთგვართობა საჭმლისა სხეულს და სტომაქს ძლიერ სწყყენს ხოლმე. როგორც დრო იცვლება, ისევე საჭმელიც უნდა გამოიცვალს ადამიანმა, თუ უნდა რომ განმრთელი იყოს.

— იოანე ოქროპირი ამბობდა: «ვისაც მარხვის შენახვა არ შეუძლია, იმან სულიერად უნდა დაიმსახუროს ღვთის ყურადღება და ცოდვების მიტევება».

— კეთილი, მამაო, საეკლესიო დღეობებს რა მნიშვნელობა აქვთ?

და მეც მთელის გულისხმიერებით ვპასუხობდი მის მორიგ შეკითხვას, ახრერიგად ბრძნული რომ ჩანდა პირველ ბავშვურ ცნობისწადილთან შედარებით. არ მახსოვს შემთხვევა, რომ უპასუხოდ დამეტოვებინა მეღჭისიდექი. მწამდა — ასე იყო საჭირო.

და ასლა ჩემს წინაშე იდგა დამახული, აფორიაქებული და შეკითხებოდა:

— კი მაგრამ, შე როგორ მოვიქცე? ვდუმდი.

ეს იყო პირველი შეკითხვა, რომელზეც პასუხი მეღჭისიდექს თავად უნდა გავცა.

## მონაზრება

### სოფლად სტუდენტებს

პირველ წვიმაში წვება ქალაქი  
და ასდის სუნი ნაცნობ ტკივილის,  
მე წვიმამ მითხრა ძველი არაკი  
ლურჯი მთების და ლურჯი ბილილის...  
ჩამოდის ზეცა და პირველყოფილს  
მე ვნატრობ ვნებას, ვნატრობ სინაზეს.  
მოუწყენია ქალაქელ დობილს  
და ნატიფ ფეხებს აწყობს დივანზე.  
წვიმს. ყველაფერი არის ძლიერ შორ.  
სურვილი ისევ დარჩა უღვევი

და სოფლად გაზრდილ სტუდენტს,  
პროფესორს.  
გულივით ახსოვთ ზოდებუნები.  
და პოეტები — ჭყვიშში, ჩარგალში,  
ორპირის ფშანზე გამოზრდილები  
დააბიჯებენ ლამაზ ქალაქში  
მიხაკებით და ლურჯი იეზით.  
მამადავითზე დგება კაცი და  
ჩარგლის სამყურებს დაუწყებს ლოდინს,  
ცრემლად ჩამოსდის ნატვრა მთაწმინდას  
და ჭავჭავაძის პროსპექტზე მოდის.

## ჩაკლისი დაბრუნება ავანიძიძეან ღონისძიებას

ო, გამიხერეთ! აქ იყო ძველი  
სახლი და უფრო ძველი კვარტალი,  
მე ვითამაშე ცხოვრება მთელი,  
შოლოდ როლებში ვიყავ მართალი.

კვლავ თავზე მსურავს ცა ნაცრისფერი  
და ყრმობის გზები მიღვიძებს ნაღველს,  
გადარეული სამყარო მთელი  
დროშად შლის ჩემსას ღიმილს და სახელს.

და ყველაფერი, სადაც ვჩერდები,  
კვლავ მაწანწალის ნიღბებს მაგონებს,  
ათასი ჯურის პრეზიდენტები  
მიცქერენ, როგორც უცხო საქონელს.

მე არ ვიციწყებ ყრმობას ნაღველიანს  
და სიღარიბის ჭუჭყლიან ფერებს;  
ეს გაუმარჯოს ჩემისთანებს (თუ კი არიან)  
ულატაკეს მილიონერებს!

## ნ ე მ ა ვ ი

იქნება ოდესმე იგრძნო სინანული,  
 დარდი სიციხფრეში წასული ქალისა,  
 იქნებ გაამთელო სულში მიშალული  
 სიმი გაწყვეტილი ჩემი გიტარისა.  
 როცა სიჭაბუკე გაჰყვება სიწმრებს  
 და ჟამი დაცხრომის ფიჭრის დროს მოგცემს,  
 იქნება გაიგო, მიყვარდი ისე,  
 როგორც მზემ უყვართ კიპაროსებს.  
 და თუ შენს თვალეში ტკივილად

გაბრწყინდა

ნადეელი დაკარგულ საოცარ წლების,  
 მაშინ მოგონების ფერმკრთალ ბურუსიდან  
 შენს დაღლილ ნაპირზე თრთოლვით

წამოვდები.

ისევ აინთება გრძნობა მინავლული,  
 თუმც აღარ იქნება დრო-ჟამი ამისა,  
 ნეტავი, ოდესმე იგრძნო სინანული,  
 დარდი სიციხფრეში წასული ქალისა.

მედი პატრიარქი

\* \* \*

მე ვარ დონორი —

წვეთწვეთად მიაქვთ ჩემი სისხლი  
ფერმკრთალ სტრიჟონებს  
და ხულდგმულობს ღერო ლექსების.

მე ვარ დონორი —

ჩემივე ნებით, უსასყიდლოდ  
სისხლს ვაძლევ ვარდებს,  
უხერხულად დახრილ ყაყაჩოს  
და, რა თქმა უნდა,  
მინდვრის ყვავილებს.

მაგრამ ბოლოს რომ ყველა ტყნება!  
და ვერც ლექსები ხეირობენ  
სუედიტ მზირალნი...

კაცმა არ იცის,

რომელი ჯგუფის სისხლს ითხოვს ია...

\* \* \*

ჩემსავე სურვილებს განვევრიდე მრავალთა გამო,  
უუშოტესი ვარსკვლავების შუქთ მტანჯაობით.  
უერთგულესსა მხვევალს შენას, წარსულთა ლამო,  
უფემერულად მოყვავილე მთანთქავს ტაობი?

არარაისი, არაუისი, არაეითარი,

არ მამადია რწმენა ბრმა და გადარაზული,  
ო, მარტოოდენ „სინანულინი“ ნადავითარნი,  
სიტყვა ქართული — უახლესიც, ვადაგასულიც...

რას შეეწირვი, ესდენ ტყბილს და ყოველთა შემძლეს,

რაც თვით რუსთველის მაგიათა დასაყრდენია!

არა მინდარა, ანბანთქება დამადეთ მკერდზე,

და ჩემს საფლავთან... ბუღბუღები დასახლდებიან...

როს ფიქრნი, ცხრა მთას გადანადენი,  
გაგაცოცხლებენ უმოწყალონი,  
თქვენ ისევ ისევ გითრთით ბატენი,  
შეკავებული ვნების წყალობით.

და ვით ფრესკები, მოპირდაპირე  
კედლებს შევერწყებით მწარე ლოცვებით,

ჩვენი სიმაღლით, ჩვენი ზღაპრებით,  
ჩვენი ფრესკული პატიოსნებით.

მაგრამ როს ნისლი ჩამოდის ლეგა,  
როს თვალებს თქვენსას ბინდი დაქანცავა.  
მე... ვით ლატაკი, იმედით ვქეპავ  
იმ აუხდენელ ტრფობის ნახანძრულს...

მზრებზე მოვისხი მოთმინების  
თალხი თავშალი,  
რომელიც წლების მანძილზე ვქსოვთ  
ალარ მამინებს ასლა სუსხი  
წარმავალობის  
და არც ხიცივის უფსკრულითი მვეფროება.  
მადლიერი ვარ, წლებო, თქვენი,  
რომ განმარდეთ

ქალურ ზმანებებს,  
ოცნებათა ფერად ქიმერებს  
და ვაწბილებულ  
შვილებებს გამქრალ მთვარეთა...  
მაგრამ, ნეტავი გამთენიისას  
რატომ მალვძებს  
აწივლება ფარშავანგების?

ღელევებიდან ამოსული მწვანე ტინკებო,  
საით მეტახით,  
ნიშნულად საით მიხიძებთ,  
რატომ მიტოვებთ  
კარზე აკრულ ბურღელას ფოთლებს,  
ქოლგისდაგვარად რომ გეჭირათ  
ხელში მინდისას?  
რა შეგობრობა შემიძლია ან რად შენდობით,

როდესაც ლექსში აღებული რაღაც გროშებით  
ხორბლის მარცვალს კი არ ვყიდულობ  
ბედურებისთვის,  
არამედ აბუბს საძინებელს  
და თვითვე ვქეპავ?  
თქვენც ეს მოგვლით,  
თუ მშობლიურს დატოვებთ მინდვრებს...

ნუთუ ვიღაცა წინასწარ გრძნობდა,  
რომ გაგზნდებოდი,  
მოვირბენდი ჩითის იმერეთს  
და მერე ქალაქს შევთხოვდი შევლას.

ვინ დამინახა  
ვერც კი იგრძნო ჩემი სხეული,  
იქნებ დამხურა ვინმემ ქუდი უჩინმარინის.

მხოლოდ მცხეთაში, სვეტიცხოველთან,  
ვიგრძენი, რომ მელოდა ვიღაც,  
თითქოს ბარათი დამხვედროდეს, აი, ისეთი,  
სახლში რომ ვტოვებთ,  
როცა ველით ახლთმელს ჩვენსას...

ჭიამაიად რომ დავფრინდე  
შვილთაშვილის გრილ ხელისგულზე  
ისიც საქმეა...



გაცვეთილია შვილთა ჩვენთა  
შესამოსელი,  
გაცვეთილია ყველა თემა,  
ყველა სახელი  
და ახლა მტეხი დაფიქრებით ვეძებთ  
საკბილოს...  
ამონათებს კურკანტელა  
ველურ მტვენებად  
და ქრება ისევ...  
თურმე მოჭვანგულ ღვინოსავეთ  
სვენებ-სვენებით  
წერენ დღეს ლექსებს პოეტები.  
მეც გეჭვიანი ვხდები დღითიდღე:

ვუთვალთვალე ანგელოზურ  
პროფილს შვილისას,  
მაგრამ რათ გინდა,  
წუთითაც ვერ გააჩერებ,  
რომ გადახატო.  
არადა, საკუთარ სიბერეზე ხომ არ დავწერ,  
მშვიერ ლომივით რომ მიახლოვდება.  
ვინ იცის, ახლოს რომ მოვიდეს,  
არც ისე ულმობელი აღმოჩნდეს;  
იქნებ ისეთი თვინიერია, ~~აქვია...~~  
რომ საკუთარი თათების სიფაფუკვე კი  
გულს უჩუყებს ~~ვერ...~~  
და მთვარის შუქზე მალულად ტირის...  
გაცვეთილია აზრთა ჩვენთა შესამოსელი...







ახალი საბავშვო

ყ ა ნ ა

დილის ყანაში  
გასულხარ თოხით,  
ზარ გალუმპული  
სველი ფიქრებით,  
ტყეში ხნიერი  
ისვენებს ქოხი,  
შემონახული  
ძველი სიზმრებით.

თვალებს უბეღენ  
წარსულს შხეღები,  
ელვა დამაბუენს  
ელვარე დანას,  
აქ აბლოპელი  
სისხლის ხეთები  
სომღერით მკიდნენ  
მზურვალე ყანას.

დაშლივინებდა  
კოლტი ღორების,  
ქშენა ეშვების  
არბევდა მუხნარს,  
დაფრიალებდნენ  
ცაზე ქორები  
და ზამთრის ღამე  
ათბობდა ბუხარს.

აქ ცისკრის სევდის  
მახვილს ღვსავდნენ  
გამთენიისას  
ბრვე ქართველები,

თქვეშით ვალეშოლ  
მდინარესაფით  
ხავსს ვეჭიდები  
შიშველ ხელებით.

მას საკუთარი  
შერჩა ჭიშკარი,  
ეამი-ეამ უღებს  
ღირსეულ სტუმარს,  
რვალის კალთიდან  
ცვივა ცისკარი,  
რვალის გულმკერდი  
მოუჩანს თუბალს.

წვიმის წიწვნარი  
როცა მადვიძებს,  
ყალყზე დგას ღრუბელთ  
ბედაურები,  
მზე მეძებს ახალ  
დროის მასპინძელს,  
მზე სავსე სველი  
მეზადურებით.

შორს ისარივით  
ისმის ცისკარი,  
როცა შრიალემს  
გულის ლაზვარი,  
ო, აქ ვიღაცა  
ჩემი წყლის არინ —  
ხეში ჩანჩქერის  
ისმის ხარხარა.

დაუწრეტია  
 წლები წყაროებს,  
 აგაღნათლივ თბება  
 დღე გუშინდელი.  
 გზადაგზა მივალ  
 წარსულს ვაგროვებ,  
 მაქვს მზის მოსავლით  
 სახზე გიდელი.

თბება მამულს  
 დიდი დარბაზი —  
 მთები მიმხელებს  
 იდუმალ გუმანს —  
 ქვეყნიერების  
 ეს დედავაზი —  
 ელის და ელის  
 სასურველ სტუმარს

მთავრის გარანი

ვით უღაბნოში  
 მდინარის ჩონჩხი, —  
 მზის უღაბნოში  
 წვიმის ხმას ვნატრობ.  
 სიციხით მოთენთილ  
 ლურჯ ვენახს ვმორჩნი,  
 სად დროს აყოვნებს  
 შუადღის ხხვა დრო.

რიონის პირას  
 მენტო კარავი...  
 მიმიხაროდა  
 თოვლიან ქარში...  
 ვარსკვლავებს სვამდა  
 მთვარის მარანი  
 და ლერწმს ვწინდრავდი  
 პაწია ბავშვი.

მზეს შებლაოდა  
 წყნარი წიქარა,  
 კვერში შებმული  
 მშვიერი ხარი,  
 მისი მოვლილი  
 მიწა მიფარავს  
 და დარიალის  
 ხრიოვი კარი

გამთენიისას  
 სად იყო ძილი,  
 ყანას და ძროხას  
 ერთად ვმწყემსავდი.  
 თბებოდა ჩემი,  
 გამხდარი ჩრდილი —  
 და ვეცებოდი  
 დილის მზესავით



მთხიარული

# შავი და ცისფერი მდინარე

მ თ ხ ი ა ნ ი

წიგნი მეორე

საბჭოთა გამომცემი

## III

ახალი დღეების ფორმირება რეინგ-  
ზის სადგურის ახლოს, ბაღებში მოხდა.  
თბილისიდან ჩამოსული მეთაური, ყი-  
რიმის ბრძოლების მონაწილე პოლკოვ-  
ნიკი, ატლასის ხეშეში ფოთლებით ჩა-  
მოხურული მაგნოლიის, მალალი ევკა-  
ლიპტების და ტანკენარი კვიპაროსების  
ჩრდილებში შეფიქრებულნი დაბიჯე-  
ბდა. პირტიტველა თუ ჭარმაგ ახალწვე-  
ულებში გარეულ, თითო-ორთა ნაფ-  
რონტალ ჯარისკაცს ისე ითვლიდა, რო-  
გორც მწყემსი საყოფ ვაცს არჩევს.  
რომ ფარას თავში დაუყენოს და ნადირ-  
მა უფსკრულში საყოფნად არ გადაჩე-  
ხოს. პოლკოვნიკი, რაც ამიერკავკასიის  
ფრონტის შტაბში იხმეს, ისე რომ ჭრი-  
ლობის მოშეშებად არ აცალეს, და არ-  
მის სარდალმა. პოსპიტლიდან გამოწ-  
ვეულის განმარტობადაც არ იყოთა, ისე  
რეცეპტით გამოსწერა

— ვიბრძობებთ აჰ, ამხანაგო, ხიდუ-  
რელო?

— ვიბრძობებთ...

— ვიბრძობებთ, ვიბრძობებთ! —  
შეიმუშენა სარდალი, — დროა, ამხანა-  
გო პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი ხიდურელს ისეთი წარსუ-  
ლი არ ჰქონდა, რომ ეფიქრა ჩემი ბაღ-  
ლის შოვნა გაქირდებოდაო. ის, რაც წა-  
გებული ბრძოლების მწარე მაგალითზე  
ისწავლა, კავკასიონის მწვერვალებში,  
ჩიხვის ნაკვალევზე, დღეების სატარებ-  
ლადაც კი გამოუსადეგარი იყო. ვითომ  
ამის თქმა დაიბრა, მაგრამ გულთმისა-  
ნივით მიუხედნენ და თავის გადაქნევით  
„დაამშვიდეს“, დაგებმარებითო.

ახლა, ამ მშვენიერ ბაღებში მობორო-  
აღე ხედავდა, რომ საწვრთნელი დრო  
სულ აღარ რჩებოდა. ამ კრელა-ჭრულ-  
ქონებში გახვეულ ახალწვეულებს სა-  
მბედრო გალოფე და გიმნასტურა ისე  
როგორ გამოცვლიდა, ცატებია მთების,  
კლდის ქიმებში ჩასანგრებული მტერი

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 1—7.

ამოეცლიათ. მტერი, რომელთანაც ხიდურელმა გაშლილ ველზე, ამაზე უკეთესი ვაჟაკები ითაც, ვერაფერი გააწყო. გასახეთქად გასიებული გული ძლივს დაჰქონდა პოლკოვნიკს.

ერთადერთ იმედად მაინც ნაცადი ჯარისკაცები ეგულებოდა, გამოთოფილ ხეობებში ტყეის სმა მაინც არ დააფრხოხობთო. ახალგაზოგეილ ოფიცრობას და უმცროს მეთაურებს, თუმცა ისინიც თითხე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ბრძოლის ეცეხლში გამომწვარი, ნაჭაბირები ბიჭები ერჩია. ამის თაობაზე შტაბის უფროსი, პოლკების მეთაურები და ასოსთავები გაფრთხილებული ჰყავდა: ახალბედებს წინ „ძველები“ ჩაუყენეთო, თუმცა ამ ერთი შეხედვით ჰეშმარბტებს, წინა ღამით, დღიზიის საბჭოს წევრებმა ერთსულლოვანად ხმა არ დაუჭირეს. კონტრდაზვერვის უფროსმა მიუყბ-მოუყბავად განაცხადა: მაგ „გამოცდილმა ამხანაგებმა“ ისიც იციან, თავი სოროს როგორ შეაფარონო. ეს ნათქვამი, თუ უკაცრავად არ ვიყო, პოლკის მეთაურსაც ხედებოდა და შტაბის უფროსს — რიხლოვსაც. თუმცა ორი მედლის მიღება მოეხერხებინა და ერთი მათგანი „მამაცობისათვის“...

ფორმირება დაიწყო თუ არა, იარაღიც მიიღეს. არა იმდენი, რაც დღიზიას წესდებით ეკუთვნოდა, მაგრამ არც უთოფობა ეთქმოდათ. რაიმე განსაკუთრებული, სამთო ბრძოლებისათვის შესაფერისი არაფერი ჩანდა. ხიდურელს მწვერვალებში ნაღმსატყორცნი და ზარბაზნი კი არა, ახალი ჩექმაც გამოუსადეგარი ეგონა, რაკი გავიანილი ჰქონდა, აქაური, მთაში დაბადებული და ბილიკებზე გაზრდილი მონადირეები უწყინარ არჩევებზე სანადიროდ თივაჩაფენილ, უძირო ბანდულეებით ძლივს დადიანო.

პოლკოვნიკი ვეება ფიჭვის ქვეშ ხმელ წიწვებზე ჩაიკეცა, სქელი ქერქით დაფარულ ხის ძირს ბეჭით მიაწვა. მისი თავსატეხი ეყოფოდა ეგონა და ამ ფიჭვთან ღამაზე, უშვილო ცოლზე ფიქრიც მტერივით ჩასაფრებული დახვდა.

დაჭრილი პოლკოვნიკის სანახად მოსულ ქერა ქალბატონს კარებთან მანამ აყურყუტებდნენ, სანამ ჰოსპიტლის კოჭლი, მთავარი ექიმი თვითონ არ ჩამოეგებებოდა და პალატამდე არ მიაცილებოდა. ხიდურელს ცოლი რამდენიც არ უნდა დაეყოენებინა, გაცილების ეამს დერეფანში მაინც მთავარ ექიმს უნდა გადაყროდნენ. ქალს ისე უტიფრად უღიმოდა და ეკურკურებოდა დარცხვენილმა ჰმარმა არ იცოდა, თვალები სად წაელო.

მშვიდობნაობის დროს თუ ღამაში ცოლი ბედნიერებაა, ომის დროს პირიქითაა... არმიის სარდლობამ უთუოდ ჰოსპიტალს ჰკითხა, ხიდურელი ბრძოლას შეძლებდა, თუ კიდევ სჭირდება მკურნალობაო. და პოლკოვნიკს ცოლის სიღამაზე „დაესმარა“ ასე სახელდახელოდ რომ დღიზიის მეთაურობა გაუხერხეს...

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ახალი ეშელონი ჩამოდგა! — მოახსენა აქლოშინებულმა ადიუტანტმა.

ხის ძირას ჩამქდარს თავი არ აუღია. მის წილ ხმელ წიწვებზე გაქიმული ჯარისკაცის გავაქსულ შავ ჩექმებს უცქერდა.

— წადი, ახლავე მოვალ!

სადაც იარაღს და ჩექმას ნატრობდა, არ ჰქონდა და აქ თითქოს რაღაცა გამოჩნდა... ვითომ იყო იმედი, რომ მოწინააღმდეგე, მეზრძოლების დამზაფრელ ტანკებს და მძიმე არტილერიას მთებში ვერ გამოიყენებდა, უფსკრულების პირზე თუ ჯარისკაცები როგორმე დამეგრდებოდნენ, ავიცილისაც გაუჭირდებოდა ბომბები ისე ანგარიშიანად ჩამოერიგებინა, როგორც ამის გერმანელები ტრამალეებში ახერხებდნენ.

ფრიცები ტექნიკის რკინის საფრის გარეშე, იერიშზეც არ წამოვლენ. და თუ კავკასიის ფრონტის სარდლობა, უმადლეს სარდლობასთან თავის გამოჩენისათვის, დღიზიას არ ვაწირავდა, იქნებ მტრის წინსვლის შეჩერება, დიდი მსხვერპლის ფასად, მოხერხებულყო და ჰოსპიტლის მთავარ ექიმს, ხიდურელის ქვრივი, საყვარლად არ გაეხადა.

პოლონური სადგურისაკენ წავიდა.  
 „მაგრამ ეს არ იყო დამოკიდებული დივიზიის მეთაურზე და არც ფრონტის სარდლობაზე: გაანია, რა ზღვება ამ მთავრებილიდან თეთრ ზღვამდე გადაჭიმულ უკიდვანო ბრძოლის ველზე და უმაღლესი სარდლობა რას ფიქრობს. მთავარი ბანაკისათვის დივიზია და კორპუსი ისაა, რაც დივიზიის მეთაურისთვის აგერ, ხის ძირას რომ ჩია ახალწვეული ჯაყვით კვეს აცლის. იმისთანა ათი და ასი შეიძლება უფსკრულში ჩაუშვას, საიდანაც, წინდაწინ იცი, არც ერთი არ დაბრუნდება, მაგრამ მეორე ასი მტერს შეუსიო და იქიდანაც ნახევარი არ გადავირჩეს, მაგრამ წინ წაიწიო“...

ქადრის ჩრდილში მიდგმულ მრგვალ მაგიდასთან ყინაღ მქადრმა ლეიტენანტმა, ცალი უღვაში რომ სიჩქარეში შესამჩნევად დაემოკლებინა, ბესოს საბუთები გვერდზე გადადო და ბაკურს დაამტერა.

— შენა ხარ, კაცო, ამაღლობელი?

ბაკური მიხვდა, ლეიტენანტი გამოცნობურებას არა და, დაწინაურებას კი უპირებდა და პასუხად მხრები აიჩინა.

— რაე, კაცო, სხვისი გვარი გაქვს მითვისებული, თუ?! — გაიკვირვა ოფიცერმა და ღიმილის შემდეგ ხელი უღვაშის იმ მხარეზე გადაისვა, ამ ღილით სიჩქარეში რომ დაესახიჩრებინა.

— სხვისი კი არა, ჩემსასაც ტყუილა გაფუჭებ... — თავი იმართლა ბაკურმა.

ლეიტენანტმა მაგიდაზე დამხობილ შტაბის მწერალს საბუთები უკან გამოართვა და ისევ გადაათვალიერა.

— ჩვენ სანთლით ვეძებთ შენისთანა კაცს...

— მე არა ვარ ის კაცი, თქვენ რომ ეძებთ.

— მოიცა, მოიცა შენ! — ოფიცერმა მხრებში ჩამძვრალ მწერალს იდაყვი წაპკრა.

— მე?! — გაკვირვებით იკითხა სრულ, ახალ გიმნასტურტიდან თავამორგულმა ბიჭმა.

— შენ კი არა... ამაღლობელი, ვინ

ვეძებთ ჩვენ? — ასე შესამჩნევად დამოკლებული ცალი უღვაში რაღაცა რიხს უკარგავდა ახალგაზრდა ლეიტენანტს და უფრო ბოლიშობდა, ვინემ მბრძანებლობდა და მისი, ალბათ ჩვეული, ყინაღ ჯდომი ახლა მოგონილს ჰკავდა.

— სამეთაურო, საათისათავო კაცს ეძებთ.

— ე ბიჭო, რაღას მალაპარაკებ. ამოღრო გვაქვს ახლა ჩვენ?

— მაგრამ მე ის არა ვარ.

ისევ წაუხდა ნიჩო ლეიტენანტს, ისევ ამ ცალი მოკლე უღვაშის გამო მიგდებენ აბუჩადო, ეგონა.

— აბა, სადაა და ვინაა, ამაღლობელი, ბოლოს და ბოლოს არ ვიცი პირდაპირი..

— უღვაშზე მოხრილი სალოკო თითი წიფთარა და საყვირლად მოეშზადა.

— აგერაა ჩემს უკან! — ბაკურმა თავზე გადმოყუდებულ, ცალ ფეხზე მაგრად დამდგარ, თვალებდაქაჩულ კინწურაშვილს ახედა.

— შენი საბუთები! — ახედა ლეიტენანტმა, კბილი კბილზე მაგრად დაბჯენილ, პოსპიტლის ჩრდილით და ფრონტის შაშრით სახედატალულ ბესოს!

— მაგერ გიდექს!

— შეიცადე ბიჭო, შენ! — ისევ წაპკრა ჭლიქვი ქალაღლებს გადაფოფრილ მწერალს მეთაურმა. ბიჭმა, ბაყაყი რომ წყლიდან ამოყვინთავს, ისე დაკარკლა თვალეზი, ნეტავ ისეთს რის დაკეთებას ვაპირებდი, რომ შეეცადო...

— ამას, კაცო, ოთხი კლასი აქვს დამთავრებული... — შეწუხდა ლეიტენანტი.

— შენ აქ აკადემიას აშენებ, თუ მე ბრძოლა გინდა?

— ნუ მასწავლით თქვენ, რა მინდა! — წუთით დაავიწყდა გულფიცხ, ყინჩ ლეიტენანტს ცალი უღვაში რომ მოკლე ჰქონდა და გუნდის ხის ბუჩქთან კისერწამოგრძელებულ ახალწვეულებს გაეცინათ.

— როგორც გეუბნები, ისე ჰქენი! — დაუყვავა ბაკურმა, — ჩვენ ნაცნობობას დღეს ვიწყებთ, ამ კაცს მე დაბადებიდან ვიცნობდი და შარშანდღამდე



მაგრე ვფიქრობდი, როგორც ახლა შენ გგონია.

— ახლა, კაცო, თუ ყველაფერი თქვენ იცით... — დივიზიის მეთაურის გაფრთხილებამ, ნაომარ ჯარისკაცებს ყურადღებით მოეპყარათო და ამ დილით უცაბედად დამოკლებულმა ცალმა უღვამმა, გატეხა გამოუცდელი, ახლადკურსებდამთავრებული, ყინჩი მეთაური და მაგიდაზე ჩამხოხილ მწერალს ისევე იდაყვი უთავაზა:

— მიდი, მიდი, ჩასწერე! კინწურამკილი ბესო... ბესო თუ ბესარიონი? — ნაფრონტალებს მეტი ვეღარ შებედა და ისევე თვალბდაცუსულ მწერალს შეუღრინა.

— რა ვიცი, უფროსო, მე? — ზიქს თვალბზე ცრემლები მოადგა ბუდიდან გადმოსაცვენად გამზადებულ თვალბზე.

— ესტატეს-ძე...

IV

ფრონტის სამხედრო საბჭოს, წვრთნისათვის ასჯერ შემსირებული დრო კიდევ შეემცირებინა და ათისთავმა კინწურამვილმა წვევამდლები-სათვის თოფის დაშლა-აწყობა და ჩახმახის გამოშლის სწავლება ვერ მოასწრო, ბრძანება მოვიდა: „მტერი უღელტეხილზე დიდ აქტივობას იჩენს, იჩქარეთ, დრო არ ითმენს, თითოეულ წუთს ქვეყნის გადარჩენისათვის მნიშვნელობა აქვსო“. მეორე დღეს თვითონ გულგახეთქილ ფრონტის სარდალს დაერკია, გამოჰყავით მსროლელი და სარტილერიო პოლკები, უღელტეხილისაყენ აფრინეთ, გადმოსასვლელის და მცველი შენაერთი უნდა შეეცვალოთო.

პოლკოვნიკს დაიცებლა, ალბათ იმ ასვლამდე შესაცვალელიც აღარავინ დაგებდებო. არმიის გენერალს ისიც „ეხარებინა“, უღელტეხილების განთავისუფლება თქვენ გვეალებათო და ხიდურელს ყურმილი ხელიდან გავარდნია: ვეცოდი, ასე რომ არ ყოფილიყო,

დივიზიის მეთაურობას ვინ მამაშეჭებოდაო.

არა და... გალიფე-გიმნასტურები, ჩაჩაჩულ ბიჭებს, ნათხოვარივით, ჯერ ტანზე ვერ მოერგოთ და ორიოდვეერ ფიქვენარში გარბენა-გამორბენით რომ ენა წავარდათ, ზოგიერთს დედის კალთაზე მოცილებსას კაბის ნაგლევი მუჭში ეჭირათ და მათთვის ჯარისკაცის დარქმევა იუღას აატირებდა.

დაწინაურებულ პოლკებს სანიტარული ბატალიონები არც გაჰყოლიათ. სანაწილებს, ან ინსტრუქტორებს დაჯერდნენ და ბესოსაც, კაცმა რომ თქვას, ასეც ერჩია. ვალიაც თამართან ერთად სოხუმში რჩებოდა. თან თვითონაც ვერ გაიქანა მუღამ თაეგანწირული ქალი. დამწვარ ტანკში, ორმოებში, დანაბომბ ძაბრებში და ამ ბოლღ დროს ბაღებში მუხლებზე ჯღომას ბესოსათვის სამემკვიდრეო იმედი ჩაესახა.

„კარგი იმედიო“ — გაალწუნა კბილები ბესომ, ხარი რომ ქეამარილის ნატებს დაფშენის და უღელტეხილისაყენ დაძრულ მანქანის ძარაზე ავარდა. ბაკური ზურგსუჯან მობრუნებული იქდა, ვასცქეროდა თამარს, რომელიც წამოსწევდა ხელს დასაქნევად და დაქნევლად დაუშვებდა, წამოსწევდა და დაუშვებდა... ვალიას ვარდისფერ, სავსე ლოყებზე კი უწყვეტ „ნაკადად“ ეკიდა ვერცხლისფერი ხაზები და ორივე ხელს ისე გამალებული იქნედა, თითქოს ზედ მღუღარე ფაფა გადასხმოდეს.

V

კაისწყალს რა უბედურებაც შეიძლებოდა ენახა, ბესო კინწურამვილმა თითქოს ნახა. სამი ლეიძლი ძმა დაედუბა, ამდენი ძმასავით მეგობარი დაკარგა და როგორღაც თავისი მაგარი კბილებით მაინც გამოიციონა, მაგრამ საყვარელ ქალთან განშორებით ყელში გაჩრილ ბურთს მონელება ვერაფრით ვერ მოუხერხა.

ძალაგამოცლილი, ფეხზე მოვლემარე ჯარისკაცებისათვის შებეგებების

ბრძანებას მთის ციგ მდინარეში რომ მოესწრო, ნაპირამდე ორი ნაბიჯის გავლა უჭირდათ და იქვე იყვებოდნენ. ბესოს შუალაშის დაბარგების დროსაც საკუპანე ცხენივით, აკოკლებულ ფეხზე იდგა. უძილობისაგან ამომწეარი თვალები შეუშუბდა და დაუსისბლიანდა.

ბაკური ხედავდა, ეს ახალი ათეული, ოცეული და ასეული სულ არ ჰგავდა იმას, რომელბთანაც შარშან ჯოჯოხეთის გზა გაიარეს და ხელში შარშანდელი თოვლივით შემოადნათ. ახლა იგის ბრძენი იყო, რომელმაც ყველაფერი იცოდა, რაც მასზე და ბესოსზე შემოციცინებულ პირღია ბიჭბუქებს უნდოდით სცოდნოდით და „ბრძენკაცებს“ კი არაფრის თქმა არ შეეძლოთ.

ბაკურისათვისაც კი რაღაც ახალი იწყებოდა, იმაზე უარესი და გულგონარი, რაც უკვე ნახა და იწენია. სულ არ ფიქრობდა, თითქოს იმაზე უარესი აღარ შეიძლებაო. პირიქით, რაც მოხდა, ის არ განმეორდებოდა. უნდა დატრიალებულიყო ახალი, სხვა ცოდვა, მაგრამ არა უფრო იაფფასიანი და შეუღავთიანი. იმაზე ბევრად „უკეთესი“ რაც უკვე იყო. კონწურაშვილმა უკვე „დაიწყო“ ეს „უკეთესი“: ძლიერმა ჯარისკაცმა, ტყვიის ზუზუნში, წყალ-ტალახში და უინჯამი რომელ გვერდზედაც დაეძინებოდა, იმ გვერდზე რომ იღვიძებდა, უკვე დაკარგა ეს ბედნიერებაც და ნერვებში უმტყუნა. ამ ქართულ ნაწილებში რაკი ყველაფერი კარგად ესმოდა და პასუხის გაცემაც შეეძლო, ცოფი მოერიო.

მბილობელს ამდენ გაუსაგის უბედურებაზე ისიც დაემატა, რომ ზურგჩანთაში პარმენ ქორეოლიანის თხუთმეტი წლის გულმანკიანი ქალიშვილის გრცელი წერილიც ედო; თურმე ბაკურის ზეცით მოფრენილ, ცხრათავიანი ურჩხულის კლანჭებიდან გამოვგლიჯა. ახლა კი „მოწყენილი ჯარისკაცი“ იმ ცეცხლისმფრქვეველი გველუშაშის განცამტკვრებელ სისხლიან გზას დადგომია, რომელიც თურმე მხოლოდ და მხოლოდ მზეთუნახავებით იყვებება. და ამ

„მოწყენილი რაინდის“ ხელით გადარჩენილი (ალბათ ისიც მზეთუნახავი) ასი წელი აპირებს თავისი ციხე-კოშკის აოვანზე თვალცრემლიანი ჯდომას და იმ იმედით, რომ გამარჯვებული, მთელი სამზეთუნახაოს მხსნელი, მთიდან, ზღვიდან ან ციდან დაუბრუნდება.

გულმტკივანი ნანულის „ურჩხულეების შემმუსვრელ რაინდს“, თამარის „სიკვდილამდე მაინც საყვარელ“, და თვითმკვლელობამდე მისულ გუგუტასათვის დაუფიქრარ ბაკურს მანქანა და ტრანსპორტი რომ გამოაცალეს, ამ ეშმაკისთვისაც კისრისსატებ კლდე-ღრეში, თოფი, ცალუღივით კისერზე გადაკიდებული მანარა, ჩანთა, აირწინალი და ტყვიასავით მძიმე ბოლმა არ აკმაბრეს. მხრებზე ტყვიამფრქვევები, ნალმსატყორცნები და ქვემეხები დაადეს და ფეხის კოჭებში თვალთვალის დაუწყეს...

ტირილი იმდენად გაცვდა და დაძველდა, ახალწვეულ ხარაბაძეს რომ ცრემლები ნიკაბთან ესკენება, ხარაბაძის კბილა გიგუტა მოსულიშვილსაც კი ელიმება. როცა მოთქმა და თავში ხელის ცემა არ გვეშველს, ქვების სროლას და სიცილს იწყებ, მაგრამ აქ ესეც აღარავის უქვირს.

გუშინლამ არტილერისტებს ზარბაზანი ხევში ჩაუტყურდათ. ამოსათრეველ იმდენი ბიჭი ჩაგზავნეს, ამ მრისხანე იარაღს ხელის მოსაკიდი ადგილი აღარ დარჩა, მაგრამ ლოდებში ჩახერგულს ძვრა ვერ უყვეს; არა და, ვერც ხარი და ცხენი მოუყვენეს. ცივი, კოკისპირული წვიმაც წამოვიდა. ლაფი, ტალახი, ქვი და ღორღი ერთმანეთში ათთქვიფა. მეთაურები ბრძანებებს ჩურჩულთ იძლეოდნენ, — ვინ იცის, მტრის საგანგებოდ გაწვრთნილმა სამთო ნაწილებმა დესანტი, ან მზევრავთა ჯგუფები სად ჩამოსხეს და ამ დროს სიმღერა გაისმა. სიმღერის გაგონებამ შიშით მგონი ხეებიც დაახმო და ბაკურსაც კი ელდა ეცა: ვიღაცა შეიშალა, ბესოიამ ქკუა არ დაკარგავს, არ ჩაუვარდეს, პირში ლოდი არ ჩათხაროს.

და რა მოხდა... თვითონ ათისთავი

კინწურაშვილი ექვთიმე ნადურის დამწყები თავისი დასაცხის ბანით.

სანამ თავზარდაცემული ჭარისკაცები ხმის გაღებას მოიფიქრებდნენ, ხევეში შემორეკილი, ტყვიანამილი დატვირთული ასი სახედარი აყროყინდა. აღბათ, არც პირუტყვეს უღბინდა და თავისი განწყობილებების დასადარი ხმა ეცნაურა. სახედარებს, ხევეში ჩახერვილ ქვემეხებში შებმული, ჭარისკაცები აპყენენ და ჭერ გაუგონარმა ნადურ-დათურმა, ტყის თავზე გადმომდგარ კლდეებიდან, ქვეთა ცვერა ატეხა.

— ყოველნაირი სიმღერა გამოვიანა, ატონი ბაკური, — ყურებზე თათებს იცობდა ათეულში ახალწვეულების მამისტოლა დამიანე კვიციანი, — მაგრამ ამისთანა?! პატონი, ბესოს რალაცა ურჩიე მამაშვილობას... მე მოთქვამს, ეს სიმღერა, ქვეები ხომ დაამო, ახლა ზარბაზნის გახეთქაეს, შენ გენაცვალე, შენ!

ძალი ყვეს, ქარავანი მიდის... აქ გაუვალა ტყეა. ხეს მოჭრი — ხილია, დიურდები — ფესვებს ჩააფრინდები, ღამით შეგცივდები, დღისით ცეცხლს დანთებ. მალე ეს ტყე და მთა სანატრელი გახდება, როცა ალბური ზონა და თოვლიანი მწვერვალები დაიწყება. იქ პაერი თხელია, ქვემეხი კი ათჯერ მძიმე — ელვა-მეხის მტებელ ღრუბლებში რომ აათრევე. ეპ, „პატონი“ დამიანე და თქვენც, აძვირებულ ბიჭებო, ეს ხევი და ორწოხები სამოთხედ გაგახსენდებათ, მყინვარების ნაპარალებში და უფსკრულების თავზე რომ ფსკერგავარდნილი, ლანჩაღესილი ბათინკებით ააბიჯებთ.

ხევიდან ამოთრეული ზარბაზანი რომ სახელდახელოდ გაფართოებულ ბილიკზე ნადურის ღრიალით ამოვიდა, ძველ ჭარისკაცს — კინწურაშვილს, ლუსკუმ ბნელში, ფარნის ვიწრო შუქი და გატენილი რევოლვერი მორღვეულ პირში ერთდროულად ჩასჩარეს. ენაჩავარდნილ პოლკის მეთაურს რომ არ მოესწრო, ამ სიმღერის წამომწყების მაგარ კბილებს აქნებ ცხელი ტყვიის ღეშავც და-

ეწყო. ბესოს ახლა ებრასი და პროფეტორის შუქზეც ვერ იცნობდნენ, პოლკის მეთაურს კი უღვაშების ქვეშ არამკითხვ ღიმილი გაუჩნდა:

— ათმეთაურო...

— კინწურაშვილი... — მიასველა ბესოს ადევნებულმა, ახალბედა ჭარისკაცმა ნაზლიძემ, აქაო და მთიელი ვარ, ამ ბარის ბიჭებივით არ წიხებდები, ენას არ გადაველაპავო.

— არ მინდოდა მე ამის ათისთავად გაშვება, არაა ჩემი ბრალი ამხანაგო მაიორო! — ჩარბებს იჭამდა უმცროსი ლეიტენანტი ყანჩაველი.

— ლაპარაკი — მღღღარესავით ვადმოაფურთხა, ვინც ბესოს პირი ცივი იარაღით ამოუტყტა.

— ჩემი ოცეულია... — აწყმეტუნდა ოცმეთაური და ბილიკის ღერ-ჩამომდინარე კედელს მიესრისა.

— კინწურაშვილო, მოწყევი! — პოლკის მეთაური შებრუნდა და ახლად გამრიღ ალაფულ ბილიკზე შესეულ ჭარისკაცებში გზა ფარნის შუქით გაიკაფა.

ბესოს, როგორც იქნა, პირიდან ტყვია ამოუღეს, მაგრამ ცივი რევოლვერის პატრონი, თვითონ კინწურაშვილს ლოდვიით რომ არ აეღო და გადაედგა, გზის მიცემას მაიორის ბრძანების შემდეგაც არ აპირებდა.

საზაფხულო საძოვრების ფერმის დამამანულ მიწურში, კრაქა ბეჭტავდა. მეთაურმა სკამზე ჩამოჯდომის მაგიერ, ბალახებზე შეწმენდილი, კარგად მორგებული, აზიურ ჩექმებიანი ფეხი შემოდგა და მსხვილი უღვაშების ქვეშ ნაცნობი არამკითხვ ღიმილი წამოეპარა.

— რა ჭანდაბა გამღერებდა? — ისე თქვა, უნდა მეკითხა, თორემ მიზეზი შენზე უკეთესად ვიციო.

— რა ვიცი... — ბესოს მხრები თავისდაუნებურად მალა აუცვივდა, გაუზულელი, ვიწრო გიმნასტურა ბრეზენტის ქამრიდან ამოუცურდა, — ვმღეროდი?..

— შენ, ძველმა ჭარისკაცმა ხომ იცი... — აღარ დაამთავრა ის, რაც ორივემ იცოდა. მაგიდაზე გამლოლ ქა-



ლადებიდან შინდის წყება აიღო, ახლად ნაკელგადაფხვიელ სოხანეზე გაიარა და წყება ჩექმის ყელზე დაიტკაცუნა.

— კინწურაშვილო, ომის დაწყების პირველ დღეებში მინახებხარ საღდაც...

— ჰო, თქვენი ხმაც მეცნაურა. — გამოიღებო კვემების ბორბლის ლაფით მხარ-ყბა-ყურ მოთხერილმა ათმეთაურმა, ამოდენა უღვაშები რომ ვერაფრით გაიხსენა.

— პაპიროსების ფარდულთან შევხვდით მგონი...

— დიახ! — რაღაც ეამა ბესოს და სახეზე ბოღმის კუპრი ჩამოიშორა.

— შენ და ამაღლობელი უნდა მოსულიყავით ერთ კვირა დღეს ჩემთან.

— უნდა... მაგრამ წინააღიდეგ...

— ვიცი, როგორ გადარჩით? იმ დღეების...

— მეც და ამაღლობელიც...

— მე რომ ვიცნობდი, თუ შენთან რომ იყო?

— ჩემთან რომ იყო... ახლა აქაა.

გეგმა ფიქვის ძირში მიმწყვდევულ ბაკურს, ყოველი პასუხის წინ თვალეზში ფარინის შუქს ანათებდნენ, კინწურაშვილის საბრძოლო გზით ღრმად დაიკვებულნი, ხმაგამყიფებული ორი უცნობი, შეკითხვის რომელი იძლეოდა, კაცი ვერ გაარჩევდა; ამაღლობელი პოლკის მეთაურის ადრუტანტმა მაშინ გაიწვია, ხმაგამყიფებული რომ არაფრით არ ეთმობოდათ.

სასწაული შარშანდელი, ბესოს ნაცნობი ქართველი კაპიტანი, მათი პოლკის მეთაური, მაიორი მაცხონაშვილი გამოდგა (ახლა ამოდენა უღვაშები რომ ჰქონდა, ჭარისკაცები ხუმრობდნენ, ქოსას წვერ-უღვაშად ეყოფათ), ის მაშინდელი გაუცნობელი ჭარისკაცი ამაღლობელი კი — ლეონი. მას აქვთ რომ არც მაცხონაშვილმა და არც ბაკურმა, მისი ასავალ-დასავალი არ იცოდნენ.

— თქვენი დივიზია ხომ... და ცოცხლები ხართ?! — მაიორს, ყოველისმცოდნე კაცს, უღვაშებზე შეფარული დიმილის გარდა ბესომ და ბაკურმა, ერთი

გაუმხელელი დიმილიც გაქრინდა. ამ უსსოობის დროს გაჩენილი რწმენა, რომ შეიძლება გადარჩე, თურმე შეიძლება ტყავი გაიტანო იქიდანაც კი, სადაც ჰგონიათ რომ ყველა ამოწყდა. და ეს რაღაცა დაუქვერებელში აქერებდა, ამდენის მნახველ კაცს და წარღვნის წინ სასოების უსახურ დიმილს უჩენდა.

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირისა?“, თუ რა?...” — ეკვებოდა ბაკური და ალბათ ყბებდა-ძაგრული ბესოც.

## VI

ზოგი თავისი გასაჭირით, ზოგიც მეთაურების მითითებით, დაწალიკებულმა პოლკმა დილაუთენია პატარა, მაგრამ ავი მდინარის გაღმა გააღწია და ალბიური მთების ხეე-ხუვებში და დაჩიავეულ ტყეებში, მტრის ხელში მოქცეული უღელტეხილისა და მისი შემოგარენი მწვერვალები, წელში ორად გაკეცილი ჭარისკაცები აღმართს ნახევარჭერ ჩაქეღა აუყენენ. ამ გაგანია ზაფხულში მთელი დამე ციოდა და გამოთენისას ისეთმა ყინვამ მოუტკირა, შარშანდელ ჭარისკაცებს რუსეთის ზამთარი გაახსენა, ახალწვეულებს კი სულ „უვი დედა“ აძახა. ვერც აღმართმა, ქარაფებმა და მთის კალთებმა გაათბოთ, ოფლი ოფლად იღვრებოდა, ყინვა ყინვად აზრობდათ. ჭერჭერობით კიდევ რა უშავდათ, სანამ ნისლის ნაფლეთებივით, დაბლობებში ჩარჩენილ, გაცრეცილ ტყეებს კიდევ შეეძლოთ წაყვებული ჭარისკაცის დაფარვა და ტყვიანობა და ნაღმისაგან ტოტებზევე შეფარება.

დაბრამულ-დამეწყრილ ღვარცოფის თხრილებზე, ტანია ხეებისაგან, სახელდახელოდ შეკონწებებული ბოგირები მძიმე ქვევხეების სიმძიმით იღრიალებდნენ. დატვირთული ხარ-მარბილების გადათრევისას უგზობის მკლდნე სვანების მცდელობაც საქმეს ვეღარ შევლოდა...

მიღლა-მიღლა, ეს განაცოდაგებული

ტყე ბუჩქნარად იქცა, მალე ბუჩქნარიც დაბინჯდა, დაწყდა და დანაწევრდა, მაგრამ რამდენი ხე და ფოთოლი დანიავრა, იმდენად ბალახმა და ყვავილმა იმარჯვა: აიყარა ტანი, აყელყელავდა... მზე-თუნახავს რომ ნაბადი შემოაცვალთ და მზის ამოსვლისას დედიშობილას უჭერითო, მთები ასე თვალმოუწვევტელ სილამაზედ იქცნენ. სათოფედ და სანარბაზნედ კი არა, ჩექმის დასადგმელად მტრისაც შეენანებოდა. გაცრეცილი ნოსლი, ახლამოწვევრილ მზის სხივებს მიწდევრებამდე არ უშვებდა, მაგრამ სასწაულმოქმედი მნათობი. თვით ნოსლს ოქროს მტერის ქულებად ჰქმნიდა და მოშიშვლებულ, ქალწულის უბესავით მომჯადოებელ მთის მკერდზე ფაფუკ ქათქათა ზვინებდა ჰფენდა.

ტყესა და მინდორში კვიპოჭირილია ბესოიამაც კი წამით ბირი დაღო და ბუქსტოლა, კეთის ნატეხივით ნიკამი მკერდამდე ჩამოუვარდა. წუხანდელი, კაცებზე დასხმული წავითც კი გადააწყდა. დილამდე რომ მჯიღს გულზე გარაგუნებდა: ვინაა ჩემს კაცობაში რომ ეტეობს და ჩემს ცხელ ღადარზე გველი გზას ჰქეპავს.

ბაკურს ავად ენაშნა. ეს მართლაც ამპარზენი სილამაზის დილა, — უკანასკნელი არ იყოს.

მზის ცეცხლოვანი ბურთი მწვერვალეებზე გავორდა და ოქროს ნისლეში აღმასის ქათქათა ქიმები აიღანდა. სილამაზეს სიამაყის გვირგვინი დაედგა, რომ მწვენიერებით ატაცებულს ბარემ ფრთებზე დაგხმობდა. მაგრამ რამდენადეც ბუნება თავისი სრულყოფით ხეიშობდა, იმდენად ქვესკნელი უნდა გაგფთხარა, რომ ამ დღესასწაულს მეორე დილითაც დასრუტებოდა.

ტყის გასათავარში პოლკის დანაყოფები კიდევ დაიხლოჩა და დანაწევრდა, რომ თავმომწონე მწვერვალეების თხემებზე შესეული მტრისაოვის, ამ სილამაზის ხელყოფისათვის, პასუხი მოეთხოვა. ბილკები, მოთუშტეს წელს, ალპიურ ყვავილებს ისე დაენთქათ, ამ მთების შვილ სვან მეგზურებსაც უჭირდათ გზის ბ. „მნათობი“, № 8.

გაკვლევა პოლკის მიკროსტრუქტურისა ნაწილ-ნაწილ დაიბრუნე. პარტიტვულ-ბიჭებიც კი გრანობდნენ, ამ მწვენიერების ცქერას დიდხასას არავინ შეარჩენდათ და ყველას ერთად რომ არ ნაჭრობოდა ასე ახლოს, ხელის გასაწვედნეზე აბურთავებულ მსუ, ოცეულებიც კი ათეულებად დაქუცმაყდა.

გაეარდა ოქროს ვარაყიან ღრუბლებში მები და გლდიდან კლდეს, მთიდან, მთას, ზვედიან ზვეს შეასკდა. აქ ერთი ზარბაზანი რომ იქცებეს, ათს და ასს მთები დააყუფებენ მწელაი ასე ამაყმა და შეცვალმა მორჩილად გადიტანოს ხელყოფა და აბურხად აგდებდა.

მწვერვალეების კალთებზე ქვიჩილი ქუჩილს გადაები და უკვე ვერავინ გაარჩევდა მტრის ზარბაზანი ფხრეწდა ლაყვარდს, ჩვენი ქვემები გრგვირავდა, თუ ამბოხებული მთები გუგუნებდნენ. შვიხანწლად ჩავსო მინდვრის აყვავებულ მკერდს მტრეი და ყვავილებით მომითულმა რუხ სისხლად ამოაქცია კვამლი, ბელტი და გორახი. გულში ტყვიანიკარავი შეტორტპანდა, შეტაქაგუდა და გეკეშებული აგმინდა. შფოთავდა თავის სიდიადეს, თავდაუტყველობას და მოღედილ მკერდს მტერი და მოყვარე, შვილი და მომხდტრა რომ ერთნაირად უწყულულებდა. იარა იარას ემატებოდა, ძონძებდა ექცა ოქროდტერილი ზურმუხტის ახალთახალი საშოსი. შეიბდალა, მოიყვავა, წაიბილწა და წელანდელი მზე-თუნახავი, პირველყოფილი, ჰეშმარიტა... გაიწეწა, გაიბდღვინა, შეირყვნა, შეიბილწა და რიოშად იქცა. იქვე, მის დიდლეთილ მკერდზე განგმირული შვილები უკანასკნელად ხედავდნენ მშობელი მთების უბიწოებას და წაბილწვას. ზეალ ალბათ კიდევ უფრო თვალმეუდგამი მზის ჩასაქრობად ახალ-ახალი ლეგიონები ამოვიდოდა და მუხლზე ჩოქვით ამოათრფევდა ამ მწვენიერების დასახარჩორებლად და ელვარე მნათობის დამაბნელებელ მძიმე იარაღს.

თმი მიწასავით ძეხორციელს არ სტკივა; საუკუნეებით ვერ იშუშებს ღია ქრილობებს და დაღვრილ სისხლს ათას-

წლები ვერ იფიქრებს; უკვდავის სა-  
სიკვდილოდ განწირვას ჰგავს.

## VII

ზაფხულის მიწურული კავკასიონზე  
ზამთრის დადგომას უდრის. ალპური  
ზონის ზევით მოწითალო, რუხი კლდე-  
ები იწყება, სანამ ზედ თოვლს არ დად-  
ებს, მაგრად გამომწვარივით უსიცოცხ-  
ლო და მშრალია.

იმ ღამით ქარი არ იძროდა, მაგრამ  
თხელი ჰაერი თოვლის მსუსხავ ეკლებს  
გაესქვლებინა და ღრმად ჩასუნთქვა ქი-  
რდა. მრუმე ბნელში, ტალახისფერ ცის  
ფონზე შედგინა, დაკბილული, გრძელ-  
ი, კლდოვანი სიმაღლეების ბინდ-ბუნ-  
დად გარჩევა შეიძლებოდა. ქვედანაყო-  
ფებს ხეკვიდან მღვრიე ღრუბლებში  
თავგაყრილი, ერთმანეთზე მიჯარულ,  
მაზილა მთების ძირებში გარიყრავამ-  
დე უნდა შეესწროთ.

საბრძოლო დავალება უბრალო და ნა-  
თელი იყო: „ღილა-უთენია, წინ!“

აჲ, რომელიმე სიმაღლეზე თითის და-  
დება ან რაიმე ნახაზის გაკეთება, ამის  
დრო და სურვილიც რომ ყოფილიყო,  
მინც გაქირდებოდა. ამ ერთმანეთზე  
მიღმულ მწვერვალებს შორის სადღაც  
ვიწრო ბილიკი იყო და აჭაურობასაც იმ  
ერთადერთი ბილიკის გამო უღელტეხი-  
ლი ვრქვა.

და ამ საცალფეხო გზის თავზე, მის  
გაღმა, მარჯვნივ და მარცხნივ კარგად  
გაწვრთნილი, ყელამდე იარაღში ჩამჯ-  
დარი გერმანელი ეგერები ისხდნენ, ყო-  
ველშემთხვევისათვის, ზეანგარიშინად  
გამაგრებულ საციებზე წერტებში, თუ  
იქ გადმომჯდარ, ასეთი მრისხანე ციხე-  
კოშკის დამპატრონებელს, კიდევ თავ-  
დაცვის ზელოვნურ გამაგრებაზე ზრუნ-  
ვა სჭირდებოდა...

პოლკის შტაბს მზვერავები უფსკრუ-  
ლში რომ ჩაუტყვიდა. წინა დღით თვა-  
ლთაგან კოვრატმოუშორებელ რიბლ-  
ოტს აღმა ცქერით კისერი ეღრძო. და-  
ბინდებისთანავე ხევისპირა ქვასა და  
ლოდში გამოწვრეულ მიწურში შეძერა

და მთელი ღამე ფეხზე მთელემარე,  
ეკთხებოდნენ რაიმეს თუ არა, მხრებს  
იწურავდა. უღელტეხილის ძირში მიმდ-  
გარ, გათოშულ ქარისკაცებს, დილის ნა-  
თელი რომ ღამის შავ რიდეს გადახდი-  
და, ბომბისა და ტყვიის წვიმისაგან რა  
სასწაული დაიფარავდა, მაიორი რიბლო-  
ვი კი არა, პასუხად თვით ომის ღმერ-  
თიც აღმათ, მხრებს ყურებამდე აიტან-  
და.

შტაბის უფროსმა იცოდა, მთ დაწი-  
ნაურებულ პოლკს და კვალში ჩამდგარ  
დევიზიას კი არა, არმიის ფრონტსაც  
რაც არ უნდა დაჯდომოდა, უღელტეხი-  
ლი „ედელვეისის“ კორპუსისაგან უნდა  
გაეწმინდა. უღელტეხილის ქვევით სიბი-  
ტინის ტაფობი იდო, მაღლიდან ჩამონა-  
შალი ლოდებით დაფარული. სანგარზე,  
მიწურზე და ბლინდაჟზე კი არა, თავის  
ჩასამალ ორმოზე ოცნებაც არ შეიძლე-  
ბოდა. ქვა და ლოდით მოყენილი ტა-  
ფობი იქიდან, სადაც არწივების ბუდეფ-  
ბში მტრის ეგერები ისხდნენ, ხელისგუ-  
ლივით ჩანდა.

ვაკე-ხეობა მტრის ცეცხლის მოსაწე-  
დენზე იყო, მაგრამ გარდა სნაიპერებისა,  
იქნებ ტყვია ტყვიაში ვერ ჩაესვათ და  
შეუჩერებელ მოიერიშეებს, სანახევროდ  
მიედწიათ მარადიული ყინულის  
ბოედნამდე. მოდნის თავზე კი ეგერე-  
ბის ნასროლის ნიშანს აღარ ასცდებია,  
თუმცა ტყვიაც არ გინდა, ვაკე-ხეობა-  
ში ჩაწოლილ მყინვარის ენას ყოველ  
ნაბიჯზე ნაპრალების ღია ხახა აქვს მო-  
ღებული და ქარისკაცებს ცოცხლად ჩა-  
ყლაპავს.

და მინც, ასიდან ერთი რომ გადარ-  
ჩეს და უღელტეხილს მიაღწიოს, იქ  
ხომ გაშლილად, ან თუნდაც ჭკუფურად  
ვერ შეესვენა? ციკაბო ბილიკზე სათი-  
თაოდ გაბაწრულ ქარისკაცებს, გზას  
ერთი მეგეტომატე გადაულობავს.

რიბლოვმა, ბოლოს და ბოლოს, თა-  
ვის დამშვიდება სცადა: მე ტრამალების  
შვილი ვარ, ალბათ ამ მთისა და მწვერ-  
ვალების არაფერი გამეგებაო, ქანცაწე-  
ყვეტილი მიწურის ყურში მიიყუდა და  
ყურებამდე მხრებატანილმა ჩათვლია.

პოლკის მეთაური მაცხონაშვილი კი გამლილ რუკაზე დაყრილ მკლავებში თავგადგებული დილაშდე ოხვრით ყვირდა და ელოდა ვაიგათენებას.

ბესოიას აქამდე რა უთანასწორო ბრძოლებიც ენახა, ახლა ისინიც სანატრელი გაუხდა: ყველაზე უარესი — უკიდევანო ზღვაზე რომ მორებს ჩაბლაუქებული გერმანელი მფრინავები ციდან მესს ატეხნენ, ისიც კი. მტერი მაშინაც ზევიდან იყო მოქცეული, მაგრამ ქარზე უსწრაფეს, მჭროლავ მანქანიდან ტყვიის ჭერს მაინც საალაღბედოდ ისროდა და განწირულებს წყალში გადავარდნა და ჩაუტრყუმალაუებდა მაინც შეეძლოთ. ომში ტყვია საიდან წამოგებარება, წინდაწინ არაფერ უწყის, მაგრამ მიწაში ღრმად ჩამძვარალმა ჯარისკაცმა იცის, თუ ბომბი ან ნალში მისი ორი მტკაცელი სიგანის ორმოში არ ჩავარდა, წინიდან წამოსული თოფის და ტყვიამჭრქვევის ცეცხლი ვერაფერს დააჯლებს.

ბესო თავისი ახალბედა ბიჭებივით დაიბნა. დილაუთენია აქ რა ცოდვა-ბრალი დატრიალდებოდა, ისევე არაფერი იცოდა, როგორც კბილაწაქაყაებულმა ტყლინტმა ჯარისკაცებმა, ცხვირის ნახოცი წვინტლით მხარის ორივე სახელს რომ სველი ჰქონდათ და ახლად გამოჩეკილი წინილებივით ათმეთაურის მხრებქვეშ ამირებდნენ შეძრომას. ახალწვეულთაგან ერთადერთი კვირკველია იყო ჰკუადამჯდარი და ხედავდა, ერთ კაცს რა ფართო მხარ-ბეჭიც არ უნდა ჰქონოდა, ათ კაცზე მეტს ვერ შეიფარებდა. ამიტომ მთლად ეულად ყოფნას გამოცდილი, მაგრამ ვერაფერიშვილი ჯარისკაცის — ამაღლობელის სიახლოვე არჩია.

— ბაქური, პატონი, აქ ნავარი ამბავი დატრიალდება, მიტყვამს მე ეს შენთვის! — ჩურჩულებდა დამიანე და ტყვიდან ამოყოლილი ჯოხით ლოდსა და ლოდს შორის ფეხის დასადგმელს ეძებდა.

— ვინ იცის... — ამაღლობელმა რაც არ იცოდა, იმაზე მეტი რა ეთქვა.

— მაგი კი... შენი ჰირიზე შენი, მაგ-

რამ თქვენ მაინც მის მეტი რა...

„გამომიჩნდა მეორე ბიჭი“ — გაიფიქრა ბაქური. საალაღბედოდ გადადგმული ფეხი ქვებში ლანჩო ჩაქედა. რამდენი დაქანა, ზევიდან მსხვილი ღორღი ჩამოიშალა და წვივამდე დაიფლადამიანემ გვერდი აუქცია და ლოდზე ჩაიკუნტა, თოფის კონდახი მიაწოდა. ბაქურმა იმ ლოდზე მობლაუქება ამჯობინა, რომელზეც კვირკველია იღვა ჩაყუნცული და ფეხს ამოგლავა, მაგრამ ბათინკას ლანჩა ხარის ენასავით დაეკიდა. ახლა ამ ათრეული ლანჩის თავიდან მოშორება ჯობდა, ჰვალორდიან ორწონებში ისედაც გაძაღლებულ ყოველ ნაბიჯზე, ტერფში მის ტყლაშუნს და დაგორგორავებდას.

— მგონი ბებუთი დანა გაქვს დამიანე, მათხოვე ერთი...

— სამწყაღე შამფურს თლი, შენ რა გითხარი მე შენ, თუ?

— აგურ, ფეხსაცმელს ლანჩა ივარდა და მივაჭრი!

— მიაჭრი?! კი მიაჭრი, მაგი ადვილია, მარა ხვალ ციდან ვადმოგოყრის ვინმე, ვითომ?

— მომეცი, ხვალ იქნებ „გადაგჩრეთ“ და აღარც დაგვიჭირდეს.

— რა თქვი, პატონი, ბაქური?! — დამიანემ ბნელი მოათვალიერა და მალლა, ოდნავ დაწმენდილ, გაფერმკრთალებულ ღრუბლებში, თავზე წამომდგარ დაკბილულ მთებს შიშით შეხედა, — ხვალ აღარ დაგვიჭირდება მაგი ბათინკები?...

ათეულის გვერდით მოფორთხილვ ქვუფი დაშორდათ და წინ წასულმა ბესომაც ოდნავ მარცხნივ გაუხვია. კვალში ჩაუდგნენ ყინვაწაჭერილი, ცხვარში ათუთხუნებული ბიჭები, რომ მეზობელი ათეულის მხრიდან ჩაგუდული, მკიფე ხმით მოისმა:

— ვინა აქეთ რომ მოდის?!

ვილაცა ხმის კანკალით გაეპასუხა.

— ჩვენ ვაართ, ამხანაგო...

— პირდაპირ, წინ იართ!

ბაქურს გააყრყოლა, რაღაც ცუდი ნაცნობობა ჰქონდა ბესოიას ამ ხმის პატ-

რონთან და დაწინაურდა. ბესოს სიცივისაგან და ამდენი თრევისაგან, მოურჩენელი მუხლი შეუშუბდა და ეგონა ახლავე წამოვეწვიო, მაგრამ ათისთავს ასე სალოლიავებელი ჭარისკაცებიც უკან მიეტოვებინა, ქარაფის ძირში გასულყო და ჩაჩოქილი, კბილებს ისე ალაწუნებდა, უცხოთ ეგონებოდა, ლოდების ლეჰვა დაუწყიათ.

— ბესოი! — ბაკურმა მხარზე ხელი დაადო, — არ დაგაეწყდეს...

— ყველაფერი მახსოვს! — პირიდან ქეები გადმოყარა კინწურაშვილმა.

— ფოთოლა, ამ კუნაბეტ ბნელივით, შავებშია... ვალია ღირსია ომის მერე მაინც ვაიძროს ჭარისკაცის მახარა და თხელი, ფერადი ჩითის კაბა ჩაიცვას...

ქარაფიდან ღორლი ჩამოიშალა და ოცმეთაურის გაწვრილებული ხმა ჩამოიყოლა:

— კინწურაშვილო, პირდაპირ იარეო, გითხრეს შენ თუ არა! — და ვილცას იქვე, ქარაფის თავზე რუსულად უთარგმნა, — არ მინდოდა მე ამის ათმეთაურად გაშვება, არ მინდოდა!

— ზაურ!.. — დაიღრინა ბესომ.

უმცროსმა ლეიტენანტმა ჩინი ისაფრა:

— ოცმეთაური ვარ მე, კინწურაშვილო!

— არა და, ოცმეთაური მართლაც ის კაცი! — გამოესარჩლა ბაკური ზაურ ყანჩაველს.

— ათმეთაურო!.. — გვარის ხსენება მეტად ველარ გაბედა ყანჩაველმა, — ქარაფის ძირს გაჰყევი და პირდაპირ იარე. პირდაპირაა უღელტეხილი!

ლოდიან-ლორდინში ბიჭები მოქსუტუნობდნენ და თოფს, კარდალას და ვის ბათიწყასაც ნალი შერჩენოდა, ქეებზე ახრივინებდნენ.

— ბიჭებო, ფრთხილად, უხმაურად! — ბესოს მაგიერ ბაკურმა მასმასა და ქარაფის ძირში ჩაიხედა.

— იცოდე შენ, თენდება ბაკური... მარა, რომ გახერბდეთ, ესეც იცოდე, გავიყინებით! — ამოიკენესა და ამოფორთხდა კვირკველია.

შეშხათმა დილამ ათეულს შეეკეცაზე მოუხწრო, რუხ მთებში მოქცეული, ვრცელი ტაფობის დასაწყისში, კლდეების ნაშალ ქეებს, ვერ ჩამოედწიათ. აქ ვინ ვაგაჩერებდა, ან რა აზრი ჰქონდა, როცა არც სიმაღლეებზე გაბატონებული ეძინათ. ვინც ისინი აქ ამორყევა, მათი ძილისა და მოსვენებისათვის რომ ეზრუნა, რა დაკარგა აქ გერმანელმა და რას ეძებდა!

უღელტეხილის გადმოღმა, უფრო მორჩილა მთებზე გატანილმა თითო-ორთა ქეემებმა და მეტწილად ნაღმსატყორცნებმა, წინა დღით შეთვალთვალბულ მტრის საცეცხლე წერტებს, სანამ აყეფდებიან, ხმას მანამდე ჩაეუწყვეტოთ, დილის მყუდროებაში, მართლაც ომაჯინად დაიქვექეს. დაიქვექეს და დაგბილული ქედის ორივე მხარეს თხემებზე და შვეულ კედლებზე კვამლის ბოლქვები ავიარდა. მთამ მთას გადასცა ქუხილი, წამოვიდა მორღვეული ლოდები და სანამ ეს ავად ატაცებული ქუხილი მიჩუმდებოდა, ისევ იგრიალა, ისევ რისხვად დაატყდა ქურვები და ნაღმები წინა მთასა და კლდეს. აზავთდა და აქუხდა ხეობა, მაგრამ სანამ ზურგს უკან გრილებდა არტაღერია, ჭარისკაცებს აკრთობდა, აყრუებდა, მაგრამ ახალბედებსაც არ აშინებდა. ამ ამზრზუნ, მრისხანე ხმაში იყო იმედიც, რომ ეს იარაღი შენია და რგი რაც მეტად გამოგვივლავს ყურებს და თავზე თმას ზღარბივით ავიშლის, იმდენად უნდა ეშინოდეს მას, ვისთვისაც ისაა დამიზნებული.

საარტილერიო მომზადებისას, ყველამ რომ გაირინდა, კინწურაშვილმა თავის ათეულს ხელი მოხვია და წინ წასწია. ტაფობში იქამდე შებოხდა, სადაც მარცხენა, მოწითალო-რუხი კლდის ჩამონაშალ მსხვილ ლოდებს ჩამოედწია. ვითომ ეს ვრგვინვა-გრიალი არ ვაეგონოს, დათბილი ლოდების გორებას შეუდგა და დამალი ყორის მაკვარი ზღუდის შეკოლოცება მოინდომა, რომელღაც ჭარისკაცებს არა ციდან და მთიდან, მაგრამ წინიდან წამოსული ტყვიისაგან დაიფარებდა. რაც ამ ცალმხრივ საარტილერიო

მომზადებას მოაკყებოდა, მან უკეთ უწყობდა და დაზაფრული ახალწყვეულები რომ მანარის ქვეშ არ შეძრომოდნენ, ვითომ სამალავი უნდოდა გაეჩინა. მტერი ისევ დუმდა, რომ უღელტეხილის გადაღმიდან ძრავების ყრუ გუგუნი გადმოიპარა, ვაკე-ხეობაში დაგუბებულ მებხის ტეხვაში.

მთის წვერიდან მთის წვერზე გადასროლილი ცეცხლი აქამდე ტაფობში გამოიწყვედებულ მებრძოლებს არც ეხებოდა, მაგრამ ცაზე რომ პირველმა ბომბდამშენებმა გადაიფრინეს (ასეთ მწვერვალტეხში სიმაღლის დაჭერა და მტრისა და მოყვრის გამოცნობა ჭირს, საჭიროა აარგად იცოდე, ვის რა უწყალობო). სანამ შავი ფრთოსნები მობრუნდებოდნენ, ტაფობში შეფროთხებული ათეულები და ოცეულები, ჭარისკაცი და მეთაური, ნაცადი, თუ ახალბედა მიწას ფრჩხილით და კბილით ეცა, მაგრამ მიწა, რასაც ბრტყალი მოეკიდებოდა, აქ არ იყო.

ჭარი მაინც განწირულია, თავის შეტარება არ შეუძლიაო, თუ თავიდანვეც ასე იყო განზარაბული. წინსვლის ბრძანება გაიცა. არტილერიისა და მთების გუგუნში, თვითმფრინავების ზუზუნსა და ორომტრიალში სანამ ეს დამზაფრელი ბრძანება ქვეხაყოფებამდე დავიდოდა, დანაყოფებიდან ათეულებზე და ჭარისკაცებზე, ბომბდამშენებმა ცეცხლის ჩასანთები ხევის თავზე წრე მოხაზეს.

— წინ! — ისმოდა ქვევიდან ხმის ჩახლენამდე. ზევიდან კი წამოვიდა... ცვივოდა, სკდებოდა ყურის ძირში, იღებდა ქვას, ლოდს, ურევდა ლითონის ნამსხვრევებს, ცეცხლს, კვამლსა და ოთხივე მხარეს ფანტავდა. აფეთქების ხმის მთები უკან აბრუნებდნენ და შიშს ააუკეცებდნენ. მკვარტლის ბოლქვებიც ზევით ისევ ზანტად იწვედნენ, თითქოს ახალ-ახლებს უცდიდნენ, რომ რაც დამსხვრევას და დაწვას გადაურჩა, მწარე კვამლში ამოეღრჩო. ლოდებში ჩახოცილებსა, დაჭრილებსა და ცოცხლად გადარჩენილების თავზე კუბრავით სქე-

ლი მსუთრი გაწეა და წინსვლა ნიშნავდა — გველო, საითაც პირშიქცეული იყავი.

ამ ცის ჩამოქცევაში, ბესოს გვერდით, საიდანაც დაზვის ტყვიამტრქვეფი შემოაგორეს თვალბამომწვარმა მეტყვიამტრქვეფებმა. სად უპირებდნენ ამ ლოდებში გათრევის, ძველმა მებრძოლმა ვერაფერი გაიგო. მტერი ტაფობის ბოლოშიც რომ ყოფილიყო, ამ ფაფასავით კვამლსა და ქვარტლში მაინც რას გააჩნევდი. მით უმეტეს, მთის თავზე კლდეებში ჩასანგრებულ მტრისათვის რა უნდა დაეკლოთ.

ზურგს უკან პისტოლეტის ტკაცანი გაისმა ვითომ, ამ მთების ნგრევაში, ფიჩხის გატეხვასავით ვერავის უნდა გაეგონა, მაგრამ ბესო ლოდებიდან წამოვარდა და შამხანაც ხელმრუდედ აიყოლა.

— წინ, უღელტეხილისაკენ! — იღრიალა ვილაკამ და კვამლის წკვარამში ჩაეყარა. მარცხნივ აფეთქებულმა ყუმბარის ტალღამ კინწურაშვილი ძირს დაანარცხა, მაგრამ მამინვე წამოიშართა და ცოფმორეული დატრიალდა. მთულოდნელად წინ ბაკური აეფარა და მკლავში ჩაფრენილმა გაიყოლია, ჩხავილით:

— ვაშა, ბესო! ვაშა, დამიანე! ვაშა, ბიჭებოო!

— რა ვაშა, რის ვაშა... — დორბლი გადმოყარა ბესომ, მკლავი გამოგლიჯა, თვალამომწვარი წაიხარა, ლოდებში ჩაკარგული, თვალატრეხული ბიჭები მოქებნა. ოთხნი, მოსულიშვილთან შეხუტუქებულყენენ, მოზრდილა ლოდის ძირში თავშერგულები. სამი — ბაკურის ხმაზე აქეთ მოფროთხავდა, თვალჭრელი ბაჭუა ნიქარაძე და ნიკო ნაზღიაძე საფარზე ლოდის დამატებას ამირებდნენ, მაგრამ ყოველი აფეთქების გრიალზე ქვა ხელიდან უვარდებოდათ და მაინც იმის ამარა რჩებოდნენ, რაც დაბომბვამდე ერგოთ.

— ვაშაა! — კვილით ჩაიბინეს ვილაკებმა გვერდით და მსუთრში და ლოდებში ჩაიკარგნენ.

— წინ, ბიჭებო! — იღრიალა ბესომ-

აც, მაგრამ ქვა-ლორღში გამდნარი აბა-  
ლებდების, ცეცხლწაქილებულ ყორე-  
ბიდან აბოჰვა, თვით ყოვლისშემძლე კი-  
წურაშეილსაც არ შეეძლო.

— ბაკური, სად წადი, გაღირე! —  
იზმუვლა ათისთავმა და ერთად ჩამხო-  
ბილ ოთხ ბიქს ხელი წამოუსვა, ფეხზე  
დააყენა. ორნი უკვე ისედაც მისი მიზ-  
არის კალთებში იყვნენ ჩაფრენილნი და  
თან გაიყოლია. ნახლიძე ნივარამეს გა-  
მოუძღვა, უკან მობრუნებულმა ბაკურ-  
მა დამიანეს ჩაფრენილი, ახლუქუნებუ-  
ლი ხარაბაძე მოგლიჯა და წინ გააგდო.  
ლორღში ორ, ვიღაც სხვა, სისხლგადე-  
ნილ მებრძოლებს წამოედგნენ და ცხვი-  
რგატეხილები ბესოს ათეულს გამოუდ-  
გნენ. მარცხნიდან თავგზააბნეულები  
ჰორბოდნენ ლოდებზე ხეთქებით. გამდ-  
გარი კვამლი თუ გაიხსნებოდა, წინაც  
ჩანდნენ ვიღაცები, დაცემის მერე რომ  
წამოიშრებოდნენ.

პირველი სიკვდილიც გამოჩნდა, ლო-  
დებში ჩაყვებულნი, წელში გადაწყვე-  
ტილი ჯარისკაცი, ირგვლივ წითელი ტა-  
ლებით აყო დაქორფილი იქაურობა.

— დაიშალეთ! — იღმუვლა ბესომ,  
როცა აფეთქებინებები მალა-მალა  
აიჭრნენ. კვამლის ფარდაც აიყოლიეს  
და სადღაც გამურული მზის დისკოც  
გამოილანდა.

— მოშორდით! — დაირეკა ათმე-  
თაურმა კუდში გამოსკვნილი ბიჭები.  
რომ მალლიდან ნალმსატყორცნებმა და  
ტყვიამურქვევებმა ჩამოეშვეს ცხელი  
ტყვიის ღვართქიფი.

— ვაი, დედიკო!.. — იწივლა ხარაბა-  
ძემ და ლოდზე წელით გულაღმა და-  
ცემულს, თვალებზე ცრემლი შეაშრა.

— არქა, პატონი, ბაკური! — თოფი  
ქვებში ჩააბეთქა და თვალბგადატრი-  
ალებულის გვერდით ჩაიხოქა კვირკვე-  
ლიამ

— დაანებე, დამიანე, თავი!.. — ხელი  
ჩაიქნია ბაკურმა.

— რა თქვი შენი? — გავიყდა ეს  
გჭკადაძეარო კაცი.

— მოეშვი... შენს თავს მიხედვი!

— ჩემს თავს? კაცი მეგობრებს შენს  
ბაკური, კაცი!

კვირკველიამ ხელში აყვანა ცერ მო-  
სწრო, ვულგანგმიარულს გააძაგდა და  
თვალცრემლიანმა დამიანემ იღლივზე  
და მუხლებზევე შეცურებული ხელები  
დამდღურტულივით გამოაცალა.

— ბესო, კაცი მოკვდა! კაცი! — ბლა-  
ოდა ხმაწართმეული გლეხი, მაგრამ ათ-  
ნაბიჯზე დაცემულმა ნაღმმა ელდნაკ-  
რავი კვირკველიაც გამოაფხიზლა და გა-  
ახსენა, თავის თავზე უნდა ეტირა. და-  
მიანემ ქვებიდან თოფი ამოგლიჯა, მა-  
გრამ ცალი თვალი ისევ მიცვალეზულზე  
ეკირა. აწივლდა ქვებზე ტყვია და მო-  
აგონა წინა ეცქირა. ვითომ თავისიანებს  
მაშურა და წამოეფარა, კისრისტეხით  
გაიქცა, ბაკურს რალაც ძალღუერი გუ-  
მანით მიავნო.

— ტყუილა დაიღუბა კაცისშვილი,  
იცოდე შენი! — რალაც მოიბოდიშა, თუ  
მოუსამძიშრა, თვითონაც არ იცოდა. —  
ასე რაფა დაიღუბოს უნდა კაცი... —  
საცოდავი, რალაცას არეულად ბლუქუ-  
ნებდა. უღელტეხილზე ტყვიამურქვე-  
ვები კაკანებდნენ, დაკბილული სიმაღ-  
ლეებიდან ეჭვსულლიანი ნაღმსატყორ-  
ცნები აღმუვლდნენ, გადამიდან მიიმე-  
არტაღერია ქუხდა. ქვა და ლორღი პა-  
ერში აღიოდა და ცეცხლი ეკიდა.

— წინ! — გამოსროლილ ტყვიასავით  
ისმოდა ზურგიდან აფეთქებისა და აფე-  
თქების შუა და ტარაბუდაზვეულთ ორ-  
ცეცხლში აქცევდა.

— წინ, წინ!

— საღაა წინ? შენი მკვდარი და ცო-  
ცხალი!.. შენი ავი და კაი!.. — ერთი  
კვირის ნამოთქმები, ხმაბახლებილი ქა-  
ლივით ავივლდა წინგაჭირილი ბესო.  
ბაკური რომ გაეფხდა და თვალატირე-  
ბულ კვირკველიას შეაბერდა, დამიანეს  
ჩახეზე მიცვალეზულის ფერი და-  
ეღო. — თუ ესეც გადაირია, ცა თავზე  
დაგვეციმა და რალა გვიხსნისო. უკვე  
ტყვიის ზუზუნნი და ნაღმების ბათქა-  
ბეთქი აღარ გაუგონია, ისე გაეკიდა  
თივექუმოგლეჯილ ამაღლობელს. ლო-  
დები რომ გომშვიათდა და ეგონა გაქ-



ცემა გაუიოლდებოდა, ადგილზე პირ-  
ქვე დასკდა, ფეხებში მომთბესო ეგო-  
ნა, ხელეზი მუხლებზე იტაცა, თითქოს  
ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა.  
წამოიწა, ისევ დაენაცხა. თვალებს არ  
დაუჯერა. ჭუნჯიან, ტალახისფერ ყინუ-  
ლის მიწვარზე ეგდო, რომელზეც ალაგ-  
ალაგ დანაბომბ ძაბრებში ყინულის ნი-  
სხვრეგები გამჰკარტლულ მზეზე ჰკია-  
ტებდა.

— ახლოს არ მოხკიდე, კვირკვე-  
ლია! — ჩხაოდა დათოფილი ფიცხვე-  
რივით ათქეთაური და სიგრძეც პირ-  
მოორღეჯო, გლუვი ცქრიალი კედლებ-  
შაქანებულ ძაბრში თავით ჩაკიდებას  
აპირებდა.

— მიშველე, დედა, მიშველე!..  
ამდენის ერთად მსახველმა დამიანემ  
დახეტილ ყურებს არ დაუჯერა, ამ და-  
ქცულ ქვეყანას ვიღაცა ქვესკნელიდან  
შეელას თხოვდა. ცა და მიწა, მთა და  
ბარი ხომ წარღვნას მიჰქონდა, და თუ  
ქვესკნელსაც ცეცხლი ეკიდა, რად უნ-  
და გაეჩერდნენ, ხსნა აღარ ყოფილას და  
კვირკველია ყინულის მიწვარზე პირ-  
მოღებულ ნაპრალს თავს წაადგა.

ქვესკნელის ლილადაკრულ თეთრ ხა-  
ხაში კაცისშვილის განწირული ხმა და  
წყლის ჩხრალი ამოდიოდა. ადამიანს,  
მწყურვალეც რომ არ იყოს, წყლის  
ჩხრალი სიცოცხლის და სიხარულის  
განცლას გვრის, ახლა სიცივდილის  
მთესველი ბარბის ყვავაც არ იყო ისე  
ამაზრბენი და თავზარდამქეში, რო-  
გორც ეს ცივი, ნაპრალის პირიდან ნა-  
კადულის ჩუხჩუხი. წინიდან, მარჯვნი-  
დან, თუ მარცხნიდან ისევ წუწუქუნებდა  
ვიღაც, წყვარამის მოღებულ ბირში  
ცოცხლად ვანწირული.

ბესო ბიჭებს წელიდან ქაბრებს გლეჯ-  
და, მზარის კალთებს ახვედა და ერთ-  
მანეთზე აბამდა. მაგრამ ქვესკნელის გა-  
დაყლაპულის კი არა, ვისზეც ხელი მი-  
უწვდებოდათ, მისი შველა აღარ შეებ-  
ლო. მტარმა უღელტეხილის ბილივზე  
ჩამოინაცვლა, თუ იქაც ჰქონდა იქამდე  
უხმოდ შემოინახული კარგად შენიღბე-  
ლი ტყვიამტრქვევი, პირლია კაცისქამია

ნაპრალის პირზე გართხმულ ნაპრალ-  
ცებს ახლა უფრო ზუსტი ცეცხლი და-  
ატეხა. ორი ბიჭი ჩქვე, გამსლართულ  
წინა ათეულების დახოცილებთან და-  
ტოვეს, მკერდმანგრეული ნიჭიარბე და  
თავ-მხარ დაინგქვილი ნაშლიბე. კოჭ-  
ში ფეხმომსხვრეული კვირკველიას ყი-  
ნულის მოედნიდან გაყვანაც არავინ აცა-  
ლათ, ახალი ასეულის ქვეგანყოფი ვაღ-  
მოიყვანეს. ბესოს ფეხზე შეწყობული  
რევილვერით ებრძანა, თავისი განახვე-  
რებული ათეულით, თვალებში კარგად  
გამოეხედა და წინ ისევ ევლო. საიდან-  
ღაც მარცხნივ მოწითალო კლდის ლო-  
დებოდან მოწიოდა ეს განკარგულება;  
თვალნათლივ კი არავინ ჩანდა.

საარტილერიო ცეცხლი თითქოს ისე  
აღარ მიძინეარებდა, როგორაც შავ-  
რუს კლდეზე ტყვიამტრქვევის კაქანი  
აელებდათ მუსრს. ამის ემატებოდა მარ-  
ჯვნიდან, დაკბილული ქედის კედლები-  
დან წამოსული სხვადასხვა ჯურის ბარ-  
ბის ტყვიის ნიაღვარი ამ ჯვარედინ  
ცეცხლს ყინულის ველზე ვინ ონდა გაქ-  
ცეოდა, რომ უღელტეხილის ბილივზე  
ფეხი შეედგა.

კინწურაშვილმა, არა რაიმე საბრძო-  
ლო მოსაზრებით, ჯარისკაცული ანს-  
ტინქტით და გლახური აღლოთი, ყინუ-  
ლის ველის გვერდის ავლა სცადა. უკაც  
გაძენძელდა, მაშინვე გვერდზე გაუბ-  
ვია და მოწითალო კლდის ძირს მიამო-  
რა, მყინვარის ენის გასათავარში ჩისე-  
ლას და იქიდან ლოდებში გაფორთხებას  
აპირებდა. მან არ იცოდა, ეს უკეთესი  
და ნაკლებ უხიფათო გზა თუ იყო, მაგ-  
რამ პირდაპირ ხსნა რომ არ წამოდი, ხე-  
დავდა. იქ აღბათ როცა ახალი ოსაშვე-  
ლო ვაუჩნდებოდა, მერე დაინახავდა.

ახლად წამოშველებულმა ჩვეუფ-  
წინსვლის მაგიერ, ოთხი ჯარისკაცი რომ  
წკვარამმა ცოცხლად ვადაფულაა და  
სამესამელოდ, ზელისგულივით მოშიშ-  
ვლებულ გლუვ მიწვარზე მტრის  
ცეცხლმა შეთბევა, იპრუნა პირი და  
გვერდზე გაბვეულ კინწურაშვილის ხე-  
თიოდე ნებრძოლს კარგა მოზარდილა კე-  
დი გამოება. ყველაზე ახლო და ზუსტი



მტრის ტყვიამფრქვევის ცეცხლისაგან მოწითალო კლდე რომ იფარეს, სად-ღაცედან... სადაც იქვე... იმ კლდიდან, თუ იმ მოწითალო რუხი ტინებიდან, რომლის ქვეშ თავი შეაფარეს და რომელი შთის იმედით ჰქონდათ, პისტოლეტი გაეარდა... ისე როგორც დაბომბვისას, თითქოს არაგის უნდა გაეგონა ასეთ ჭლეთაში, ამ უსუსური იარაღის ტყაცანი. ბესომ ახლაც გაიგონა. გაიგონა, იზშუვლა და წელში წახრილი კი არ წამოიმართა, კაცის სიმაღლეზე შეხტა, პაერში ამოტრიალდა, ღორღში გულად-მა ჩაშვავდა და ფეხებდაღეწილი ულაცყოფით თავი ქვეშ დასცხო. მისი დაქან-ვული სპილენძისფერი ყურები თალხი სისხლით დაიცვარა.

ბესო უფროსი იყო, მაგრამ მაინც

თანშეზრდილი; ორივე აგებული იყო ხანია ერთად არიან ცეცხლსა და ლადარში, მდუღარესა და კუბრში, და ბაკურს ჯერ კიდევ არ ენახა ბესოს ასეთი თავ-ვანწირული ნადირის ნახტომი, ალბათ იმიტომაც, რომ ეს მისი უკანასკნელი გაქროლება თუ გაბრძოლება იყო. იგი უსულოდ ეგლო კაცებშია ყინულ-ველის ვასათავარში, ნატყვიარი არ აჩნდა, მაგრამ შეგარული, ძლიერი კბილე-ბიდანაც სისხლი გამოეპარა, თავისივე მუტის სიმსხო, კაცის ნატეხივით ნიკაპზე დაუგორდა და იქვე იწყო შედე-ღება.

ჯერ მზე საშუადღეოზეც არ იყო, უღელტეხილისათვის ბრძოლა გრძელ-ღებოდა.

## თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

### I

პოლკის მეთაურ შავლეგიშვილს ცხრაასოცდამათხ წელს ჰქონდა სამხედრო განათლება მიღებული და აქამდე ახალგაზრდობაში შესისხლხორცებულ წესებით და სამანევრო ტაქტიკით ცხოვრობდა. გაზეთის გარდა ხელში წასაკითხი არაფერი სკერია და ომის დაწყებამდე კადრების მომზადების საქმეს იმ ცოდნით ემსახურებოდა, რაც ყმაწვილკაცობაში გაიზეპირა. შარშან, ომის დაწყების მეორე თვეს ჩაება ბრძოლაში, მაგრამ მხოლოდ იმის გაგება მოასწრო, ამ ახალ ომს ახალი ტაქტიკა და სტრატეგია რომ სჭირდებოდა, ახალი იარაღი და ახალი მუხანათობა. სახელდობრ რა, უკან დახეულ, ანგლოზებ-დაფეთებულ მეთაურს არც ამის მოფიქრების და მოსაზრების თავი ჰქონდა და არც საშუალება. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს... დროზე, უპანიკო და ნაკლები დანაკარგით, უკან დახევის წესდებით გაუთვალისწინებელი საშუ-

ალებები გამოქებნა და მტერს ილყაში მოქცევისა და ჯარის სრული განადგურებისაგან თავისი სამწყსო არაერთხელ იხსნა. იქნებ ამის გამოც იყო, რომ თვითონ სიკვდილს, ტყვეობას და დაჯარას გადარჩა, მაგრამ ამდენი სირბილით ნალგელი ჩაექცა, თუ რა ღვთის წყრომა იყო, სიყვითლემ გადაუარა და ბაქოს პოსპიტალში ამოჰყო თავი.

ახლა, ამ ახლად ფორმირებულ პოლკს ჩრდილო კავკასიის მთებში, კლდე-ღრეში დათრევედა, სადაც ერთ დროს შამილი დაუძღვებოდა ფიცხ მთიელებს. შამილზე ისევე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, როგორც ამ ომის ახალ, შემტევ სტრატეგიაზე. მაგრამ შვე ცხენზე ამხედრებულ პოლკის მეთაურს, ცალი თვალი მუდამ ტყისკენ ეპირა, თუ უსაშველო გაჩნდებოდა, გაცლა ემგობინება; ამოდენა მთასა, ტყესა, ხეესა და კლდეში თავშესაფრები აგულვებული უნდა ჰქონოდა, მთებში

კალთებზე, ფიჭასავით მიშენებულ აუ-  
ლებსა და იურტებში ყონალების გა-  
ჩენაც შეიძლებოდა და ტრამპლებთან  
შედარებით თავდაცვაც გაუიოლდებო-  
და.

მთებში მტრის მსხვილი დესანტის  
ვადმოსხმის პანოკით შეშფოთებულმა  
არმიის სარდლობამ, შუალამისას, შავ-  
ლეგიშვილის პოლკის ასეულები განვა-  
შით წამოაყარა და დასავლეთით საფრ-  
მე და სამარხილე გზაზე აღმართიან ორ-  
წოხებს გაუყენა.

დიღამდე დაცვიდნენ უპატორი  
ცხენები. მომრავლდა სუკის წითელი  
მწვადები, მაგრამ ტყვიანობით და მის-  
ხლობით დარწყულ სანოვაგით დატვირ-  
თული ფორნები კრიახებს შესეულ,  
ოფლში გაწურულ ჯარისკაცების მხრებს  
დააწვა. სანბატი, არტილერია, საინჟინ-  
რო ნაწილი, სამზარეულო, სახენიტო  
თუ დაზგის და ხელის ტყვიამფრქვევე-  
ბი, თოფი, ჩანთა, ნიჩაბი და თვით ალუ-  
მინის მათარაც კი ზარბაზნის ქურცივით  
დაჰმომდა.

სანამ მწვადი და ხარჩო იყო, რა უშავ-  
დათ, მაგრამ როცა აღარც ცხენი იყო,  
აღარც ჩინია, ტვირთს კი არაფერი მო-  
კლებია, შვირისა და ქერის თითო ჩამ-  
ჩა ფაფით გაუჭირდა ჯარისკაცს, ჯარის-  
კაცობაც და საჭაანე ცხენობაც გაეწია.

შავლეგიშვილს მიძინებულებით ვიწ-  
როდ გახელილი თვალები ბუდიდან ამო-  
ეწია, დაუმსხვილდა და დაუფართოვდა.  
მის ჩვეულებრივ ღრიალს „ამის პატრრ-  
რონის ქვეყანა...“ ორ „არ“-ს მესამე რ-ც  
ჩაუმატა და საქმეს რომ არც ამან უშეე-  
ლა, საყონადე შეგულებულ სოფლებს  
და კოლმეურნეობებს, არც თუ მოკრძა-  
ლებულად და მეგობრულად ორი-სამი  
უღელი ხარი, პოლკის ბეჭედდსამული  
ხელწერილით. წაართვა. ზოგი ზარბაზ-  
ნებში და ფორნებში შეაბა, ზოგიც  
ხელწერილით გაუთვალისწინებელ  
მწვადად და ხარჩოდ მთამზადებინა.

გერმანელებს დესანტი აღარ გადმო-  
უსხამთ და პოლკს ებრძანა გზა თერგის  
მიმართულებით შეგვრძელებინა და

მთის კალთები თანდათანობით დაეცა  
ვებინა.

დაღმართში საქმე გაჭირდებოდა, რომ  
ჯარისკაცებს ადალებს თვლებში ვეტე-  
ბი არ გაეყარათ იმისდა მიხედვით, წინ  
რავეარო დამარეცი იდო და ერთი ბოჩ-  
ბალოს დამუხრუჭება დასჭირდებოდათ,  
ორის, ანდა, თუ მთლად უსასველო იქ-  
ნებოდა, ოთხის.

ნიავეს მთებში დამწვარი ნავთის თუ  
მაზუთის სუნი შემოაჰქონდა. ჯარისკაცი  
ნამწვის და ნაცრის ყრილით გრძნობს  
ფრონტის სიახლოვეს და კი არ აშა-  
ნებს — ზარავს, საბზრებში შლის და  
ფეხები უმიძიდება, ეთრევიენბა. ომგა-  
დასბაღმა იცის, წამის მეათედ ნაწილ-  
ში შეიძლება ვადაასწრო, ან დააგვიანო  
და აგედეს საშენოდ ნასროლი ტყვია,  
ან მოგზედეს, მაგრამ არ მოგზედეს მღ-  
ვისტოლა გულში, ტვინში და მუცელში.  
სხვაგან დაჭრაზე და დასახიჩრებაზე  
არავეინ ფიქრობს. მთავარია ცოცხალი  
გადარჩე და გაშორდე იქაურობას,  
სადაც ყველა — მტერიც და მოყვარეც,  
შენსავით ფიქრობს თავი სად შემალოს.  
მოწინააღმდეგის მოსაბობას იმ დროს  
იმიტომ კი არ ცდილობს, რომ გაიმარ-  
ჯვოს, როგორმე მოიცილოს ის, ვინც  
მის სიცოცხლეს ემუქრება: რაყი იცის,  
ამოდენა ქვეყანაზე ორივეს ადგილი  
არაა! რაყი ორივეს არსებობა დედამი-  
წის ზურგზე არ ხერხდება. რატომ არ  
ხერხდება, რატომაა ასეთი სიმპიდრო-  
ვე, გაუსაძლისობა და დაუტევრობა,  
ამაზე ფიქრისათვის არავის სცალია და  
პასუხის გამცემი არავინაა, და კაცმა  
რომ თქვას, ეს სისულელედაც კი თ-  
ველება...

ამაზე რა ხანია მამუკაც კი აღარ  
ფიქრობს, საერთოდ რომ ვეღარ ფიქ-  
რობს იმიტომ კი არა, აბურდული ფიქ-  
რის ძაფები ისე რომ დაუწყვიტეს, არა-  
ფრით ერთმანეთზე გადანასკვა არ  
უხერხდება, არა, არავის გააჩნია ამაზე  
ლოგიკური და დალაგებული მოსაზრე-  
ბა და იმიტომ.

„დაიწყო ომი“ — იწყებს მემატთანე,  
მეისტორიე, ფილოსოფოსი, მწერალი,

თუ უბრალოდ ამის მიმოყვლი და ჰყვება, რა მოხდა ამ ქვეყანაში და არაფერი კითხულობს. რატომ დაიწყო და არაფერი არ ფიქრობს, ბოლოს და ბოლოს, ომის დაწყება ნიშნავს ამოდენა უკიდურესად პლანეტაზე მამულისი და ვინმე პანსის დაუტევრობას? თორემ რატომ უნდა იჯახიროს, ეწამოს, მოიგონოს ათასნაირი იარაღი და ფანდი, ეშმაკობა, ვერაგობა და ვირობა, რომ დაასახირონ და ჩაძაღლონ ერთმანეთი?

ჩაძაღლებული დამარცხებულია. მისი შემართანე წითლდება, ხელი უკანკალებს და მელანი უშრება. ჩაკვდი? დამარცხდი? გათავდა სიკვდილიც შენ, სირცხვილიც. შეჩვენებაც და თავლაფდასხვაც. გადარჩი? ვაიმარჯვე? იქნება ზურგში ჩაბრტყი დანა, იქნებ მძინარე გაგვდე, წყალი ან პაერი მოუწამლე? (პაერის მოწამელას თითქოს გერქაძლავენ, წყლისას არა), სულ ერთია, შენი დედა გახარებულია, სატრფო თეთრ, საქორწინო კაბას იცვამს. შემართანე ოქროს აღნაბს. აწობს კალამს და წერს შენზე, წერს და წერს... ბოლოს და ბოლოს, შენც კაცი ხარ, ქვეყანა შენით ხარობს და ზემობს, შენც გაბედნიერდები აბა, რა ღმერთი გაგისწერება...

მთავარია როგორმე არ მოკვდე და ქვეყანა შენია. ისე კი არა, რომ არც მოკლა და არც მოკვდე, ასე სულ ომში იქნები და რაღა შეგდარი და რაღა შინ მოუსვლელი. არა, მოკალი და არ მოკვდე..

დამწვარი ნავთის და მასუთის სენი და მჭვარტლი გაშლილ ხეობებში იმდენად მატულობდა, რამდენად დასაფლეთით მიიწვდნენ. ბოლი და მური ცას თანდათან ატუტყვიანებდა და ტყის სიხასხასესაც თალხი ფერი ეღებოდა.

მოწინავენი შთის უტორობა შებღზე რომ შედგნენ და ცასაწვდენილ შავად მხარხოლაკ, კიდიდან კიდემდე ცეცხლმოღვსულ ქვეყანას თავზე წაადგნენ, იმ წუთას არც სროლის ხმა ისმოდა, არც თვითმფრინავის ზუზუნია და არც ნების ტება. რაკი ამ ქვეყნის გადაწვეული და გადამბუკველი არაფერი ჩანდა, არც

მწველელისა და მხსნელის ბმედასწინდამკვებობა.

იწვოდა არა სახლი, ხე ან ქვა, სოფელი, უბანი ან მინდორი, იწვოდა მთელი თვალაწიერი, უკიდურესო ქალაქი. იწვოდა და არ იფერფლებოდა, ადიოდა ზესკნელის დამაბნელებელი კუბრი და ფარავდა იმას, რასაც თვალი სწვდებოდა და არ სწვდებოდა. იწვოდა, არ იფერფლებოდა. დულდა ქვესკნელის ჯოჯოხეთი, მიწაზე ამოდოდა და ერთი მუგუზალი არ ინავლებოდა.

ბომბა სკდება, ქვა იმსხერევა, სახლი ინაცრება, ტყე გადიაბუგება, სოფელ-ქალაქი მიწასთან სწორდება, ბოლოს ყველაფერი პარტახდება, მთავრდება; და როდის-როდის, თუ ისეც სახლი და სოფელ-ქალაქი, ბალი და ვენახი არა, ბალახი და ბუჩქი მაინც ამოვა, და თუ ნაპარტახალზე დიდხანს კაცი არ ამღერდება, ჩიტო ამიკვიდება, ყვავი ამხველდება. აქ კი ქვეყანა იწვოდა, იხლართებოდა ერთმანეთში ათასი და ათი ათასი წითელ-ყვითელი ცეცხლის და კუბრის მთხვეელი ვეშაპი, იკრუნჩხებოდა თავისი და ყველაფრის დამწველი, ცეცხლსა და აღმურში გახვეული და არც მის ტანჯვას უჩანდა დასასრული და არც მისგან ცეცხლწყვიდებულ მთასა და ველს, დაწვის, დანაცრის ბედნიერება.

ბარში ჯარისკაცების ოფლში შეზღულიმა კუბრმა, ხაყისფერი პოლკი იმ რუხ-მჭვარტლისფერ ველებს და ზეგნებს შეახაზა, რაც ერთად ამოხეთქილ ას ვულკანს გადაჩენოდა. თურმე, მართლა ტყუილი ყოფილა ეშმაკი და სული არ ყოფილა ისეთი, როგორსაც ხატავენ. ჯოჯოხეთი აგერ, გვერდზე ჩავლოდ პოლკის წინ გიზგიზებდა, სუვის მწვადებს და ცხელ-ცხელ საშლამას კი ისროდა.

გზას ორივე მხარეს მოსდევდნენ, მომთაბარე მწვემსებივით, აღმოსავლეთით დამარული ლტოლვილები და მოერეკებოდნენ ვამჭვარტლულ ნახირს, ფარებს, კალტებს, იშვიათად ცხენების მცირერიცხოვან რემასაც კი. ლტოლვი-



ლები, თვითონაც რომ არ იცოდნენ სა-  
ით მიდიოდნენ და „ეასი“ ვაყრილები  
„უსი“ შეეყარნენ, ჯოგებს პოლკის ბე-  
ჭედლაუკოვს ხელწერილში იძლეოდნენ  
და ოტებულნი მადლიერნიც რჩებოდ-  
ნენ, რომ ახალი ზორკით ფრონტზე მი-  
მავალ თავის ჯარს ამარაგებდნენ და არა  
მათი ქვეყნის დამაქცევარ ურდოს.

მიდიოდა პოლკი დასავლეთისაკენ,  
ცხელ ჭარსა და აღმურში და მიერევე-  
ბოდა ასეულებზე დანაწილებულ  
მტერის ქულებივით მორჩილა ფარეზს.  
ჯარისკაცს რომ მუცელი ამოყრილი  
ჰქონდა, ეს კარგი, მაგრამ ბედნიერება  
იყო, ეს სამწვადე და სახარწიო სუკები,  
მხარზე ადებული, ან აღაღებზე დატვი-  
რთული არ მიჰქონდათ — პროდუქტი,  
სანამ შამურზე წამოეგებოდა, თავისი  
წვრილი, შიშველი წვივებით მობაკუნო-  
ბდა და მადის მომგვრელად მომეტე-  
ლობდა.

ბოკერიამ თავისი ჯარისკაცებისათვის  
დღემიანი საკლავი არჩია ნახევრჯანს.  
მდინარის გადმოლახვისას თავთხელში  
პირველმა ასეულმა შეასწროთ და ავთა-  
ნდილის ბიჭები ცხვრების გადმოყვანი-  
სას წელამდე დასველდნენ, მაგრამ  
წყლისთვის ბეწვიც კი არ გაუტანებო-  
ათ. მართალია, მეორე ნაპირზე გადმო-  
რეკილ პირუტყვის, სასულეში წყალი  
გადაცდა და ნაზი ხველა აუტეხა, მაგ-  
რამ სამაგიეროდ ზინთი და მკვარტლი  
გაშორდათ და ახლა სპას მხარდამხარ  
მტერისა კი არა, ქათქათა ღრუბლის ქუ-  
ლასავით მოსდევდა.

თვითონ მეთაური თავის საპისთაოს  
წაბლისფერ, ყურებდაცქვეტილ ქურან-  
აზე ამხედრებული მოსდევდა, ჯერ კი-  
დეც მთებში, „ყონად“ ჩეჩენს რომ თავის  
მაჯის საათში ვაუცვალა. ავთანდილს  
ერთადერთი საყუთრება — მაჯის საათი  
არ ეთმობოდა, მაგრამ არც „ყონაღს“  
ჰყავდა ცხენი მოძულეებულთ. თავიდან  
„სარდალმა“ ვითომ ხელწერილი შეს-  
თავაზა. ჩეჩენმა მაგარი, თეთრი კბილე-  
ნი გამოაჩინა და სამართებლით მოპარ-  
სული ლურჯი, მოგრძო თავი უკან გა-  
დაიღვდა, წვერზე ორივე ხელი ჩამოის-

ვა და მურღზე შეიტყუება  
„ალაპი...“

ბოკერიამაც ცას ახედა: ილაპი ხომ  
სედაეს, მენი „ყონაღობა“ მწაღია და  
ათ ჩემი არ გეგრა, „მთავარსარდლის“  
ბეჭედით დავიმტკიცებო. ჩემეს ვრქე-  
ლა წვერი კი ჰქონდა, მაგრამ მოკლე  
მკლა არა, ბეჭდით ლიტკიცებულ ყონა-  
ღობას რა მოტილოვით თავში ვინლით  
და თავისი კინემა ფერა თვლების ცე-  
ცხლი ცოდან ამოეთარის გულისჯიბზე,  
საველე ჩანთაზე და ბოლოს მაჯის მო-  
ოჭროვილ საათზე ჩამოიტანა. თანაც შე-  
ახსენა, „შერ გურჯი ხარო...“ და ისევე  
მაგარი თეთრი კბილები გამოაჩინა.

ავთანდილმა საათი მაჯიდან მოიხსნა.  
პოლკი ნავთობი და გაზის საბადოე-  
ნით დატენილ მთების ძირებში მიიწე-  
და წინ, სადაც მოხარუქულ გორებს შო-  
რის ტაფობებში, ლურჯ ტბასავით იდგა  
ვაუთობარა, ძირძირზე ამოსული სი-  
მინდის ყანები და ეულად მდგარი საი-  
რდილობელი ხეები მალეიდან დასავო-  
რებლად შეწყობულ, მრგვალ ჩურთებს  
ჰგავდნენ.

ზაფხულის მიწურულში პოლკის მე-  
სამე ეშელონი ამ ზეგანის გადმოღმა  
დაბანაქდა, რომლის მიღმა საჭაროვე-  
ლოს მთებიდან რბოლა-ღრიალით ჩამო-  
მდინარე, უკვე დამდორებული, ქუთადა-  
მქდარი თერჯი ორივე ნაპირზე ატეს-  
ლი, განიერი ქალების შუა მიედინება.  
მდინარის ორივე მხარეს მტერი და მო-  
ყვარე დიდი ხანია პირისპირ იდგნენ.  
მომხდური ნავთობით დატიკნულ მთებს  
უკოვრიტოდაც კარგად ხედავდა და  
კბილებს ილესავდა. დუშმანი გაღმა ნა-  
ბირს მუდოსავით მოპარეოდა და ზეგა-  
ნი, მაღლობი, ბეჭობი და ხის ძირი არ  
იყო, რომ სანგრებად, მიწურებად, ორ-  
მოვებად და ხვრელებად არ ექცია.

აქეთ... ამ მდიდარი, ხაკისფერი მთე-  
ბის, მწვანე ქალების და ლურჯი ყანებს  
პატრონს თვალემა უნდა დაეობარა,

რომ ის, რაზეც მტერსაც თვალი რჩებოდა, როგორმე ხელიდან არ გაეშვა.

გამოღმა ველზე გაჭრილ, გრძივ, რელიეფს მორგებულ ოკრობოკრო სანგრებს, სოკოებივით მოპრაღლებულ მიწურებში გამჟოლი, კაცის სიმაღლე ვიწრო, სწორი თხრილები ერთვოდნენ და ეს თხრილებიც განდაგან ერთმანეთს უერთდებოდნენ თვით წინა ხაზის დასაკავშირებელი, გამწე დერეფნებით. ყოველ შემადღებზე საცეცხლე წერტები აევოთ, რომლის ამბრაზურები მხოლოდ მდინარის გაღმა კი არ იქცირებოდნენ, თუ მტერი ვაკეზე შემოიჭრებოდა, გამოღმა დაბლობებისკენაც ჰქონდათ დატანებული სათადარიგო, ტყვიამფრქვევის ცეცხლის გადმოსანთხევი სათოფურები. ძელებზე მიწის ზეინიანი ძოტების გარდა, რკინა-ბეტონისაც არ დაეშურებინათ. საარტილერიო ბლინდაეები ისე ღრმად ჩაეთხარათ, მცირეკალიბრიანი ქვემეხი ლულას მიწაყარლის ზემოთ ვერც ააწვდნდა.

შავლეგიშვილს ერთხელ კიდევ გაუდიდა და გაუფართოვდა თვალები. ასე მტკაველ-მტკაველ გადათხრილი თვალწმადენელი ველი, ტყე, ჭაობი და ბორცვი, სოფელი, ყანა და საძოვარი, არც წესდებაში ამოუქითხავს, არც თვალთ უნახავს და სიზმრადაც არ მოლანდებია. ასმეთაური ბოკერია გამოიძახა და სერზე გადმომდგარმა ჭოგრიტი რომ ხელში მისცა, აღრინდა:

— ამის პატრირონის ქვეყანა... რა ამბავია ეს!

მოსკოვის მისადგომებთან ცეცხლში გამომწვარ ბოკერიას არაფერი გაჰკვირვებია. ჭოგრიტი პატრონს დაუბრუნა და კომისარ ფარულავას და საიდუმლო განყოფილების უფროსს — პაპიაშვილს თავის დაქნევით ანიშნა, — აქ, ყველას ტყავის ხევა მოგვიწვიაო. ფართლავამ მხრები ააწურა: რისი თქმა გინდა თქვე, თავის ქნევა შეიძლება ათასნაირად გავივოთო.

აქაური შეთხელებული ნაწილები, რომლებიც აქამდე თავდაცვაში იდგნენ და კასპის ზღვიდან გადმოსროლილ

ქართულ დივიზიას ელოდნენ, იერაში-სათვის გამზადებული დაუხვდათ.

შავლეგიშვილი სოფლის განაპირა, ჩინენის ალიზის ქობში მოეწყო და რაც დივიზიის საბჭოზე ბურთი გადააყლაბეს, თავისი პოლკის საბჭოზე „ამის პატრირონის...“ დედის გინებით გადმონათხია.

დივიზიის შტაბს გეგმა გამზადებული და დამტკიცებული ჰქონდა. დაკითხული ჰყავდა ადგილობრივი ნაწილების შტაბებიც, მშვერავებიც და მტრის მოწინააღმდეგეც, მაგრამ ფრჩხილებიდანაც სისხლი დაედვარათ, მდინარეზე გადასვლა, იქითა ტყიანი, ჭაობიანი, ლელიანის გარღვევა და მერე მშრალი გორაკების სერელებში თვეობით ჩასანგრებული მტრის ამოჩეკვა არაფრით არ ხერხდებოდა. უბედურება იყო ისიც, რომ უხილო მდინარე ჰქონდათ გადასალახავი, რაზეც მტრის ცეცხლის ქვეშ, რაღაც ხიდის მაგვარი რამ უნდა გაედოთ. საბრძოლო საჭურველით შეიარაღებულ დივიზიას, ხიდების და ბოკერების მზამასალა არაფერი გაჩნდა, ისევე როგორც ტანკი და ჯავშნოსანი მანქანები არ ებადა.

სიტყვა ბოკერიაზე მიდგა.

— ამხანაგო ბოკერია, შენ ისეთი მეთაურის აღზრდილი ხარ, ჯარისკაცის ინიციატივას და მოსაზრებასაც რომ ანგარიშს უწევდა, ენას არც ჩვენ ვაცულით, გვიჩივ რაიმე. — სრული სერიალულობით თქვა კომისარმა. ახლა ხუმრობის და ქირჭილის გუნებაზე აღარ იყო ფართლავა.

ავთანდილმა ორი ბრძოლა გაახსენა: პირველი, სადაც დაიღუპა მისი მასწავლებელი ბოკერიკო და მეორე — მოსკოვის მისადგომებთან.

— პირველი წაგებული და განწირული იყო...

— ჩვენ არა ვართ არც განწირული და არც წაგების უფლება გვაქვს! — შეახსენა პაპიაშვილმა.

— შენ თუ წინდაწინ იცი, მე რაღას მალაპარაკებთ, კაცო?! — შეხტა ასმეთაური.

— წინდაწინ ეს ვიცი მე! — საიდუმ-

ლო ნაწილის უფროსი ადგა, პაპიროსს მოუკიდა და ღრიკოდ დატოვებულ კარსუკან დადგა.

— რუსულად ილაპარაკე, თუ შეიძლება, ამხანაგო ბოკერია! — შეიხვეწა შტაბის უფროსი უდალოვი, — რაღაცეა კი მესმის ქართულად, მაგრამ აგერ, მე-სამე პოლკის უფროსია კიდევ, სეისტუნოვი, მოადგილე შაჰნაზარი და...

— შაჰნაზარმა მაგაზე უკეთესი ქართული იცის! — აღარ აცალა ფარულავამ და სხვათაშორის დაუმატა, — ჩვენი დივიზიის მარცხენა ფლანგზე სომხეთის დივიზია დგას, მარჯვნივ მგონი აზერბაიჯანის.

— შენ მოსკოვისა თქვი, — ამოიღმუვლა პოლკის მეთაურმა და მტერიან სახეზე სახელო მოისვა. პირის ჩამობანა არ მაცალეს, საქმეზე ილაპარაკეთა.

ბოკერიამ თქვა:

— მოსკოვის ბრძოლასთან ჩვენი მოსალოდნელი შეტევა, კაცო, მონაგონი არაა...

— თუ ასე იოლადაა საქმე, დაეწვეთ და დავიძინოთ... — ჩაილაპარაკა ფარულავამ.

— მე მაგი არ მითქვამს, ამხანაგო კომისარო!

— აცალეთ, ამის პატარრონი... — უღრიალა შავლეგიშვილმა რატომღაც პერს მიშტერებულ საინჟინრო ოცეულის უფროსს ნატროშვილს.

— მე მასშტაბებზე მოგახსენებთ, ამხანაგო კომისარო! — ფარულავა რომ უპასუხოდ დაეტოვებინა, სათქმელს თავს ვერ მოგვამო, ის უფრო აწუხებდა აეთანდილს, ვინემ მისი ფარული ტრიზაობის დარდა.

— გასაგებია... — ფარულავამ პოზიციის დათმობა ამჯობინა.

— მასშტაბებზე... თორემ უარესადაა ჩვენი საქმე. იქ, ჯერ ერთი, უსამყელო ზამთარი იყო. მოგეხსენებათ, ზამთარში ლემენცი მთხლეა.

ამაზე ზოგიერთებს გაეცინათ და უდალოვი ისევ შეიხვეწა, რუსულად ილაპარაკეო.

— ზამთარში ლემენცი... — ენა დაება

ეთანდილს, „მთხლე“ ვერაფრით ვერ თარგმნა და „ნაგავიო“ ეს-ლი მოახერხა. ახლა შავლეგიშვილის გარდა ყველას ამაზე გაეცინა: სად მთხლე, სად ნაგავიო.

— მერე, მერე? — ისევ პოლკის მეთაური აღრინდა.

— მერე და იქ ხიდი არ იყო ასაგები. ტანკი და ზარბაზანი ასანთის კოლოფებივით იმსხვრეოდა, თვითმფრინავი ცაზე არ ეტოა.

— აეაიტა... ჩვენც დაგვიჯერს მხარს... — თავი დაუქნია კომისარმა პოლკის უფროსს.

— იქ „ლემენცს“ თავება ისე ჰქონდა აკონილი ჩერებათ, სანგარში რომ ჩაეარდნოდი, სანამ არ დაგინახვდა. არაფერი ესმოდა. აქ შავხულია კაცო, ქვეყანა იწვეს, წელმაგარია ლემენცი, თუ... — ბოკერიამ ყბაში ხელი იტყიკა, — ეს კოლო არაფერს მოგვეხმარა...

შავლეგიშვილის გარდა ისევ ყველას გაეცინათ.

.....

პოლკის საბჭოს სხდომა დადხანს გაგრძელდა.

### III

მამუკას ესმოდა ყველაფერი, რასაც მის გასაგონად ამბობდნენ და ხელაღდა, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, მაგრამ ნათქვამის აზრს და დანახულის შინაარსს ვეღარ აცნობიერებდა. თითქოს იმასაც აკეთებდა, რასაც უზუნებოდნენ, მაგრამ ამის გაკეთება რომ არ სდომოდა, ან ეხალისებოდა, ეს არ ხდებოდა. ფიქრობდა, ლაპარაკობდა, თუ ჰკითხავდი: კარვად ხარო? კარვადო, გიპასუხებდა. არა, ავად ხარო, თუ დაუქინებდნენ, ჰო, არა ვარ კარვადო, დაგყაბულდებოდა. რომ გუთქვა, გაიქციო, გაიქცეოდა და ალბათ სანამ არ შეაჩერებდი, ირბენდა. იღიმებოდა კიდევ, თუ მის გარშემო იცინოდნენ და ყურებს ჩამოყრიდა, თუ მის ახლოს სევდა დაისადგურებდა, მაგრამ უცბათ რომ თვალატირებულნი შემოცლოდნენ და სევებდნიერნი შე-

მოხვეოდნენ, გახალისდებოდა და იმ წეს-  
დნდელ სევდას ვერ გადმოიყოლებდა.  
განცდები და განწყობილებები ისევე  
დაწვეტილი ჰქონდა, როგორც ფიქრებ-  
ში და მოგონებები, ერთმანეთს დაშო-  
რიშორებული და გადაუნასკვავი. ამ  
ახალი კონტრუხის აღმოჩენით ფრთებ-  
შესტმულმა ტაბატაქმა, ტვინის უჯრედ-  
ების დანაწევრება-დათიშვაზე მიიტანა  
ეჭვი და „სარკის ავადმყოფობა“ დაარ-  
ქვა. გუნებაში იმედოვნებდა, დადგება  
დრო, ამ სენს „ტაბატაქის კონტრუხი“  
დაერქმევაო. ალბათ „კოხის ჩხირების“  
და „ბოტანის სიყვითლის“ შესაბამი-  
სად.

თეკლა მამუკასთან შავი ძაძითა და  
ქვეყნის სამყოფი დარღით ჩამოვიდა.  
დადარდიანდა მამუკაც და ერთხანს,  
უღვიძამო, სამარეში ფეხჩადგმულ ბე-  
ბიასა და ამ დასახიჩრებული ბიჭის ამა-  
რად დარჩენილმა გონდაბნეულმა გო-  
გომ, გარემოს აჩრდილად და ცივ სარ-  
კედ ქვეულ ბიჭს ვერაფერი გაუგო.  
ალბათ ზაფრად ისიც ეყო, რაც გარეგ-  
ნულად უსიცოცხლო სახეზე, ყვრიმალ-  
თან კბილდაჭერილი ენის ფერი, თავზა-  
რდამცემი ნაჭრილობევი და ტანზე და  
ფეხებზე დანაჩების ლურჯ კვალს რომ  
ხედავდა. ის თანაგრძნობა, ცრემლი და  
გოდება, რაც ლეკის მიტოვებულ აღი-  
ზის უფანჯრო მიწურში დღე და ღამე  
იღვრებოდა, გაწამებული ქალი, როგორ  
წარმოიდგენდა, თუ თავისივე ცოდვის  
ცეცხლის ანარეკლი და მღუღარე ცრემ-  
ლის ნაწილი იყო. თეკლამ რა აცოდა,  
ჰკუიდან რომ შესლილიყო და სიცილი  
დაეწყო თუ მისი ერთადერთი იმედი  
და ნუგუშ იმ ამბავს ღიმილით შეხედ-  
ებოდა. უხედურება იყო ისიც, რომ მა-  
მუკა იმ ვითარების მოკლე მონაკვეთში  
(დაწალიკებული ჩაქვის ერთ რგოლში),  
თითქოს აზროვნებდა. თითქოს (თუ ის-  
ევ ჩაქვს შევადარებთ), რგოლები ერთ-  
მანეთს დაშორიშორებოდნენ, მაგრამ კი  
არ დამსხვრეულან, სანამ ერთმანეთზე  
ეყარა, თუ სახელად არ მოინდომებდი  
და გათრევას არ დაუპირებდი, ადგოლზე

შეჭურებული ჩვეულებრივი  
გონებოდა.

თეკლას შეეძლო მასთან ელაპარაკა  
დედის უკანასკნელ დღეებზე, ეტირა,  
ეთავცემა და მამუკასაც ცრემლისა და  
ოხერის გარდა ეთქვა ასმათის იმ წერი-  
ლზე, რომელიც ქალიშვილს აბასთუმნი-  
დან მოსწერა და ნოშრევანის სახლში  
ვასშამზე თეკლას მუტში ეტირა, მაგრამ  
ნოშრევანის გახსენებაზე რომ დამწუხ-  
რებულყო (მისი დაღუპვის გამო), ამას  
ერთმანეთს ვეღარ უკავშირებდა. თეკლა  
თუ გულზოდს გაიხსენებდა, — თავის  
ბედნიერ ერთადერთ დღეს, მამუკას  
დედ-მამაც მოაგონდებოდა, ძმებიც, ბე-  
ბიაც და ბიძაც, მაგრამ ლეონის რომ  
აღარაფერი ისმოდა, ან ვატუტიმ რო-  
გორ გამოამგზავრა თეკლა, ბაკური ცო-  
ცხალი იყო თუ არა, თუ ამით ერთმანე-  
თთან რაიმე საერთო ჰქონდათ, არაფე-  
რი ესმოდა.

თეკლას, ასეთ ურთიერთობაში, ამის  
გაგება დიდხანს გაუტირდებოდა, რაკი  
გულმოსაოხებლად ენაადგმული, ჯვარ-  
ცმული გოგო თვითონ ედებოდა ღობე-  
ყორეს და ცხელ ლაღარს ქექავდა. ეს  
მხოლოდ ბოკერიას მახვილ თვალს შე-  
ეძლო დაენახა და ამ ბედგამწყარალ ქა-  
ლისთვის, როგორმე ეს ერთადერთი  
იმედის შთაც არ ჩამოენგრია. აეთანდი-  
ლის პატივმოყვარული ნიჭი — (ალბათ  
ნიჭი დაერქმევა, რაკი პატივმოყვარული  
იყო, მაგრამ სასიკეთო), — გაეწია მფა-  
რველობა სუსტისათვის და თავიც კი  
გადაედო, გაეოცებინა ქველობით და  
გაედმერთებინა თავის ფრთის ქვეშ შე-  
ფარებულს, ამ განწირული გოგოსთვის  
ღვთისწყალობა იყო, და მართო თეკლა-  
სთვის? მამუკას აქაურ და ალბათ იქა-  
ურ (ეთანდილმა ფარნასაგან მამაშვი-  
ლური და მეგობრული მადლობით აღ-  
სავეს წერილი მიიღო) მეგობრებ-ნათე-  
საობაშიც ცოცხალი ძეგლი ჰქონდა და-  
დგმული. ბოლოს, რაკი დაინახა, მისი  
და ტაბატაქის ვარაუდი, — საყვარელი  
არსების მოულოდნელი შეხვედრის ზა-  
ფრას იქნებ ერთბაშად შეეცოწინებინა  
დაცალკეებულ ტვინის უჯრედები, ჩა-



...იშალა და არაფერი გამოდიოდა. სანამ, დარდით გონდაზნეული ქალი ამ ახალ, თავზარდამცემ ტრაგედიას დაინახავდა, საჭირო იყო ისევე აეთანდილს ეღონა რაღაც, და როგორმე მოულოდნელად და ნაკლებ მტკივნეულად დაეშორიშორებინა, როგორც შეპყარა. ექიმის ამ საქმეში გარევა არ ივარგებდა. მისთვის, და ისიც ტაბატაქისთანა პრაქტიკას დახარბებულ ახალბედა მკურნალისათვის, მამუკა ჩვეულებრივი პაციენტი იყო. ექიმისათვის გული ხშირად სისხლის გადასაქაჩი ტუმბოა. მართალია, ლინგინოზს ახსოვდა, გულს სისხლის გადაქაჩვის გარდა, რაღაც სხვა ფუნქციებიც ჰქონდა, მაგრამ სახელდობრ რა, ხუთი წლის მანძილზე გვამების ჩეხვით და ხერხვით ამის დავიწყება მაინც მოესწრო. ისევე ნატროშვილს უნდა ეშველა. სრა სასახლეებზე მეოცნებე არქიტექტორმა, წამებულო ადამიანის ახალი უბედურებისაგან ხსნისათვის მაშინვე დაამკლავა, შავი მუშის ტვირთიკი იტვირთა.

კედლის იქით, გიგისთან ღამეგათეულმა აეთანდილმა დილით დაიბარა: ამ გაწამაწამის დროს დივიზიის შტაბში გამოიძახესო, მგონი შენი აქ ყოფნა ვაუგიათო და კანკალი აუტყდა. თეკლა თავლებად გადაიქცა, ჩემს ბარობაზე ამ ღეთისნიერ ბიჭს არაფერი ავანონო. საღამოს „დამნაშავე“ ვითომ ხალისიანი და წარბეახსნილი დაბრუნდა, მაგრამ კონტრი არ დაუძრავს. მეზობელ ოთახში როგორც კი მისი ხმა მოესმათ, მაშინვე „წინდაუხედვემა“ გივიმ გამოსძახა: — რაღა გაქვს საქმე, ბოკერია, ტრიბუნალს გადაგცეს?

— აეთანდილი დამდღურულოვით გავარდა, „გაცოფებულმა“ ველარ მოზომა და უყვირა:

— გადამცეს, კაცო, მერე შენ ვინ კეთხავს!

მერე კი „იკადრეს“ და ენა ჩაიწყვიტეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. სამხედრო ტრიბუნალზე გადაცემა კი არა, აეთანდილს ფეხში ეკალი რომ შესობოდა, თეკლასთვის ხანკლის დაკვრა იქნებოდა

და იმ დამენ რაღა დააძინებდა. ბოკერია ბული მფარველს ფეხებში ჩაუვარდა: შენმა ბედდამწერარმა დამ ძმის გასაჭირი როგორ არ უნდა იცოდესო. ბოკერია მ ნატროშვილს „გადაუბრიალა“ თვალები და თეკლას ფიცი ჩამოართვა, მამუკასთან ამის თაობაზე არაფერი დაგცდესო. თეკლას რა ფიცი-მტკიცი უნდოდა, აეთანდილს ეთქვა და წყვარამში თვალდახუპული გადაეშვებოდა.

საქმე კი ასე ყოფილა: თურმე, აქ რომ ასე, ზურგიდან დედები და მამები, ცოლები და შვილები, შეყვარებულები და საყვარლები ჩამორეკონ, ეს სამხედრო ნაწილები იქნება, თუ დასასვენებელი სახლები? ყველა ოჯახს ჰყავს ერთი კი არა, ორი-სამი და ზოგჯერ ხუთი და ექვსი ჯარისკაცი: რომ აიკიდონ გულა-ნაბადი და თავიანთი ბიჭების კვალზე ირბინონ, ფრონტი ვინ მოამარაგოს, ზურგი ვინ გაამაგროს... და, ერთი სიტყვით, ბოკერიას სამშობლოს დილატი ბრალდებოდა...

თეკლას კიდევ კარგი, შიშით ხმა ჩაუწყდა, თორემ, რომ ეკივლა და თუ ამას მამუკა შესაფერ რეაქციას ვერ მისცემდა, შეიძლება ყველაფერი გამოაშკარავებულყო. იღბლად, სამხედრო პროკურორი ბოკერიას შორეული ნათესავი გამოიმდგარა და საიდუმლოდ უთქვამს, საქმის ძიებას ხვალამდე გადაედებო. ეს რასაც ნიშნავდა, გასაგები იყო და ნატროშვილმაც „გაცეცხლებულ“ მეზობელს თავისი „უღანაშაულობა“ აუხსნა, თეკლას სახლში მაინც დააბრუნებენ და შენც თავს დაიღუპავო.

გადაწყდა, სტუმარი ისე გავებრებინათ, რომ მამუკასაც არ გაეგო. ახლა ვაცილება-გამოცილებს და ცრემლების დეარღვარის დრო არ იყო, „გამცემი“ საღლაც იქვე, კარის ყურში იყო ჩასაფრებული, თუ ყველა აიყარა და ღამით ვზას დაადგა, საჩივარი დილაამდე ისევე შტაბში გაჩნდებოდა.

დილით მამუკას, როცა აეთანდილმა სრულიად გულგრილად უთხრა, თეკლა წუხელ ობილისში გაემგზავრაო და მამ-



მუკამაც ისევე გულგრილად და სხვათა-  
შორის მოისმინა, ამ ამბავმა, ათას უი-  
გამოვლილ ბოკერიას ცერის სიმსხო  
კრემლები აღვრევინა.

## IV

მტერს გაღმა ნაპირზე არ ჰყავდა იმ-  
დენი ცოცხალი ძალა, გამოღმა თავმოყ-  
რილ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯან-  
ულ დივიზიებს გამკლავებოდა, მაგრამ  
შეტევა როგორი თავგანწირული სისხ-  
ლის ღვრით არ უნდა წარმართულიყო  
და საიმედოდ გამაგრებული მდინარეც  
ვადაეღახათ, ეს წინსვლას მაინც არ ნი-  
შნავდა. იმ გადახრეული ბორცვების  
მთაგრეხილამდე, რომელზეც მტრის ძი-  
რითადი დასაყრდენი თავდაცვის ზოლი  
გადიოდა, წყლიდან კილომეტრზე მეტი  
დაცემული ვაკე უნდა გადაევლოთ, რო-  
მელიც დაფარული იყო ტყით, მიწვე-  
რით, ლელიანი ქაობით და ზვრებითაც  
კი (მართალია, ახლა ზვარს ზვარი აღ-  
არ ეთქმოდა, ვაზი მიწაზე ფეხებდასხე-  
პილი ჭარისკაცებივით ეყარა). ყოველი  
მტკაველი მინდორი, ვენახი, ყანა და  
ქაობი, მდელი და კორდი, ტყიდან და  
კორომიდან, ბუჩქნარიდან, თუ ყოველი  
ხის ძირიდან გამოთოფილი ჰქონდა და  
ღამითაც კი ხოსხის წიწილი ვერ გაუძ-  
ვრებოდა.

შემტევი ლაშქარი თუ უხილო მდინა-  
რეში ვადაეშვებოდა, ყველას იქნებ თა-  
ვისი თავი, შაშხანა და დაჩუტული ზუ-  
რგჩანთაც ვერ გაეტანა მეორე ნაპირამ-  
დე, ტყვიამფრქვევისა და შით უმეტეს  
უფრო მძიმე იარაღის ვატრევაზე ოც-  
ნებაც სისულელე იქნებოდა.

ბოკერიამ თათბირზე ძალზე საგული-  
სხმო მოსაზრება წამოაყენა. საბჭომ  
მოუწონა, მაგრამ შესრულეზაც მასვე  
დაავალა და პოლკის დროშაც მას ჩაა-  
ბარა. ხეალ დილით მოიფრინებები ტყვი-  
ის წვიმაში თუ თავიანთი პოლკის დრო-  
შის გაღმა, იმ ბორცვების თავზე აფრი-  
ალებულს დაინახადენენ, საიდანაც მტე-  
რი უნდა გაერეკათ, რა თქმა უნდა, ყო-  
ველ ჭარისკაცს ნიძოლის მიზანი და

გამარჯვების რწმენა ექნებოდა და მტა-  
რვალს თავზარი დაეცემოდა. ამას რა  
სჯობდა, მაგრამ კატისთვის ეყვანის შე-  
ბმა თქვი შენ!

ომში თავის გამოჩენა და საბრძოლო  
სასრიანობა იმას ნიშნავს, რომ შეუძლე-  
ბელის, გაუფალის და აუღებელის აღე-  
ბა შენ დაგვეკისროს.

ასეულს დილამდე, ორ კუნძულს შუა.  
მდინარე უნდა გადაეღახა. ერთი მოგრ-  
ძო კუნძული, ნაპირებ დასილულ-დაშ-  
ლამული, მხოლოდ შეყვითლებული ბა-  
ლახით იყო დაფარული, მეორე — დი-  
ნების ქვევით, მრგვალი, თუ ოდნავ ოვა-  
ლური, ორმოცი-ორმოცდაათი ფეხის  
ნაბიჯის სიგრძე-სიგანისა და ზედ ბალა-  
ხის გარა, კვინჩხის ჭაგიც იყო მოდე-  
ბული, კაცს მკერდამდე თუ მოწვდებო-  
და. ასე რომ, მრგვალი კუნძული თავი-  
სი რელიეფით და ბუჩქნარით მაინც მო-  
მალლო ჩანდა და ამ ნაპირიდან, სანამ  
წყალწაღებული იქამდე მიიწვებდა, სა-  
ფრად გამოადგებოდა. ვალმიდან, კუნ-  
ძულების ვასწერივ, ახალ მიწაყრილზე,  
რა თქმა უნდა, ბუნებრივი ტირიფის  
ბუჩქნარი არ ხართბდა. საღამოს ბეჭობ-  
ზე „აშენებულმა“, წყალს დახარბებუ-  
ლმა, მცენარის ტოტებმა იმდენად მოი-  
წყინეს და ჩამოყარეს ყურები, ვერცხ-  
ლის ფერი მომეტებულად მოეძალათ.  
ამ ხელოვნური ბორცვის მიღმა თუ და-  
ზვისა არა, ხელის ტყვიამფრქვევი მაინც  
ჰქონდათ მოფარებული და ღამით, ბო-  
კერიას შეწინავე ჯგუფი მარჯვნივ, ან  
მარცხნივ კიდევ რომ გამჭვრალიყო,  
ზურგს უკან ასეთ მრისხანე იარაღს ვერ  
დატოვებდა. მათ გზაზე მოიფრინებები  
უნდა წამოსულეყვინენ და ეს კი შენია-  
ნების შენი ხელით ყელის გამოჭრას ნი-  
შნავდა. ამას გარდა, მტერი სახელდობრ  
რომელი ხის და ბუჩქის ძირას იყო ჩა-  
წოლილი, ამას შტაბი კი არა, გულთმი-  
სანი ვერ გეტყოდა; ბეჭობი კი, რამდე-  
ნად მრისხანე იყო, იმდენად ზუსტ მისა-  
მართს იძლეოდა, რომ მის ძირში ნამდ-  
ვილად იყო გაშხლართული ორი-სამი  
ფრიცი.

ეთანდლიმა გადაწყვიტა, იმ მიწა-რილს კი არ უნდა მორიდებოდა, პირდაპირ მასზე უნდა აედო ორიენტაცია: ხუთ მარჯვე ბიჭს უნდა გადაეცურა შუალამისას მდინარე, გაეტანა ბაწრის თავი და ეს... საერთოდ, მესამე ოცეულს უნდა დაეისრებოდა... არა, ოცეული ჭეჩვრობით მეტისმეტი იქნებოდა... თავიდან ხუთი, წინ წამსვლელი ჭარისკაცით გაძლიერებულ ათეულს უნდა აედო გეზი...

და თუ... გაღმა გადასვლა და ბექობის „გამოთიშვა“ თოფის გაუსროლელად არ მოხერხდებოდა, მანამდე მესამე ოცეული ექნებულემამდე უნდა მისულიყო, ჩასაფრებულები და მეწინავე ათეულისთვის დაშენილი ცეცხლი თავისკენ უნდა მიედო. ექნებულები საფარად გამოადგებოდათ და კარგა ხანს გაუძლებდნენ ასეულს კი მერე სხვა ფონი უნდა ეძებნა, ან რამდენიმე ფონის გზას დადგომოდა, რომ მედროშე ოცეული ერთ-ერთზე მაინც უხიფათოდ გაეყვანა. ის ნაპირი როგორმე გამაგრებულად არ უნდა ყოფილიყო, ღამით ასეულს ისე ვერ გაეკლტვინებ, დიდი ნაწილის გადასროლა არ მოხერხებულა.

დროშის გადატანა სისხლის ფასად მაინც შეიძლებოდა, მაგრამ ნაპირიდან დანაცლებულ, სანგრებით და მიწურებით მოფენილ მდელითზე, ლელიან ქაობებზე, ვენახიან და ნაყანვე მინდვრებზე, ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული მოწინააღმდეგის ხელში მთელი კილომეტრის გაულა და მტრის საცეცხლე წერტილებით გულგამოთხრილ, გადახრუკული გორაკების მთაგრეხილზე შეფრენას, ჩიტების ასეულიდანაც კი ერთი ვერ შეძლებდა.

არა, ყოველად შეუძლებელი იყო ექნებულების გასწვრივ, გაღმა შეგორავებულ ბორცვზე თოფი გავარდნილიყო. თუ იქ გაისროდნენ, მეწინავე ათეული წყალს წითლად შეღებავდა — განახევრდებოდა და ხმელეთზეც ხომ ყოველი ნაბიჯი კაცის სიცოცხლედ დაქდებოდა...

ბოკერიას ნაბრძანები ჰქონდა, გადასვლა დილის ოთხ საათზე დაეწყო, გან-  
7. „წათობა“, № 8.

თიადისას ალბათ საერთო იერიში უნდა დაწყებულყო და უკვე გაღმა ბრძოლაში ჩაბმულ ასეულის ვარდა, საარტილერიო მომზადებაც დაიწყებოდა, მერე საავიაციო და ამასობაში ლაშქარს თერგიც უნდა გადაეღებოდა. ვინც გააღწევდა, ტყვიით, ხიშტით, კონდახით, ნიჩაბით და მუშტიკრივით იმ დროშისკენ უნდა წასულიყო, რომელიც ამ აურზაურში პირველ ოცეულს, თუნდაც მთელი ასეულის ფასად, ყველაზე მაღალი ბორცვის თავზე უნდა აეტანა.

დილის ოთხ საათამდე დალოდება ეთანდლის არ შეეძლო. მანამდე თავისი ბიჭები გაღმა, ბორცვის მიღმა, ყელდაპირილ გერმანელების სანგარში უნდა ჰკუდებოდა, რომ ცოტა დაშოშმინებულიყო და გული საგულეს ჩაბრუნებოდა.

თვალეზდაქაული, წარბებგადაბმული, მუგუზალივით შავ სოლო ჩხეული შვილი მეთაურის წინ, ჭერის ძელებზე თავმიტერებელი იდგა. ასისთავმა ძლივს მოლენა, რომ მლოცველივით მაღლა პირაპყრობილს არ ელაპარაკა, ამოდენა ახმახის, ნემსის უუნწში გასაძვრომ, ას და ათას წვრილმანებზე.

— როგორაა საქმე, კაცო, გასაგებია, რასაც გეუბნები?

— რათ არა, რა... — დაიხეხინა სოლომონმა და კუპრივით თმის ძალუმ ქექვას მოჰყვა.

— შენ შენმხრივ რას მეტყვი?

— რა ვითხრა, უფროსო...

— რალაცა, კაცო, ან მომიწონე, ან დამიწუნე!..

— კარგია, უფროსო, მაგრამა...

— ჰო, ჰო, კაცო, მოეშვი მაგ თავის ქექვას და თქვი... ახლაც საწვრთნელ მეცადინეობაზე კი არ გაგზავნი!

— ისა, რომა ალაზანი ვადამიკურავს და ვადამიკურავს...

— ე კაცო, ასე ველაპარაკე!

— თვეზი დამიჭერია და...

— გაჩერდი, არ ვადამიკო! — ივიღლა ასმეთაურმა, — სათეზაოდ და სანადიროდ ამადამ შეიკავე თავი სოლომონ!

— ჰო და ის მინდოდა მეთქვა, ლაგო-

დებსა და სიანიგილოში ტახი მომიკლავს...

— ორლულაინი თოფით, ზომ? — მასრის ჭრაქის სინათლეზე თვალბში ჩახედა ბოკერამ.

— მაშა!

— არ გამახარა, კაცო მე ნახევარი საათია მაგას გელაპარაკები?..

— შენა, უფროსო, ტახი ხელით დააღრჩეო...

— ტახი ვითხარი შე ოჯახქორო?! — შეიშალა ავთანდილი.

— ჰო, ფრიცი ვანა...

— ჰოდა, კრინტი რომ ვერ გაიღოს ისე... დაიწი უკან! ყვირილიანო! შენ ვინ გამოგზავნა ჩემთან? — ეცა ასმეთური ახლა მიწურის შემოსასვლელში მორს მიყუდებულ ჩასკვილ, ჭმუხ ბიჭს, თვალებს დასაკოდავი მოზვერვით რომ ამრიალებდა.

— „პროფესორმა“.. — ბოძს მოსცილდა და ხელი შებლთან ხანტად მიიტანა ყვირილიანმა.

— რისი „პროფესორია“, შენი შტერი ოცმეთური შეყილაძე, მე მთამსვლელები მჭირდება, თუ მცურავეები, კაცო?!

— ეცურავ, ამხანაგო... — იწყინა ყვირილიანმა და მოზვერის თვალები გადაატრიალა.

— სად ცურავ კაცო შენ, არ გადამრიო! ენგურში და ცხენისწყალში შენ კი არა, ლოდებზე ნახეთქებ კალმასს სისხლი წვეთავს!

— სოხუმში ვსწავლობდი ამხანაგო... ტექნიკუმში.

— ოქროცვარიძე! — ასმეთურმა შემოსასვლელში ჩაყუნცულ თეთრფერვან, ჭრელთვალემა ბიჭს ზევიდან დახედდა.

— პირველთანრიგოსანი ვარ, ამხანაგო ავთანდილო! — აღარ წამოიწია ოქროცვარიძემ, გრძნობდა, ახლა ასმეთურს რიტუალის თავი არ ჰქონდა. ამღამინდელი დავალების სიმკაცრეში ამაინაც დაარწმუნა და შეაყრყოლა.

— გცივა, პირველთანრიგოსანო?

— ჰო, სიგრილემ დაკრა... — თავი იმართლა ოქროცვარიძემ.

— აბა, ეს კოლო რომ გადარია, კაცო! — ვითომ დაჯერებას აპირებდა ასმეთური, კოლო რომ ცხვირში არ შეძვროდა. — დანებე თავი მაგ სიგრილეს და რა ქენი იცი? მთვარესავით რომ ანათებ, მაგ ცხვირ-პირზე შლამი წაისვი გაღმა ნაპირს რომ მიუახლოვდებო.

— არის, ამხანაგო ავთანდილ, შლამი, ტალახი, ლაფი და კუპრი წაისვა.

— აბესაძე!

— აქ ვარ! — მოისმა გარედან.

— გვეცი პატივი და დაგვენახვე, თუ შეიძლებოდა! — „შეიხვეწა“ მეთაური.

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო, მოვილო მოწყალემა და დაგვენახვით! — მკრთალად განათებულ მიწურის კარებში ჩაცუცქულ ოქროცვარიძეს თითქოს მეორე, აბესაძის თავი გამობმოდეს, ისე შემოდო ნიკაბი ძმაცაცის პილოტურაზე ენაუ ბიჭმა და „გოგოების თვალის დასაყენებელი“, ოქროს კბილი გამოაჩინა.

— ყვირილის ნაპირზე, კაცო, თევზები მინდორზე ბალახობენ, იმ შავ წყალს ახლოს არ ეკარებიან და შენ ტაშტში ისწავლე ცურვა?

— ბათუმში, მოწყალეო ხელმწიფე, მამაჩემი ბათუმში დაბერდა... აგერ, კოთხე ჰუსეინ გოგითქეს, ისე გახდა გინერალ-ეფრეიტორი, არც ფრონტი უნახავს და არც ტყუილი უთქვამს!

კედელზე აკრულმა მწითურმა ეფრეიტორმა პასუხად ვაილიმა, მაგრამ ამ ღიმილს ისევე არაფერია ეცხო ღიმილის, როგორც მას გენერლობის...

v

— კრავცოვ!

— გისმენთ!

— ყველაფერი მზადა გაქვთ? სადაა, კაცო შემდეგი უსტალოვი?

— მდინარესთან გველოდება.

— რომელი საათია? ახლა ათ ცხენს მივცემდი ერთ დაფეხვილ საათში.

— ორს თხუთმეტი... თოთხმეტი წუთი აკლია.

მდინარეს შეიძინი მიუახლოვდნენ. წყალი უხმაუროდ, წყნარად მოედინებოდა. უსტალოვი ზედ ნაპირთან, ნახევრად ამოვსებულ ორმოში თვლემს. კრავცოვი ჩქმისკერით გააღვიძა.

ორმოს გვერდით ხე დგას, ცალ მკლავს შემოაწვდენს კაცი, მაგრამ თელაა, მაგარი, ღონიერი, ბომბები ზედ რომ დაეცეს, ფესვებიანად მაინც ვერ ამოგლეჯს. აქ უნდა ჩაიბას ბაწრის თავი და კრავცოვს ზედ უნდა ეკიდოს ხელი, ყოველი უმნიშვნელო მოძრაობა, წყლის დინებით გამოწვეული თუ კუნძულზე გასული კაცის ხელის გამოკერით, უნდა გაარჩიოს და შესაფერი ზომები მიიღოს. კუნძულზე გასულ ხუთეულს უნდა მიჰყვეს შიოშვილის ათეული იარაღით, ხელის ტყვიამჭრვევით და იქვე, კუნძულზე დარჩეს. ხუთეული წინ, გაღმისკენ გასწევს.

უმთვარო ღამეა. ვარსკვლავები ბეუტავენ და ქარი უბერავს. ქარი ასეთ დროს მისწრებაა — ფოთლებს აშრიანლებს, კოლოები არ ფრენენ და შეიძლება გაღმა, ბორცვის ძირში მტერს კარგად ჩაეძინოს. გერმანელებს, მართალია, ახალი პოლკების მოსვლა არ გამოეპარებოდათ. მთელი გუშინდელი დღე ბზიკებივით ზუზუნებდნენ მხვერავი „ჩარხოები“, მდინარის პირზე დასუსნულებდნენ წყვილ-წყვილი „მესერები“, მაგრამ ჭერჭერობით ასე ფართო ხასიათის შეტევას არ მოელოან. თერგზე დიდი ხანია დგას ერთმანეთის პირისპირ მტერი და მოყვარე, არ შეიძლება, არ მიჩვეოდნენ ჩასანგრების, თუ თავდაცვის დუნე, დამღლელ მოთენთილობას.

ბოკერიას მაინც სხვა რამე უდევს გუნებაში, უფრო სარისკო და შეუძლებელი, მაგრამ ამას ბრძანებით, ან რევოლვერის ბუდეზე ხელის დადებით ჯარისკაცი ვერ ვააყეთებს...

წყლის შლამში ფეხის ჩადგმისთანავე რჩეულიშვილი აბუზღუნდა:

— ღორი მომიკლავს... შველი არ მომიკლავს...

ბოკერია გაშეშდა და კრავცოვი გა-

ვირვებული შეაჩერდა სერჟანტ-რჩეულიშვილს. იხუმრა მეგონა და რა თქვა ასეთი, რომ ასმეთაური ამ გაწამაწის დროს გააღენჩაო.

— კრავცოვი! — ამოიჩურჩულა ბოლოს, სულ არ ჰგავდა ბოკერიას ხაროვით ხმას, — რჩეულიშვილი დარჩება შენთან!

ავთანდილმა საველე ჩანთა და გულზე გადაჯვარედინებული აშურმები მოიხსნა, გვერდზე გადაგა, გულისჯიბიდან, საბუთები, სურათები, წერილები და ფული ამოიღო.

— შენთან იქონიე, ხომ გესმის... რამ გამოგატყინა!

— მესმის. — ამოიკანავლა მოადგილემ.

— ამალობელსაც შენ მიხედავი!

ხუთეული წყალში შევიდა. თოკი ოქროსცვარიძეს ება წელზე და ჯვუფს უკან მისდევდა.

წყალი არც ისე ცივი იყო, ის კი არა და ოდნავ მოალერსეც, რადაცნაირად მშობლიურიც კი არც ფსკერის სილა ჩანდა თონთლო — საფლობი.

ავთანდილს აბესაძე და გოგიტიძე მიუძღვოდნენ, კაცმა არ იცოდა კუნძულს ასე კარგად არჩევდნენ ბნელში, თუ ადრევე ჰქონდათ ათვალთვალბებულო.

ყვირილიანი კუნძულის იქით გასაბმელ, ათოკილ ბაწარს მოათრევდა.

მდინარის აქეთა ნახევარი თავთხელი იყო, მაგრამ თვით კუნძულზე არ იდგა ისეთი ფესვმაგარი ხე, ბაწრის თავი ბეჯითად დაემათ. ამათ შემდეგ წამოსული ათეული და ოცეული კიდევ არაფერი, გამთენიის ხანს მთელი ასეული უნდა წამოსულიყო, მათ შორის ვინ იცის, რამდენმა ჯარისკაცმა ცურავც არ იცოდა და თოკის იმედად უნდა ყოფილიყვნენ.

ბაწარი სკამის ფეხის სიმსხო ეკლიანი კვრინჩხების რამდენიმე ძირს გამოაბეს და წყალში ჩაწოლილ, დინებას გაურჩებულ, მოშვილდულ თოკს ორჯერ ძალუმაღ გამოჰკრეს. პასუხად სამჯერ შექიძვილავდა ბაწარი და მალე ისე

დაიჭიმა, მიწიდან კვრინჩხის ძირების წყვეტის ხმა მოისმა.

შიოშვილის ათეული, კუძულის სამხრეთით, წელს ქვევით წყალში ჩაწვა და ბექობს შუბლმიჭირებულმა ჯარისკაცებმა ბუჩქებში შაშხანების ლულეები შეაყურეს.

თვითონაც გაშიშვლებულმა ბოკერიაშხეთი, ნიფხავისამარა ბიჭი ისევ გაიყოლა, მდინარის იქითა ნახევარში გადავიდა. მეორე თოკი ისევ ოქროცვარიძემ გამოიბა. წელზე მოჭერილ ბრეხენტის ქამრებზე ჩამოკიდებული ფინური და ნებით, საგანგებოდ დახვრეტლი, სამშტკაველიანი ლელის კალმებით, ხელახლა წყალში გადაშვებამდე ავთანდილმა ბიჭებს კისერზე ხელეები მოხვია, ოთხივეს თავი, თავის ტუჩებთან მიიტანა და ჩაუჩურჩულა:

— ამისთანა „ლელეში“ კი არა, კაცო, ზღვასავით მდინარე გადამიცურავს, ტყვია ხოშაკაქალსავით რომ თავზე მაევიოდა.

ბიჭებს თითქმის არ სჭირდებოდათ ეს შეგულიანება: რაც ასმეთაური თვითონ წამოვიდა, მათ შინი და ზაფრა იქვე, ნაპირზე დარჩათ. ბოკერიას გვერდით, ნაღმზე ჯდომაც არ შეაკრთობდათ.

მდინარე უკვე უფრო ძლიერიც იყო და ღრმაც. ავთანდილი წინ თვითონ წავიდა და გეზი დინების აღმა დაიჭირა, სანამ წყალი არ ჩადრმავდა, წელში არ მოხრილა. ტალღამ მკერდზე რომ შემოასხა, გაწვა და მხარულს ყრუ ბაყაყური ამჯობინა. როგორმე ზევით უნდა აეჭრა — ნაპირს ცურვით ჩამოჰყოლოდა და ტირიფის ტოტებს იქ ჩაფრენოდა, სადაც ბორცვი ეგულებოდა. ბორცვთან მიახლოება ახალა ნაპირის ხეების წვეროკინებით შეიძლებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ამ წვეროკინების მოხაზულობას საკუთარი ხელის თითების სიგრძესავით იცნობდა.

გამთენიისას მტერი მოდარაჯე ჯარისკაცებს გამოცვლიდა, ამიტომ უნდა დაცვადათ და თუ მოუხერხდებოდათ მათი უხმალურად მოშთობა, მოსახდენი შერე, უნდა მომხდარიყო... მაგრამ ავ-

თანდილს კიდევ უკეთესი ჯანმრთელობაში: თუ შეუძლებელს შეძლებდნენ და გუშაგებს მანამდე მოგულდავდნენ, გადაიცვამდნენ მათ ტანსაცმელს და ახალ ცვლას დაელოდებოდნენ... მაგრამ ღამენათვეი ჯარისკაცები რომ აღარ დაბრუნდებოდნენ, ხომ მოიკითხავდნენ? ნუთუ, თვეობით გარემოცვაში მდგარი მტერი ჯარისკაცებს დილაამდე ითვლის და ანგარიშობს? არა, შეუძლებელია. ამას გარდა, „ძველი“ დარაჯების „მოხსნა“ და ახლის ზედ მიყოლების ცდუნებაც დიდა.

ნაპირი იმდენად მოახლოვდა, ავთანდილმა რამდენჯერმე მოსინჯა, ფსკერს ფეხით ხომ ვერ დავწვდებო, მაგრამ საცეცხლე ბექობის ქვევით მდინარე ოღნავ უხვევდა, წყალი ნაპირს ეძალეობოდა და ღრმა იყო.

ხუთი მკლავის გაშლა-და დარჩა ტირიფის ძირამდე, რომ ხუთეული ყელამდე წყალში დადგა. მდინარის გაშლილ ზედაპირზე აწყვეტილი ქარი ფოთლებს ატლამუნებდა და ვერმანელებს კიდევ რომ ჩასძინებოდათ, თუ სანგარში ყურს არ გადადებდი, ფშვინვას კი არა, ხერხინვას ვერ გაიგონებდი.

ავთანდილმა ცას ასედა, დილაამდე დიდი დრო იყო. ამ პირველი ცვლის „მოხსნა“, თუ „მოხსნა“ საერთოდ მოხერხდებოდა, ახლავე ჯობდა, და ჯობდა ეს მეორე ცვლისთვისაც. ახალი, უკვე გამოძინებული და ძილდამფრთხალი ჯარისკაცები როდის ჩათვლემდნენ, ან საერთოდ ჩათვლემდნენ? იქნებ გათენებამდე თვალიც არ მოეხუჭათ. მაგრამ აქ თუ „ჩამძინებული“ „თავისიანები“ დახვდებოდათ და ჩუმად ვალვინებას და ნჯღრევას დაუწყებდნენ, „ნამძინარევი“, „თავიანთი“ „მამაკაცი“ შეიძლება ზედვე მიწყდომოდნენ და ორივე გაგორდებოდნენ (იმათგან მხოლოდ ერთი თუ წამოდგებოდა, და ის თავისიანი იქნებოდა, თუ „სხვისიანი“ ეგ უკვე სხვა საქმე იყო).

ჯარისკაცი საშინოროებას მუდამ მტრის მხრიდან ბოელის და იქიდან მოფრენილ ჩიტსაც თოფს უმიზნებს. ზურგის მუ-

დამი აქვს და იქედან ჩემის ბრახუნიც არ აკრთობს.

ბოკერიათ თან მხოლოდ კნაპა აბესაძე გაიყოლია, წელში ბაწარჩაბმული ოქროცვარიძე წყალში ჩატოვა, ტირიფის ტოტს ჩაფრენილი. ყვირილიანი და გოგირით ბორცვის მარჯვნივ ტიტლიტანები უნდა გასრიალეზულიყვენ ბოლახებში, ნეშოებსა და ფინხებში, სანამ სანგარს უკან არ მოიტოვებდნენ, მაგრამ თუ მტერს ზურგში მოექცეოდნენ, მერე ფინხის ვატხევა ისე დიდი უბედურება აღარ იქნებოდა.

წელამდე წყალში ყურებამდე ჩაქუტული ბოკერია, ნაპირზე ტირიფის ჩრდლებს თავდაღწეულ, წყალზე ვაღმოკიდებულ, ზუჩქა ბალახს შეეფარა და საბედისწერო ნახტომის წინ სუნთქვა შეკრულმა მიიყურა. რაღაცა ცუდი, თუ კარგი უნდა გაიგონო, რომ იცოდე, რა მოიმოქმედო. სინამდვილე, ქარის შრიალი, ან არაფრისმიქმელი ფოთლების ტლაშუნი ვერაფერს გარანაობს, არ იცი რა გზას დაადგე. შეიძლება რომელიმე ქართავაც წიფებინა, მაგრამ ორი-სამიდან ერთი მუდამ ფხიზლობს. მაინცა და მაინც თუ ზურგიდან არ წამოეპარე და კრინტის დიქვია მოასწრო, ვათავდა შენი საქმე — მთელი წინა ხაზი ფეხზე დიდდება.

დიდილი, ფრონტიდან ფრონტზე ნათრევი, აგერ თვეობით სხვის მიწაში თავწარგული ჯარისკაცი იფიტება: მუდამ ტყვიასა და ცეცხლში ასჯერ სიკვდილს გადარჩენილი ეჩვევა შიშს; თუ ღმერთი არ სწყალობს, სიფრთხილედ არ შევლის, იცის, და ზოგჯერ ბედს მინდობილი ყვეყნდება, რაღაც წვრილმან ადამიანურ მოთხოვნილებებს აპყვება. ზოგჯერ ღლიანი და სტვენიც კი მოუნდება, თამბაქოსაც მოსწვეს იქ, სადაც არ შეიძლება და სანგარში ჩამქარი კარტის თამაშს ვახურებს. ძილის ვასაფრთხოებად დაბორილობს, ან ფეხის ფეხზე მიდგმით ხიდან ხემდე მანძილს ზომავს, რაც არავის დაუვალდება და რომ დიევალებინა, ასე გულმოღვივდეს არ ვააკეთებდა. ან არა-

და ადამიანია და ნაჭიროება აქვს. დამის ყარაული ამ ნაჭიროებას ხშირად თვითონ გამოიგონებს, რომ ბარემ ამ გაუთავებელ ყურყურში მოსაქმოს და მერე თუ ელირსა და თავი ძილს მისცა, დრო აღარ დაკარგოს.

მან, ვინც ეს ომი წამოიწყო, იცოდა ჯარისკაცის ფსიქოლოგია და ამიტომ სამთვიან მეომრულ ცხოვრებას დაპირდა, მერე ფუფუნებას და სამოთხეს. აგერ, მთელი წელიწადი გავიდა, მეორე ზაფხული მიიწურა და აღთქმული ქვეყანა კი არა და არ ჩანს. ამისთანა უსაშველო თუ დაადგა, კაცი კი არა, ძაღლი გაგოორგულდება.

აეთანდილს თავი გამოტენილი ჰქონდა ასი და ათასი ვარაუდით. მისი პრაქტიკული ნიჭის წყალობით იგი ამ აზრს უბდიდან მუდამ ახერხებდა უკეთესს გამოარჩევას. ახლაც წყალში გალურსული უცდიდა, რომ მტერი თვითონ „ეტყოდა“ მის წინააღმდეგ როგორ ემოქმედა. მართალია, ასეთ დროს დროის გაზომვა ჭირს, მაგრამ ბოკერიასთანა ჯარისკაცები ამასაც ახერხებენ. ნახევარი საათი ალბათ არ იქნებოდა გასული, რომ მიწყარილის გადამა ვილიცას ხრინწება აუტყდა, შეიძლება პაპიროსსაც ეწეოდა, მაგრამ დახურული მუნდშტუკით, ან მუჭში მოქცეულიც რომ არ ჰქონოდა, აქედან ცეცხლის ან ბოლის დანახვა არავის შეეძლო.

ერთი ღერი პაპიროსი ახლა მართლა რამედ ღირდა. არაფერი არ მოგინდება კაცს ვაჭირვების ემს ასე დარდის გამქარებლად და სულის მოსათქმელად, როგორც თამბაქო.

„მამუკა რომ სწევდეს, იქნებ ასე არ წამხდარიყო...“ — ეს გაიფიქრა, რომ ფეხის ხმა მოესმა. ბექობის გადაღმა ვილიცამ გაიარა და მუჭში ჩაიხრინწა. ფეხის ხმა მიწის სიღრმიდან მოდიოდა და გატყეპნილი ბილიკით ნაპირს შორდებოდა. ეს უთუოდ ერთი, მღვიმარე ჯარისკაცი იყო, რომელიც თუ მოშორებით წავიდოდა, ან სადმე, მეზობლად მოდარაჯე ყარაულთან მუსაიფს მონინდომებდა, შეიძლება თავისი ჩაძი-

ნებული მეგობრების ადგილზე ბოკერიას ხუთეული დახვედროდა.

მაგრამ ავთანდილმა იცის, გერმანელი გერმანელია, გულში ქვეყნის დაღატი რომ ჩაიდოს, იმასაც კანონიერად და ანგარიშინად გააკეთებს. დარაჯი ორმოდან მაღლა ავიდა. ფეხის ხმაც იმდენად მაჩუქდა, თითქოს პირიქით, მაღლიდან ქვევით, ან უფრო შორს წასულიყოს. არა და, ავთანდილი ძალღერიტ გულმანით გრძნობს, აქეთ რომ არ წდომებოდა წამოსვლა, სადერეფნო ორმოდან არ ამოძვრებოდა. თუ წყლის დაქცევასაც აპირებდა, ნაპირთან მისვლა სჯობდა.

დარაჯმა მიწაყრილის გვერდზე გამოიარა, ერთი ორჯერ ტოტსაც კი წამოედო და საიდანაც ავთანდილი ბეჭობის გვერდის ავლას ვარაუდობდა, რომ ზურგიდან მოეგლო, იმ გზით ვიდაც, კარგა ზონზრობა (ავთანდილმა ტანშივე ვინმედ მიიჩნია, რაკი მის თავს ზემოთ მიწა ჩამოიხნიტა ეგონა), გერმანელი წამოვდა.

ოთხივე ბიჭს ჩაეყვინთა და პირში კალმის ღეროები ეჭირათ. ავთანდილს ისინი გაფრთხილებული ჰყავდა, ასეთ დროს ჰაერი მისხლობით უნდა ესუნთქათ. წყლის ქვეშ რომ ფილტვების გაშლა მოინდომო, კალამი სალამურივით ამღერდება.

ბოკერიამ თავზე გადმომხობილ, თავისი ქოჩორივით, ხშირ და გაბუჩქულ ბალახებში ცალი თვლით ახედა ებოდებზე გადმომდგარს. ეტყობოდა, გერმანელისთვის ძილს ხელი დაერია, შარვლის უბის გახსნას საშველი ვერ დააყენა. ეტყობოდა არც უქირდა, ისე ძილის გასაფანტავად და დროის გასაყვანად მოიგონა ეს საქიროება და სანამ ავთანდილს თავზე დააქცევდა (თავზე დაქცევა ერქვა, ამა რაღა აკლდა), ცოტა შნაპსის სუნდაკრულ მურალ სითხეს, გატრუნულს კინაღამ სული ამოხდა. მერე მაღლიდან გადმომდგარმა გერმანელი აკურატობათ, სანამ შარვლის უბებზე ყოველი დილი არ აიხნია, ფეხი არ მოიცვალა.

ავთანდილი ხელებს ძღვეს და მკვებება და, აგერ ფეხში ხელს ვტაცებ და წყალში გადმოვადგებო, მაგრამ დაყვირებას მოასწრებსო და ისევ არ იძროდა.

გერმანელმა საქმე მოისტუმრა თუ არა, ზურგის უკან მიმალული ხელი ტუჩთან მიიტანა. თითებს შუა წითელი სინათლე გაუქიატდა.

„ნამწვი მაინც დააგდოს ნაპირზე, კაცო...“ — ინატრა ავთანდილმა, მაგრამ ამ ნატვრას რომ ახდენა არ ეწერა, თვითონაც უწყოდა. „ლემენცმა“ შებრუნება დააპირა, მაგრამ რატომღაც, კაცს რომ წერა აიტანს, იქაურობას ვერ მოცილდა. იქნებ წყალს და გაღმა ნაპირს ზეკრავდა, საფრთხე არ მემუქრებოდესო, თითქოს რაღაც საექვოც კი შენიშნა. ეტყობოდა, მათ სათვალთვლოდ ამ ტოტებიდან ნაჩვევი, შენიღბული გასახედი ჰქონდათ, ახლა რაღაც არ მოეწონა, თუ ეჩოთირა, ფეხი მოიცვალა, ავთანდილის ქოჩორს ზევით, აქოჩრილ ბალახებს, დაადგა და ერთხანს გაეშადა.

„გამოფხიზლდება ეს შობელძაღლი, კაცო...“ — ყელამდე წყალში ჩაყუნცულ ბოკერიას ცეცხლი წაევიდა, — ან რა ჯანდაბა დაინახა ისეთი, რაა აქ საყურებელი!“

წყალში ჩაძირულ ოქროცვარიძეს, წელში ჩაბმულ ბაწრიანად, რომ დინებას არ წაედო, ნაპირიდან ჩამოწეული ტირიფის ტოტი წყალში ჩაეტანა და გერმანელი რაიმე საექვოს ვერ ხედავდა, მაგრამ გასახედი რომ ნამეტანი მოშიშვლებულიყო, უდაოდ ამან შეათქირიანა. უთუოდ კარგად გამოფხიზლება მოიწადინა. ნაპირზე ჩამოჯდა, ფეხები თითქმის წყალამდე ჩამოკიდა და სველ, დამრეც კალამოტის კედელზე ჩექმის ქუსლები ჩამოკრა, ფეხის მოსაკიდებელი გააკეთა. ანთებული პაპიროსი ბალახებში მუჭით ჩადო და გრძელი მკლავები გადმოიწვინა, დაიხარა, ძილმოწყურებული დუნე სხეულით, მაგრამ ის მოქნილობა არ აღმოაჩინდა, რაც საერთოდ ჰქონდა. გაიმართა და ისევ გადმოიქნია ტანი. წყალს რომ თითები წაჰკრა, მარჯვენა ფეხი ჩაუცდა; რომ შეეჭვებულ-

ლიყო, ქვევიდან ვინმემ მომქაჩაო, იყვირებდა, მაგრამ ეგონა, ქუსლით ჩათე-ლილი სველი ნაპირი ჩაიშალაო, ორივე ხელი ზურგს უკან გაიწვდინა, რომ ბალახებს მოჰკიდებოდა. გრილი ცივი წყალი, წელან რომ თითებით ძლივს დასწვდა ახლა სახეში მოათრინდა. პირზე სველმა ალქაჯმა ისე უღვთოდ, მტკივნეულად მოუპირა, ეგონა პირის გაუღებლად ყველა კბილს ერთად მძრობნო. წყალზე დახრილი ნახევრად გადატრიალდა და ერთბაშად გამოფხიზლდა, მაგრამ ჰაერი აღარსად იყო. და რომც ყოფილიყო, ამის საშუალებას არ იძლეოდა ის, ვინც ყველა კბილს და სულს, პირის გაუღებლად ხდიდა.

VI

თურმე წარმატება წარმატებას ითხოვს, სისხლი — სისხლს. ამ სანაპირო, ღია საცეცხლე წერტილში ძველი და ახალი ცვლა რომ „მოხსნეს“ და შიშველი ბიჭები, მტრის შარვალ-მუნდირით შეიმოსნენ, „გაგერმანელებულმა“ ჯარისკაცებმა სადერეფნო ხაზით იმ ბლინდაჟში შეძრომავ მოინდომეს, ეს ბორცვი რომ იყო დაკავშირებული.

ტირითვის ძირზე ჩაბმულ თოვს, ოთხჯერ ძალუმაღ ჩამოჰკრეს და ამშეთაურმა შიოშვილმა კუნძულებთან რომ ფიცხელაურის ახალი ათეული მიიღო, თვითონ ბაწარს ჩაფრენილ მებრძოლებს მეორე ნაპირისაკენ გამოუძღვა ფიცხელაურის შემდეგ პირველ ოცეულს უნდა დაეწყო გადმოსვლა, რომელსაც პოლკის დროშა მოჰქონდა.

ბოკერიაშ ათეულის გადმოსვლამდე შეამაგრა თავში სისხლავარდნილი, თავისი „გერმანელები“. მერე მტრის ტყვიამტრქვევით, ავტომატებით და ერთმანეთზე დაწყობილი, ხუთი გაგუდული, თბილი მიცვალებულებით საცხე შემზარავი ორმო შიოშვილს დაუტოვა. თვითონ სადერეფნო, კაცის სიმაღლე თბრილს დაადგა და ბიჭები გაიყოლა.

ავთანდილი გრძნობდა, ეს მეტისმეტი

რისკი იყო, მაგრამ ჯარისკაცებმა ვერც ნაბიჯი რისკი და ფათერაკი არაა? ყველაფერი იმისათვის არ კეთდება, როგორმე ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმონ? ომში ყველაფერი გამართლებაა. თუ გაგიმართლა, ხომ კარგი, არა და მებრძოლი დაიღუპო, ვის გაუყვირდება. პირიქით უყეთესიცაა, რომ უნდათ შთამომავლობა გააოცონ, იტყვიან: ამა და ამ ბრძოლაში ამდენი ათასი კაცი ამოწყვეტესო. ეგერ, ორმოში ჩაწყობილმა, გაგუდულმა ჯარისკაცებმა მთელი ევროპა მოიარეს, რა ცეცხლს და ტყვიას გადაუტრინენ, მაგრამ ყოველ წყალი ყოველთვის არ მოიტანა. ალბათ, სადაც სულ არ ელის, ბოკერიას ყოველ გატყუება, მაგრამ სანამ მთელია, სხვისი უნდა ამტვრიოს...

ახლა მთავარი იყო, ვინმე უფროსს არ გადაჰყროდნენ და არაფერი ეკითხა, თორემ მუნჯ გერმანელებს, ფრიცის მუნდირი ვერ დაფარავდა. ახლად მორგებულ სამოსს პატრონის ოფლისა და სისხლის სუნი ახლდა. სისხლი არ ეცხოთ, მაგრამ გაგუდულისთვის თითქოს მთელ სხეულში გამოეყონოს უფერულ, გახრწნილ სისხლს და სამოსი დაეღტოს. საყელოს შებნევა ისე არ შეეძლო, როგორც ყულფში თავის გაყოფა.

ბლინდაჟში, სადაც ეს გრძელი ორმო მიემართებოდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ? მორიგე ოფიცერი, შეკავშირე და ორიოდვე ჯარისკაცი? თუ შესასვლელს ფხიზლად არავინ დარაჯობდა, კიდევ შეიძლებოდა გერმანული მუნდირებით შიოშვილის სამი-ოთხი წითელარმიელის „გაგერმანელება“. თბრილში ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი კაცი ვერ გაეტევა, მაგრამ სისხლით ტვინამღვრეული ბიჭები ერთმანეთს ასწრებენ, არც მტაცებლის სიფრთხილე და მალვის ცხოველური აღღო დალატობთ...

ავთანდილმა წინ მაინც არც ერთი არ გაუშვა, უფრო მეტი სიფთხილისა, ტყავის გადარჩენის და იქნებ, თავის გამოჩენის თანდაყოლილი პატივმოყვარეობის გამო. ამ დროს არც ვარაუდების დრო იყო და არც არჩევანის. თუ ვინმე



შეაჩერებდათ, ან წინ გადაუდგებოდით, არაფრით უკან არ დაეხიათ, ჭიქურ უნდა მიდგომოდნენ როგორც თავისიანი თავისიანს და თუ რაინეს ჰკითხავდნენ, ან გამოელაპარაკებოდნენ...

ბოკერიაშ ჯიბეები მოიქექა, რაც მთავარი იყო, პაპიროსის კოლოფი და სანთია იპოვა. ბიჭებს გზა გადაუღობა, ჩაჭდა და თამბაქო ვაპოლა. თუ ვინმე უფროსი შემოეფეთებოდა, შეუნიღბავი ანთებული პაპიროსისათვის გადაიხრეოდა და „დამნაშავე“ ჯარისკაცებს კი შიშით ენა ჩაუღარდებოდათ. რა თქმა უნდა, კანონის მოყვარული გერმანელი ოფიცერი, დასჯას ამ ვიწრო ორმოში არ შეუდგებოდა და უკან გაიყოლებდა, მერე ვინ ვის დასჯიდა, გამოჩნდებოდა...

სადერეფნო ორმო ორად გაიყო, უკვე რა გზას დადგომოდნენ არ იცოდნენ... შესახვევიდან ფეხის ხმა მოისმა. ამ ზანტმა, მთვლემარე კაცის ფეხის ხმამ ყველას დაუშოშმინა სისხლს მოწყურებული სისხლი და უკან, თავისიანებისკენ მიმავალ დერეფანში შევალა. ჯარისკაცს, ეტყობა, ორმოს ვასაყარამდე ჰქონდა მოფიქრებული ძილის დასაფრთხობი გამოსეირნება. გზაბოძალთან შედგა, ერთხანს აქეთ მოაყურა, ჩემი და აქაური დარაჯის აზრი ერთმანეთს ხომ არ დაემთხვაო. მაგრამ მათემატიკური დამთხვევები იმდენად იშვიათია, ასეც ელოდა და თავისი გზით გაბრუნდა.

არა და გათენებამდე, ალბათ, დიდი დრო არ იყო. სანამ მტერი არაფერს ამბობდა, „სტუმრებს“ განგაშის ატეხა არ არგებდათ. როცა საარტილერიო ცეცხლი გაიხსნებოდა და ავიაცია დამომბვას დაიწყებდა, მტერს მერე ძილი მაინც გაუფრთხებოდა და „სტუმრებსაც“ ზოგი რამ ეპატიებოდათ...

სანამ ფეხის მოსაკიდი სპირდებოდათ და სხვა გზა არ იყო, გამზედაობაც ჰქონდათ, მაგრამ როცა „თავისი“ ორმო და თბრილი ვაიჩინეს, იმის შიშით, ვინც ახლა წყალში ბაწარს ჩაფრენილი, აქეთ მობობლავდა, მტერს რომ ნაადრევად გათიქებოდა, წყალს გაატანდა. ბოკე-

რია გზაბოძალთან ჩასაფრდა და გაილურსა.

ერთჯერად წყალში მხოლოდ დაწალიკებული ათეული უნდა ჩასულიყო. თუ გაღმა უხიფათოდ გააღწედა, მეორე მერე უნდა დაესველებინა ფეხი. ამან საქმე გააჭიანურა და ასეულის ბოლო ათეულს რიყრაქმა კუნძულზე მოუსწრო, რომელიც, ეტყობა, დინების ზედა მოდარაჯე ბორცვიდან შენიშნეს, და იქიდან გამოქცეული გერმანელი რომ გზის გასაყოფთან რალაცას არ წამოდებოდა და პირქვე არ დამზობილიყო (საიდანაც ვეღარ წამოდგა), ბოკერიას იმ ათეულის ჯარისკაცებს შეიძლება კასპის ზღვამდე „ეტურათ“.

ჯარისკაცები — ხულებიძე და ადამია, ნაპირთან ჯერ კიდევ წყალში იყვნენ, როცა მესამე ეშელონის მიღმა, ზეგანის ძირში განლაგებულმა შორსმსროლელმა არტილერიამ გაფხრიწა ალიონის მყუდროება. წინ, მომცრო მთაგრეხილებს იქით აფეთქდა... აფეთქებას ქუხილი მოჰყვა, ქუხილს ისევ აფეთქება და დილის ბნელ ნათელში გორაკებზე კვამლის და მტერის მოლისფერი ნაცრი-სფერი, ცისკენ აჭრილი სვეტები დაეყუდა.

## VII

ერთადერთი, რისი იმედიც ბოკერიას ჰქონდა, ის იყო რომ მტერს თბრილებით დაქსელილი თავდაცვის ზღუდეები დანალმული არ უნდა ჰქონოდა. შორსმსროლელმა არტილერიამ გერმანელთა მთავარ განლაგებაში არც თუ უზუსტოდ აფეთქებული ჭურვებით, ხიზბატი ნიადაგიდან აფარდნილი ბოლქვები, გრძელ სერზე ვერხვების ტოლა სოკოებივით დააყენა და მოთვალთვალეს ზუსტად ანიშნებდნენ, მორიგი გასროლა სად დაემიზნებინათ.

თითქოს არტილერიას უპირველეს წინა სანაპირო ზღუდეები უნდა დაენგრიო, მაგრამ ამოდენა ტყისა და ველის პირწმინდად გადაბუგვა იმ მსხვი-

ლი თუ მცირე კალიბრის ქვემეხებით, რაც დივიზიას გააჩნდა, არ შეეძლო. შტაბში უთუოდ ამჟამინა წინა ხაზებზე ჩასანგრებული მტრისათვის ზურგი მაინც გაეტეხა. მებრძოლი რომ წინ და უკან დაიწყებს ცქერას, მისი ბრძოლის-უნარიანობა ნახევრდება. ბოკერიას აზრითაც, ამ ნაპირზე ჭურვების უთავბოლო ბრახა-ბრახს ასეთი დასაწყისი სჯობდა. მტერს შიში უნდა ჰქონოდა: რაღაც ნაპირიდან ასე შორს დაიწყებს დამიზნება, წინა პოზიციებს სხვა ჯურის იარაღით, ან ავიაციით დაანგრევდნო.

აფთხილია მცოდა, იყო რაღაც სხვა, ახალი იარაღი, რომელზედაც არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამ უზარმაზარი შეტევის იმედი და რწმენა მაინც „ის“ უნდა ყოფილიყო.

რამდენად დილის ნათელში იმატა, იქალა საარტილერიო ბათქმაც და გორაკებში მთავრებილებზე ბუმბერაზი სოკოების ტყე მოხშირდა. აფთქებით ამორღვეული მიწა თავიდან რუხი ფერის ჩანდა, მაგრამ რაღაც ქარი არ ფანტავდა და მჩატე, ცაში ატყორცნილი, დანაცრული გრუნტი ქვევით არ ეშვებოდა, მკვარტლი და ბოლი მალა მიიწვედა და ვეება სოკოები ფერს იცვლიდნენ, სერზე მოთვთრო-მოყვითალო ქულებად იზვინებოდნენ. ორივე მხარეზე მზრებს ზანტად შლიდნენ და ერთმანეთისაკენ ზღაზღანით მიიწვედნენ, რომ სერზე გაუმკვირვალი ფარდა ჩამოეკიდათ და დღევანდელი, სისხლის ღვრის ტერიტორია შემოელობათ.

არტილერიას არტილერიამ უპასუხა და მიმე ზარბაზნების გრილში, ამ ორმხრივი მრისხანე იარაღს შორის მოქცეულმა მიწამ, ტყემ, მინდორმა და მდინარემ აკვანივით დაიწყო რწევა და ტორტმანი.

აფთხილის ასეული მზადყოფნაში ჰყავდა. საცეცხლე ბორცვის ორმოში, სადერეფნო თხრილში და დიდი ნაწილი ნაპირთან, წყალში გადაკიდებული, მდინარემდე დახრილი ძეძვის, ეკალ-მაყვადის, კვრინჩხის, თუ თხმელის გაბურღულ ტოტებქვეშ, განლაგებული. რაც ქარი

ჩადგა, კოლო და ქინქლი მომრავლდა და საარტილერიო გრგვინვა-გრილის და ჭურვების სტვენას თავისი ბზუილიც შეუერთეს, მაინც ოხრად დასადგრელი სისხლიდან თავისი მოკრძალებული წილი მოითხოვეს.

— რაა ეს კოლო, კაცო, ამ შობელ-ძალდ „ლეშენის“ გერმანიიდან ხომ არ ჩამოუყვანია? — ამოიღრინა აფთხილი-მა და გვერდით ჩაქუნცხულ სახდრო ეგნატაშვილს შურით გადახედა, ქართლელი ბიჭის სიღინჯით მოხიბლულმა.

— რა გაეწყობა... — ეს-ღა ამოძაქრა სანდრომ, გულზე ჩამოკიდებულ გვიანულ შავ ავტომატს ხელი ისე ადამით გადაესვა, ვითომ ამ სისხლისმსმელ შეფრსაც ამ იარაღით მოიგერიებდა.

— რაღა არა უშავს, შე ოჯახტორო, ლემენცმა ტყვია რომ დამეყაროს, სიხელი აღარ გამომივია... რომელი საათია, შეტევა აღარ იწყება?

სათის ხსენებაზე ეგნატაშვილს თხრილის ვზაბოძალში ჩამოხილია გერმანელის ზურგზე ამობრუნებულ მაჯაზე ბინდბუნდად არეკლილი ოთხკუთხა ლათონისაკენ გაექცა მზერა.

— კი, კაცო, მართალს ამბობ შენ... — უჩურჩულა აფთხილი.

სანდრომ დინჯად, გაოცებით ამოხედა, შე რა, ვითომ რაიმე ეტქვიო?

— მათხოვოს, კაცო, მაგას ახლა ერთხანს აღარ დასჭირდება... მერე შე დამჩრება ოხრად, ისეე მაგისი არ იქნება?

ეგნატაშვილი ჩაცუქული გაჩინდა და გერმანელს მაჯაზე სათი ფრთხილად ახსნა, თითქოს შიძინარე არ უნდა გაღვიძოსო. ოცმეთაურს ხელი უთრთოდა, როცა ასმეთაურს სათი გადასცა.

— ვნათხოვრობთ, კაცო! — დააწვიდა აფთხილი, — ახლა ჩვენ უფრო გეჭირდება და იმიტომ...

სანდრო ამ შეტევის წინ ჩადენილ ცოდვას მერე მიხვდა, როცა შესცოდა. თუ ბოკერიამ რომ „დაამშვიდა“ ვნათხოვრობთო, მაშინ დაეჭვდა, რაღაც მამართლებს, მართლა დამიშავებიაო და ხელი უნებურად წამოსწია, თითქოს უკან დაბრუნებას აპირებდა. ამ დროს მარცხ-

ნა ფრთაზე, მათი ასეულის სამოქმედო მიჯნის იქით, გაღმიდან ნასროლი ნაღმი გასკდა, და ოცმეთაური ისე შეხტა, ვითომ თავში დაეცემოდეს.

— არ გადამბრიაო, კაცო, შენი.. იერში იწყება...

მტრის ზურგიდან, არტილერიის ჭურვებით დაყენებულ თეთრი ფარდის თავზე, დაფეთებული ყორნებივით, ჭკროდ გამოილანდნენ შავი ფრთოსნები და თვალსა და ხელს შუა ძერებად იქცნენ, შერე ვერც ძერების ტყავში დაეტივნენ და უმაღლ რკინის ურჩხულებად გადაკეთდნენ.

ნაღმები ახლა ბოკერიას მარჯვნივაც აფეთქდა, ისევ მარცხნივ და მარჯვნივ. ისევ ხან აქეთ, ხან იქით. ახალგაზრდა გერხვების ვერცხლისფერ კორომში მტრის გულში გადმოსხმულ ასეულს, თავისი საბრძოლო ზოლი „გამოუხანა“.

იქვე, მათ მხარმარცხნივ მიმავალი თხრილის ბოლოში ტყვიამფრქვევი აკაჟანდა. ავთანდილმა ფერშეცვლილ ეგნატაშვილს შეხედა, ანიშნა, ფეხი არ მოიცვალოთ და უკვე სისხლზე დაგეშოილ „გაგერმანელებულ“ კანკა აბესაძეს და ოქროცვარიძეს ანიშნა: შეტევა დაიწყო, აწი ძალდი პატრონს ვედარ იცნობს, ის საცეცხლე წერტი ჩააქრეთო“.

— აბესაძე და ოქროცვარიძე დერეფანში რომ შეეცვიდნენ, ავთანდილი მაშინ მიხედა თავის შეცდომას, თუ საცეცხლე წერტი ჩაჩუმდებოდა, გერმანელები დაეშვებოდნენ, მდინარეზე წითლებმა დაიწყეს გადმოსვლა და ჩვენი იარაღი რატომ დუმსო?

— ესე იგი, კაცო, ცეცხლი არ უნდა გაწყდეს!... — ავთანდილი წამოხტა და წასულეზს გამოუდგა, ეგნატაშვილს დაუხარა, მაგრად დახედი, გერმანელები აქეთკენ მოაწყდებიან ჩვენებს რომ გადმოსვლის საშუალება არ მისცენ!

ნაპირთან ავტომატის ტყაცანიც ატყდა და ტყვიამფრქვევი მაშინვე ჩაჩუმდა. ავთანდილმა ზურგიდან დაცხრილული მეტყვიამფრქვევე გადმოაგდო და მეორეს, მიწაყრილს მიციებულ გრძელ „ლემენცს“, გვერდით მიუწეა. ტყვიამ-

ფრქვევი ისევ აკაჟანდა. კუნძულის შლამიან ნაპირებს მომდგარი, ბალახებში გაწოლილი წითელარმიელების მუხარადები უმწიფარა ნესვებივით უძრავად „ეყარა“ და წინ წამომსვლელი აღარავინ ჩანდა. ტყვიების ჭერმა რომ მარჯვნივ გადაინაცვლა და თავთხელში ტყაპატყუპით დაიწყო ცვენა, ვიღაც-ვიღაცეებმა თავი წამოწიეს, გაუკვრიდათ, წელან ზუსტად უმიზნებდნენ, ახლა კი მთლად ააცოლეს.

მდინარეს თავზე უკვე თვითმფრინავები დატრიალებდნენ და დაბლა-დაბლა ეშვებოდნენ.

კუნძულის გადაღმა წყალმა იშხუვლა და ცაზე გაფანტულ ღრუბლებს შადრევანი შეასხა. იხუვლეს შლამში ჩაფლულმა ჯარისკაცებმა, კუნძული გადმოიბრინეს და ისევ მდინარეში გადმოეშვნენ. აყუფდა მტრის ნაღმებიც და მუხარადებით მოფარულ წყალზე თეთრი ნისლის ფოთლები ჩადგა. ჯარისკაცებმა პირი იმ ტყვიამფრქვევისაკენ ჰქნეს, რომელიც მათ გასწვრივ ნაპირზე აკაჟანდა და არაფერს ვენებდათ.

„მესერები“ იმდენად დაუახლოვდნენ ტყეცა და მდინარეს, ფრთებზე ყვითელი დაბოლოებები და შავ ჭვარს შემოვლებული თეთრი ხაზებიც გამოჩნდა, როცა მობრუნდებოდნენ, ძრავის წინ წითელი ნისკარტებით და მტაცებლის ბრჭყალებივით ჩამოშვებულ თვლებით ტირიფების და ვერხვების წვეროკინების წასხებავს აპირებდნენ.

გააფთრებულმა „მესერებმა“ ამჯერად ბომები კუნძულს მოახვედრეს და მალა აიჭრნენ, თავიანთ ნაპირს მიაშურეს, მაგრამ სწორედ თავისიანებიდან რომ ტყვიამფრქვევის ცეცხლი შემოასკდათ, პაერში შეტორტმანდნენ. ერთმა დაზაფრულმა მფრინავმა ქვევით მუშტი მოუღერა: რა ღმერთი გიწყრებათ, მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევთო?

პირველს მეორე მოსდევდა, კიდევ უფრო დაბლა დაწეული და წყალში მოტივტივე მუხარადებზე დაგეშოილი, მაგრამ „თავისიანმა“ მეტყვიამფრქვევი



ისიც რომ არ დაზოგა, ბომბები ნაუც-  
ბათევად გაყარა და ტანამჩატებულმა  
გეზი იცვალა. დაფეთებულმა ფრთო-  
სანმა თავს ძლივს უშველა.

უთუოდ ფრიცებმა ამ ორომბრიალ-  
შიც ყველაფერი დაინახეს და აქეთ  
მოაცივდნენ, რომ სადერეფნო თხრი-  
ლის გზაბოძალთან ავტომობილების და  
შაშხანების ტაკიანი ატყდა.

ავთანდილმა საცეცხლე ორმო და  
ტყვიამფრქვევი ნაპირზე გამოწეულ მე-  
სამე ათეულის ბიჭებს მიუტოვა და თვი-  
თონ „გერმანელი“ აბესაძე და ოქრო-  
ცვარიძე გაიყოლია.

ბოკერიას ასეულს თავისი საბრძო-  
ლო ამოცანა ჰქონდა და უკვე გონსმო-  
სული მტრის თავდაცვის შუაგულში  
ამ ამოცანის მიძიმე, სისხლიან გზას უნ-  
და დადგომოდა.

VIII

მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან,  
ქვევით და ზევით, ყველა ჯურის იარა-  
ღის გრგვიწვა-გრიალში, ლაწან-ქუხილ-  
ში, მსხვრევასა და ზუზუნში „შტუკა-  
სების“ ძრავების წყვეტილი „სიმღერა“  
ჩამოიპარა. საზენიტო ჭურვების ქუ-  
ლებში, ცისკენ ავარდნილ კვამლის და  
მტრის კორიანტელში, ოდნავ გვერ-  
დული, ირიბი ხაზით გამოცურდნენ  
წითელცხვირას თათ-ბრქყალიანი, ჯვრი-  
ანი თვითმფრინავები და მდინარის გალ-  
მა შემოვლა დაიწყეს, რომ ბომბები  
ერთბაშად არ ჩამოეყარათ და მღვრიე  
წყალში მეტი თევზი დაეჭირათ. ერთი  
შემოვლა და ხუთთ-ექვსი ბომბის ჩა-  
მოგდება მოასწროს, რომ ერთს ეშველა  
და გამოება შავი კულამ, მაგრამ იმდენ-  
ად დაბალზე იყო, მფრინავმა გადმო-  
ხტომა ვერ მოასწრო და გაღმა საარტი-  
ლერიო ბლინდაეებში ჩავარდა, დარჩე-  
ნილი ბომბიანად აფეთქდა და მჭვარ-  
ტლის ქუდი დაიხურა. ამის შემდეგ ცა-  
ზე ვარსკვლავიანი „გამანადგურებლები“  
გამოჩნდნენ. საზენიტო არტილერია ჩა-  
ჩუმდა, მაგრამ საერთო მეზის ტეხვას  
თითქმის არაფერი მოკლებია. უთუოდ

თერგზე მთავარი ძალები ახლა იწყებ-  
დნენ გადმოსვლას და გამანადგურებ-  
ლები „შტუკასებს“ თუ მუსრს ვერ გა-  
ავლებდნენ, ამ გამოზომილ, თადარიგი-  
ან ბომბების წვიმაში არევე-დარევა მა-  
ინც უნდა შეეტანათ. ტყვიამფრქვევი-  
ბის ჭახუხი ახლა ზეცაში ატყდა და ბო-  
კერიას აზრით, ამ ათქვეფილ, ღრუბლე-  
ბამდე ასულ წარღვნაში, ასეული წინ  
უნდა გაჭირლიყო.

სანამ თვითონ ნაპირზე ტყვი-  
ამფრქვევს უწევა, გზაბოძალში შემო-  
ჭრილ გერმანელებს გოგითქმე მოეკ-  
ლათ და თხრილის ძირზე თვალეზგად-  
მოთეთრებული ეფრეიტორის გვერდუ-  
ლად ეგდო. ეგნატაშვილი მუცელში  
დაეჭრათ, ახლაც შესასურთი მოთმინე-  
ბით მუცელზე ორივე ხელეზაფრე-  
ნილი უხმოდ გმინავდა. თავზე დამდგარ  
ასმეთაურს საყვედურის თვლით ამო-  
ხედა და მერე მზერა მის მაჯაზე ოთხ-  
კუთხედ გერმანულ საათზე მიეყინა.  
ავთანდილმა საათი მოიგლიჯა და წინ  
ჩამსობილ პატრონს „დაუბრუნა“. მის  
გვერდით ორ ახლადჩაბოცილ ფრიცს  
გადააბტა და იჯდავლა:

— მომყევით ბიჭებო!

ეს არ გავდა ბოკერიას ტაქტიან, გა-  
აზრებულ ბრძოლას, მაგრამ მას მუ-  
ცელში სასიკვდილოდ დაჭრილი ოცმე-  
თაურის ვარდა არც იმის შიში აჩერებ-  
და, რომ გერმანელები თავის სანგრებ-  
ში შემოჭრილი ასეულის კოორდინა-  
ტებს დააზუსტებდნენ და მიწიდან თავს  
არ აალებინებდნენ.

ოქროცვარიძე, აბესაძე და ყვირილი-  
ანი ამოიყოლა და ორმოს ზევით თავ-  
დახრილი, დაოთხილი ავთანდილა წინ  
გაიჭრა. სანამ გერმანელები მათ მუნ-  
დირებში გადაცმულებს, უკან დახეულ,  
თავისიანებად მიიჩნევენ, შეეჭლოთ  
ძველი ნაყანევი, ახლა თხრილების უჯ-  
რედებად დასერილი მიწაყრილიანი მინ-  
ლორი გადაეჭრათ და ტყის ბოლომდე  
მიეღწიათ.

ტყის დასაწყისშივე ჩანდა ღრმა სან-  
გრის მიწაყრილი. მეთაურის გახურე-  
ბულ ტეინში ცეცხლი ენთო და ვანაუ-

დები ჩალასავით ისე იფერფლებოდა, უკეთესის გამოჩენვას ვეღარ ასწრებდა. ამ ათასა მოქოთქოთე ფიქრის ქვევით იღო ერთა, რაზეც არ ფიქრობდა და ახსოვდა, რომ გადაცმული იყო. მომყევითო. რომ იყვირა და ორმოციან ამოხტა, სჯეროდა, თუ უკან წითელარმიელები დაედევნებოდნენ, მტერი „თავისიანებს“ ცეცხლს მოარიდებდა. გერმანელს ფიქრისა და ანგარიშისათვის არ უნდა მოეცალა, თორემ მიხვდებოდა, როგორ იყო, რომ მათკენ გამოქცეულებს უკან წითლები მოსდევდნენ, ტყვიას კი არ უშენდნენ.

ავთანდილი წამოიშარათა და რაც ძალი და ღონე გააჩნდა, ან არ გააჩნდა, თავდახრილმა ისე მოკურცხლა. იმასაც შიშობდა, სასჯეზე არავის ეცნო, რაკი ამ უბანზე ჯერ ნაღმი და ბომბი არ ცვიოდა და არც ქარი ჩანდა, რომ მარჯვენამარცხენა ფლანგებიდან მტვერი და კვამლი მოეტანა. თავზე გადაახტა ღრმა თბრილს, რომლის ძირში ჩაჩოქილი გერმანელი მიშტერებოდა და ავთანდილს ლაქებს ქვევიდან რომ ამოხედა, ხელის დაქნევაც კი დაუპირა, აგერ ჩამოხტო, მაგრამ „დაპატყებულნი“ მეორე ორმოს თავზე მიფრინავდა... როცა ტყვისპირა სანგარს მიადწია, საიდანაც მას და მის ხამ „გერმანელს“ იქაურები მტრისაგან იფარავდნენ და ცეცხლს გამოზომილად უშენდნენ, რომ „თავისიანები“ არ ემსხვერპლათ, როგორც კი თავით თბრილში გადაეშენენ, სანამ წამოცვივდებოდნენ და სანგარის „შკვილრთ“ ავტომატის ცეცხლით მოცელავდნენ, უკან დადევნებულნი შიოშვილის ათეული განახევრებულნი იყო. სერგენტ შიოშვილს ტყვია მუხლის კვარასთავში მოხვედროდა ზედ სანგარის პირზე და ფეხი რომ ორმოში ჩამოათრია, ბათინკის წვერი ქუსლის ადგილას ჰქონდა.

მარცხენა, გვერდს ფლანგზე, ნაღმების ცეცხლმა გადააარა და იქიდან ისე თავგამოდებოდა ვეღარ ისროდნენ. ნაღმბაიძის ოცეულის მომიჯნავე მარჯვენა ფრთაც დაბომბალი იყო და ახლა კიდევ, გერმანელს თავისივე ცეცხლწი-

კიდებული თვითმფრინავი დაეცათ. ბოლო შემოვლისთვის შემორჩენილი ორიოდ ბომბი და ბენზინის ბაკი აფეთქდა, იქაურობა შავი ყროლი ბოლით გადაბუგა.

ნაღმბაიძემ მცირე დანაკარგით მიადწია ტყის სანგარამდე. მედროშე ოცეული, ორი ოცეულის შუა, ბოკერის ნაკვალევზე გამოდიოდა, ორივე ფრთიდან იმდენით იყო დაშორებული, ზუსტი ცეცხლის ქვეშ წინსვლა არ უხდებოდა.

თერგის გადაღმიდან ქვემეხების გრახუნმა იკლო. მტრის ავიაციამ და არტილერიამ ალბათ ბევრი მათგანი ჩააჩუშა, მაგრამ სანამ მთლად არ დადუმებულან და ცაზე ჯერ კიდევ ირვებიან მტერმოკურის თვითმფრინავები, რომელი რომელს დასდევს და რომელი რომელს ჯახნის, სანამ ამის გარჩევა ჭირს, ასეულს წინსვლა უნდა გაეგრძელებინა.

## IX

შხის ამოსვლისას დროშა გორაკების მთაგრეხილის ყველაზე მაღალ საცეცხლე ამბრაზურების თავზე უნდა აეტიანათ. არც ბოკერია და, ალბათ, არც შავლეგიშვილი არ იმედოვნებდა, რომ ამ ამოცანას შესრულება ეწერა. მაგრამ მტრის განლაგებაში შეჭრილი ასეული მაინც სადროშო საქმეს გააკეთებდა, მის გაკაფულ გზაზე პოლკს მეორე ნაპირზე ფეხის დასადგმელი ექნებოდა. განწირული ასეული რამდენადაც ღრმად შეიჭრებოდა, პოლკი იმდენად აცდენდა პირდაპირ ცეცხლს და ფლანგების ვეკრდიდან ამბრაზურების მხრადან. ბოკერისა მებრძოლებს წინაც უნდა ევლოთ და სანამ მომდევნო ასეული გარღვეულ ნაპირს არ დაიჭერდა, ერთი ოცეული უკან უნდა დარჩენილიყო, რომ ახლად გაჭრილ სოლში მტერი ასევე არ შემომძვრალიყო და გარღვეულ ზოლს პირი არ შეეკრა, რომ პოლკიც წყალში არ ჩაეხცოთ და თვითონაც ტომარაში არ მოქცეულიყვნენ.

ნაპირზე გამოსული მომდევნო —

პირველი ასეული გაიშალა და ცეცხლი ორივე მხარეს დაუშინა, ფლანგები რომ გაეფართოვებინა. სანამ ახალი ასეული ტყისპირა სანგრებამდე მოაღწევდა და ბოკერის ადგილს დაიჭერდა, ნაღობა-იძეს ებრძანა თავისი ოცუულით კრავ-ცოვის განკარგულებაში დარჩენილიყო.

გერმანელები უთუოდ დააეჭვა ამ ცის ჩამოჭეცვაში ხელუხლებლად დარჩე-ნილმა ზოლმა და როგორც კი წინ წა-სული აეთანდილი ვერხვების, თელის, აკაციისა და ტირიფების ჩრდილებში კვირინჩხის და ქაყვის ძირებიდან გერ-მანულ მუნდირზე ცალსამხრე შერჩენი-ლი გაძვრა, მაშინვე დააპირა მდელითვე გადასვლა ჰენჯუობიდან ლელიანამდე. ტყიდან თავის გაყოფისთანავე მდელის ბალახები ავტომატების ჯერმა მოთიბა. მტერმა აღარც მტერი დაინდო და აღარც „მოყვარე“. წითელარმიელის გიმნასტურიანი ჯარისკაცების წინ გაშ-ვებას მაინც აეთანდილის და მისი სამი „გერმანელის“ წინ წასვლა სჯობდა. რაც არ უნდა იყო, გერმანელი გერმანულ მუნდირს გულმშვიდად ვერ დაუმიზ-ნებს და არ შეიძლება ხელი არ შეუთ-რთოლდეს.

მეთაური გაწვა და ლელისაკენ გე-ლის მოჭნილობით გასრიალდა. იგი ყო-ველთვის პირველი გადადიოდა იმ გამო-თოფილ გადასარბენებზე, სადაც მტრის ცეცხლს ელოდნენ. ამას ჯარისკაცები, ალბათ, მისი გულადობით ხსნიდნენ და იქნებ არც უამისობა იყო, მაგრამ ამას მაინც ადამიანის ერთგული დარაჯი, — შიში აკეთებდა და თავის გადარჩენის მეტი შანსი. წინ გადამხტარ ჯარისკაც-ზე მტერი თოფის დამიზნებას და გას-როლას ვერ ასწრებს. მან ხომ ჯერ არ იცოდა სად გამოტყვერებოდა მოწინააღ-მდეგე და გეზს საით აიღებდა. რომ გა-ესროლა, დააცილებდა და რაკი ერთი ხელიდან გაუძვრა, უდარაჯებდა მეორეს და შესამეს უკვე ჩანმანშემართული და სანიშნეზე თვალდადებული. ბოკერის წვრთნის დროს ჯარისკაცები, ამ მხრივ, შეგონებული ჰყავდა, არ გაემეორებო-

ნათ მათი წინამორბედის მოძრაობა. ერ-თი თუ გადახტებოდა, მეორე გახობხ-ბულიყო, მესამეს ოკრო-ბოკროდ გადა-ერბინა, მეოთხეს თუ უნდა ყირა-ყირა ევლო და მეხუთეს კისრისტეხით, მაგ-რამ არა ისე, რასაც მტერმა ალლო აღ-ლო და თოფის სამიზნეს მოარგო.

ეთანდილის შემდეგ მდელითვე ყვი-რილიანმა გადმოირბინა და სანამ ეს-როდნენ, დაეცა. გასროლეს, ისევე გად-მოხტა, და მარჯვნივ გაიშხლართა, დას-ხება მის ახლომახლო ტყვიამ ბალახე-ბი, წამოვარდა, ორ ნაბიჯზე კვლავ მხარ-მარჯვნივ დაენარცხა... იმდენი ჰქნა, ლე-ლის ჰენჯუობში მარცხენა ბეჭით მეკრ-დამდე ჩაშვებულ ასმეთაურს გადაუს-წრო და თვითონაც მხარით ჩაეფლო.

ლელიანი ტყვისისაგან არა, მაგრამ მტრის თვალისაგან გფარავს და სად სა-ალალებდოდ ნასროლი და სად ზუსტი იარაღით კარგად დამიზნებული. ახლა წინსვლა აღარ შეიძლებოდა, ამ მუხლამ-დე ლაფში ისე უნდა ეფორთხათ, რომ იმ სანგრამდე, რომლიდანაც მდელი გამოეთოფათ, როგორმე ან ტყვია მი-ეწვდინათ, ან ხელყუმბარა გადაეგლოთ. ჰენჯუობში თითქოს წყალი არ იდგა, მაგრამ გაყეცილი მიწის საფლობი და ხშირი, გაუვალი ლელი წინსვლას აძ-ნელებდა. თანაც აფეთქებების გრიალ-ში და თვითმფრინავების გუგუნში უნ-და გაფორთხებულიყვენენ, ძირებში ჩამ-ხმარ შარშანდელ ჩალამ-კალამს ფეხის დადგმისთანავე ლაწა-ლუწი გაუდიოდა; მანამ უნდა ყოფილიყვენენ გარინდებულ-ნი, სანამ რაიმე დამფარავი ხმაური არ მიეშველებოდათ.

ყვირილიანმა ხელყუმბარამოხრო-ლა, მაგრამ აფორიაქებულმა ვერ მოზო-მა, ორმოს დააცილა. სანგრის გილიმა გასკდა. ალბათ, არაეინ დაუშავებია, მაგ-რამ საიდან ესროლეს, ვერაეინ დაინახა და ზურგში აფეთქებულმა ხელყუმბარამ მტერი დააფრთხო. ეგონათ, როგორც ესენი შემოიჭრნენ მოულოდნელად, ასე მეორე მხრიდანაც ხომ არაეინ გაარღვია ჩვენი თავდაცვის ზღუდეებით და ფე-

ტომატები მიაბრუნეს, სროლა ოთხივე მხარეს ატეხეს. აუთანდილის თავს ზემოთაც გადააბრუნა ტყვიის ჭერი და დადგა.

ამ დროს ეტყობოდა ზევრმა გადმოსასწრო მდელაზე, რაკი საფლობის თქვეფა და ხმელი ჩალამ-კალამის შრალი გახშირდა. ძლიერა ზეციდანაც ნაცნობი გუგუნის მოისმა, ანეთ დროსაც რომ ცოტა გულს მოგეფონება. მტრის მთავარი ზღუდეების თავზე მტრის ღრუბლები რომ იცრიცებოდა, გორაკები ახლა ბომბებმა შეაზანზარა და თეთრი ფარდა ისევ მალა ასწია: პირველს მეორე წყება მოჰყვა და უფრო ქვევით, ზღუდეების ძირში მეორე სათადარიგო ფარდა გაჰკიდა. ბომბდამშენებს თავზე იაშინვე „ჩარჩო“ დაფინა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა, მაგრამ პირველმა სამეულმა ხელი დაიკალა და გამოსასწრო. მეორეთაგან ერთი გადაიფერდა, უკან გაბრუნება დააბირა და მობრუნებულმა ბომბები აკრძალულ „ბოკერისა ზონაში“ ჩამოკალა. ზედ ჰაობის პირზე დაეცა ერთი, ლაფით და ტალახით აეთანდილიც დაფარა და ყვირილიანიც. ტალახიდან და თავზე დამავებულ ლელიდან და ტყლაპოდან რომ გამოქვინენ, არც ერთს სახე არ უჩანდა, მაგრამ მტრის სანგრიდანაც არაფერი ისმოდა.

ჭენჭობი ისევ მდელითი თავდებოდა და მდელი დაბალი კვირჩხარის ესეთ სქელ ბურღებს უერთდებოდა, იქამდე რომ მიფორთხებულყავი, მერე კი თუ იმ ბუჩქნარიდანაც გაღწევდი — დედიშობილა გააღწევდი.

## X

ჩამოგლეჯილი და გაბღღენილი ამითაჟრი ჰიგოდალეწილ, ჩამბობილი ვენახებით მოფენილი ნაკვეთის პირას იწვა, რომლის ბოლოში დაგლეჯილი ხეებს მწყარავა და ამ ხეების მიღმა ჟება ძაბრებად ქცეული გორაკების ფერღობები იწყებოდა. ზღუდეებზე იმდენი ამბრახურა კიდევ გადარჩენალიყო. გა-

ნახევრებული ასეული რომ მტრის ხეებზე შივ გამძვრალიყო, იმ ფერდობებზე პირწმინდად გაწყდებოდა. მალა მოქცეული მტრის თვალისაგან ბომბის ამონათხარი, ან წელამდე ორმოც ვერ დაგიფარავდა.

არტილერიამ თავისი საქმე გააყვანა და ჩაჩუმდა. ნაღმსატყორცნები მეორე ასეულის გარღვეული პოზიციის ორთქი მხარეზე სცემდა. მდინარის ნაპირიდან მოყოლებული, სოლს აღმა და დაღმა აფრთოებდა.

მშემ, მალა აჭრილ მტრის კორიანტელს, სხივი უწვდინა. გამჭვრატლულ მტერიან ტალახისფერ ცას ოქრო გავრია.

კრავცოვი დაღუპული ნადიბაიძის შეთხელბული ოცეულით ასეულს უკუ-სვლით მოსდევდა და ალაფული ლელიანის გადმოსვლისას, მარცხენა ფლანგიდან მოწოლილმა მტრმა, ნადიბაიძეს კინალამ ისიც მიაცილა, მარჯვენა მკლავში დაჭრით გადარჩა.

აეთანდილის მოწინავე ოცეული გამესამედდდა, ყოველ შემთხვევაში ვენახების პირა საწრეტი არხის ძირში ჩაწოლილი თითხმეტი ჭარისკაცი დათვალა. მედროშე ოცეულს ვითომ ეთქმოდა. კიდევ ოცეული და ალბათ ჭერი მალე იმაზე მიდგებოდა.

მტრის თავდაცვის მთავარი ზღუდე მერყეული იყო და დახურული საცეცხლე წერტები დაზიანებული, მაგრამ ისეთი მომგებიანი პოზიციიდან ერთი ტყვიამფრქვევი განადგურებულ ასეულს კი არა, თითდაუკარებელს თავს არ წამოაწევიანებდა.

ცახე ოქროდაკრულ ქულებიდან ფრთებწაკვეთილი „პეინკლები“ გამობობლდნენ. ბოკერისა და ცეცხლა: ეს ზონანა, მუცელამოუყორაგი სვავები მოუვლიან და მზის მხრიდან წამოვლენ, რომ თვალი ვერ გაუსწორო და მიძიმე კრიალა ბომბებს უანგარიშოდ ჩამოყრიან. გაღმიდან ალბათ პოლკის დიდი ნაწილი გადმოვიდა და დაცოფილები მტერ-მოყვარესაც ვეღარ გაარჩევნო.

სერყანტ ახალციხელს ღროშის გაშლა ჯერჯერობით არ უნდა ეცადა. მტერი თუ პოლიკის ალაშის დაინახავს, ძალებს სხვადასხვა უბნებიდანაც გადმოისვრის და ცოცხალი თავით თავის ზღუდეებზე არ აგიშვებს. თუ საღროშო ფერლობამდე მიაღწევდა და სერის ძირზე გაჭრილ, ტანქაწინააღმდეგო ღრმა თხრილს გადალახავდა, მერე უნდა აეფრიალებინა. თუ ვინმე გადარჩებოდა, იქნებ მაღლა-მაღლა წაედოთ, არა, და როგორმე იმ თხრილგაღმა მიწაყრილზე მაინც დაესოთ.

დილის ნიაგმა მოპებრა და ტყის სიღრმეში გამდგარი, შავ კვამლში შეთქვეფილი თეთრი მტერის ბული სერებისაკენ წამორეკა.

— ბეგლარ, გაგიმართლა! — გადაჰკივლა ბოკერიამ კრავცოვს, — მოეშვი მაგ ზურგს, ზურგს ვილა დაეძებს, კაცო, ახალციხელს მარჯვენა ფრთა მოუგერიე. მე მარცხნივ წავალ, რალაცა იქნებოდეს მოვახერხო!..

ახალციხელი ვენახში შევარდა და წამით ეაზის ბარდებში გაუჩინარდა. ბოკერია თხრილში გაწოლილი გასრიალდა და ნაბომბარ ძაბრში გადავარდა. გაუჯვირდა, რომ არსიდან ტყვია არ დაუშენიათ, ცუდად ენიშნა: ახალციხელის ოცეულს ვაზების ბარდებში შეიტყუებენ და მერე ცოცხალს ალარავის გაუშვებენო. როგორმე, რაც შეიძლება ჩქარა, სერის ძირში, წყვილ ფრთაჩამსხვრეულ ტირიფებთან მაინც უნდა მიესწრო, რომ მარცხენა ფრთიდან დაეფარა. ვენახის დაღეწილი ღობის თავში ასკილის და შინდის ძირებში მარჯვნივ გაძვრა. ისევ გაოცდა, როცა ამ საცოლაჲ საფარსაც ვასცდა და უკვე აშკარად, სიკვდილთან თამაშით, ზედ ღრმა სანგრის მიწაყრილისაკენ გაიჭრა.

ერთბაშად გავარდა რამდენიმე ნაღმი და მის თოთხმეტკაციან ოცეულსაც ერგო, უპატრონო ვენახის ძირებში შეყუჟული ახალციხელის ოცეულიც გამარგლა და მარჯვენა ფლანგზე კრავცოვის ბიჭებიც ააბლავლა.

აეთანდლიმა მიწაყრილის ძირში, ისევ

კურვის ძაბრში ჩაასწრო, მაგრამ მკვალში ჩამდგარ ოქროცვარიძეს ნაღმი ზედ წელზე დაეცა და დაფლული ცოცის სისხლში აზელილი მიწის შვავით ასმეთაური დამარხა. თავზე დაცემულმა ურდუმ თვალი და გონება ერთად წაართვა.

გონს რომ მოვიდა, ისევ მიწის რყევა და ზრიალი ჩაესმა, ჰაერის ღრმად ჩასუნთქვა მოუნდა, მაგრამ ცხვირი და პირი ამოგლეხილ-ამოვსებული ჰქონდა. სახეზე დაყრილი ბელტების მოშორება მოინდომა, მაგრამ ხელები შეკრული და ფეხები უმოძრაო აღმოაჩნდა. თითქოს ყველაფერი სტკიოდა, მაგრამ რაც სტკიოდა, ალბათ, ჰქონდა. ამან იმედი შემატა და განძრევაც მოინდომა, ვერაფრით ხელ-ფეხს ძვრა ვერ უყო. თავი შეაბრუნა ოდნავ და ცალ თვალში რალაც ბინდი მოეჩვენა, მაგრამ სილამ ქუთუთო და გარსი სამართებელივით დაუსერა, ახლა ველარც მოხუჭვა შესძლო. როგორღაც ისევ თავის განძრევა მოახერხა და იგრძნო, რომ სახიდან გორბეები მოიცილა. სილა და მტვერი ისევ ფარავდა, რომ პირი დაალო და ყულამდე დაფლულმა ჰაერი ჩაისუნთქა. რაც ძალა შემორჩენოდა ამისათვის დაეხარჯა და ისევ ბინდი წაეფარა. საღლიციდან ტყვიამფრტვევის კაკანი ესმოდა, მაგრამ არა როგორც საშიში, სასიკვდილო იარაღის კანონადა, არამედ როგორც ხმაური, რომელიც სიცოცხლესთან მის რალაც ბუნდოვან კავშირზე ელაპარაკებოდა.

იქვე, მის სამარხთან კი არ აფეთქდა, ქვეყანა დაინგრა და გონმიხდილს ისევ სიცოცხლე დაუბრუნა; ასეთი ამაზრბენი, გაბმული გრიალი და შემზარავი, ერთბაშად უამრავი, ერთმანეთს დაღვენებული, სულის გამფრთხობი ერთობლავი აფეთქება ცხადში არ ახსოვდა და სიცოცხლის, გადარჩენის თუ გამაჯვების იმედის თბილი წვეთი ჩაედგარა; ცალ, დასერილ თვალში ისევ სინათლე დაუბრუნა.



„ნაია... ახალი იარაღი... — გაიფიქრა და იამა: ფიქრიც შემძლიაო.

ფერდობზე ქარს თხელი ნისლი მიჰქონდა და ძლივს ილანდებოდა გორაკების მთაგრეხილის მოთეთრო, დაგლეჯილი, დასაბინჩრებელი კონტური.

და რას ნიშნავს, ალბათ, მომავლადის სურვილი, მით უმეტეს, უკანასკნელი სურვილი...

გორაკზე პოლკის დროშა ფრიალებდა. კი... თითქოს ნამდვილად ფრიალებდა... ალბათ თვალთ მეტად აღარც დენისლებოდა, მაგრამ ყველაფერს ამას დაუჯერებლად და მოჩვენებად ხდიდა ის, რომ დროშა ხელში მამუქას ეჭირა... მამუქა ამალლობელს... იდგა გახარებული და პირდაღებულმა არ იცოდა ხელში სანამდე უნდა სჭეროდა:

სადღაც თითქოს „ვაშაც“ ისმოდა. მიწაზე დაცემამდე ანგრევდა ქვეყანას, ერთბაშად მოგრიალე „კატიუშების“, გადამფრენი აბევივით ერთმანეთზე გადაბმული ჭურვები და რა ბედნიერება იქნებოდა, რომ დროშა ვინმე სხვას სჭეროდა, არა მამუქას...

ბოკერიაშ სერს მზერა მოაცილა, იქნებ სხვა დანარჩენი იყოს სინამდვილეო. ყურებამდე პაწაში ჩაფლულმა ძლივს ხის კენწეროები დაინახა, მაგრამ გაარჩია რომ ირზეოდნენ, როგორც ცხადშია...

და თუ ეს მაინც მოლანდებია ეს რაღაა?!

კოლო!

გრგვინავს, ზანზარებს მიწა და ეს დოლოცილი კოლო კი ბზუის, დაფრინავს და საცოცხლი: თვის იღწის. უჭირს ზარბაზნულას ქუხალში, დენთის სუნს ხომ საერთოდ ვერ იტანს. დენთი და მჭკარტლი კი არა, ისეთი ნაზია, მისთვის ნიავაც კა პეტისმეტია, მაგრამ რა გინდა რომ ჰქნა, საცოცხლე ხომ გინდა. ახლა სისხლი კი არ უჭირს, მთელი ამოდენა ტყე, მდინარე და მინდორი, ორმო, ნაყანვეი და ნავენახარი, ხელის დადება მიწა არაა დარჩენილი, სისხლით არ იყოს მოიწყული და გამძღარი.

— კოლო! — შეეხვეწა მჭკარტლი ლად ჩამარბული. მოვეფერებოო, იფიქრა, იქნებ უფრო გამოვიგონოო, — კოლო, კოლუნია, ე კაცო, კაცი არა ხარ, მოდი ჩემთან, რაა რომ ტყუილა წუილობულია ხარ და მეტი არაფერი. დაინებე იმ ჩემს ბიჭებს თავი, მოეშვი, თავისი გაჭირვება ეყოფათ. აგერ მოდი, შეკაი კაცო! არა, ნუ გეშინია, ხელ-ფეხის საძრაობა არ გამიჩნია, რაც მიწიდან მიჩანს, შენ თუ გეყოფა დასაქლომად და რა სისხლიც შემარჩა, შენ თუ გაგაძლობს... მოდი, მოდი ჩემთან და დამასკუპლი ცხვირზე, თვალზე, შუბლზე და ერთი შენ რომ გემრიელად იცი, ასე მადლიანად დამნესტრე, თუ შენ მართლა კოლო ხარ, მე აეთო ბოკერია და იმ ბორცვზე რომ დროშას აფრიალებს, მამუქა ამალლობელი, მოდი მოდი კოლო, რომ გელაპარაკებო მე შენი

კოლო წარბს ზევით დიაჯდა.

— კი, გიცანი, მაგრამ შენ არ იქნები კეჟკაცი: თუ ახლა მაქ არ დაეკარი ეგ შენი დაშნა. მტვრით და ტალახით, ოფლით და სისხლითაა მორწყული მაქაურობა და არ დაიწუნო, როდის იყავი, შე კაცო, ასე გულაზიზი, ახლა ამ ქვეყნის ჩამოქცევისას რომ მოინდომე უსაშველო ბეწენიკობა. ე, ბიჭო! ხომ ხედავ არ მაქეს საშუალება რომ გავინძრე, თითქოს „ვაშაც“ მესმის, აგერ დროშაც ფრიალებს და შენი ისრის ერთ დაცვრას შეუძლია ყველაფერი სინამდვილედ აქციოს. თორემ ეს რომ სიზმარი იყოს, ხომ იცი სიზმარი პირუტყუ ახდება და დავილუპები, ამდენი ბიჭის სისხლს რაღა ვუთხრა? ე, კაცო, მართლა კოლო ხარ, ვილაცა ეშმაკი ხარ?! შენ გაამწარე ჩემი ბავშვობა და სიყრმე და შენ მიშრობ ახლაც სისხლს...

კოლო შუბლიდან აფრინდა და ის იყო გამწარებულმა აეთანდლიმა მავარი გინებაც მიაყოლა, რომ ყურის ნიყარაში შეუძერა, იშიშვლა ისარი და ტანჯულს ყველაფერი სინამდვილედ უქცია.

ბოკერიაშ ცალი გახელილი თვალი ისევ გვერდზე მიაბრუნა, დაჯერებულმა, რაკი ყველაფერი ცხადი ყოფილა,



ახლა მაინც აღარ იქნება გორაკის თავზე მამუკაო.

ამ უზარმაზარ ფერდობის ძირა მიწა-ყრილზე რომ თვითონ იყო ჩამარბული, იქითა ნაპირის მიწაყრილის თავზე ბეგლარ ახალციხელი იწვა გულადმა ხელფეხგადაყრილი: მის თავთან რჩეულიშვილი, ნახევარი ტანით ახალციხელზე წინ წასწრებული; იმის იქით, განდაგან, ეგდო თავდადმა ჩამხობილი ცხოვრებაშვილი. ძლივს ერთი მტკაველით გასცდენოდა მის წინამორბედს; გრძელცხვირა ჩიქოვანს, სიკვდილის წინ მოუხერხებია, მიწას ჭორივით ჩაფრენოდა, რომ ფერდობზე ავლილ თავისი სიგრძის ტოლა გზიდან უკან არ ჩამოგორებული-

ყო. გერმანულ მუნდირიანი აბესაძე და ზემდეგი უსტალოვი ერთმანეთს გვერდიგვერდ გყარნენ უფრო მაღლა. მალე სიგრძე მანძილის გავლას თრევა სიკვდილზე დასჭირვებოდა, კრავცივი, ხულებლიძე და ყვირილიანი ბომბებით გარდაცვივრებულ სერის თხემზე მტვერში მუხლამდე ჩაფლულ მამუკას ფეხებთან დაეკმულაყვნენ, ხელის წამოწევა რომ შეძლებოდათ, დროშის ტარს მასწვდებოდნენ.

სერს მისდევდა კვამლის და მტერის კორიანტელი, მაგრამ მზით განათებული კვამლი და მტვერიც არ ჰგავდა თავს თავს ისე, როგორც ავთანდილი ავთანდილს და მამუკა მამუკას.

მეოცა წიგნის დასასრული

საიათნოვა

## ათასზე რომ იტიროს

სოფდაგარმა ათასზე რომ იტიროს,  
რაც დაკარგა, ვინღა მიხეცის მტირალსა,  
ცინის კარი ფოლადისა თუ არი,  
წნორის პალო როგორ გახვრეტს იმასა.

თვალთ ისარი შენი გულზე დავიგო,  
გიქისაგან სიშართლე რომ გავიგო,  
სიშნარში რომ თამასუქი აილო,  
არვინ მოგცემს ცხადში თუნდაც ღინარსა.

თუ შეგობარს ცუდი ჰკადრე, — დაიწვი!  
ბარემ ადექ, გულში დანა დაიცი!  
ვის მონაგებს ვინ წაიღებს, რა იცი,  
რას გაუგებ ღმერთსა თვალუჩინარსა.

ვაპ, ბუღბუღო, თუ ის ვარდი დაგიზრა  
და სიკვდილმა ერთხელ თავი დაგიკრა!  
რას გააწყობ, თუ განგებით არ იქნა,  
ფოთოლიც არ ჩამოწყდება წინარსა.

ვარდის ფერი თუ ეცვალა შავითა,  
თუ დაგვირჩა თვალზე ცრემლის შავითა  
სამათნოვა თუკი მოკვდა, წაეიდა,  
გლოვით რაღას გააღვიძებ მძინარსა.

## ი ზ ყ ვ ი ა ნ

ქვი, ბრძენკაცო, სიბრძნით თუნდა ცაში ახვიდე,  
მეზარნიშულე შაინც ისევ ნაყაშს იტყვიან;

ინდურიც იყოს ყალმაქარი, რა ბედენაა,  
ზარბაზია და, ადითია, ყუმაშს იტყვიან.

დარდს არ ეწევა, ვის სიმართლის გზა და ხიდი აქვს,  
ზოგსა ზარბაზი, ზოგსაც დარდი გასასყიდი აქვს,  
მიწას წიაღში ქვათა განძი თუმცა დიდი აქვს,  
მაინც კედელში ნადებ ქვაზე შაბაშს იტყვიან.

ის ბრიყვი არი, ვინც ოსტატთან სიტყვა გაბედა,  
მთა მონადირეს და ნადირი მთას დაუბედა.  
ვინ ხმარობს ტირიფს ტალ-კვესად და ტალ-კვესს აბედალ? —  
ცეცხლში ნაწრთობი ფოლადისას ვაშას იტყვიან.

ქალს დაამშვენებს ზილფ-კავეები ხასა-მურასა,  
კაცს მარიფათი გზას უკაფავს, განა ურაზავს,  
ნამარდი კაცი მოჰგავს ურგებ ჩალა-ბულასა,  
ჰომარდს თვალ-წარბზე შეხედავენ, ვაგვაცს იტყვიან.

ბევრი შიჯნური მოსთქვამს თავის სიმწუხარეზე,  
დარდს ვერ ასცდება სიყვარულთან მოახპარეზე,  
თბილის-ქალაქში, საქართველოს არე-მარეზე  
ამ სააათნოვას სიყვარულით დამწუვარს იტყვიან.

## ღარი შიშაზა

ამუღის ხელობამ დარდი მიმატა,  
ამ ჩანგზე ვერ მითქვამს რადგან უარი.  
ტკვა წაფაგებინე ეშხის შემუ-ბემს,  
ახლა სიყვარულით გული შლუ არი.

პურისთვის მარილი ბევრი ვეძიე,  
ზღვიდან ამოვიღე, მინდორს მივწიე;  
ჯიბრით ერთი დარდი ასად ვიქციე,  
გულში ხედ განიდგა, ტოტებდრკუ არი.

ცხოვნება უნდა ვთქვა მოძღვრის სულისა,  
ნედლი ხმელთან დამწევა, გამაგულისა.

გულს ცეცხლი მიბუგავს სიყვარულისა,  
მკერდზე მისთვის მიჩანს დალი მღუარი.

თვალიდან ცრემლისა დამდის ნამ-ცვარი,  
დარდი და ნადგელი ვიცი, რაც არი.  
დავიწვი ფარვანა, დავრჩი ნაცარი,  
ვიქმენ სანთელისგან მონატყუარი.

მე ამ სიყვარულმა დამსვა ვალალად,  
გამყიდა, დამადგა ბაზრის დალალად,  
ჩემი მნახველი კი ფიქრობს ალალად:  
ჩვენი სააათნოვა მთვრალი თუ არი?!

## ღანი ზვირთი

ეშხის ზღვაში მონაკრეფი — მამარია ჩემი ტვირთი,  
ყალმაქარი, ხას-ყუმაში, ჯავარია ჩემი ტვირთი.  
მნახველებმა რა იციან, რაგვარია ჩემი ტვირთი,

ვინც ნახავს და ვინც არ ნახავს, ზღაპარია ჩემი ტვირთი,  
ყარანფილი, ზანჯაფილი, ამბარია ჩემი ტვირთი.

თუნდ მოგროვდნენ ოსტატები, თუნდა ქვეყნის ერი-ბერი.  
პინდოთ მხატვარს გააოცებს ეს ნაყმები მშვენიერი, —  
რა თვალი და მარგალიტი, რა მარჯანი, რა გიშერი,  
რა ღიბა და რა ატლასი, რა ყუმაში მრავალფერი!  
ყველამ ნახოს, რა სირმა და რა ზარია ჩემი ტვირთი!

ჩემი ტვირთი მძიმე არი, სპილოსაც კი მოსწყვეტს წელსა!  
ვინ ზახაფი! ფასს ვინ დასდებს ლალსა ჩემსა უფასველსა!  
უკრები მაქვს ლარით საესე — დაამუნჯებს პირმეტყველსა.  
ნიაღვარედ ვერ ჩააქრობს ჩემი გულის ცეცხლსა მწველსა,  
ღუთისნიერი არეინ დაწვას, ხანძარია ჩემი ტვირთი!

ჯამათნო, მეშინიან, არ ამიკლონ ქონებითა, —  
მობრძანდით და მე გაჩვენებთ, გადმოგიდგამთ ზონებითა,  
იყიდით თუ არ იყიდით, ყველას გაძლევთ კონებითა, —  
რა ტკბილია, შეაფასეთ გრძნობითა და გონებითა:  
შარბათ-ნაბათ-ყანდი არი, შაქარია ჩემი ტვირთი.

თუნდა ლოდოდ ოქროდ იქცეს, სულ არ დავახარებ თვალსა,  
თუ სხვამ მე არ მიინახულა, მე რად ვინახულებ სხვასა,  
ვიცი, რომ ვერ გაუძლებენ ჩემი სიყვარულის აღსა!  
საათნოვა გვხვეწებთ: ნუ მიჯერებთ მე საწყალსა, —  
თოვლია და, — მზემ რომ დაჰკრას, დამდნარია ჩემი  
ტვირთი!

## შენლობა ქვიშხაროს

შენლობა ქვიშხაროს, ხიდის მშენებელს, —  
ვინმე მის საძირკველს ქვას დაამატებს.  
ხალხისთვის დავშვერ და ხალხს

ვეშაბურე. —  
გულზე საფლავის ლოდს ჩემი ძმა მადებს.

პურადი კაცია კაცი კაცთანი,  
ადგეს და დაბერტყოს უხვად კალთანი!  
ზოგს კი ტყვია თუ აქვს ერთი ბათმანი,  
ზარაფთან გააქვევს, ფულად ალაგებს.

ასე უქნევია ჩვენ ბედს ჩოგანი:  
ლუკმას დაანატრა მჯობთა მჯობანი.

ვის ძველიც არ ჰქონდა საბან-გობანი,  
ახლა ყუმაშისას იცვლის ხალათებს.

განგებაე, შეგვედრით მიამიტები:  
მარილის მჭამელი დაგვხსნენ ფლიდები!  
იმისთვის მტერსაც კი არ ვერიდები,  
ჩემივე მეგობარი რომ მაშამათებს.

რალა ბულბული ხარ, ფრენა არ იცი,  
ეშეი, ხილამაზე მღერა არ იცი!  
ბეჩაე საათნოვავ, წერა არ იცი,  
ვინც არა მკონია ლექსს აპარატებს.

აჭრბაიანულიდან თარგმნი  
ზინგა მადულაშვილმა

## კვლევი ვინახულე...

— კვლევი ვინახულე

ის კუთხე, სად განდევილმა მე გაგატარე  
სულ შეუმჩნეველად ორი წელი. გავიდა უკვე  
მას შემდეგ ათი წელი და ამ ხანებში  
ბევრი რამ, ბევრი შეიფვალა ჩემს ცხოვრებაში.  
გარდაუვალი და ხაერთო კანონის ძალით  
მეც აგრეთვე გამოვიცვალე. მაგრამ აქ ისევ  
ჩემი წარსული ხელმოვრედ მე მაგონდება,  
თითქოს გუშინაც, საღამო ეამს, ვესეტებოდი  
აი ამ ტყვრში.

შერისხული, აპა, ის სახლიც,  
სადაც ჩემს საწყალ გადიასთან ვცხოვრობდი ერთად.  
მოსუცი ქალი აღარ არის და კედლის უკან  
აღარ მომესმის მისი მძიმე, წელი ნაბიჯი,  
არცა ფუსფუსით გულმოდგინე მისი დაზვერვა...  
აი ტყიანი გორაკიცა, სადაც მრავალჯერ,  
ხევედიანი ამ ტბას ვუცქერდი, თან ვიგონებდი  
სულ სხვა ნაპირებს, ტალღებს სხვანაირს...  
ოქრო-ყანების, ზურმუხტისფერს მინდორთა შორის  
ამ ტბისა სივრცე გადაშლილი ელვარებს ლურჯად...  
ტბაზე მეთვეზე მიცურავს ნავით,  
და ეზიდება თავის ბადეს ძველს და გაცრეცილს,  
ტბის ნაპირებზე გაფანტული ჩანან სოფლები  
და იმათ იქით მოჩანს წისქვილი,  
გაჭირვებით ფრთებს რომ აბრუნებს,  
როდესაც ქარი დაუბერავს...

ჩემს წინაპართა

მამულების მიჯნის მახლობლად,  
სადაც აღმართში მიმავალი შარავნა მოჩანს  
გადარცხილი, გადათხრილი აქა-იქ წვიმით, —  
სამი ფიჭვის ხე აღმართულა. მათ შორის ერთი

განცალკევებით არის მდგომი. ორნი კი ერთად  
 დგანან სულ ახლოს.

როს ცხენზე მჯდომი აქ გავიელი  
 მთვარიან ღამით, — მათი მწვერვალნი  
 ნაცნობ შრიალით მეგობრულად მეგებებიან.  
 იმავ შარავზით გავიარე მე ისევ ახლა,  
 და ისევ ისე დავინახე მე ის ფიჭუები.  
 არ გამოცვლილან, იმგვართვე გააქვთ შრიალი  
 ჯგომ ნაცნობი სმენისათვის, — მაგრამ ფესვებთან,  
 ბებერ ფესვებთან, სადაც წინათ არარა იყო,  
 ნორჩი ტყვრია ამოსული. გაუსარია  
 აქ მწვანე ოჯახს, და ბურქები მათ ჩრდილქვეშ ისე,  
 როგორც ბავშვები შეხიზნულან. ხოლო შორს, მარტოდ  
 დგას დაღვრემილი აშანავი მათი უტოლო.  
 ისე, ვით კაცი უცოლშვილო, და იმის ირგვლივ  
 არაფერია. როგორც წინათ...

ო, გაგიმარჯოს,

თაობაც ნორჩო და უცნობო მე ვერ ვიზილაგ  
 შენს ნაგვიანევ, ძლივამოსილ დაგაეკაცებას,  
 როს ტანს აიყრი და დაჩრდილაგ ჩემს ძველ ნაცნობებს,  
 მათ მოხუც თავებს გადაფარავ ისე, რომ მგზავრი  
 მათ ვერ შეამჩნევს! მაგრამ მაშინ, დე, შეილიშვილმა,  
 ჩემმა ისმინოს საამური შენი ხმაური,  
 როცა ის, თავის მეგობრებთან საუბრის შემდეგ,  
 შინ მიმავალი, მოლხუნილი და ფიქრიანი  
 შენ გვერდს ჩავივლის ბნელი ღამით —  
 მეც გამიხსენებს  
 და მომიგონებს.

თარგმნა კოლაუ ნაღირაძემ



# თანამედროვე ლიტერული პოეზია

ედუარდ ას მეთელიძისი

## იღუჭია

გაწამებული,  
როგორც ბალო,  
მე თვალებს ვხუჭავ. მიშრება ყელი.  
ვიძინებ, სიზმრად რომ გავიღვიძო  
და შუბლზე ვიგრძნო ფრანჩესკოს ხელი.

რომეოსავით  
ჭკვეული დარდად,  
მე ვებრძვი გულში დანთებულ კოცონს.  
ვიძინებ, სიზმრად რომ გავიღვიძო  
და ჯულიეტას ფეხები ვკოცნო.

ვიძინებ,  
თითქოს ტრისტანი ვიყო,  
რომ სიზმრად უცებ გავიღვიძო და  
ვიგრძნო წყვეული ხანჯლის სიცოცხე,  
რომელიც გვითმავს მე და იზოლდას.

ვიძინებ,  
როგორც ცოდო კასტისი,  
რომ გავიღვიძო სიზმარში ადრე  
და იურატეს ცხელი ტუნების  
მოკულოდნელი შეხებით დაფთვრე.

ვიძინებ,  
როგორც ეული სული,  
რომ მთაში, სადაც ჩუხჩუხებს წყარო,  
სიზმრად თამარის უცნობ საფლავთან  
გულამოსკვნილმა ცრემლები ვღვარო.

მხრებში მოხრილი,  
როგორც ფაუსტი,  
ნეტარი სიზმრის იმედით ვწვები —  
მხოლოდ შენს გამო,  
ო, მარგალიტავ,  
ახალგაზრდობის მწყურია წლები.

დულცინეაზე  
დარდით ვიძინებ  
გაფითრებული, რომ ურთხელ მაინც  
სიზმარში მისი სიცილისაგან  
გამომღვიძოს ლამანჩელ რაინდს.

მე უცნაური  
ძილით ვიძინებ  
და მიხარია შენს წინ დამხოხილს,  
რომ, აფროდიტავ,  
ჩემსკენ იხრები  
ჩემი ლამაზი სიზმრის ნაყოფი.

ვით მარმარილოს  
თეთრი ფრინველი,  
იხრები და მე გუმადლი იღბალს...  
ვიძინებ,  
თვალი რომ გაეახილო  
ოდესმე,  
ათასწლეულებს მიღმა.



## ქ ე ლ ა რ ა

შეცბუნებული ნადრევად მოსული თოვლით,  
მომწერებინებარ უცნაურად: — ხნულივით შეგი  
რამ გაგითეთრა, მეკითხები, ხუჭუჭა თავი?  
ბედნიერებამ, პირველად ყოვლის.

ის ნათელია. ბედმა თუ არ მიმუხლთა გზაზე,  
შავი ღერიც კი არ გაკრთება, ძვირფასო, თმაში.  
ვაშლის ხესავით ტანს ავიყრი ფერდობზე მაშინ —  
განათებული ვიდგები ასე.

იუსტინას მარცინკაივიჩუსი

## ლილი ქვაკუთ

ქურის სახეზე ღიმი დავლანდე.  
ღიმიის პატრონი  
ქუჩაში იდგა  
და იღიმოდა,  
ამ ღიმილისთვის  
არვის ეცალა — ყველანი სადღაც  
მიიჩქაროდნენ:  
მხოლოდ ის ერთი  
იდგა და პირზე ღიმი ეფინა.

უცნაურია, დამუთანხმებით,  
დღისით და მზისით ქუჩაში იდგე  
და იღიმოდე. უცნაურია.

მე მას თვალბში შევხედე — იგი  
ჩვეულებრივად იმზირებოდა.  
შემდეგ სახემიც შევხედე — ოღონდ  
დაღლილი ჩანდა, არც თუ დიდხნის  
გაუპარსავი...

ახლოს მივედი:  
— მაპატიეთ,  
სულ იღიმებით,

ქუჩაში დგახართ რა ხანია  
და იღიმებით.  
რა მოხდა, ნეტა?  
იქნებ მითხრათ? გამანდოთ იქნებ?

გონს მოვეგო და ამომხედა.  
ღიმი გაუქრა.  
— მე?  
ვიღიმები?  
რასა ბრძანებთ, თქვენ მოგუჩვენათ:  
ესეც არ იყოს,  
სხვის საქმეში რატომ ერევი?

და ის წავიდა წელი ნაბიჯით.  
მე დავრჩი მარტო,  
იღონდ უკვე ღიმილის თავი  
ალარც მე მქონდა  
და ალარც იმას.

## ქარის ნოსქილება

როცა ჭიხვინებს ქარი ცხენით,  
თვალეში აღარ უკრთით სინათლე.  
თაეჩაქინდრულნი და მოწყენილნი,  
უცხო პლანეტის ჰგვანან ბინადრებს.

ერთდროს ამაყი და მძლავრი ფრთები.  
უარყოფილებს და საცოდავებს,  
ჩამოუშვიათ და, დროის ნებით  
გაუქმებულნი, ძილში შფოთავენ.

ხალხს მსახურობდნენ კარგად თუ ცუდად,  
მოწმეა თვითონ მაღალი ღმერთი:  
ნამუსი ჰქონდათ ფქვილივით სუფთა,  
ცოდვა და ბრალი — მისხალი ერთი.

უკვე რამდენი წელიწადია,  
კი არ დაფრენენ ცაში, არამედ  
ცოდვილ მიწაზე მძიმედ დადიან,  
აღჭრიალებენ კბილებს — დარაბებს.

(გაბრუებულნი მინდვრის სურნელით  
როგორ ბრუნავდნენ მთვარიან ღამით,  
როცა მოქონდათ მათთან ურმებით  
ცინცხალი აზრი შრიალა ყანის!)

ჯერაც ცოცხლობენ ზვალის იმედით,  
ჯერაც ელიან... ოღონდ ზვალამდე —  
შხის ამოხვლამდე — არ გაიმეტოს  
ქარმა ბებერმა და მოლაღატემ.

ხვალ უკვე იმათ ვერაფერ იხსნის, —  
გულის ფანცქალით ელიან მაინც  
სახელოვანი სიკვდილის ღირსნი  
მსოფლიო სევდით შეპყრობილ რაინდს.

## განსხილება საღამოს გაზეთში

ვისაც ვსურთ, დღეს შევიძლიათ ახალ სპექტაკლზე  
მობრძანდეთ,

ანდა წაბრძანდეთ კინოში — ქალაქში გადის ასამდე.  
შვილები ჩემთან დატოვეთ, იკმარეთ ჩივილ-წუხილი, —  
ნაავსაც არ გაეკარებ, თავს დავადგები კრუხივით.  
მაჭვს უღვევლი მარაგი ზღაპრის, არაკის, თქმულებს.  
იმასაც გეტყვით — მოზრდილებს ჩემი არ ესმით სრულებით,

ალფონსას მალფონისი

## მშენა ბალი

აჰა, მიიღე მზითვეად, კარგო, ეს მწვანე ბალი —  
ტყის ფრინველებით სავსეა, მზის შუქი ათოვს ვაღლით.

ტოტებზე მხოლოდ აქა-იქ შერჩენილ წითელ კენკრას  
ერთად ათასი ფრინველი შესევია და კენკავს.

ისმის მშოერთა ჭყვიელი, მაძღართა — სტვენა ლალი.  
მომირთმევია მზითვეად აი ეს მწვანე ბალი.

ეს საცოდავი ძახველიც, წუბელ მოჭრილი ძირში,  
დაშლილი ბუდეც — ფრინველის თვალში ჩამდგარი შიში.

კიდევ — ნამიან ბალახზე მსუბუქ-თამამად მჭროლი  
ძლივს შესამჩნევი ჩრდილები მიმინოსა და ქორის.

რათა დედ-მამამ კი არა, — როცა ეზოდან გახვალ, —  
გული დაგწვიტოს ძახველმა, ტყის ფრინველმა და ბაღმა.

## შემოდგომის შორეში

კვლავ შემოდგომის ხმებს ველოდები,  
იდუმალ ბგერებს დღისა და ღამის.  
დამძიმებიათ ხეებს ტოტები,  
ფოთლებზე გრილი ბრჭყვიალებს ნაში.

გვიან თენდება. ცა უადარო  
ფრინველებისთვის ოცნებად იქცა.

საცაა მკაცრი მოვა ზამთარი,  
სხვან სადარდელი გაუჩნდა მიწას.

მოწყენილია. დგახარ და ხედავ,  
სიყვითლე როგორ ერევა უძლურს.  
მაგრამ ასეთივე გაგონებს დედას,  
რომელმაც ტკბილი გაწოვა ბუბუ.

ალბიზანტას ბალბაკისი

## მე მასწავ თვალებს...

რა დღეა!, ჭყავის ბალი ალუბლის,  
ფუტკარი წამსაც არ კარგავს უქმად.  
მე ვსუჭავ თვალებს, რომ სულ ასე ჭყავოდეს შადი,  
და მზე ზენიტზე იდგეს მარადის.

რა ლამაზია შენი სახე უნაოჭებო!  
ვის აჯადოებ ბედნიერი დიმილით, ნეტავ?  
მე ვხუჭავ თვალებს, რომ უეცრად არ წაიშალოს  
ქალწულებრივი დიმილი შენი.

აღმოდებული თვითმფრინავი ეცემა ზეცით,  
ერთურთს სცილდება გადმონსტარი ორი მფრინავი.  
ვაი, რომ ერთი პარაშუტი არ გაიხსნება  
ალარასოდეს. მე ვხუჭავ თვალებს,  
ვინაშენ ფრინველად იქცეს მფრინავი.

მე კარგად ვიცი, თავს რომ ვიტყუებ.  
ავახელ თვალებს — ის მფრინავი აღარ იქნება  
ცოცხალი; თეთრი ყვავილები ჩამოტყენებიან;  
შენც მოიხრები, ძვირფასო, წელში...  
მე თვალებს ვხუჭავ. ალბათ, მიტოვაც.

### ზიტა მათეიკაიძე

■ ■ ■

ჩემი ტურები შენს ტურებზე ესვენა უკვე.  
ჩემს თმებში უკვე ჩაიკარგნენ შენი თითები.  
უკვე ერთურთის შავ თვალებში ჩვენ ავირეკლეთ  
ღრუბლების მსგავსად. იწოდება უკვე ეს ქარი,  
ნოემბრის ქარი, საოცარი,

სიკეთის ქარად.

შენი სახელი ტკბილია და ალერსიანი.  
ჩემი ხმა რბილი იზნიქება ტირიფის ტოტად.  
მე უკვე გამთქვა ბედნიერმა დიმილმა. უკვე  
რვის ნახევარზე ავტობუსზე არ ვაგვიანებ.

არ არის ძნელი, დავამშვიდო მგლოვიარენი,  
ან უცემური ყაფისთვისაც ვთქვა:

დიდად გმადლობო!

რა უნდა იყოს საკვირველი, — ეს წვიმიანი  
შემოდგომაა, უკანასკნელ დღეებს რომ ითვლის.

■ ■ ■

მოვიდა დრო-ბერიკაცი. თქვა: — მოემზადე, აიკარ  
გუდა-ნაბადი.

თქვა კიდევ: — შენს ჭოჭმანს დასახიჩრებულს  
აქ ნუ დატოვებ, წაიღე.

ვიჯექი სანაპიროზე

და ვაბურებდი თოლიებს — გაწვდილი მქონდა ხელები.

მერე კი, მერე მოვიდა მეორე დრო-ბერიკაცი.  
 თქვა: — შუის ჩახვლიხას იწყვიან ქოხები. ხედავ, შზე ჩადის,  
 ცვეცხლს მივე შენი უმწეთ მოუსვენრობა. მე ისევ  
 ვიჯექი სანაპიროზე და ვაბურებდი თაღიებს.  
 ბოლოს მოვიდა მესამე დრო-ბერიკაცი, მღუმარე,  
 იქვე აკრეფილ ნამცვეებს ის ხელისგულზე იფშენიდა,  
 მუბღებზე დახოკებულა.

## მარცაღიუს მარტინაიტისი

### შ ი ა გ შ ე ნ ბ ი

აშქვეყანაზე  
 პოეზია მათთვის შეტყველებს,  
 ვისაც გაგების ნიჭი აქვს შეტი,  
 იმაზე მეტი,  
 რისი თქმაც ძალუმს პოეზიას.  
 ერთი შესწევით.

ის იმათთვისაც  
 არსებობს დღემდე,  
 ვინც გამუდმებით  
 აბუნად იგდებს,  
 და იმათთვისაც,  
 ვისაც პირზე ადევს ურდული.  
 ან ფარავს ფერფლი  
 დავიწყებისა.

არსებობს იგი  
 მხეცებისთვისაც,  
 მწესუმწირის და  
 პეპლებისთვისაც  
 და, რა თქმა უნდა,  
 ამ მზიარულ ფრთოსნებისთვისაც,  
 ბალს რომ იკლებენ ყოველ ცისმარე;  
 უცბო არ არის ის ზოჭოსთვისაც,  
 რომელიც — დმერთო! — ისე ელავს ბალახში, თითქოს  
 საჯვარელ ქალის დაკარგული საყურე იყოს.

• • •

ბალახებს ჰგეანან პატარები.  
 თუ მომტაათრა, მოვაჩვენებ თავს ავტობუსად  
 ან, უთქვათ, დათუნად.

გარს მუხვევიან, ყველა ცდილობს ჩამომეკიდოს  
 ისე, თითქოსდა გრძელკისურა თირაფი ვიყო.  
 და მთხოვენ, მთხოვენ პატარები,  
 გავხდე სალდათი.

რა ბედენაა —  
 ეს სრულებით არ არის ძნელი:  
 სროლაც ვიცი და გამითხრია სანგარიც ბევრჯერ.

პა, მოიმარჯვეს ხის თოფები;  
 ტყვედ ჩავარდნილი,  
 ეზოში კედელს მიმაყენეს,  
 რათა დამხვრიტონ.

და მე ვეცეში, თავს ვიმკვდარუნებ.  
 მე არაერთხელ მინახავს ადრე,  
 ბარბაცით როგორ ვეცემოდნენ სიკვდილმისჯილნი,  
 ვიდაცა მშველელს უხმობდნენ თითქოს —  
 უღონო ხელებს ასაესავებდნენ,  
 პაერი მაინც რომ ჩაუბღუჯათ.

და მე ვეცეში, თავს ვიმკვდარუნებ.  
 გაფითრებული პაწაწინა ჯარისკაცები  
 ყრიან იარაღს  
 და გარბიან, გარბიან სადღაც  
 თავკუდმოგლეჯით.

მე ვდგები მძიმედ და ხმამალლა ვყვირი:  
 — დაიცათ!  
 საით, ბავშვებო?!  
 მე დათვი ვარ,  
 დათვი ვარ უკვე.

## იანინა დიაკოპიტა

### გზიარული ზღვიზები

ხმა ჩაიწყვიტა მიწამ და ზეცამ,  
 შეჭერდნენ წუთით, ხმენად იქცნენ თეთრი ღრუბლები —  
 სივრცეს მოედო მხიარული ბრძოლის ფლეიტა.  
 სახურავებზე, ხეებზე, ჯვრებზე  
 ოჭროს ყინული ჭრატუნებს — დნება,  
 და სიხარულად, ნაკადად, შექად  
 და ფლეიტებად იმსხვრევა ექო.



...იქნება ლურჯი ყინულის ტბები

და გამჭვირვალე მინები ფანჯრის...

მივაყურადებთ ისევ თევზების და ფრინველების ამაო კაკუნს...

გადათეთრებულ მინდორ-ველებზე ამოიგმინებს სიჩუმე მყისვე.

და ცა ერთ მუტა

მზეს დაჰყრის თოვლზე,

რომ დააპუროს ჩვენი შეერთობა!..

**შენ კი**

სიცილს და პურს დაფშენი ბლომად,

მიუალერსებ

ზამთრის ღამეებს,

რომ არ აყმუვლდნენ

მგლის ლეკვებივით

და შენს სიმღერებს

არ დაერიონ.



მე შენთვის მინდა ეს ლექსი ახლა,  
 თეთრი ღრუბლების პატარა სახლი,  
 სადაც ადვილად შეხვალ, გათბები  
 და შეგიძლია მართოდ დარჩენაც.  
 გაწყობილ სუფრას აქ არ ამშვენებს  
 ვერცხლის კოვზები  
 და არც წითელი  
 ხალიჩები  
 აქ გაფენილი.  
 უბრალოდ მინდა,  
 რომ გაათით  
 ეს ღამე  
 ჭერქვეშ.

თარგმანი ხუნდა ბანუშაძე



რომანოვი მიხეილ

# ეკვთიმა ივარი-ბარკანული რომანის ავტორი

ა) დამოკიდებული წინადადებაები

ჩემი კვლევაში წინადადებაებში დამოკიდებული წინადადება შეიძლება მოხდეს მთავარს, შეიძლება წინ უსწრებდეს მას, ან შეუზღუდოს, ან ამათ ერთ-ერთს. „რაც ზღვარს დაუქცევია, ხეყარულს უშენებია“, იმავე აზრს გამოხატავს, რასაც შებრუნებული — „ხეყარულს უშენებია, რაც ზღვარს დაუქცევია“. თარგმნის დროს, თუ როდესაც ამათ ერთ-ერთს, ან ხაღვს სტრიქონი სხვაგვარ წერს ან მოათხოვს, ან მათ უშეცვლად, თუ თარგმანი პარაფრაზია, ჩვეულებრივ მთარგმნელი დედნის გავლენას განიცდის და თარგმნის იმავე თანმიმდევრობით. ახე მაგალითად, ბირჯილი ურანა, რაც შეიძლება მოუვიდეს თავში ზეგონი მოყვანილი ტაქსის რუსულად მთარგმნელს, დახლოებით ასეთი იქნება:

«Что разрушено справедливо, то восстановить невозможно»  
და ახევე დარჩება, თუ სხვა არაფერი შეუძლია ხელს. ხწორედ ამიტომ ჩვენ მნიშვნელოვნად მივყვანთ ბალავარის რომანის ქართულ-ბერძნული ტექსტების შემდეგი პარაფრაზები:

„რომელიმე ვერ გულისხმავს არც ახე, ვერ თანა-წარმხედებს არა-არსსა მას“ (ილ. ანუ-დაძის გამოცემა, 1957 წ. გვ. 8).

1. ტექნიკური მიზეზების გამო თავს ნებას ვაძლევთ აქედ და შემდგომშიც ბერძნული ტექსტი მოვიყვანოთ ქართული ტრანსკრიპციით.

„მინ კატაქრონიენ ჰო მე ინტონ, ტონ მე ინტონ დე ჰოს ინტონ ანტონესთი ტე (საბაროლოგია გრეცა“, ტ. 86, 860).

აქვე უზრადლებას იმეროს ტერმინების უზუსტი შესატყვისობაც, ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ფილოსოფიურ-თეოლოგიური „არსისა“ და „არა-არსის“ უზუსტი გადართვა. ხანტერესობა სიტყვები — „ვერ თანა-წარმხედებს“ — ანტონესთი“ და „უგუნოა“ — „ანოეტოს“, მაგრამ მთავარი მაინც წინადადების კონსტრუქციაა. ჩემი კვლევაში წინადადება ორხვე ვერსიაში იწყება დამოკიდებული წინადადებით.

ამავე რიგისა შემდეგი მაგალითიც: მოკლე რედა ხოლო ვითარცა ესმნეს მეფესა სიტყუანი ესე... (გვ. 10). ვრცელი რედა და ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე მეფესა... (გვ. 10). ბერძნული ჰო დე ბახილდუს, ჰოს გუტეტუბა (PG, 880).

ახე ერთნაირი კონსტრუქციის წინადადებით იწყება ტექსტები სანახევ რედაქციაში. ბერძნული ენისთვის ხავსებით ბუნებრივი იქნებოდა ამ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება მიმდებრით შეცვლილყო და ავტორს ეთქვა არა „ვითარცა ესმნეს მეფესა ესე“, ამ შემთხვევაში, რომელიმე ესმნეს ესე“, არამედ „მეფემან მხმენდემან ამისა“. ხომ არ უნდა ვიფიქროს ამ შემთხვევაში ქართული ხანტაქსური კონსტრუქციის გავლენა?

\* დამატებითი. იხ. „მნათობი“, № 7.



ანალოგიურ შემთხვევას ვაწყდებით შემდეგ მანაღლიანზე:

მოკლდი: ზოლო იყო მათ შორის კაცო ერთი მეცნიერ სიბრძნისა უფროსს უოყვლია, და მრქუა... (გვ. 10).

მრქუდი: ზოლო იყო კაცი ერთი მათ შორის უფრო სარწმუნოა: უოკლითა მეცნიერებისა, ამან თქუა... (გვ. 10).

ბერძნულთ: ეის დე ტონ ასტროლოგონ, ჰო ტონ სან აუტო პანტონ დიასტროტატოს, ეინებ მონ.

ნიშანდობლივია შემდეგი წინადადება: მრქუდი: და ვითარცა განვიდა იგი, უბრძანა ზალაპვარს დავდომი და მრქუა (გვ. 80).

ბერძნულთ: კაი ტუ მაიადავოუ კაიოსორტინასტოს, ლეგვი ჰო იოსახე ტო ვერონტი... (პატროლოგია ვრცია, 800).

რა განსხვავებებს ვებდეთ ამ წინადადებებზე?

ა) ბერძნულის „მაიადავოუ“ ნაცვლად ქართულში ნაცვალსახელია — „იგი“;

ბ) ბერძნულის „იოსახე“ ქართულში არ არის წარმოდგენილი, ივლილისმეტეზ როგორც ქვემდებარე უპყვემდებარე წინადადებაში;

გ) ბერძნულის „ვერონტის“ ნაცვლად ქართულში ხაყოთარი ხახელია — „ზალაპვარს“;

დ) ქართულში შეღებვითა სიტყვება „უბრძანა... დავდომი“. ეს სიტყვება არც ქართულ მოკლე რედაქციაში დასტურდება და, აღზათ, ბერძნულად მთარგმნელის წყაროში არც იყო. ამ პატარა წინადადებაში საკმაოდ ბევრია განსხვავება, მაგრამ ყველას მიზეზი მთარგმნელი უნდა იყოს, რომელიც თავისუფლად ექცევა ცალკეულ ტერმინებს, „ზალაპვარს“ „მოხუცი“ ცვლის, ნაცვალსახელს მაიერად „მოძღვარს“ წერს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ წინადადებას წულობს და თბრობის დენამოკას ვერ ვაურობს, აწყებს დროის ვარგოებით დამოკლებული წინადადებათ და ამოვრებს მთავარი წინადადებათ.

საგანგებოდ ავიღოთ კიდევ ერთი ჩართული ქვეწყობილი წინადადება, სადაც მთავარი წინადადება მოხდებს დროის ვარგოებით დამოკლებული წინადადებათ:

მრქუდი: და ვითარცა ენმა კაცს მას სიტყუაო ეხე, დიათხია სინაწულითა განტევებისა, მისისათვის, და უნდა კუთლად შეპურობა მისი. (გვ. 58).

ბერძნულთ: მონ უნ ეოსუე ტაუტა ჰო ექსეუტტეს სინასუოე ტე ლიქე მეტამელომენოს ჰოტი ექსეუთენ ჰე აედონ ეკეინე ტას ხეარას აუტე (PG, 941).

აქედ არის ქართული ტექსტიდან მცირეოდენი განსხვავება, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, გამოწვევის წესს ადარებულა. ბერძნულ ტექსტში შეიძლება ვოკალიზაცია არა თუ წინადადებათა შენარჩუნებული რიცხი, არამედ დამოკ-

ლებული წინადადება შეიძლება რამდენიმე საშუალებით გამოხატულიყო, რაც სახეებით ბუნებრივი ექნებოდა ბერძნული ენისათვის.

ბ) მემართვა. მისამართ სიტყვებს განსაზღვრული ადგილი არა აქვთ. ისინი შეიძლება წინადადებას თავისეც შევსებდნენ, შუაშიც და პოლოშიც, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი სიტყვის წინ და შემდეგ:

„დედათ ღვთისაჲ, მჭეთ მართისა, როგორც ნაწვიმარ ხილაში ვარდი...“

